

ჩვენი მსურლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევობით

ფასი 1,50 ლარი

21 დეკემბერი 2007

№26(52)



მარტორქა ბაღში

ედგარ პოს აფორიზმები

ვონეგუტის მასტერკლასი

სკოტ ფიცჯერალდის ნოველები

უილიამ ფოლკნერის დეტექტივი

ქართველი ემიგრანტები ამერიკაში

შინაარსი

რედაქტორის გვარდი	2	პილიგრიმოზა გარდამთხეი შამისაკაე
მხსარს-ინტერვიუ	3	იდალისტიპიც ჯარ არ გამძრალან დედამინაზა (საუბარი ვირჯილ ნემოიანუსთან)
სად წაიყვან სადაურსა	4	რუსუდან დაუშვილი ქართველი ემიგრანტიპი ამერიკასა და კანადაში
პროზა	8	ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი ორი ნოველა
პოეზია	15	უოლტ უიტმენი ბალახის ფოთლებიდან
ესეისტიკა	19	ჯონ აპდაიკი რელიგია და ლიტერატურა
მომგნებათა სივრდი	25	ელის ბ. ტოკლასი გერტრუდ სტინის ავტობიოგრაფია (ფრაგმენტი)
ღიალოგი	28	მოდნი ვისაუბროთ... ლიტერატურაზა („ჩვენი მწერლობის“ სტუმარია ციალა თოფურაძე)
დაუვიწყარი სხელები	31	მურმან ჯგუბურია როპერტ ფროსტი
ერი და გედისწერა	36	რალფ უოლდო ემერსონი არისტოკრატია (წიგნიდან: „ინგლისელთა ზნეობანი“)
მასტერკლასი	42	კურტ ვონეგუტი ბაკვეთილი შემოქმედაბით წერაში
რეპორტაჟი	43	ეკა ბუჯიაშვილი ათი ესეი ერთი მიზნისათვის (ტომას ელიოტის ესეების განხილვა)
ფიქრები	46	ედგარ ალან პო აწორიზმები
კრიტიკა	48	მაია ჯალიაშვილი მზანასვამი ნაკადულის ჩაერი (ამერიკული პოეზიის ლელა ებრალიძისეული თარგმანები)
პოეზიის მერიღინაევი	50	ამერიკელი პოეტები (ალენ გინსბერგი, ებრა პაუნდი, კარლ სენდბერგი, ედვარდ ესთლინ ქამინგსი)
ღიმილის წუთები	53	ჯეიმზ თერბერი მარტორქა ბაღში
დაბეჭევი	54	უილიამ ფოლკნერი ბერო
მოზიკა	63	სამოცდასუთი წლის შემდეგ

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96-20-62

რეკლამა – (995 93) 65-93-68

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭედილი საბაზოში "ომეგა ტეგი" PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
სააქოთიპო, თბილისი, საჩაიშვილის 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
ატელფონი: +995 32 53 03 62 TELEPHONE: +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ლოს-ანჯელესის ხიდი

გია ჯოხაძე, მურმან ჩაჩუას ფოტოგრაფი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 4 იანვარს

პილიგრიმოზა გარდამტეხი ჟამისაკენ

საბჭოურ მონოდებათა და ლოზუნგთა შორის ესეც საკმაოდ მოიკიდებდა ფეხს და სულაც ყველას ნააჭარბებდა:

– დავენიოთ და გავუსწროთ ამერიკას!

უცნაური ჩანს და დაუჯერებელიც საბჭოთა ხელისუფალთაგან იმის აღიარება, რომ „შავ ზღვიდან ყინულეთამდე გადაჭიმული და გაშლილი“ სახელმწიფო, ამქვეყნიური სამოთხის კარიბჭეს მიმდგარი, ვინმეს ჩამორჩებოდა და, არამცთუ გადასწრება, ჯერ დასანევადაც ვახდომოდა საქმე.

ასე პირდაპირ არ ამბობდნენ, მაგრამ გადასწრება უკვე კომუნიზმის ხანას გულისხმობდა და, მინიერი ედემის კარი საიმედოდ რომ ჩაიგმანებოდა ზურგსუკან, ამერიკის შეერთებული შტატებიც იქ დარჩებოდა და მთელი დასავლეთიც, ვიდრე შეიგნებდნენ, არსებობისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური რეალობის ერთადერთი იდეური საფუძველი სოციალიზმი.

წინასწარვე იფხვენდნენ ხელებს საბჭოთა ხელისუფალნი იმ ნეტარი დღის მოლოდინით, როდესაც კომუნიზმის ქონგურებიდან ირონიული მზერით გამოხედავდნენ უკან მოტოვებულ ამერიკას.

ჯერ კი:

დავენიოთ და გავუსწროთ.

მსოფლიოს გადაყლაპვის ჟინი მიაქანებდათ უპირველესად შეერთებული შტატების დასაჩოქებლად.

ამ მონოდებას მოთვინიერებული მწერლობა ასდევდა მხურვალედ, თორემ ნამდვილი შემოქმედნი სულ სხვა განწყობილებაზე დგებოდნენ ამ ლოზუნგის მოსმენისას და... ღრმად სერიოზული სახით ამბობდნენ: დანევით დავენიოთ, მაგრამ ნუ გავუსწრებთო.

– რატომ? – იკითხავდა ვიღაც გულუბრყვილო.

– გამოხეული შარვლები რომ არ გამოგიჩნდეს!..

თან აქეთ-იქით იხედებოდნენ.

გაჭიანურდებოდა დაწვეის კამპანია,

წლებს წლები მიჰყვებოდა და ლოზუნგი კვლავაც უცვლელი რჩებოდა, და ხელისუფალნი იმის შიშით, საბჭოთა ადამიანებს სიმხნევე ემანდ არ წაერთვათო, მონოდებას ახლებურ ყაიდაზე გააწყობდნენ:

– ამერიკას უკვე დავენიოთ, ახლა უნდა გავუსწროთ!

– გასწრებას ნუ ვინჩარებთო, – ახლა იმ მწერალთა სულიერი მემკვიდრენი იმეორებდნენ და... აქეთ-იქითაც იხედებოდნენ.

აგერ, ხელის განვდენაზეა კომუნიზმის აღაყლაყებული მწვერვალიც და სადღაც უფსკრულში ჩაჩხილი ამერიკაცო, მაშინაც მგზნებარედ მეორდებოდა და მეორდებოდა, როდესაც მსოფლიოს საკეთილდღეოდ და საბჭოთა სახელმწიფოს სავალალოდ რონალდ რეიგანი იგდებდა ხელთ შეერთებული შტატების მართვის სადავეებს და ათწლეულთა ოცნებას რეალობად აქცევდა – რუსეთის იმპერია ვერ გაუძლებდა ჭიდილის უკიდურეს გამწვავებას და კომუნიზმის აღაყლაყებული მწვერვალიც ქვესკნელში ჩაინთქმეოდა ერთბაშად და საბჭოთა სახელმწიფოს მონოლითურობაც.

თავს არ უტყდებოდნენ საბჭოთა ხელისუფალნი, კიდევ ერთხელ გაშმაგდებოდა ცენზურაც, მაგრამ, ვთქვათ, „ლიტერატურული საქართველოდან“ დასაბეჭდად გამზადებულ უოლტ უიტმენის ესეის თუ ამოგდებდნენ იმ მოტივით, ამერიკის დიტირამბია და ამიტომაც ყოვლად გაუმართლებელი, ეს და ამისთანები რაღას უშველიდათ.

დანევა კიდევ ჰო და გასწრება არაფრისიღებთ არა ღირდა!..

კომუნიზმს გლობალიზმით შეანაცვლებდა ამერიკის შეერთებული შტატები, საბჭოეთში ხელახლა გაცოცხლებულ-ალორძინებულ იაკობინიზმის სულს ახლა ამერიკის ხელისუფალნიც შთაბერავდნენ სუნთქვას და ეროვნულ თავისებურებებსა და ადათ-წესებს ამჯერად ისინი მოველინებოდნენ საშიშროებად.

ნუთუ საქართველოსთვის სასურველი მსოფლიო წესრიგის ჟამი აღარ უნდა დამდგარიყო?!

ნუთუ კვლავაც საკუთარი ვინაობის გადასარჩენად უნდა ვიღვწოდეთ და ვიბრძოდეთ?!

მაგრამ სანუგეშო ხმებიც აღწევს ოკეანის გაღმადან: თანდათან ინავლება და იშრიტება იაკობინიზმის სული, გლობალიზმსაც გაუვა ყავლი, მანამდე კი თქვენი ტრადიციებისა და კულტურის შესანარჩუნებლად ნუ დაზოგავთ თავსო.

კლავს რინის, თანამედროვეობის თვალსაჩინო მოაზროვნის, რჩევამი კეთილგონიერი ამერიკის თანაგრძნობასა და თანადგომას ვხედავთ და იმედიოთაც ამიტომ შევყურებთ მოსალოდნელ საგულისხმო ცვლილებებს შეერთებული შტატების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

იაკობინიზმმა საბოლოოდ უნდა დაღაფოს სული და ჩვენ მხოლოდ შემსწრენი კი არ უნდა ვიყოთ მსოფლიოსათვის ამ გარდამტეხი ჟამისა, არამედ ხელიც შევაშველოთ ამ გარდღევალი პროცესის ბუნებრივ დაგვირგვინებას, რუსოიზმის ისეთივე დასამარებას, როგორც მისმა მემკვიდრე მარქსიზმმა ამოიჭამა თავი.

ამ გზაზე ამერიკული მწერლობა და ხელოვნება, თავისი წარსულითა და აწმყო-მერმისით, ჩვენი მოკავშირეა, გნებავთ, ჩვენ ვართ მათი მოკავშირენი. მთავარია, რომ შინაგანი ძაფებიც და შემაერთებული ხიდიც არსებობს საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სულიერსა და ყოფით ცხოვრებას შორის, კიდევ უფრო განმტკიცებაც მოსალოდნელია და „ჩვენი მწერლობის“ ეს ამერიკული ნომოცი მსოფლოდ ამ გადასახედიდან შეიძლება შეფასდეს – პილიგრიმოზად იმ გარდამტეხი ჟამისაკენ.

დავენიოთ და გავუსწროთ ამერიკასო...

დანევას რა უშავდა, ეგაა, გასწრება აღარ უნდა მოგენდომებინა, თუკი სირცხვილის გრძნობა ჯერ კიდევ შემოგარჩენოდა.

მეხოტბე არა კლებია რონალდ რეიგანს, მაგრამ უიტმენის დარი არავინ გამოსჩენია, ისერიგად არავის აუზიდავს და გაუსიმბოლოვებია მისი სახელიც, და ქვეყნიერების წინაშე ვალმოხდილი, ვინ იცის, მარტოშენილი აბრაამ ლინკოლნის აჩრდილს შებუზღუნებდა:

შენ კი არ იყავ დიდი, დიდი შეგხვდა მაქებარო!..



იდეალისტებიც ჯერ არ გამქრალან დედამინაზე

*

საუბარი
ვირჯილ ნემოინაუსთან

– ბატონო ვირჯილ, თქვენმა პირველივე გამოჩენამ ჩვენს ლიტერატურულ სივრცეში მკითხველთა ცნობისნადილი ძალიან გააღვივა და ითხოვენ, რაც შეიძლება უკეთ გავაცნოთ თქვენი პიროვნება და შემოქმედებაც, რასაც თანდათან განვახორციელებთ. მომავალ გაზაფხულზე საქართველოში სტუმრად ჩამოსულს მათთან პირისპირ შეხვედრაც მოგიწევთ. ამჯერად კი გვინტერესებს თქვენი აზრი კრიტიკის დანიშნულების შესახებ და ისიც, ამ დანიშნულებამ განიცადა თუ არა ცვლილებანი ახალი საუკუნის მიჯნაზე?

– ალბათ ჯერ ძალზედ ადრეა, რომ XXI საუკუნეზე ვი-საუბროთ, მაგრამ შეგვიძლია უკან გავიხედოთ და დარწმუნებით ვილაპარაკოთ XX საუკუნეზე. XX საუკუნეში კრიტიკა უსაზღვროდ მნიშვნელოვანი გახდა, განსაკუთრებით საუკუნის მეორე ნახევარში.

გაჩნდა უამრავი ახალი მეთოდი, მიმდინარეობა და ნაკადი: სტრუქტურალიზმი, დეკონსტრუქცივიზმი, ფემინიზმი, არქეტეპული მეთოდები და დუჟინი სხვაც.

ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ პერიოდში (1970, 1980, 1990-იანი წლები) კრიტიკამ თითქმის დათრგუნა თვით ლიტერატურა. სტუდენტებს ასწავლიდნენ უფრო მეტად მეთოდებსა და ინტერპრეტაციებს, ვიდრე თვით ლიტერატურას.

რა თქმა უნდა აქვე იყო პოზიტიური მხარეც: ლიტერატურული ანალიზი გახდა უფრო სისტემატური, უფრო სამეცნიერო. მეორე უპირატესობა გახლდათ ლიტერატურაში წვდომის გაძლიერება: ლიტერატურული თხზულების მრავალი განზომილება უფრო გამკაფიოვდა; უფრო ნათლად გამოიკვეთა ლიტერატურული ტექსტის სირთულე და მრავალფეროვნება. ჩემი აზრით, თუმცა საესეებით დარწმუნებული არა ვარ, ბოლო ათ წელიწადში იგრძნობა ერთგვარი მიბრუნება თვით ლიტერატურისაკენ. ვფიქრობ, ეს ჯანსაღი პროცესია.

– როგორია ურთიერთობის ფორმები მწერალსა და კრი-

ტიკოსს შორის. ანგარიშ-გასანვია თუ არა კრიტიკის შეფასება მწერლისათვის. კრიტიკა მხოლოდ შემოქმედებითი ინტერპრეტაციაა მხატვრული ტექსტისა თუ მეცნიერული ანალიზი, ერთგვარი მედიუმი, რომელსაც მიზნად ისახავს ზედმიწევნითი სიზუსტით მიიტანოს მწერლის ჩანაფიქრი მკითხველამდე?



– აქ რამდენიმე შეკითხვამ მოიყარა თავი. რაც შეეხება მწერლისა და კრიტიკოსის ურთიერთობას, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, ჭეშმარიტი შემოქმედი მწერალი სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს და სპონტანურად წერდეს, მხოლოდ თავის პიროვნულ იდეებსა და განცდებზე დაყრდნობით.

მე პირადად მწერალი არ გახლავართ, მაგრამ, რომ ვიყო, კრიტიკოსის გავლენაში მოხვედრას არ ვისურვებდი; რა თქმა უნდა, დავინტერესდებოდი სხვადასხვა შეხედულებებით, მაგრამ ჩემი მიზნებისა და არჩევანის ერთგული დავრჩებოდი.

მეორე მხრივ კი, თუ მკითხველზე ვიფიქრებთ, კრიტიკა უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება; კრიტიკოსი განუმარტავს (როგორც შემოქმედებითად, ასევე მეცნიერულად) მკითხველს უმთავრეს ასპექტებს, იმ უამრავ განზომილებას, რასაც მკითხველი ვერ შენიშნავს და გაიაზრებს. კრიტიკოსი მკითხველს ჩაახედებს სიღრმეებში, ლიტერატურული თხზულების ზედაპირს მიღმა.

და თუნდაც კრიტიკოსები ყოველთვის არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს, ამან არ უნდა აგვალეღოს; ჭეშმარიტად დიდი ლიტერატურული ქმნილება ყოველთვის რთულია და მისი განსხვავებული ინტერპრეტაციები შესაძლებელია. კრიტიკოსის მთავარი მიზანია ამოიცნოს და დაასაბუთოს ერთი ლიტერატურული ქმნილების ფასეულობა მეორესთან მიმართებით.

– რამდენადაა ლიტერატურის ექსპერტის შეფასებაზე მხატვრული ნაწარმოების წარმატება დამოკიდებული?

– სამწუხაროდ, წარმატების მიღწევა და საზოგადოების ყურადღების მიპყრობა მეტისმეტადაა კრიტიკოსებზე დამოკიდებული. თანამედროვე სამყაროში გამოცემულ წიგნთა რიცხვი ძალზედ გაიზარდა. მკითხველი ამ ქმნილებების მხოლოდ მცირე ნაწილს კითხულობს, ბევრზე ხელი მხოლოდ ორიოდ სპეციალისტს თუ მი-

სამშაბათს, 27 ნოემბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში
ნონა კუპრეიშვილი
წაიკითხავს
საჯარო ლექციას
**„XX საუკუნის
მეორე ნახევრის
ქართული კრიტიკის
თავისებურება“**
დასაწყისი 15 საათზე
ჩუბინაშვილის 41

უნდებდა. ამიტომ მკითხველი დამოკიდებული რჩება კრიტიკოსის შეხედულებაზე. მაგრამ განა შეგვიძლია ყოველთვის ვენდოთ კრიტიკოსებს? არიან კარგი კრიტიკოსები? არიან პატიოსანი კრიტიკოსები? ზოგიერთს ფარული მოტივები ხომ არ ამოძრავებს (მეგობრობა ან რაიმეგვარი კავშირი მწერალთან, მწერლის მიერ გამოთქმული იდეოლოგიისა თუ პოლიტიკური შეხედულებების დამჯობინება, ან სხვა მრავალი მიზეზი)?

თუ კრიტიკოსი კარგი და პატიოსანია, მკითხველისათვის დიდი შვება და შეძნელებაა. საბედნიეროდ, არსებობს ხერხები კრიტიკოსთა შესამოწმებლად. უნდა წაიკითხოთ მისი ანალიზი და შემდეგ განხილული წიგნი ან წიგნები. ორი-სამი წიგნის შემდეგ გაიგებ, სანდოა კრიტიკოსი თუ არა. ასე შეამცირობ იმ კრიტიკოსთა რაოდენობას, ვისაც რჩევისათვის უნდა მიმართო.

– იდეალების ეპოქა კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა... და მაინც, საინტერესოა რაზე წერს ახალი თაობა,

რა აღლევებს და რის გამო ჰკიდებს ხელს კალამს ახალგაზრდა მწერალი ამერიკაში?

– რა თქმა უნდა, ახალგაზრდა მწერალთა მოტივები განსხვავებულია; ზოგს სახელი და დიდება სურს, სხვები ფულსა და ქონებას ელტვიან, ზოგი შინაგან მოთხოვნილებას გრძნობს, ზოგს უბრალოდ სიამოვნებს წერა, სხვები მკითხველზე შემოქმედებას ესწრაფიან და, რა თქმა უნდა, სხვა მრავალი მიზეზებიც არსებობს. არა მგონია, რომ დღევანდელი ვითარება განსხვავებული იყოს სხვა ეპოქებისაგან. მოტივები თითქმის ერთნაირია. ჩემი აზრით, იდეალისტებიც ჯერ არ გამქრალან დედამიწაზე. ასე რომ, პესიმისტურად არ ვარ განწყობილი. შეიცვალა ინსტრუმენტები, ფანქრის მაგივრად კომპიუტერი გაჩნდა. შეიცვალა კითხვის ფორმებიც კი, მაგრამ მოთხოვნილება თხრობისა, გახსენებისა, შემოქმედებისა ადამიანური თვისებებია და ამიტომაც გამძლეა და მარადიული.

სად ნაიყვან სადაურსა

რუსუდან დაუშვილი

ქართული ემიგრანტები ამერიკასა და კანადაში

როდის აღმოჩნდნენ პირველად ქართველები ამერიკის კონტინენტზე – ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი. ამ საკითხის მკვლევარი ემიგრანტი გივი კობახიძე XIX საუკუნის 20-იან წლებს ასახელებს, თუმცა მისი ვარაუდი დოკუმენტურად არ არის დასაბუთებული. თავისი ვერსია აქვს აკადემიკოს იური მალაშხიას, რომელსაც მექსიკაში კონფერენციაზე ყოფნისას, მეხიკოს ერთ-ერთ ქუჩაზე უნახავს დიდი აბრა წარწერით „ფოტო, მალაშხია“. გაცემულს როცა გამოუკითხავს, საიდან იყვნენ ფოტოატელიეს მფლობელები, მოუსმენია ძალიან საინტერესო ისტორია მათ წინაპრებზე: XV საუკუნეში ორ ძმა მალაშხიას სამეგრელოში ბატონი მოუკლავს და გაქცეულები ფოთში ასულან ესპანეთში მიმავალ გემზე. ესპანეთში კი ქრისტეფორე კოლუმბის ექსპედიციაში ჩაწერილი – საფლავმანო გემზე „სანტა-მარია“ ამერიკის პირველად მომჩინთა შორის იყვნენ. შემდეგ ერთი ძმა ესპანეთში დაბრუნებულა, მეორე კი მექსიკაში დარჩენილა და გვარი გაუგრძელებია.

ბასკოლოგ გრეტა ჩანტლაძის მიერ მოპოვებული „სანტა-მარია“ საბორტო ჟურნალის პირველი გვერდის მიხედვით, ეკიპაჟის სიაში მე-6 ნომრად მართლაც წერია ერთი ძმა მალაშხია...

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების მიხედვით კი ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართველები XIX საუკუნის 60-იან წლებიდან, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ჩანან. ლინკოლნის არმიაში მებრძოლი ქართველი ოფიცრები ერისთავი და გრუზინოვი მონაწილეობდნენ სამოქალაქო ომში. ციმბირის კატორღიდან 80-იან წლებში გაიქცა და ჩინეთ-იაპონიის გავლით ამერიკაში ჩავიდა სასულიერო სემინარიის რექტორის, ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლალიაშვილი. 1880 წელს ამერიკაში მოხვდა 14 წლის ბახველი ბიჭი ივანე მახარაძე, რომელიც როდ-აილენდზე რაჭველმა მეპურეებმა შეიფარეს, რომელთა ამერიკაში ჩასვლის თარიღი ვერ დავადგინეთ და მხოლოდ ანექდოტის დონეზე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ – როგორ დახვდნენ ისინი კოლუმბსა და მის თანამგზავრებს, მათ შორის ძმებს მალაშხიებს, ცხელი ხაშითა და ლავაშით. ანექდოტის ბოლო ნაწილი ალბათ იმაზე მიუთითებს, რომ ლტოლვილთა როდ-აილენდის გამანაწილებელი პუნქტიდან გასულ ქართველებს პირველად სწორედ იქ მცხოვრები რაჭველი მეპურეები ხვდებოდნენ.

ივანე მახარაძე ცირკში გამოდიოდა ცხენოსნობით და მალე გამდიდრდა. 1887-96 წლებში იგი არაერთხელ ჩასულა „ბაფალო ბილის“ მიწვევით ცირკში გამოსასვლელად საქართველოში შეკრებილი მოჯირითეთა გუნდით. 90-იან წლებში სან-ფრანცისკოს ცირკში წარმატებით გამოდიოდა მისი ჯგუფის წევრი მოჯირითე კოტკოშვილი, რომლის ჩოხაში გადაღებული ფოტო გამოუქვეყნებია გაზეთს.

XX საუკუნეში იწყება უფრო მასობრივი ემიგრაცია. საუკუნის დამდეგს „ბაფალო ბილმა“ გურულების ახალი ჯგუფი მიიწვია – სამი ძმა კვიციანიშვილი, კალისტრატე ცინცაძე, ქრისტეფორე იმნაძე და მისი 15 წლის ქალიშვილი ბარბალე, რომლის ნატურალური ზომის გამოსახულება ამშვენებდა კოლორადოს შტატის ქალაქ დენვერის „ბაფალო ბილის“ მუზეუმს. დაქორწინების შემდეგ კ. ცინცაძე და ბ. იმნაძე ჩიკაგოში დასახლდნენ. მათ მრავალრიცხოვანი

გამერიკელებული შთამომავლობა დარჩათ. 1905 წელს გურულ ცხენოსანთა 50-კაციანი ჯგუფი ნოე ინკირველის ხელმძღვანელობით კონტრაქტით ჩავიდა ამერიკაში ცირკის არენაზე გამოსასვლელად, რომელთაგან ნაწილი, მათ შორის ნ. ინკირველი, ამერიკაში დარჩა, ძირითადად კოლორადოს შტატში, რომლის ბუნება და თოვლით დაფარული მწვერვალები საქართველოს აგონებდათ.

იმავე პერიოდში ჩადიან ამერიკაში რაჭველი მიწის მუშები. 1910-13 წლებში ამერიკელ მრეწველებს რკინიგზის მშენებლობაზე 50, 80 და 100-კაციანი ჯგუფებად ჩაჰყავთ მუშები მთარაჭიდან და ალაგირიდან. მათგან ბევრი ველარ დაბრუნდა სამშობლოში. ისინი ძირითადად ქ. სიეტლსა და მის მიდამოებში დასახლდნენ. მომდევნო წლებშიც ემატებოდნენ მცირე ჯგუფებად მათ ახლობლები რაჭიდან და დასავლეთ საქართველოს მცირემიწიანი რეგიონებიდან – ლეჩხუმიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან, სვანეთიდან, აგრეთვე ჩინეთიდან, მანჯურიიდან. მალე ქართველთა განსახლების არეალი გაიზარდა, როგორც აღმოსავლეთ სანაპიროზე, ისე დასავლეთში – ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოში, სიეტლში, ლოს-ანჯელესში, დენვერში და სხვა. ჩიკაგოში ძირითადად გურულები დაჯგუფდნენ, სიეტლსა და ვანკუვერში – რაჭველები. მრავალი ქართველი იყო თავმოყრილი სხვადასხვა კუთხიდან ნიუ-იორკში. ბევრი ქართველი სეზონური სამუშაოსათვის ჩადიოდა, ნაწილი კი სამუდამოდ დასახლდა ამერიკაში.

1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრანტთა რიცხვი პოლიტიკური დევნილებით გაიზარდა. 30-იანი წლების კრიზისმა და დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ ბევრი ემიგრანტი აიძულა გადასახლებულიყო ევროპიდან ამერიკაში. 1932 წელს იაპონიის მიერ მანჯურიის ოკუპაციის შემდეგ იქ მცხოვრებმა ბევრმა ქართველმა მიაშურა ამერიკას. დიდ ტალღებად მიანყდნენ ამერიკას ქართველები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მათ შორის ტყვედჩაგარდნილი ყოფილი „საბჭოთა ქართველებიც“.

30-იანი წლების დამდეგს ამერიკაში მცხოვრებ ქართველთა რიცხვი იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ გაჩნდა სათვისტომოს დაარსების იდეა. 1931 წლის 1 დეკემბერს პავლე და თამარ კვარაცხელიების, ვანო კობახიძის, ვასო დუმბაძისა და გიორგი მაჩაბლის ინიციატივით დაარსდა ქართული სათვისტომო ამერიკაში. სამი თვის შემ-

დეგ, 1932 წლის 31 იანვარს, ნიუ-იორკის მახლობლად იანკერსში, კვარაცხელიების სახლში სათვისტომო საზეიმოდ აკურთხეს. მიწვეული იყო 54 სტუმარი. ქართული დროებით იყო მორთული არა მარტო კვარაცხელიების ქუჩა, არამედ მთელი გზა ნიუ-იორკიდან იანკერსამდე. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ვასო დუმბაძე – 1926 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლტოლვილი მთავრობის ელჩი ამერიკაში, აკაკი შანიძის უფროსი ძმა მოსე შანიძე, რომლის ლოტბარობით გუნდმა „დიდება“ და რამდენიმე ქართული სიმღერა, პიანისტ

ირაკლი ორბელიანის აკომპანიმენტით დავით ალავიძემ კი სოლო შეასრულა...

ბევრს ადგა თვალზე ბედნიერების ცრემლი, განსაკუთრებით ბედნიერი იყო ზეიმის მონაწილე 6 ბავშვი. ნადიმი 12 საათი გაგრძელდა – დღის 3 საათიდან ღამის 3 საათამდე. თამადა იყო უჩა დადიანი, თანაშემწეები – პავლე ჭავჭავაძე და გიორგი მაჩაბელი. როგორც პავლე კვარაცხელია შენიშნავდა, მისი მეზობელი ამერიკელები მოი-



გურული მხედრები. 1913 წელი

ხიბლნენ ქართული ლხინით, ბევრმა კი სწორედ დროების წყალობით გაიგო საქართველოს არსებობა. მეორე დღეს დაინტერესებულ პირთათვის იანკერსის გაზეთში გამოქვეყნდა ცნობა სათვისტომოს დაარსების ზეიმთან დაკავშირებით და ინფორმაცია საქართველოს შესახებ.

1932 წლის აპრილში სათვისტომომ მიიღო ოფიციალური ქარტია და ლეგალურად განაგრძო არსებობა, 24 აპრილს კი პირველი კრება ჩაატარა, რომელზეც აირჩიეს გამგეობა და მისი წევრები, თავმჯდომარედ პავლე კვარაცხელია დაასახელეს.

1938 წელს ნიუ-იორკიდან 60 კილომეტრში აისლიპში სათვისტომომ შეიძინა სახლი. 1951 წელს სახლი გაყიდეს სიშორის გამო, მის ნაცვლად კი ნიუ-იორკში, ჯექსონ ჰეიტში 91-ე ქუჩაზე შეიძინეს მიწა და ააშენეს 10 ოთახიანი ორსართულიანი სახლი სარდაფითა და გარაჟით, სადაც იმართებოდა სხდომები, შეხვედრები და სხვადასხვა ღონისძიებები. ზეიმებისათვის კი დიდ დარბაზებს ქირაობდნენ. სათვისტომო ხელს უმართავდა გაჭირვებულებს არა მარტო ამერიკაში, არამედ ევროპაში. ეხმარებოდა ახალჩასულებს. ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი იყო ამერიკაში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ყოფილი ელჩის ვასო დუმბაძის ღვაწლი – შუამდგომლობა ამერიკის ადმინისტრაციასთან, და გრიგოლ კობახიძის (ჯორჯ კობი) ფინანსური მხარდაჭერა.

სხვადასხვა დროს სათვისტომოს თავმჯდომარეები იყვნენ პ. კვარაცხელია, ი. ორბელიანი, ვ. დუმბაძე, ვ. კობახიძე, გ. ზალდასტანიშვილი და სხვები. ქართული სათვისტომოს საქმიანობაში, ზემოთჩამოთვლილ წევრთა გარდა, დიდი როლი შეასრულეს კირილე გურგენიძემ, ასლან ყრუაშვილმა, ნიკოლოზ ამილახვარმა, ლევან (ჯონჯი) და მიხეილ დადიანებმა, ნესტორ ალავიძემ, სვიმონ და კონსტანტინე სიღამონ-ერისთავებმა, ლადო არველაძემ, გრიგოლ დიასამიძემ, ალექსანდრე სულხანიშვილმა, გიორგი გამყრელიძემ, ლეო დუმბაძემ, ალექსანდრე ჯაყელმა, ალექსანდრე ცომაიამ, დიმიტრი სინჯიკაშვილმა, ვანო ნანუაშვილმა, ძმებმა გალაშვილებმა და სხვებმა.

ქართული დიასპორა, მართალია, მრავალრიცხოვანი არ იყო, მისი რიცხვი 1955 წელს 300-ს არ აღემატებოდა, მაგრამ ქართველებმა გარკვეული წვლილი მიაწვდიეს ახალი სამშობლოს აყვავებაში. მათ შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მინის მრეწველი, მილიონერი ჯორჯ კობი – გრიგოლ კობახიძე, რომელმაც ორი დიდი მინის ქარხანა ააშენა მასაჩუსეტსა და როდაილენ-



რაჭველები ამერიკაში. სიეტლი. 1912 წელი

დში; მეორე მილიონერმა, საქართველოს ყოფილმა ელჩმა იტალიაში გიორგი მაჩაბელმა, რომელიც 1922 წელს გადასახლდა ამერიკაში და შექმნა ნელსაცხებლების ფირმა „პრინცი მაჩაბელი“; ამ დარგში წარმატებას მიაღწია არჩილ გურიელმაც; ჩინეთში საქართველოს ყოფილმა კონსულმა, მანჯურიიდან ჩასულმა ექიმმა ნიკოლოზ ჯიშკარიანმა, რომლის ნერვული და ანემიური დაავადებების სამკურნალო პრეპარატმა „ჰემოდინმა“ – პოპულარობა მოიპოვა და ბევრს შეუნარჩუნა სიცოცხლე და ჯანმრთელობა; ამერიკისა და კანადის საავიაციო მრეწველობაში სახელი გაითქვა კონსტრუქტორმა მიხეილ გრიგორაშვილმა; ამერიკულ გამანადგურებლების „მეხდამცემის“ კონსტრუქტორმა უმსხვილესი ამერიკული საავიაციო კომპანიის „რიპაბლიკის“ ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე ქართველიშვილმა. 40-იან წლებში ამერიკაში ბესტსელერად იქცა ქართველი ემიგრანტის, სკულპტორ ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილის ავტობიოგრაფიული წიგნი „ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, რომლის მიხედვითაც რეჟისორმა ჯორჯ სიტონმა, კინოვარსკვლავ ხოზე ფარერის მონაწილეობით, 1951 წელს ჰოლივუდში ფილმი გადაიღო. ქართული სიმღერებისა და ცეკვების მოტივებზე მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ვიქტორ იუნგმა. ტექნიკური დირექტორი იყო დიზაინერი ლადო ბაბიშვილი. მონაწილეობდა ქართველი ემიგრანტი ალექსანდრე ფუტკარაძე.

სხვადასხვა დროს სახელი გაითქვეს ამერიკაში მცხოვრებმა ქართველებმა: ქორეოგრაფმა ჯორჯ ბალანჩინმა, ბალერინა თამარ თუმანიშვილმა, პიანისტმა ერეკლე ორბელიანმა, მოქანდაკე ლადო გუჯაბიძემ, მწერალმა სანდრო ნებლომ (პაპუაშვილი), ისტორიკოსმა თეიმურაზ ბაგრატიონმა, ინჟინრებმა ალექსანდრე გრიგოლაშვილმა და თევდორე ლობჯანიძემ, ქართული ლენინების პოპულარიზატორმა კალიფორნიაში ვანო კობახიძემ, ექიმებმა შოთა დვალმა, გივი გაბლიანმა და გივი კობახიძემ, კლივლენდის ქირურგიის ცენტრის პროფესორმა გედევან ასათიანმა, მოჭიდავე კოლა ქვარიანმა, დამოუკიდებელი საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის აკაკი ჩხენკელის შვილებმა, რადიო „თავისუფლების“ ამერიკელმა კორესპოდენტმა ალექსი ჩხენკელმა, მისმა ქალიშვილმა, გაეროს შტაბბინის თარჯიმანმა თამარ ჩხენკელმა, მისმა კოლეგამ გაეროში, მთავარმა მრჩეველმა და თარჯიმანმა მოსე შანიძემ, ნიუ-იორკის ვიცე-მერმა კონსტანტინე სიღამონ-ერისთავმა, გენერალმა ჯონ-მალხაზ შალიკაშვილმა და სხვებმა.

ამერიკულ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პროფესორებმა: ვაშინგტონის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ბიზანტოლოგმა კირილე თუმანიშვილმა, ითაკის კორნელის უნივერსიტეტში აგრიკულტურისა და მცენარეთა დაცვის დარგში პავლე კვარაცხელიამ, იუტას შტატის უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტის გამგემ ვახტანგ ჯობაძემ, პენსილვანიის უნივერსიტეტში ანთროპოლოგმა ალექსანდრე გრიგოლიამ, პრინსტონის უნივერსიტეტში დავით ჯავარიძემ, კოლუმბიის უნივერსიტეტში გიორგი ნაკაშიძემ, ჰარვარდის უნივერსიტეტში აეროდინამიკოსმა და მშენებელმა ოთარ ზალდასტანიშვილმა, რომლის დაპროექტებულია რამდენიმე უმსხვილესი ნაგებობა, მათ შორის ბოსტონის აეროპორტი, მალღივი შენობები არა მარტო ამერიკაში, არამედ ევროპასა და აზიაში, ასევე მთელი ქალაქი საუდის არაბეთში, მისმა ძმამ ბიზნესმენმა გივი ზალდასტანიშვილმა და სხვებმა.

ამ არასრულ სიაში შეტანილი სახელებიდან ბევრი ახლა უბრუნდება საქართველოს. იმედია, ისინი კულტურის ადგილს დაიმკვიდრებენ ჩვენი კულტურის ისტორიაში.

ქართველთა მოღვაწეობამ ამერიკელთა ყურადღება მიიპყრო. კონგრესმა 30-იან წლებში ორი წიგნიც მიუძღვნა საქართველოს წარსულს, ბუნებასა და კულტურას, არაერთი თბილი სიტყვა უძღვნეს ქართველთა საქმიანობას ახალ სამშობლოში, მათ შორის, აღსანიშნავია 50-იან

ნლებში ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორის, ცნობილი ნელსონ როკფელერის სიტყვები, რომლითაც მან ორჯერ მიულოცა ქართულ სათვისტომოს დღესასწაული: „ჩვენ, ამერიკელები ვამაყობთ, რომ მრავალმა ქართველმა ლტოლვილმა მიიღო აქ თავშესაფარი. ჩვენ ვისარგებლეთ მათი მოსვლით. ისინი გახდნენ ჩვენი ღირსეული მეზობლები, ლოიალური, ერთგულნი და ნაყოფიერი მონაწილენი ჩვენი შტატის და ჩვენი ერის ეკონომიური აღორძინების“.

ამერიკასა და კანადას შორის მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირის გარდა, თავისუფალი საზღვარიც არსებობდა, ამიტომ საზღვრისპირა რაიონებიდან მოსახლეობა კანადაში ადვილად გადადიოდა. ქართველები კანადაში 1886 წელს ვანკუვერის დაარსებისთანავე გაჩნდნენ, რადგან ქალაქი მსხვილი სამრეწველო ცენტრი, მნიშვნელოვან სარკინიგზო-სატრანსპორტო კვანძი და კანადის მთავარი ნავსადგური იყო. ქართველი მუშები ვანკუვერში სიეტლიდან გადადიოდნენ და ხე-ტყის დამუშავებასა და რკინიგზის მშენებლობაში მონაწილეობდნენ. ქართველთა რიცხვი ამ ორ ქალაქში მუდმივად იცვლებოდა, რადგან საჭირო თანხის მოგროვებისთანავე ისინი სამშობლოში ბრუნდებოდნენ, მათ ადგილს კი ახალმოსულები იკავებდნენ. ისინი ნელ-ნელა დასახლდნენ კანადის ქალაქებში: ტორონტოში, ოტავაში, ვანკუვერში, ედმონტონში და ა.შ. ამერიკასა და კანადას ქართველები ერთ გეოგრაფიულ ერთეულად თვლიდნენ და „ჩრდილო ამერიკას“ უწოდებდნენ.

კანადელ ქართველებს ჩამოყალიბებული ჰქონდათ ურთიერთდახმარების გარკვეული სისტემა, რისი წყალობითაც ადვილად ხდებოდა ადაპტაცია. გივი კობახიძე მოგვითხრობს, რომ ვანკუვერში მცხოვრებ 25 ოჯახს, 200-მდე ქართველს, XIX საუკუნის ბოლომდე რაჭაში შემორჩენილი ტრადიციის მიხედვით, სადაც ხშირი იყო დიდი გაუყოფელი ოჯახები ოთხ თაობისა და 70-100 კაცის შემადგენლობით, შეუძენია ვეებერთელა, სამსართულიანი სახლი და ერთადე დასახლებულა. ამ სათემო საზოგადოებას კანადელები გაუოცებია თავისი ზნეობრივ-მორალური და მეგობრული ქცევით. დიდი ოჯახების მსგავსად, რომლებსაც სათავეში უხუცესები ედგნენ და ყველა წევრს უნაწილებდნენ საქმეს, ვანკუვერის თემობასაც შეუქმნია უხუცესთა საბჭო, ქალთა კომიტეტი, ურთიერთდამხმარე სალარო, განათლების სექცია, გართობისა და

კულტურის ჯგუფი და სხვა. თემი ერთ მძლავრ სამეურნეო-ეკონომიკურ ერთეულად იქცა, რომელიც სამშობლოში ნათესავებსა და ახლობლებს და მეზობლად მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეებსაც ეხმარებოდა. დრომ თავისი გაიტანა და ეს ერთობა დაიშალა, მომრავლებული ოჯახები ცალკე გავიდნენ, სამსახურის გამო სხვა ქალაქებში მიმოიფანტნენ. მომდევნო თაობებმა დაკარგეს მშობლიური ენა, კავშირი ერთმანეთთან და სამშობლოსთან, თუმცა ბევრს დღემდე ახსოვს თავისი წარმოშობა, მათგან აღსანიშნავია „ბოინგის“ ინჟინერი ვალტერ რეხვიაშვილი, რომლის მოგონებათა წიგნის თარგმანი გამოაქვეყნა გაზეთ „რაფოს“ რედაქტორმა ბონდო გაგნიძემ; კანადის ოქროსა და ალმასის მოპოვების ერთ-ერთი პიონერი დიმიტრი მეტრეველი (მაიკ მიტო) და მისი ვაჟი ავგუსტ მიტო, რომელიც XX საუკუნის ბოლოს ამ დარგის ორი დიდი ფირმის მფლობელი იყო.



ვალტერ რეხვიაშვილის ოჯახი

20-30-იან წლებში ლათინური ამერიკის ქვეყნებში მცხოვრები ქართველების შესახებ მწირი ცნობები გვაქვს. არგენტინაში ცხოვრობდნენ არ-

ჩილ ხაჩიძე, გიორგი გომელაური და დავით ლოლობერიძე. მეორე მსოფლიო ომში ტყვედ ჩავარდნილ თუ თავისი სურვილით გერმანელების მხარეზე გადასულ 40.000 ქართველიდან ბევრი ევროპაში დარჩა და შეუერთდა I ტალღის ემიგრაციას. 40-იანი წლების ბოლოსა და 50-იან წლების დამდეგს კი საბჭოეთში რეპატრაციის შიშით ნაწილი ამერიკასა და ავსტრალიაში გადასახლდა. საფუძველი ჩაეყარა ახალ სათვისტომოებს არგენტინაში, ბრაზილიაში, ჩილეში, ვენესუელასა და ამერიკის სხვა ქვეყნებში.

მათი ისტორიის შესწავლა შესაძლებელია მრავალრიცხოვანი ემიგრანტული პრესისა და კერძო არქივების საშუალებით. ბევრად უფრო ძნელია ორივე ნახევარსფეროს კონტინენტებზე მიმოიფანტული დღევანდელი ემიგრაციის ცხოვრების გაცნობა და კვლევა. ეს კი მეტად საშურია, რადგანაც ბოლო 15 წლის მანძილზე მასობრივი ემიგრაციის გამო არ არსებობს დინამიკის, სტატისტიკის მონაცემები, არ ვიცით ემიგრანტთა რაოდენობა და ვინაობა. ვინ, სად, რომელ ქვეყანაში, რამდენი ხანია ემიგრაციაში. ეს ითქმის ამერიკაზეც, სადაც ყველაზე დიდია ქართველ ემიგრანტთა რიცხვი, რომელთა ნაწილიც, პირველ-მეორე ტალღის ემიგრანტების მსგავსად, ალბათ სამუდამოდ დარჩება ამერიკის შეერთებულ შტატებში...

ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი

ორი ნოველა

ბაუსაკლისი ავადმყოფი

I

– ხელი გაუშვით ბოთ... ოჰ, ღმე-ერთო ჩემო! ემწუთას მომეცით! მეტი აღარ გაბედოთ დათრობა! გეყოფათ ერთი – ახლავე მომეცით ბოთლი. მე ხომ გითხარით – ღამით ვიმორიგეებ და ცოტ-ცოტას დაგალევიებთ-მეთქი. ახლავე მომეცით. თუკი ასე გააგრძელებთ, ნეტა ვიცოდე, შინ დაბრუნებისას რას დაემსგავსებით. მომეცით-მეთქი – ჩემთან იყოს – ნახევარს დაგიტოვებთ. ხელი გაუშ-ვიით. ხომ გაიგეთ, რაცა თქვა ექიმმა კარტერმა. ღამით მე ვიმორიგეებ, ცოტ-ცოტას მოგცემთ, პორციებით დაგისხამთ... გეყოფათ ერთი... მე ხომ გითხარით... დავიქანცე, არ შემიძლია მთელი საღამო გეჭიდაოთ... რა ვქნა, სვით და იმდენი სვით, რომ ფეხები გაფუშკოთ იდიოტივით.

– ლუდი გნებავთ? – ჰკითხა ქალს კაცმა.

– არავითარი ლუდი არ მინდა. ოჰ, ღმერთო ჩემო, ისევ მთვრალის ყურებით უნდა დავტკეპ.

– ღამით კი კოკა-კოლას გეახლებით, – აუწყა კაცმა.

ქალი ჩამოჯდა სანოლის კიდეზე, ძლივძლივობით მოითქვა სული.

– რანაირად შეიძლება თქვენი მორჯულება?

– თქვენ ვერაფერს გაანყობთ. ხელს ნუ მიშლით – დაიღვრება.

„ეს ჩემი საქმე არ არი, სულაც არ არი ჩემი საქმე ამ კაცის გამოფხიზლება“, – გაიფიქრა ქალმა. და ისევ განახლდა ბრძოლა ბოთლისთვის, მაგრამ ამჯერად კაცმა დაუთმო. ერთხანს იჯდა ქალისკენ ზურგმუქცევით, თავი ხელისგულელებში ჩაერგო – მერე ისევ მიეტანა სასმელს.

– ერთი მიჰკარებინართ, გადავისვრი და დავამსხვრევ, – სწრაფად ჩაილაპარაკა მედდამ. – აი, ნახავთ – სააბაზანოში, კაფელის იატაკზე მოვისვრი.

– მე ხომ ფეხს დავადგამ ნამსხვრევეზე ანდა თავად თქვენ დაადგამთ.

– მაშინ ნუ მგლეჯთ ხელიდან – ო-ოჰ, თქვენ ხომ დამპირდით...

ქალმა ანაზღად თითები გაშალა და ბოთლი, გლუვი ტორპედის დარად, ჩაუსრიალდა ხელიდან, შავ-წითელ ფერად აკიაფდა და წარწერაც მკაფიოდ გამოჩნდა: „სერ გალაჰადი; განმენდილი ჯინი ლუისვილისა“. კაცი ბოთლს ყელში სწვდა და სააბაზანოს ღია კარში გასტყორცნა. ბოთლი წვრილად დაიმსხვრა და დროებით ჩამოვარდა სიჩუმე. ქალმა გადაშალა „ქარნალებულნი“, სადაც ყოველივე ესოდენ თვალწარმტაცია და გარდასულ წამთა სუნთქვა ტრიალებს. მაგრამ მოსვენებას არ აძლევდა, ვაითუ ფეხშიშველა გაემუროს სააბაზანოში და ფეხი გაეჭრასო, ამიტომ წამდაუნუნე თვალს სწყვეტდა

ნიგნს და მიაპყრობდა კაცს. ძილი ერეოდა... ამასობაში კაცი ატირდა და ქალმა იმ ბებერებრავლს მიახმავდა, რომელსაც ერთხანს უვლიდა კალიფორნიაში; იმას ხშირად სჭირდებოდა სააბაზანოში გავარდნა. ამას კი, ამ ალკოჰოლიკს რა გაუძლებს! მაგრამ, ეტყობა, რაღაც მომწონს მაგისაო, გაიფიქრა ქალმა.

თავი შეიფუცხუნა: „საქმეს მიხედე!“, წამოდგა და სააბაზანოს კარი სკამით ჩახერგა. ძილი იმიტომ ერეოდა, რომ ავადმყოფმა დილაადრიან წამოახტუნა ფეხზე, გაზეთის საყიდლად გაგზავნა, იელ-დარტმუტის მატჩის ანგარიში მინდაო, და მთელი დღე ველარ მოახერხა, ცოტა ხნით შინ გასცლოდა. სანამ მოსალამოვდებოდა, კაცს ვიღაც ნათესავი ქალი ესტუმრა და მედდას ჰოლში მოუწია ყურყუტი, ორპირ ქარში იჯდა უსვიტროდ, ფორმიანი კაბის ამარა.

რის ვაივავლახით გაამზადა ავადმყოფი დასაძინებლად. სანერ მაგიდასთან თავჩაქინდრულს ხალათი მოახურა ზურგზე, მეორე ხალათით მუხლები დაუფარა. თავად კი სარწვევლა სავარძელში ჩაჯდა, მაგრამ ძილი უკვე გასტეხოდა; საავადმყოფო ფურცლის გრაფები იყო შესასვლები, მთელი დღე რომ დაგროვებოდა, და ფეხაკრეფით მიადგა მაგიდას, იქიდან ფანქარი აიღო და შეუდგა ჩანერას:

პულსი – 120

სუნთქვა – 25

ტემპერატურა – 98; 98,4; 98,2

შენიშვნები –

შენიშვნები კი ოხრადა აქვს:

„ცდილობდა ჯინის ბოთლი ეგდო ხელთ. იატაკზე მოისროლა, დაამსხვრია“.

არა, უმჯობესია ასე ჩანეროს: „ძივილაობისას ბოთლი ძირს დაეცა და გატყდა. საერთოდ, თავი გამოავლინა, როგორც გაუსაძლისმა ავადმყოფმა“. ხომ არ დაუმატოს: „ჩემს სიცოცხლეში აღარ ავიყვან ალკოჰოლიკს“, მაგრამ ამგვარი რამ არ შეეფერებოდა შენიშვნათა საქმიან კილოს. შვიდ საათზე უნდა გაიღვიძოს (დანიშნულ დროზე ადგომა ემარჯვებოდა) და ყველაფერი მიაღაგ-მოაღაგოს მისი ძმისწულის მოსვლამდე. რაკი ხელი მოკიდე საქმეს – აღარ უნდა ინუნუნო. მაგრამ მოთენთილ, გაფითრებულ სახეს რომ შეხედა და კვლავ შეამონმა სუნთქვის სიხშირე, გაცოცხლებით გაიფიქრა: „ნეტავი რა დემართა?“ დღისით ისეთი სანდომიანი იყო, მთელი კომიკური სერია დაუხატა – ისე, გასართობად – და უსახსოვრა. უეჭველად ჩარჩოში ჩავდებ და ჩემს ოთახში ჩამოვკიდებო. ქალმა ისევ შეიგრძნო ცოცხლად, თავისი გალეული ხელებით რომ ართმევდა ბოთლს. და როგორი საზიზღარი სიტყვები ამოსდიოდა პირიდან... და გაახსენდა, გუშინ რაც უთხრა ამ კაცს ექიმმა: „ასეთი ადამიანი, და თავად ასე ითხრიდეს სამარეს... არ მესმის“.



ქალს არაქათი გაუწყდა, ეზარებოდა ახლა შუშის ნამსხვრევების აკრეფა, – აი, ავადმყოფს სუნთქვა დაუნყარდება და უმალვე ლოგინში უკრავს თავს. მაგრამ მანამდე, გინდა არ გინდა, სააბაზანო უნდა დაალავოს; იატაკზე ნაბოლარა ნამსხვრევებს რომ ეძებდა, თავში გაუელვა: „ნეტავი რისთვის მჭირდება ეს? და ეს კაცია ასე რატომ მაიმუნობს?“

წყრომით ნამოდგა და თვალი შეავლო მძინარეს. დახვეწილი, თლილი პროფილი და სუსტი ხვრინვა, თითქოს ხვნიშოდა – წყნარი, შორეული, უნუგეშო ხვნიშო. გუშინ ექიმმა რალაც უცნაურად გააქნია თავი და ქალი მაშინვე მიხვდა, რომ ამ ავადმყოფს თავს ვერ გაართმევდა. და სააგენტოში მის აღრიცხვის ბარათზეც, უფროსთა რჩევითა და კარნახით, ხომ იყო აღნიშნული: „ალკოჰოლიკები არ აპყავს“.

რაც ევალეობდა და რაც უნდა გაეკეთებინა, უკვე მოითავა; მაგრამ ამ ბოთლის განვე-გამონევიდან მხოლოდ ისლა ახსოვდა, როგორ მიარტყა იდაყვი კარებს და კაცმა ჰკითხა, ხომ არ გეტკინაო და მაშინ კი წამოსცდა საყვედური: „თქვენ ასე დიდად რომ იფასებთ თავს, ერთი იცოდეთ, რეებს ლაპარაკობენ თქვენზე...“ – მაგრამ მისვე მიხვდა, რომ ყოველივე ეს უკვე დიდხანია სულერთი იყო მისთვის.

აი, ნამსხვრევები სულ აკრიფა, ეგებ იატაკის ჯაგრი-სი გადაუსვას ყოველი შემთხვევისათვის; ამ შუშის ნამსხვრევებში ერთმანეთს თვალი მოგვკარით, როგორც გაბზარულ სარკმელში, ფიქრობდა ქალი. ამ კაცმა არაფერი იცის არც ჩემი დების შესახებ, არც ბილ მარკოუს შესახებ, ვისაც კინალამ ცოლად გავყვე და მეც არა მაქვს წარმოდგენა, ასე რატომ დაგლახავებულა. აგერ განჯინაზე ფოტოსურათი უძევს: ახალგაზრდა ცოლი, ორი ვაჟიშვილი და თავადაც – ნელში გამართული, მოხდენილი, როგორც ნაღდად იქნებოდა ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ. როგორი უაზრობაა ეს ყველაფერი – დალაგებისას გაჭრილ თითს რომ იხვევდა ბინტით, მტკიცედ გადანყვიტა, აღარასოდეს აღარ აეყვანა ალკოჰოლიკები.

II

მომდევნო საღამო საზეიმო-სალაღობო იყო – წინაღულე ყველანაშინდის დღეობისა. ავტობუსის გვერდითა მინები ერთიანად დაბზარულიყო – ჩანს, ვილაც ოხუნჯი კარგად გაისარჯა, – ქალს შეეშინდა, გახეთქილი შუშა ბუდიდან არ გამოვარდესო და გასწია ავტობუსის ბოლოში, სადაც ზანგები სხედან. პაციენტმა ჩეკი უბოძა, მაგრამ მოსალამოვებულიყო და უკვე ველარსად გაუნაღებდნენ, საფულეში კი ორად ორი მონეტა დარჩენოდა: ოცდახუთცენტიანი და ცენტი.

მისის ჰიქსონის სააგენტოში ორი ნაცნობი მედლა შეხვდა. ჰოლში იცდიდნენ.

– ახლა ვინა გყავს?

– ალკოჰოლიკი, – მიუგო.

– აჰ, გასაგებია. გრეტა ჰოქსი ხომ მეუბნებოდა – აი, ის მხატვარი, ოტელ „ტყეპარკი“ რომ ცხოვრობს.

– დიახ.

– ამბობენ, უტიფარი ვინმეაო.

– ჩემთან ყოველთვის ასატანად იქცეოდა, – იცრუა. – განა შეიძლება მაგათ ისე მოეპყრა, თითქოს იძულებით მკურნალობას გადიანო.

– შენ ნუ ბრაზობ – მე ასე მსმენია, რომ ეს ვაჭბატონები... აბა, ხომ გესმის... თვალი სულ ლოგინზე უჭირავთ...

– გეყოფა ერთი, გაჩუმდი, – თქვა ისეთი წყრომით, რომ თვითონაც არ ელოდა.

ამასობაში მისის ჰიქსონი გამოჩნდა, დანარჩენებს სთხოვა, დამელოდეთო და მას კი ანიშნა, კაბინეტში შემობრძანდიო.

– ტყუილად როდი მეზარება ყმანვილქალების გაგზავნა მაგ ჯურის პაციენტებთან, – დაიწყო მისის ჰიქსონმა. – მაუნყეს, რომ ოტელიდან დაგირეკათა.

– რას ბრძანებთ, ისეთი არაფერი მომხდარა, მისის ჰიქსონ, ცოტა აურია, მაგრამ არაფერი დაუშავებია ჩემთვის. ის უფრო მანუხებდა, პროფესიული რეპუტაცია არ შემელახოს-მეთქი. გუშინ დილით და დღისითაც გადასარევი იყო. დამიხატა...

– იქ თქვენი გაგზავნა გულზე არ მეხატებოდა. – მისის ჰიქსონმა გადაფურცლა აღრიცხვის ბარათები. – ჭლექიანები მგონი აცყავთ, არა? ჰო, ვხედავ, რომ აცყავთ. აგერ, ერთი მყავს უზურში...

ტელეფონი დაჟინებით აწკრილდა. მედლა უსმენდა, როგორ მკაფიოდ მარცვლავდა სიტყვებს მისის ჰიქსონი:

– ყველაფერს გააკეთებ, რაც ძალმიძს – ოღონდ, მოცემულ შემთხვევაში წყვეტს ექიმი... ეს არ შედის ჩემს კომპეტენციაში... ო, გამარჯობა, ჰეთი. არა, ახლა არ შემოდის. მისმინე ერთი, ხომ არ გეყულება მედლა – ალკოჰოლიკთა სპეციალისტი რომ იყოს? სჭირდება ერთ კაცს „ტყეპარკის“ ოტელში. შეამონმე და ახლავე დამირეკე, კარგი?

ყურმილი დადო.

– თქვენ მანამდე ჩამოჯექით ჰოლში. მართლა, ეგებ მითხრათ, რა კაცია ეს მხატვარი? რამე ხომ არ იკადრა თქვენთან?

– ნემსის გაკეთებას არ მაცლიდა, ხელს მტაცებდა, – თქვა მედლამ.

– გასაგებია, სნეულებას თავის ბრჭყალებში გაუთანგავს, – ჩაიბუზღუნა მისის ჰიქსონმა. – საავადმყოფოში უნდა დანვეს. მე აქ გავაფორმებ ერთ პაციენტ ქალს, ცოტა სულს მოიბრუნებთ მასთან. ხნიერია...

ისევ დარეკა ტელეფონმა.

– გისმენ, ჰეთი... სვენსენზე რაღას იტყვი? ჯანიანი გოგოა, ვერანაირი ალკოჰოლიკი, ალბათ, ვერ დააშინებს... ჯოზეფინა მარკუმი? მგონი, თქვენს სახლში ცხოვრობს, არა? ... სთხოვე ერთი ტელეფონთან (ნუთიერი პაუზა). ჯო, ხომ არ აიყვანდი კომიქსების ცნობილ მხატვარს, იუმორისტ მხატვარს თუ რას ირქმევენ ეგენი, არ ვიცი. „ტყეპარკის“ ოტელშია... არა, არ ვიცი, მაგრამ დოქტორი კარტერი მკურნალობს და საღამოს ათზე შეივლის იქ (მერე – ხანგრძლივი პაუზები, შენაცვლებული მისის ჰიქსონის რეპლიკებით). კეთილი, კეთილი... რა თქმა უნდა, მე შემოდისა გაგიგო. ჰო, მაგრამ ეს კაცია საშიშარი როდია. ცოტა არ იყოს, ძნელად ასატანი არის. მე

საერთოდ არ მიყვარს ყმანვილქალების გაგზავნა სასტუმროში – ვიცი, რა ნაძირალებსაც გადაეყრები... არა უშავს, ვიპოვი ვინმეს. საღამოთიც კი ვიპოვი, აგერ ახლავე. ნუ სწუხარ, გმადლობთ. უთხარი ჰეთის – იმედი მაქვს, რომ შლიაპა შეენწყობა კაბას...

მისის ჰიქსონმა ყურმილი დადო და რაღაც ჩაინიშნა უბის წიგნაკში. ენერგიული ქალი იყო, საქმიანი. თავდაპირველად მედდად მსახურობდა და თავად გამოიარა ყველა გასაჭირი; ჯერ კიდევ სტაჟიორ-მედდა რომ იყო, – გადატვირთული, გადაქანცული, ამაყი იდეალისტი, – საკუთარ თავზე მაშინ გამოსცადა ახალგაზრდა ექიმთა ურცხვობანი და პირველ პაციენტთა უბოდიშობა, რომელთაც ენადათ უმაღვე აღვირი ამოედოთ მისთვის და შეებათ სიბერის უდრტვიწველ მომსახურებაში. მკვირცხლად მიუბრუნდა მედდას:

– მას რომლებს აირჩევდით? უკვე გითხარით, რომ ერთი დიდებული მოხუცი ქალი მყავს...

მედდას თავლისფერ თვალეში მოგონება აენტო ახლახან ნახულ ფილმზე პასტერის შესახებ და წიგნზე ფლორენს ნაიტინგელის შესახებ, რომელსაც სასწავლებელში კითხულობდნენ ხოლმე. აინთო ის გრძნობა, რითაც სტუდენტობისას გადაუფრიალებდნენ სუსხიან ქუჩას ფილადელფიის კლინიკათა ერთი კორპუსიდან მეორეში და არანაკლებ ეამაყებოდან თავიანთი მოსასხამები მედლისა, ვიდრე ბენვის პალანტინები ეამაყებან მაღალი საზოგადოების ყმანვილქალებს, როდესაც „გრანდ-ოტელში“ მიეშურებიან თავიანთ პირველ მეჯლისზე.

– მე... მე, ეგებ კიდევ ერთხელ ვცადო, – თქვა ტელეფონის წკრიალ-წკრიალში: – თუკი ვერავის პოულობთ ახლა, მე დავბრუნდები ავადმყოფთან.

– აბა ეს რას ჰგავს – ხან გადაჭრით უარობთ ალკოჰოლიკთა მოვლას, ხანაც თავად გნებავთ დაბრუნება.

– მე, ალბათ, გავაზვიადე სიძნელეები. მე მგონი, მაინც შევძლებ დავებმარო ავადმყოფს.

– როგორც გენებოთ. მაგრამ როცა ხელს ჩაგავლებთ, რას იზამთ?

– მე უფრო ღონიერი ვარ, – თქვა მედდამ. – აბა შეხედეთ, როგორი მაჯები მაქვს: უეინსბოროში ორი წელია ვთამაშობდი უფროსკლასელთა კალათბურთის გუნდში. როგორმე მოვუფლი.

მისის ჰიქსონი მთელი ერთი წუთი შეჰყურებდა მედდას.

– კეთილი და პატიოსანი, – თქვა მან. – ოღონდ არ დაგავინყდეთ: მათი გაღეშილი სიტყვები აბსოლუტურად უპასუხისმგებლოა. ეგ ყველაფერი გამოვლილი მაქვს; მორიგეს შეუთანხმდით, რომ გამოიძახებთ, თუ საჭირო შეიქნა, რადგანაც მანდ ვერაფერს დაენდობი – არიან საამო ალკოჰოლიკები და არიან უსიამონიც, მაგრამ უნამუსობას ყველანი კადრულობენ.

– არ დამავინყდებ, – თქვა მედდამ.

ქუჩაში გამოვიდა – საღამო უჩვეულოდ ნათელი იყო, ირიბად მოდიოდა წვრილი თქორი და თეთრად ლებავდა შავ-ლურჯი ფერის ცას. იმავე ავტობუსში მოხვდა, რომლითაც გაემგზავრა ქალაქში, მაგრამ დამსხვრეული შუშების ოდენობა თითქოს გაზრდილიყო და გაჯავრებული

მძლოლი იმუქრებოდა, ამ ბიჭბუჭებს დავასახიჩრებ, ხელში თუ ჩამივარდნენო. ქალს ესმოდა, რომ მძლოლს უბრალოდ დაუგროვდა ყრუ წყრომა ყველაფერზე, როგორც მას – ალკოჰოლიკებზე. ახლა კი, როდესაც შეაბიჯებს ნომერში თავის პაციენტთან და დაინახავს, რაოდენ თავგზააბნეული და დაგლახავებულია, მის მიმართ ზიზღსა და სიბრაულეს იგრძნობს.

ავტობუსიდან ჩამოვიდა და გრძელი კიბით დაემგაოტელისაკენ; ცივმა ჰაერმა გაახალისა. იმიტომ უნდა მოუაროს ამ საცოდავს, რომ სხვას არავის სწადია – მისი პროფესიის გამორჩეულ წარმომადგენელთ ხომ ყოველთვის ის ავადმყოფები იზიდავდათ, ვისაც ყველა ერიდებოდა.

კარზე დააკაკუნა. უკვე იცოდა, როგორ უნდა დალაპარაკებოდა.

კარი თვითონ გაუღო. საზეიმოდ იყო გამოწყობილი, სმოკინგი ჩაცვია, თავზე ქვაბუნა დაეხურა, მაგრამ ჰალსტუხი და საკინძები არ გაეკეთებინა.

– აჰ, სალამი, – დაბნეულად თქვა. – მოხარული ვარ, რომ დაბრუნდით. მე კი ეს-ესაა გავიღვიძე და გარეთ გასვლას ვაპირებ. რაო, იშოვეთ ღამის მესასთუმლე?

– მე თვითონ გავართმევ თავს, – თქვა ქალმა. – სადღეღამისო მორიგეობას გავწევ.

კაცმა გაიღიმა გულითად-გულგრილი ღიმილით.

– დავინახე, რომ წასულხართ, მაგრამ რატომღაც მჯეროდა, დაბრუნდებოდით. გეთაყვა, მიპოვეთ საკინძები. ან კუს ბაკნის ზარდახშაში იქნება ანდა...

ტანის ნჯღრევით სმოკინგი კარგად მოირგო და მანუეტები სახელოში ჩამალა.

– მე კი მეგონა, რომ სულ წახვედით, – თქვა დაუდევრად.

– მეც ასე მეგონა, სულ წახვედი-მეთქი.

– იქ, მაგიდაზე, – თქვა კაცმა, – ნახავთ მთელ კომიქსს, თქვენთვის დავხატე.

– სადმე სტუმრად მიეშურებით? – ჰკითხა ქალმა.

– პრეზიდენტის მდივანთან, – მიუგო კაცმა. – საშინლად დამალა ამ ჩაცმა-დახურვამ. უკვე ხელი უნდა ჩამექნია, მაგრამ ამასობაში თქვენ მოხვედით. ხერესი შეუკვეთეთ ჩემთვის.

– მხოლოდ ერთი სირჩა, – უნდილად დაეთანხმა ქალი. მერე სააბაზანოდან მოესმა:

– ო, დაო, დაო, ჩემო სათნო დაო, ჩემი ცხოვრების მზეო და მთვარევე, მეორე საკინძი სადღაა?

– ახლავე გაგიკეთებთ.

სააბაზანოში შეამჩნია, რომ პირისახე გაფითრებოდა, როგორც ციებ-ცხელებამ იცის. იგრძნო პიტნისა და ჯინის ნახავი სუნი, მას რომ ასდიოდა.

– დიდი ხნით ხომ არ მიდიხართ? – ჰკითხა. – ათ საათზე ექიმი კარტერი შემოივლის.

– რა დროს ექიმია, მე თქვენც უნდა წავიყვანოთ.

– მე? – წამოიძახა ქალმა. – სვიტრითა და ქვედატანით? თქვენც იტყვიან რაღა!

– უთქვენოდ ფეხს არ გავადგამ.

– არც არის საჭირო, აიღეთ და დანექით. თქვენ ხომ ნოლითი რეჟიმი გაქვთ დანიშნული. განა არ შეიძლება სვალისთვის გადასდოთ?

– რასაკვირველია არ შეიძლება.
– ჰო, პირდაპირ „რასაკვირველია“.

მისწვდა და ჰალსტუხი გაუნასკვა; საკინძის მორგები-
სას კაცმა დაჭმუჭნა პლასტრონი და ქალმა ურჩია:

– სხვა მოირგეთ, დაჭმუჭნილი რომ არ იყოს, თუკი
ესოდენ გადაუდებელი
და სასიამოვნო შეხვედ-
რა გელით.

– კეთილი. ოლონდ მე
თვითონ მოვირგებ.

– რატომ თქვენ თვი-
თონ? – აღშფოთდა ქა-
ლი. – რატომ არა
გსურთ, რომ დაგეხმა-
როთ? მაშ რილასთვის
გჭირდებათ მესასათუმ-
ლე – აბა ჩემგან სხვა რა
ხეირია?

უცებ კაცი
მორჩილად ჩამოჯდა
უნიტაზის თავსახურზე.

– კეთილი, ჩამაცვით.

– ოლონდ ხელს ნუ
მტაცებთ, – თქვა ქალმა
და მყისვე დააყოლა: –
მომიტყვეთ.

– არა უშავს, არა
უშავს. არა მტკენია. ახ-
ლავე დარწმუნდებით.

ქალმა გახადა სმო-
კინგი, ჟილეტი, გახამე-
ბული პერანგი და თავზე
რომ უნდა წამოეხადა
ქვედა პერანგი, კაცმა
ხელი დაუჭირა და ბოლო
ნაფაზი დაარტყა.

– ახლა უყურეთ, –
თქვა მან. – ერთი, ორი,
სამი.

ქალმა წამოჰხადა პე-
რანგი და კაცმა სიგარე-
ტის ლაჟღაჟა ნამწვი,
თითქოს ხანჯალს იყრიდა გულში, მაშინვე ჩაჭყლიტა
უსიამო მურა ფუფხში, მარცხენა ნეკნზე რომ ჰქონდა და
დოლარიანი მონეტის ტოლა იყო; ნაპერწკალი შემთხვე-
ვით ჩამოუფრინდა მუცელზე და ოდნავ აღმოხდა კვნესა.

ახლა მაგრად უნდა დავდგეო, გაიფიქრა ქალმა. კაცის
ზარდახში სამი საფრონტო მედალი ჰქონდა ნახული,
მაგრამ თვითონაც არაერთხელ პირისპირ შესჩეხებია ხი-
ფათს, მათ შორის – ტუბერკულოზსაც, ერთხელ კი რა-
ღაც უარესს, მაგრამ სახელდობრ რა იყო, ექიმს არ უთ-
ქვამს და ქალს აქამდე ვერ უპატიებია მისთვის დამალო-
ბანა.

– ეგ ოხერი, რა თქმა უნდა, გულს არ ატკობს, – თქვა
ქალმა მხნედ, თან ღრუბელს უსვამდა ტანზე. – არა და არ
ნებავს შეხორცება?

– არც შეხორცდება. ავთვისებიანია.

– სულერთია, ეს ვერ გაამართლებს იმას, რასაც
თქვენ საკუთარ თავს უშვრებით.

კაცმა ქალს შეხედა თავისი დიდრონი, მუქი თაფლის-
ფერი თვალებით – ჯიქურ, გაუცხოებით, სასონარკვე-
თით და ამ წამიერ მზე-
რა-სიგნალში ქალმა
ამოიკითხა არა ლტოლ-
ვა სიცოცხლისაკენ,
არამედ სიკვდილისაკენ
და მიხვდა, რომ ვერ შე-
ენეოდა კაცს ვერც მისი
განსწავლა და ვერც გა-
მოცდილება. კაცი ფეხ-
ზე დადგა, ხელით ეყ-
რდნობოდა პირსაბანს
და საღლაც სივრცეში
გაეშტერებინა თვალი.

– არა და არა, თუკი
თქვენთან უნდა
დავრჩე, თავს არ და-
გათრობინებთ, – თქვა
ქალმა.

და ანაზდად მიხვდა,
რომ კაცი სასმელს რო-
დი ეძებდა. ის შეჰყუ-
რებდა სააბაზანოს იმ
კუთხეს, საითაც გუშინ
საღამოს მოისროლა
ბოთლი. მედდა თვალს
ვერ სწევებდა მის ლა-
მაზ პირისახეს, უმწეო-
სა და ურჩს, შიშობდა,
ოდნავადაც მიებრუნე-
ბინა თავი იმ კუთხისა-
კენ, რადგან იცოდა –
იქ, საითაც კაცი იმზი-
რება, აღმართულა სიკ-
ვდილი. ქალისთვის
ნაცნობი იყო სიკვდილი

– სულთმობრძავის
ხროტინი და დამახასია-

თებელი სუნი, მაგრამ თვალთ არასოდეს დაუნახავს
სიკვდილი, რომელიც ჯერ არ შესულიყო ადამიანის სხე-
ულში, – კაცი კი ახლა ხედავდა მას სააბაზანოს კუთხე-
ში, სიკვდილი იქ დგას და თვალს ადევნებს, როგორ ჩაახ-
ველა ავადმყოფმა, როგორ გადააფურთხა და როგორ გა-
ინმინდა შარვლის სირმა. ფურთხმა გაიელვა ჰაერში,
აბუშტდა – ეს იყო უკანასკნელი, სუსტი გამოწვევა სიკ-
ვდილისა...

მეორე დღეს ქალი ცდილობდა, რომ ყოველივე ეს მო-
ეთხრო მისის ჰიქსონისათვის:

– ყველაფერი ამაოა, რაც არ უნდა მოინდომო. სულ
რომ გადაეგრიხა მაჯები ჩემთვის – ასე არ მეტკინებოდა.
ახლა კი ხედავ, რომ ვერაფრით შეენევი და ღონე გეცლე-
ბა ხელთაგან.



მხატვარი იანა ზალიშვილი

სანბრძლივი მოლოდინი

ძველებურ ფრანგულ ციხე-კოშკებზე ვსაუბრობდით, მერე სიტყვა ჩამოვარდა შუა საუკუნეთა სამინელებზე, მაგალითად, რკინის გალიაზე, რომელშიც ლუი XI-მ მთელი ექვსი წლით ჩაამწყვდია კარდინალი ბალიუ, და ქვის ტომრებზე, ჩემი თვალით რომ მინახავს – ეს გახლავთ მშრალი ქვები, სიღრმით ოცდაათი თუ ორმოცი ფუტისა; ტუსალს ჩააგდებდნენ ფსკერზე და ველარაფერი უშველიდა. დღემდე მახსოვს, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამ დილეგებმა და არც არის გასაკვირი – კლაუსტროფობიისადმი ჩემი მიდრეკილების გამო საძილე ვაგონის კუბეში ყოფნაც კი მეჩოთირება. აი, ამიტომაც ასე გამიხარდა ეს ამბავი, ექიმმა რომ გვიამბო, – უფრო სწორად, გამიხარდა, როდესაც ექიმი მიადგა ამბავს, რომელსაც, თავდაპირველად, თითქოსდა, არაფერი ჰქონდა საერთო ცოცხლად დამარხულთა ტანჯვა-წამებასთან.

იყო ამქვეყნად ახალგაზრდა ქალი, ვინმე მისის კინგი, და ტკბილად ცხოვრობდა თავის ქმართან. ფული არ აკლდათ, ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ ერთხელაც, მეორე შვილს რომ აჩენდა, მისის კინგი კარგა ხნით ჩავარდა კომაში და როდესაც გონს მოვიდა, „პიროვნების გახლეჩის“ აშკარა სიმპტომები ჰქონდა – მშობიარობის შემდგომი შიზოფრენიის ჩვეულებრივი შემთხვევაა. მისი ბოლოდა რალაცნაირად უკავშირდებოდა დამოუკიდებლობის დეკლარაციას, მაგრამ ჩვენს ამბავთან ამას არაფერი აქვს საერთო; როგორც კი გამოკეთდა მშობიარობისგან, სულიერ აშლილობის ნიშანთა გაქრობაც დაეწყო. მეთავე თვის ბოლოს სავსებით ჯანმრთელად გრძნობდა თავს და მოუთმენლად ელოდა ნებართვას კლინიკის დასატოვებლად.

ის-ის იყო ოცდაერთი წლისა გამხდარიყო და მის იერში ფეთქავდა რალაც ნორჩი და გულის ამჩრუებელი. ერთი სიტყვით, კლინიკის მთელი პერსონალი განსაკუთრებული სიმპათიით იყო განწყობილი მის მიმართ. როდესაც მისის კინგი იმდენად გამოკეთდა, რომ ექიმებმა გადაწყვიტეს მისი გაშვება, ქმრის თანხლებით, ხანმოკლე საცდელ მგზავრობაში, ეს ამბავი მაშინვე შეიქნა მთავარი სალაპარაკო თემა. ერთი მედდა, მასთან ერთად, გაემგზავრა ფილადელფიაში მისთვის ახალი კაბის შესაძენად. მეორეს სმენოდა საოცრად რომანტიკული ისტორია მათი გაცნობისა მექსიკაში მოგზაურობის დროს; ხოლო ორ პანანას, ზოგჯერ რომ მოჰყავდათ კლინიკაში, ხომ ყველა ხედავდა. ჰოდა, ხუთი დღით უნდა გამგზავრებულიყვნენ ვირჯინია-ბიჩში.

სასიამოვნო საყურებელი იყო, როგორ ემზადებოდა სამგზავროდ მისის კინგი, გულმოდგინედ ალაგებდა ჩემოდანს, თავს იკობტავებდა, თმას იხვევდა, მთლად ჩაფლულიყო ამ სახალისო ვერილმანებში. დათქმულ ვადამდე ნახევარი საათით ადრე უკვე გაემზადა და სართულის მეზობლებთან გამოსამშვიდობებლად მიდი-მოდიოდა. მის ახალ კაბას ზღვის ტალღის ფერი ჰქონდა, შლიაპა კი წააგავდა მსუბუქ ღრუბელს, აპრილის თვეში ქვეა-ქუხილის შემდეგ რომ ჩნდება ხოლმე. მისის კინგის თხელნაკეთიანი, მომხიბლავი პირისახე, რომელზეც

სევდიანი, ოდნავ შეშინებული გამომეტყველება დაეტოვებინა სნეულებას, გაბრწყინებული იყო ბედნიერების წინასწარტკბობით.

– არაფერი არ ვაკეთო – აი, სულ ესაა ჩემი ოცნება, – ამბობდა იგი. – მთელი სამი დღე, როცა გამიხარდება, მაშინ ავდგები და შუალამე რომ გადავა, მაშინლა დავწვები. და კიდევ, მე თვითონ ვიყიდი საბანაო კოსტუმს და მე თვითონ შევუკვეთავ ხოლმე სადილს.

როდესაც გამგზავრების დრო მოვიდა, მისის კინგმა გადაწყვიტა, რომ პალატაში კი არ დალოდებოდა ქმარს, არამედ ვესტიბიულში შეხვედროდა; გამცილებელ სანიტარს მისი ჩემოდანი მიჰქონდა, მისის კინგმა გაიარა ტალანი და ქვევით ჩავიდა, ხელის ქნევით ემშვიდობებოდა შემხვედრ პაციენტებს და ებრალებოდა ისინი, ასეთი საუცხოო მოგზაურობა რომ არ უღიმოდათ. მთავარმა ექიმმა კეთილი მგზავრობა უსურვა, ორი მესასთუმლე რალაც საბაბით მიუახლოვდა მას და ვერაფრით ველარ შორდებოდნენ – იმდენად მიმზიდველი იყო მისი სიხარული.

– მისის კინგ, რომ იცოდეთ, როგორ მოგიხდებათ გაშავება.

– ოღონდ არ დაგავიწყდეთ ღია ბარათის გამოგზავნა ჩვენთვის.

თითქმის იმავე დროს, როდესაც მისის კინგი გამოვიდა პალატიდან, მისი ქმრის ავტომანქანას კლინიკაში მიმავალ გზაზე შეეჯახა სატვირთო მანქანა – ქმარმა მძიმე შიდა ტრავმები მიიღო და, ექიმთა აზრით, სიკვდილი ნუთ-ნუთზე უნდა სწევოდა. ამბავი ამ უბედურებისა ტელეფონით აუწყეს კლინიკას და, ცხადია, პირველმა შეიტყო ტელეფონისტმა ქალმა, რომელიც მორიგეობდა პატარა ოთახში, ვესტიბიულისგან მინის ტიხრით რომ იყო გამოყოფილი. ტელეფონისტი ქალი მინის მიღმა ხედავდა მისის კინგს და იცოდა, რომ ისიც მოჰკრავდა ყურს, ამიტომ უფროს მედდას სთხოვა, სასწრაფოდ ქვემოთ ჩამოდიო. შეძრწუნებული მედდა მივარდა ექიმს, რომელმაც ასე გადაწყვიტა: ვიდრე ქმარი ცოცხალია, ავადმყოფმა არაფერი უნდა შეიტყოს, მხოლოდ ის უნდა ვუთხრათ, ქმარი ჩამოსვლას დღეს ვერ მოახერხებსო.

მისის კინგმა წყენა ვერ დამალა.

– მე თავადაც მესმის, რომ სისულელეა გუნება გაგიფუჭდეს, – ამბობდა იგი. – ამდენი თვე ველოდი და რა უშავს, კიდევ ერთ დღეს მოვიცდი. ხომ დაგპირდათ, ხვალ მოვალო?

უფროსმა მედდამ არ იცოდა, რა პასუხი გაეცა, მაგრამ მაინც მოახერხა თავის დაძვრენა და საბოლოოდ მისის კინგი თავის პალატაში დაბრუნდა. მერე გამოძებნეს ყველაზე გამოცდილი და გულცივი მესასთუმლე და დაავალეს, თვალყური ედევნებინა, რომ მისის კინგს ხვალინდელ დილამდე არც გახეთი ნაეკითხა და არც პაციენტებს გამოლაპარაკებოდა. მერე კი ვნახოთ, რა მოხდებაო.

მეორე დღით ქმარი ისევ ცოცხალი იყო და ექიმებმა განაგრძეს ლოდინი. შუადღისას ერთ-ერთი მესასთუმლე ტალანში შეეჩრება მისის კინგს – ის ხუსტად ისევ იყო გამოწყობილი, როგორც წინადღეს, მაგრამ ამჯერად თვითონ მიჰქონდა ჩემოდანი.

– ჩემი ქმარი ახლა უნდა მოვიდეს, – აუხსნა მისის კინგმა, – გუშინ ვერ მოიცალა, მაგრამ დღეს უსათუოდ მოვა, დათქმულ დროს მოვა.

მესასთუმლე გაჰყვა გასაცვილებლად. მისის კინგი კლინიკის კედლებში სრული თავისუფლებით სარგებლობდა და მესასთუმლემ ვერ გაბედა, ძალით დაებრუნებინა პალატაში, იმისა კი შეეშინდა, ახსნა-განმარტებანი დაეწყო, ვაითუ ზედმეტი რამ წამომცდესო. როდესაც ვესტიბიულში შევიდნენ, მესასთუმლემ ტელეფონისტს ანიშნა და ისიც, საბედნიეროდ, მიხვდა, რაშიც იყო საქმე.

დასასრულ, მისის კინგმა თავი კიდევ ერთხელ შეათვალა საარკემი და თქვა:

– მინდა, რომ ყოველთვის ზუსტად ასეთი შლიაპა მეხუროს და ყოველთვის ასეთი ბედნიერი ვიყო.

ერთი წუთის შემდეგ წარბშეჭმუნხილი უფროსი მედდა გამოჩნდა.

– რაო?! დღესაც არ ჩამოვა ჯორჯი?

– ვაი რომ, არა. ვერაფერს გაანყო – მოთმინება უნდა მოვიკრიბოთ.

მისის კინგმა ნაღვლიანად გაიღიმა.

– მე კი ისე ვოცნებობდი, რომ ჩემი ახალი მორთულობით ვენახე ჯორჯს.

– როგორ გეკადრებათ, თქვენ ყველაფერი გიხდებათ.

– ამ კაბას ხვალამდე ეგებ არაფერი დაემართოს. ისეთი ბედნიერი ვარ, რომ პირდაპირ მრცხვენია ვიდარდო ერთი დღის გულისათვის.

– მართალი ბრძანდებით.

ღამით ქმარი გარდაიცვალა და ექიმთა დილის თათბირზე კამათი ატყდა, ახლა რაღა ვიღონოთო – მისის კინგს ყველაფერს ვეტყვით თუ არაფერს, ასეც და ისეც სახიფათო არისო. საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ შორეულ მგზავრობაში „გაესტუმრებინათ“ ქმარი და, ამგვარად, მოესპოთ ცოლისათვის იმედი მალე ნახვისა. როდესაც მისის კინგი გადავადებას შეურიგდება, სიმართლეს მაშინლა გაეუმხელთო.

ექიმები უკვე იშლებოდნენ, როდესაც ერთმა მათგანმა შეაჩერა კოლეგები და ანიშნა ტალანის შორეული ბოლო. მისის კინგი, ჩემოდნით ხელში, ვესტიბიულის მიმართულებით მიეშურებოდა.

დოქტორმა პირიმ, მისმა მკურნალმა ექიმმა, ხმამაღლა ამოიხვნეშა.

– ამაზე უარესს ვერაფერს მოიგონებ. ეგებ სჯობდეს, ახლავე ვუამბოთ ყველაფერი. რა ხეირი დაგვადგება, ჩაჭრიხინებდეთ ქმრის გამგზავრებას, როდესაც მიჩვეულია, რომ მისგან კვირაში ორი წერილი მოსდიოდა. და თუკი ვეტყვით, ავად გახდაო, ვერც ეგ გვიშველის – ხვენწას დაგვიწყებს, სანახავად გამიშვითო... ვინმეს ხომ არ ნებავს, ადგილი გამიცვალოს?

II

როგორც კი დამთავრდა თათბირი, ერთ-ერთი ექიმი შევებულებაში გავიდა. ორი კვირის შემდეგ რომ დაბრუნდა, იმავე დროს იმავე ტალანში მოხვდა და გაშეშდა, როდესაც თვალი მოჰკრა პანანინა პროცესიას, რომელიც

უახლოვდებოდა მას – სანიტარი ჩემოდნით ხელში, მესასთუმლეები და მისის კინგი, ზღვის ტალღის ფერი კაბითა და აპრილის შლიაპით.

– გამარჯობათ ექიმო, – მიმართა მას მისის კინგმა, – მე კი მივემგზავრები. ახლა შემომივლის ქმარი და წამიყვანს ვირჯინია-ბიჩში. ქვემოთ უნდა შევეგებო, ლოდინი რომ არ მოუწიოს.

ექიმმა თვალი გაუსწორა მისის კინგს – პატარა ბავშვივით ნათელი და ბედნიერი გამომეტყველება ჰქონდა. მესასთუმლე ექიმს ანიშნებდა, ყველაფერი რიგზე არისო, ამიტომაც ექიმმა მხოლოდ თავი დაუკრა მისის კინგს და თქვა, დღეს საუცხოოდ დარიაო.

– ჰო, დიდებული დღე დაგვიდგა, – მიუგო მისის კინგმა, – მაგრამ დღევანდელი დღე – თუნდაც თავსხმა წვიმა წამოსულიყო – მაინც ყველაზე მშვენიერი დღე იქნებოდა ჩემთვის.

ექიმმა შეცბუნებითა და ოდნავი წყრომით გააყოლა თვალი. რისთვის დასჭირდათ ამ სიცრუის გაჭიანურება, ფიქრობდა იგი, ნეტა რისი იმედი აქვთო?

დოქტორი პირი რომ დაინახა, სწორედ ეს შეკითხვა დაუსვა.

– ჩვენ შევეცადეთ სიმართლე გვეთქვა მისთვის, მან კი პასუხად გაიცინა და ბრალი დაგვდო, კიდევ მამონმებთ, ჯანმრთელი ვარ თუ არაო, – მიუგო დოქტორმა პირიმ. – აი ჩინებული მაგალითი, როდესაც სიტყვა „წარმოდგენილია“ შეიძლება იხმარო პირდაპირი მნიშვნელობით – მისი ტვინი უარზეა, რომ ქმრის სიკვდილი წარმოიდგინოს.

– მაგრამ განა ეს უსასრულობამდე შეიძლება გაჭიანურდეს?

– თეორიულად არ შეიძლება. რამდენიმე დღის წინათ, მას შემდეგ, რაც მერამდენეჯერ ჩალაგა თავისი ჩემოდანი, მესასთუმლე შეეცადა, რომ შეეჩერებინა. ჰოლიდან ვუთვალთვალდები – შერყევის ზღვარზე იყო, თანაც შენიშნეთ, მკურნალობის მთელი კურსის განმავლობაში ეს პირველად დაემართა. სახის კუნთები დაეძაბა, თვალეები შუშასავით აუბრჭყვიალდა, ხმა გაუცივდა და ჩაეხრინნა. და სუსხიანი კილოთი განუცხადა მესასთუმლეს, სცრობო. ვითარება კრიტიკული შეიქნა – კიდევ ერთი წუთი გვეცლიდა და თვინიერი პაციენტის ნაცვლად ხელში შეგვრჩებოდა ავადმყოფი მწვავე ალგზნების შემოტევით. მაშინ კი ჩავერიე და მესასთუმლეს ვუბრძანე, გაეცილებინა ვესტიბიულში.

ექიმი დადუმდა, როდესაც დაინახა, რომ იგივე პანანინა პროცესია, უწინდელი წყობით, პალატაში ბრუნდებოდა. მისის კინგი შეჩერდა და გამოელაპარაკა დოქტორ პირის:

– ჩემი ქმარი საქმეებმა დააყოვნა. სანყენია, რა თქმა უნდა, მაგრამ შემომითვალა, ხვალ უსათუოდ ჩამოვალო, და როცა ამდენი ხანია ელოდები, სასაცილო იქნება, რომ ერთი დღის გულისათვის გაგიფუჭდეს გუნება.

– სავსებით გეთანხმებით, მისის კინგ.

– წავალ, ტანსაცმელს გადავიცვამ. ჩემი მორთულობა ხვალაც ახალთახალივით უნდა გამოიყურებოდეს. – შლიაპა მოიხადა და ყურადღებით ათვალაიერებდა. – შეხედეთ, პანია ლაქა დაეცყო. იმედი მაქვს, ამოვიყვან. ეგებ ჯორჯმა ვერც კი შენიშნოს?

- თავს დადებ, ვერაფერს შეინძნავს.
- სიმართლე გითხრათ, ექიმო, ერთი ბენოზეც არ ვდარდობ, რომ ხვალამდე უნდა ველოდო. დრო ისე სწრაფად მიჰქრის.
- როდესაც ექიმები მარტონი დარჩნენ, იმან, უფრო ახალგაზრდა რომ იყო, თქვა:
 - ეგებ ბავშვებმა... ხომ ორი ჰყავს.
 - ვეჭვობ, რომ ბავშვებმა უშველონ. როდესაც ჭკუიდან შეიშალა, ეს მგზავრობა მისთვის განკურნების სიმბოლოდ იქცა. როგორც კი ამ იმედს წავართმევთ, გონება სულ დაუბნელდება და ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვინებს.
 - აქვს კი რაიმე შანსი?
 - აი, ამას კი ვერავინ იწინასწარმეტყველებს. მე მხოლოდ შევეცადე ამეხსნა, თუ რატომ დართეს ნება დღეს, რომ ქვევით ჩასულიყო.
 - მაგრამ ხვალ რაღა იქნება? ზეგ რაღას იზამთ?
 - ვერაფერს გააწყობ, - უპასუხა დოქტორმა პირიმ, - იმის იმედითა გვრჩება, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქმარი იქ გამოჩნდება...

და აქ კი ექიმმა მოულოდნელად შეწყვიტა თხრობა და ჩვენი დაჟინებული გამოკითხვის პასუხად გვაუწყა, რომ შემდგომში საინტერესო აღარაფერი მომხდარა - ყოველგვარ თანაგრძნობას, ადრე თუ გვიან, დასასრული აქვს, ხოლო ავადმყოფთა უცნაურობანი პერსონალს აღარ აკვირვებსო.

- და იგი უწინდელივით ისევ მიდის ქმრის შესახებდრად?

- ჰო, არაფერი შეცვლილა. მაგრამ უკვე პაციენტებიც კი, ახალმოსულთა გარდა, ყურადღებას აღარ აქცევენ. ყოველ წელს შლიაპას უჩუმრად უცვლიან ახლით, ზუსტად ისეთივე რომ არის, ხოლო კაბა უწინდელი აცვია. ყოველთვის ცოტა გული მოსდის, მაგრამ ცდილობს, რომ არ შეიმჩნოს და ძალზე ლამაზად ინუგეშებს თავს. რამდენადაც ძალგვიძს განესაჯოთ, უბედურად არ მიაჩნია თავი. სხვა პაციენტებს კი, თქვენ წარმოიდგინეთ, მისი მაგალითი ამშვიდება. ეჰ, გვეყოფა ამაზე ლაპარაკი - ისევ ისა სჯობს, რომ ქვის ტომრებს დაეუბრუნდეთ.

**თარგმნა
ზურაბ ციციშვილი**

მთარგმნელისაგან

მწერლის პირადი ცხოვრების ყველაზე სისხლსავსე ფრაგმენტები - ჭირი იქნება თუ ლხინი, სიყვარული თუ სიძულელი, ნაირნაირ გრძნობათა ფეიერვერკი - თავისებურად აირეკლება ხოლმე მის შემოქმედებაში. არ არის გამორიცხული, რომ ზოგი რამ სიტყვა-სიტყვით იმეორებდეს რეალობას, მაგრამ უფრო ხშირად ეპიზოდები ბიოგრაფიიდან და განცდილ-გადატანილი ძალუმადა დაინახავენ, გარდაიქმნება და სრულყოფილ ლიტერატურულ იერს იძენს.

ზოგჯერ რაღაც პანაა შთაბეჭდილებამ შეიძლება წარმოქმნას ვრცელი და ათასგვარად ჩახერგილი ამბავი, რომელიც მთლიანად მწერლის ფანტაზიით იქნება ნასაზრდოები, მაგრამ ფესვები კვლავ ცხოვრებისეულ გამოცდილებაში უნდა ვეძიოთ.

ამასთან ერთად, არსებობს მწერლის სულში ისეთი ანაბეჭდები, შედეგი ამა თუ იმ პირადად განცდილი დრამისა, რომელთაც გარდუვალად უნდა ამოჰყონ თავი კალამქვემ და მტანჯველი კონფუსიებით გადაინაცვლონ ქალაღზე.

დიდებულმა ამერიკელმა მწერალმა სკოტ ფიცჯერალდმა (1896-1940), ჯერ კიდევ ოცდახუთი წლისა, არნახული პოპულარობა მოიხვეჭა ყველანაირი გემოვნების მკითხველთა შორის და ამერიკის უპირველეს ავტორად შერაცხული თავდავიწყებით დაეწაფა ამქვეყნიურ სიამეთ. მწერლობაშიც ერთხანს წინ მიიწედა, მაგრამ მერე ბედმა ზურგი შეაქცია და XX საუკუნის ოციან წლებში სახელგანთქმული მწერალი ოცდაათიანი წლების დამლევს ანუ სიცოცხლის ბოლო წლებში ჰოლივუდის რიგით და უიღბლო სცენარისტად განწირა.

ზელდა დალუპავსო, ავი წინათგრძნობა არ შორდებოდა მის ერთგულ მეგობარს ერნესტ ჰემინგუეის და, ვაი რომ, აუხდა კიდევ. „ტკბილი ცხოვრების“ ტრფიალმა ქალმა ქმარიც დალუპა და საკუთარი თავიც.

განა სადმე გაგონილა, რომ ერთ მშვენიერ ოჯახს ორი საზიზღარი სწეულება (ვინა თქვა საამო სწეულება? და მაინც...) დაატყდეს თავს?!

ზელდა მწვავე შიზოფრენიით იყო ავად და სკოტი - უკურნებელი ალკოჰოლიზმით.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ გამომცემელს ფიცჯერალდის ნოველების ერთ-ერთ კრებულში,

თითქოსდა საგანგებოდ, ერთიმეორის გვერდიგვერდ მოუთავსებია ეს ორი საუცხოო ნოველი: „გაუსაძლისი ავადმყოფი“ და „ხანგრძლივი მოლოდინი“.

ორივე, ალბათ, რეალური სინამდვილიდან აღმოცენებულა. ალკოჰოლიკი - მხატვრის ამბავი, ეტყობა, ავტორის მორიგ ფათერაკთა პერიფრაზია, ხოლო სულიერი სწეულების ზღვარს გადაბიჯებული ახალგაზრდა მზეთუნახავი მოგვაგონებს ზელდა სეირს, ახალგაზრდობაში სამხრეთის შტატების მშვენებად რომ აღიარებდნენ და თავისი ცხოვრების მეორე ნახევარი ფსიქიატრიულ კლინიკებში გაატარა.

„ხანგრძლივი მოლოდინის“ გმირი ქალი ვერ ეგუება ქმრის სიკვდილს და ილუზორულ სამყაროში გადაბარგდება. იწყება ყოველდღიური ვოიაჟები საავადმყოფოს პალატიდან ვესტიბულში, ჩემოდნითა და სანიტრის თანხლებით - განსვენებული ქმრის შესაგებებლად!

ყველასთვის ესოდენ ნაცნობი და არაერთხელ მოსმენილი ფრაზა: „არა მჯერა, არა მჯერა“ პირდაპირი მნიშვნელობით აუმეტყველებია მწერალს - შიზოფრენიით გახლეჩილ ცნობიერებას მართლაც არ სჯერა ქმრის სიკვდილი.

„გაუსაძლისი ავადმყოფის“ ფინალში გაიელვებს ფრაზა, ერთ კარგ ნოველად რომ ღირს.

სტაჟიანი მედდა, რომელიც ალკოჰოლიკს უვლის და მწარედ ნანობს, ამას ვის გადავეყარეო, საკმაოდ ახლოს იცნობს სიკვდილს, მაგრამ თავისი თვალთ არასოდეს უნახავს! მისი პაციენტი კი, ალკოჰოლიზმისა თუ შემოქმედებითი ფანტაზიის წყალობით, თვალნათლივ ხედავს სააბაზანოს კუთხეში აღმართულ სიკვდილს, რომელიც თვალს ადევნებს მომაკვდავი მხატვრის ყოველ ნაბიჯსა და მოძრაობას.

მედდამ დაინახა, რომ მისი პაციენტი ხედავდა სიკვდილს და ამით შეძრწუნებული მეორე დღეს შესჩვიის თავის შეფს, მაჯები რომ გადაეგრისა ჩემთვის, ასე არ მეტყინებოდაო...

ორივე ნოველი დაწერილია 1937 წელს, როდესაც სიკვდილის შავი აჩრდილი უკვე თავს დასტრიალებდა ალკოჰოლიკ მწერალს და ზელდაც უიმედოდ ფართხალებდა ავი სწეულების ბრჭყალებში.



უოლტ უიტმენი
(1891-1892)

ბალახის ფოთლები

მოდით, თქვა ჩემმა სულმა,
დავწეროთ ჩემი სხეულისათვის ისეთი ლექსები,
(რადგან ჩვენ ერთი ვართ),
რომ დავბრუნდე უხილავად სიკვდილის შემდეგ,
ან დიდი ხნის, დიდი ხნის მერე სხვა მხარეებში,
განვაახლებდე როს სიმღერებს ამხანაგთ შორის,
(დედამიწის ნიადაგს, ხეთა, ქართა და ბობოქარ ტალღებს
ვითვლიდე),

კმაყოფილების ღიმილი მეფინოს მარად,
ლექსებსაც ვფლობდე მარად და მარად – ვით, პირველ
რიგში, აქ და ახლა,
როს ვმღერ სულისა და სხეულისთვის, ვუნერ მათ ჩემს
სახელს,
უოლტ უიტმენი.

მე ვუმღერ ერთადერთს

მე ვუმღერ ერთადერთს, ცალკეულ უბრალო პიროვნებას,
თუმც სიტყვა „დემოკრატიულს“, სიტყვას „En-Masse“
მაინც წარმოვთქვამ.

მე ვუმღერ ფიზიოლოგიას თხემით ტერფამდე,
მუზის ღირსი ცალკე რაც სახეა და არც გონება,
გამიგონეთ, მთელი სხეული გაცილებით უფრო ღირსია,
მე თანასწორად ვუმღერ ვაჟურს და ქალურს.

მე ვუმღერ სიცოცხლეს უზომოს ვნებით, მაჯისცემით,
ძალით
და მხიარულ, საღმრთო სჯულისამებრ, ყველაზე
თავისუფალი მოქმედებისათვის შექმნილ,
თანამედროვე ადამიანს.

როდესაც სიჩუმეში ვფიქრობდი

როდესაც სიჩუმეში ვფიქრობდი,
ვუბრუნდებოდი რა საკუთარ ლექსებს, ვიგონებდი,
დიდხანს ვაყოვნებდი,

ჩემს წინ უნდო გარეგნობის ლანდი აღიმართა,
თავზარდამცემი სილამაზით, ხნიერებითა და ძალით,
ძველი ქვეყნების პოეტთა სული,
თავისი ცვეცხლოვანი თვალნი მომაპყრო,
მრავალსა უკვდავ სიმღერაზე მიმითითა
და მრისხანედ მკითხა, რას უმღერ?
ნუთუ არ უნყი, რამეთუ უკვდავ მგოსანთათვის
ერთადერთი არსებობს თემა?
და იგია ომის, ბრძოლათა ბედნიერების, ღვთაებრივ
ჯარისკაცთა აღზრდის თემა.

დაე, ეგრე იყოს, ვუპასუხე,
მეც, მედიდურო აჩრდილო, აგრეთვე ომს ვუმღერ,
თან ნებისმიერ ომზე უფრო დიდსა და ხანგრძლივს,
წარმოებს ეს ომი ჩემს წიგნში ცვალებადი ბედით –
გაქცევით, შეტევითა და უკუქცევით, დაგვიანებული
და მერყევი გამარჯვებით,
(საბოლოოდ, გამარჯვება მაინც უდავო ან თითქმის უდავო
მეჩვენება,) ბრძოლის ველად მსოფლიოს მოცვით, –
სიცოცხლისა და სიკვდილისათვის, სხეულისა და
მარადიული სულისათვის,
აჰა, მეც მოვსულვარ, ბრძოლათა ვგალობ საგალობელს
და უწინარეს ყოვლისა ვაქებ გულად ჯარისკაცთ.

ზღვაში კაიუტიან გემებზე

ზღვაში კაიუტიან გემებზე,
როს ყოველ მხარეს თვალუწვედენელი სილურჯე იშლება,
ზუზუნებს ქარი და ტალღათა, უზარმაზარ,
მბრძანებლურ ტალღათა, ისმის მუსიკა,
ან განმარტოებულ, სქელ ზღვაში ცურვით მიმავალ ბარკზე,
როს გახარებული, რწმენით აღსავსე შლის თეთრ იალქნებს
და ჰაერს აპობს დღის ქაფსა და ელვარებაში თუ ღამით
ურიცხვი ვარსკვლავის ქვეშ,
ჩემი ლექსები, მინის მოგონება, ეგებ წაიკითხონ
ახალგაზრდა თუ მოხუცმა მეზღვაურებმა
და ბოლოს და ბოლოს სავსებით გამიგონ.

აი, ჩვენი ფიქრები, ზღვაოსანთა ფიქრები,
აქ მარტო მიწა, მყარი მიწა როდი იგრძნობა, თქვან
შესაძლოა,
აქ ცარგვალი დაგვცქერის, ვგრძნობთ, ფეხთ ქვეშ
ტალღებს აყოლილი ირხევა გემბანი,
ვგრძნობთ, რომ აქაა ყოველივე, – უსასრულო მოძრაობის
ხანგრძლივი ბიძგი, ზღვის მოქცევა და უკუქცევა,
უხილავი საიდუმლოს ხმები, მლაშე სამყაროს ბუნდოვანი,
ვრცელი ქარაგმები, მარცვალნი, წარწარად მდინარნი,
სურნელი, გემსართავის სუსტი ჭრიალი, რიტმი ნალვლიანი,
თვალუწვედენელი ხედი და შორეული, დაბინდული ცის
დასალიერი, –
ესაა ლექსი ოკეანეზე.

ნუკი შეკრთები მაშინ, წიგნო, აღასრულე შენი მოწოდება,
შენ არ ხარ მარტო მინის მოგონება,
შენც განმარტოებული ბარკის დარად მიაპობ ჰაერს, არც

კი ვიცი, საით ისწრაფვი, თუმც ნიადაგ რწმენით ხარ სავსე,
დაედარე ყველა ხომალდს, რაც კი დაცურავს, გასცურე!
ნაულე მათ ჩაქსოვილი ჩემი სიყვარული, (თქვენთვის,
ძვირფასო მეზღვაურნო, აქ ყოველ ფურცელში
ვაქსოვ სიყვარულს;)
სწრაფად, ჩემო წიგნო! ჩემო პატარა ბარკო, მბრძანებლურ
ტალღათა თავზე გაშალე თეთრი იალქნები,
სულ მუდამ იმღერე, სულ მუდამ იცურე და ყველა ზღვაში,
თვალუნვდენი სილურჯის მიღმა,
ეს სიმღერა ნაულე ჩემგან მეზღვაურებსა და მათს
ხომალდებს.

ისტორიკოსს

შენ, ვინც გარდასულ დროთ ასხამ ქებას,
ვისაც მოდგმებში ზედაპირული, გარეგნული შეგისწავლია,
ცხოვრება ისეთი, როგორადაც თავი თვითონ წარმოუჩენია,
ვისაც პოლიტიკის, გაერთიანებათა, მმართველთა და
მღვდელთა ქმნილებად განვიხილავს ადამიანი,
მე, ალექსანდრე მკვიდრი, განვიხილავ მას ისეთად,
როგორც ის თვითონ არის საკუთარი უფლებებით,
მაჯას ვუსინჯავ ცხოვრებას ისეთს, როგორადაც თავი
იშვიათად წარმოუჩენია, (დიდებულია ადამიანში
საკუთარი ღირსების გრძნობა,)
მე, პიროვნების მომღერალი, ზოგად შტრიხებში ვხაზავ
იმას, რაც ჯერ კიდევ მოსახდენია,
და მომავლის ისტორიას ვადგენ წინდანს.

შენ, ძველი მიზეზო

შენ, ძველი მიზეზო!
შენ, სწორუბოვარო, ვნებიანო, კეთილო მიზეზო,
შენ, მკაცრო, უწყალო, ტკბილო იდეავ,
უკვდავო ყოველ დროში, მოდგმასა და ქვეყანაში,
უცნაური, სავალალო ომის, შენთვის დიდი ომის შემდეგ,
(ვფიქრობ, ნამდვილად შენთვის იბრძოდნენ ყოველ ომში
დროთა მანძილზე და ნიადაგ შენთვის იბრძოლებენ,)
ეს სიმღერები შენთვისაა შენი მარადიული წინსვლისათვის.

(ჯარისკაცებო, არა მარტო თვით ომისათვის ხდებოდა ომი,
გაცილებით, გაცილებით მეტი იდგა მის უკან მდუმარედ
და იცდიდა, გამოვლენილიყო ახლა ამ წიგნში.)

შენ, მნათობო მრავალ მნათობთა!
შენ, მღუღარე სანყისო! შენ, ზრუნვით ნაზარდო მორჩი
უხილავო! შენ, შუაგულო!
ეს ომი შენი იდეის გარშემო ტრიალებდა,
თავისი ყოველგვარი მრისხანე და გააფთრებული
მიზეზთა თამაშით,
(სამგზის ათასი წლის შემდეგ მოსატანი უხვი შედეგებით,)
ეს რეჩიტატივები შენთვისაა, – ერთია ეს ომი და ჩემი
წიგნი,

მის სულს შერწყმული ვართ მე და ყოველივე ჩემი,
როგორც ეს ბრძოლა წარმოებდა შენი გულისთვის,
როგორც ბორობალი ბრუნავს ლერძზე, ისე ეს წიგნიც,
თვისდა უნებურად,
ბრუნავს გარშემო შენი იდეის.

უცხო ქვეყნებს

გავიგე, რომ ითხოვეთ რაიმე ამ გამოცანის, ახალი
მსოფლიოს ამოსახსნელად
და ამერიკის, მისი ლონიერი დემოკრატიის შესაფასებლად,
ამიტომაც ჩემს ლექსებს გიგზავნით, რათა მათში
ჰპოვოთ ის, რაც გინდოდათ!

მე ანმყოს ვუმღერ

მე ანმყოს ვუმღერ,
წარსულისაგან ვზრდი ანმყოს,
(როგორც მრავალწლოვანი ხე იზრდება ფესვებიდან,
ასევე ანმყო – წარსულიდან,)
დროსა და სივრცეში ვაფართოებ მას და შევადნობ
უკვდავ კანონებს,
რათა ანმყო შევქმნა კანონებით, კანონი – ანმყოსთვის.

როდესაც წიგნი ნავიკითხა

როდესაც წიგნი ნავიკითხე, გამოჩენილი პიროვნების
ბიოგრაფია,
ვთქვი, ნუთუ ამას ეძახის ავტორი კაცის ცხოვრებას?
და როს მოვკვდები, გარდავიცვლები, ნუთუ ჩემს
ცხოვრებას ასე აღწერენ?
(თითქოს ვინმემ მართლა რაიმე იცოდეს ჩემი
ცხოვრებიდან,
თვითონ მეც ხშირად რად მეჩვენება, რომ ჩემი ნამდვილი
ცხოვრების შესახებ არაფერი ან ცოტა რამ ვიცი?
მხოლოდ რამდენსამე წართაულს, რამდენსამე უფერულ,
დაშლილ გორგალს და აღმაცერ გზებს
დავეძებ, რადგან მე თვითონ მჭირდება აქ ჩასაწერად.)

ასალბადანი

როგორ ინახავენ მათ დედამიწაზე, (დროდადრო რომ
გამოჩნდებიან,)
დედამიწისთვის რა ძვირფასი და საძაგელნი არიან ისინი,
როგორ მსახურებენ ისინი საკუთარ თავს, ისევე
როგორც ნებისმიერს – რა პარადოქსულია მათი ასაკი,
როგორ პასუხობს მათ ხალხი, თუმც არ იცნობენ,
რად არის ყოველთვის მათს ხვედრში რაღაც უღმობელი,
როგორ ცდებიან ისინი ყოველთვის გასამრჯელოს
მომცემისა და პირმოთნეობის ობიექტის არჩევისას,
და როგორ უნდა გადაიხადონ ისევე იგივე უსამველო
ფასი იმავე დიდი საყიდლის შესაძენად.

სწავლის დაწყება

სწავლის დაწყება – პირველი ნაბიჯი, ძლიერ მეამა,
უბრალო ფაქტთა შეცნობა, ეს ფორმები, მოძრაობის ძალა,
ყველაზე პატარა მწერი თუ ცხოველი, გრძნობები, ხედვა,
სიყვარული,
პირველი ნაბიჯი, გამიგონეთ, ძლიერ მეამა და კრძალვა
ალმიძრა,
საეჭვოა, ოდნავ უფრო შორს წავსულიყო ან წასვლა
მენატროს,
არა, ვჩერდები და მთელი დრო დავხეტილობ, რომ
ალტაცებით ვიმღერო მასზე.

შტატებს

ვუბრძანებ შტატებს, ნებისმიერ მათგანსა და ნებისმიერ
ქალაქს შტატებში,
მეტი წინააღმდეგობა, ნაკლები მორჩილება,
უდავო მორჩილება სრული მონობაა
და სრულიად დამონებული, დედამინის ვერცერთი ერი,
შტატი, ქალაქი, თავისუფლებას შემდეგში ვერასდროს
ალიდგენს.

ერთ მომღერალ ქალს

აი, ინებებ ეს საჩუქარი,
მე მას გმირისთვის, მჭევრმეტყველისა ან გენერლისთვის
ვინახავდი,
მისთვის, ვინც კეთილშობილურ ძველ მიზეზს, დიად
იდეას, ხალხის წინსვლასა და თავისუფლებას მსახურ
ექმნებოდა,
მტარვალის წინააღმდეგ აღმდგარი მამაციისთვის,
შემმართებელი მემამოხისთვის;
მაგრამ ვხედავ, რომ, რასაც ვინახავდი, სწორედ ისევე
გეკუთვნით თქვენ, ვით ნებისმიერ იმათათგანს.

მე, უფოთველი

მე, უფოთველი, ბუნებაში ვდგავარ სიმშვიდით საცესე,
ყოვლის მეუფე თუ ყოვლის დედოფალი, უგონო
არსებათა შორის ვდგავარ თვითდაჯერებული,
მათსავით გაჟღენთილი, უმოქმედო, გაჯერებული,
მათსავით მდუმარე,
ვხვდები, რომ ჩემი საქმიანობა, სილარიბე, სახელ-დიდება,
სისუსტენი, აკაცობანი ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე
მეგონა,
მექსიკის ზღვასთან ვარ, მანაჰატასა თუ ტენესიში, შორს
ჩრდილოეთით თუ ქვეყნის სიღრმეში,
მდინარესთან ვსახლობ, ტყესა თუ რომელსამე შტატში
ფერმაში, ზღვის სანაპიროსა თუ კანადის ტბებთან,
სადაც არ უნდა გავატარო ჩემი ცხოვრება, ო,
განონასწორებული უნდა ვიყო მოულოდნელი
შემთხვევების დროს,

რათა პირისპირ შევხვდე ღამეს, ქარიშხლებს, შიმშილს,
დაცინვას, უბედურებათ და ცივ უარებს, ვით ეს
ხენი და ნადირნი ხვდებიან.

მესმის, რომ მღერის ამერიკა

მესმის, რომ მღერის ამერიკა, მესმის გალობანი მისი
ნაირგვარი,
მღერიან მშრომელნი, თითოეული, როგორც წესია,
უმღერს თავისას ომახიანად და სიხალისით,
მღერის ხურო, როს თამასასა თუ ლატანს ზომავს,
მღერის კირითხურო, როს სამუშაოდ ემზადება ან
წყვეტს სამუშაოს,
საკუთარ ნავში მღერის მენავე და გემბანიდან მღერის
მეზღვაური,
მღერის მენაღე, სკამზე მჯდომარე, მღერის მექუდე,
ფეხზე მდგომარე,
მესმის სიმღერა შეშისმჭრელისა თუ გუთნისდედის,
დილაადრიან, როცა კვალს ავლებს, შუადღის ჟამს,
როცა ისვენებს, თუ მზის ჩასვლისას,
მესმის, რა ტკბილად მღერის დედა, ახალგაზრდა, საქმით
გართული ცოლი თუ გოგო, როცა კერავს ან რეცხავს,
თითოეული უმღერის იმას, რაც მას ეკუთვნის და სხვას
არავის,
დღისით იმას, რაც დღეს ეკუთვნის – ღამით კი ახოვანი,
გულიანი ყმანი მღერიან
წკრილა ხმით ვაჟკაცურ სიმღერებს.

რომელი ადგილია ალყაშემორტყმული?

რომელი ადგილია ალყაშემორტყმული, ამაოდ რომ
ცდილობს ალყის მორღვევას?
აჰა, მარჯვე, გულად, უკვდავ მხედართმთავარს
ვუგზავნი ამ ადგილს,
მასთან ერთად ცხენოსანთა და ქვეითთა ლაშქარს,
ქვემეხთა ალაღს
და მეზარბაზნეთ, ვინც კი ოდესმე ქვემეხს ისროდა,
მათგან ყველაზე უფრო უღმობელთ.

კარს ნუ მომიხურავთ

კარს ნუ მომიხურავთ, ქედმაღლო ბიბლიოთეკებო,
რადგან მე მომაქვს ის, რაც თქვენს გაჭედებულ თაროებს
აკლდა, თუმც ყველაზე მეტად გჭიროდათ,
ომიდან აღმოცენებული, ნიგნი, ჩემს მიერ დაწერილი,
სიტყვები ჩემი ნიგნის არაფერია, მისი მისწრაფება –
ყველაფერი,
განცალკევებულია ეს ნიგნი, არაა დაკავშირებული
დანარჩენებთან, არც განსჯით სანვდომი,
მაგრამ თქვენ, თქვენ ყოველ გვერდზე ავითრთოლებთ
გაუმხელელი იდუმალებანი.

მომავლის პოეტონო

მომავლის პოეტონო! მომავლის მჭევრმეტყველნო,
მომღერალნო, მუსიკოსებო!
დღევანდელმა დღემ როდი უნდა გამამართლოხ და
მიპასუხოს, რისთვის ვარსებობ,
არამედ შენ, ახალო მოდგმავ, მკვიდრო, ბრგეო, ამერიკულო,
აქამდე ცნობილ ყველა მოდგმაზე უფრო დიადო,
გაიღვიძე! რადგან შენ უნდა გამამართლო.

მომავლისათვის თითო-ოროლა მიმანიშნებელ სიტყვას
თვითონ ვწერ,
მხოლოდ წუთით ვჩნდები ასპარეზზე, რათა
შევტრიალდე და კვლავ უკუენთს მივეფარო.

თუ რომელიმე უცხოელ
მწერალს აქვს ქართულ ენაზე
თარგმნისა და დამკვიდრების

მრავალფეროვანი ისტორია, მათ შორის უსათუოდ უოლტ
უიტმენსაც, ვისი პოეტური ზეგავლენაც არამარტო ამერი-
კულ ლიტერატურაშია გამოკვეთილი და დღემდე შენარჩუნე-
ბული, არამედ მთელ მსოფლიოსაც გადაწვდა და ბევრგან იჩი-
ნა თავი მისმა რიტმულმა თავისებურება-სიახლეებმა.

ქართული უიტმენიანა დამშვენებულია ვახტანგ კოტე-
ტიშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას სახელებით, ლა-
ნა ლოლობერიძის მონოგრაფიით, თამაზ ჩხენკელის თარგმა-
ნებითა და ესეით, ზვიად გამსახურდიას რამდენიმე ლექსის
თარგმანითა და ესეით, პაატა და როსტომ ჩხეიძეების მიერ
გადმოღებული მემუარული ჩანაწერებით („რჩეულნი დღე-
ნი“), აგრეთვე უიტმენის ესეებისა და უიტმენზე შექმნილი ლი-
ტერატურული ნარკვევებით (ფრენსის ოტო მატისენი, ჰენრი
ჯეიმზი)

უიტმენიანას კარი რაღაც უცნაურად შეიხსნა ქართულ
ლიტერატურულ-კულტურულ სივრცეში 20-იანი წლების შუა
ხანს.

კონსტანტინე გამსახურდიას უკვე საკმაოდ გართულებია
სამწერლო მოღვაწეობა, საკუთარ ქმნილებათა გამოქვეყნება
უძნელდება (თვითონ ცოტა მეტად ადრამატულებს: ჩემსას სა-
ერთოდ აღარაფერს მიბეჭდავენო), ამიტომაც სულის მო-
სათქმელად თარგმნის უიტმენის ლექსებს და გამოქვეყნებაც
უხერხდება.

ვახტანგ კოტეტიშვილი წიგნაკად გამოსცემს ლიტერატუ-
რულ ნარკვევს ამერიკელ პოეტზე და საჭაშნიკოდ რამდენიმე
ლექსის თარგმანსაც დაურთავს.

ამ შემთხვევაში უცნაური რა უნდა იყოს?

შეიძი ათწლეულის შემდგომ ნონა კუპრეიშვილი მის არ-
ქივს რომ ჩაუჯდება და უიტმენზე შექმნილი ნარკვევის ხელ-
ნაწერ დედანსაც გადაიკითხავს, მოულოდნელად აღმოაჩენს,
რომ დედანი და გამოცემული წიგნაკი (მოგვიანებით ვახტანგ
კოტეტიშვილის ორტომეულშიც განმეორებული) სრულია-
დაა დაპირებული ერთმანეთს. რედაქციული სწორებების გა-
მო კი არ შეინიშნება გარკვეული ცვლილებანი, არამედ ეს
ორი სრულიად დამოუკიდებელი ნაშრომი – ერთში უიტმენი
ნარმოდება პოეტ-ტრიბუნად, მასების პოეტად, ლამის რე-
ვოლუციონერად, მეორეში კი ღრმა სულიერებით აღვსილ შე-
მოქმედად.

მკითხველს ნამდვილად არ დაჭირდება დაზუსტება, თუ
რომელ ნარკვევში როგორი სახით გვევლინება დიდი ამერიკე-
ლი, ვინც გარეგნულადც ჰგავდა წინასწარმეტყველს და

მე იგი ვარ, ვინც, სავსებით შეუჩერებლივ მოხეტიალე,
შემთხვევით მზერას მოგაპყრობთ და მერე
სახეს აგარიდებთ,
განსჯასა და შეფასებას მისას თქვენ განდობთ,
მთავარ სიტყვას თქვენგან მოველი.

შენ, მკითხველო

შენ, მკითხველო, გათროლებს სიცოცხლე, სიამაყე და
სიყვარული, ისევე როგორც მე,
სწორედ ამიტომ შენთვისაა ეს სიმღერები.

ინგლისურიდან თარგმნა
ნიკა შამუგია

რედაქციისაგან

ხილვებითაც და მხატვრული
მრწამსითაც ამ ზეზუნებრივ
სიმაღლეს აღწევდა.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ სახიერი, ტევადი სურა-
თით იწყება თამაზ ჩხენკელის ესეი:

„გრძელი და ვინრო კუნძული უკაცრიელი ნაპირი. გაუძ-
ლისი ხვატი. სილაზე პირაღმა წევს ვეება ვაჟკაცი და მცხუნ-
ვარე მნათობს შეჰყურებს. ეს მზე მას დასწავდა, მასაც ასე-
თივე მცხუნვარე და ვარვარა მზე რომ არ ენთოს გულში. იგი
მშვიდად უმზერს ოკეანის უკიდევანო სივრცეს და გრძობს,
რომ თვითონაც უსაზღვროების ნაწილია ეს მდუმარე, უთქმე-
ლი კაცი დაუშრეტელი ძალით იზიდავს ყველას, ვინც კი მას
თუნდაც ერთხელ შეხვედრია, ჭალარა წვერით მოსილ, მზით
გარუჯულ სახეში იმდენი სიკეთე და სიყვარული გამოსჭვი-
ვის. თანამედროვეებზე იგი დიონისეს კულტთან ზიარებული,
განკურნებისა და წინასწარმეტყველების მაღლით მორჭმული
ანტიკური ღვთაების შთაბეჭდილებას ასდენდა“.

ცნობილია შოთა ნიშნიანიძის ლექსი – უიტმენისადმი მიძ-
ღვნილი, მაგრამ უსამართლოდაა მივიწყებული ტრაგიკულად
აღსრულებული პოეტის ვანლერ დაისელის ლირიკული ნიმუ-
ში „ეს ქვეყანა სურვილების ორანჟერეა“, რომელიც მიეძღვნა
უიტმენის ლანდს და რომლითაც გაიხსნა 1926 წელს გამოცე-
მული პოეტური კრებული „მზის სისხლი“.

უიტმენისებური ხილვებით – და არა მისი სტილისტიკით
– შექმნილი ლექსი საკუთარი და ეროვნული ფესვების ძიე-
ბით რომ იწყება („მე ხეთების სისხლი, მზის სიმწვავე შეუპო-
ვარი, დროებმა მზარდეს“) და ყველასა და ყველაფრის გადან-
ვდენას ლამობს, ფინალში ამერიკელი პოეტის სახელსაც ახ-
სენებს და მისი ერთი ლექსის სახელწოდებასაც („საქართვე-
ლოდან მე ვიძახი უიტმენივით: ჩემი სალაში სამყაროებს Salut
a monde“).

ამ ორიოდ რეალის გახსენება იმისათვის დაგვჭირდა, რომ
მკითხველისათვის გვემცნო – ქართული უიტმენიანა გრძელ-
დება და წარმატებითაც გრძელდება: მისი მემუარული ჩანაწე-
რები კვლავაც გამოქვეყნდება, მისი ესეებიც, მასზე შექმნილი
ესეების თარგმანებიც, მისი ლექსებიც და განსაკუთრებით სა-
გულისხმოა, რომ ახალგაზრდა კაცი ნიკა შამუგია, ვისი სახე-
ლიც უთუოდ დაგამახსოვრდებოდათ ჩვენი ჟურნალის ფურ-
ცლებზე დაბეჭდილი ბერძენი მწერლის იორლოს იოანნუს ნო-
ველის „ქემალის სახლი“ თარგმანით, შემოქმედებითი გზის
დასაწყისშივე ინტერესდება დიდი ამერიკელის პოეტური მემ-
კვიდრობით, „ბალახის ფოთლების“ სახელწოდება რომ აერ-
თიანებს და ოდესმე ქართულ ენაზეც სრულად გვექნება. მთა-
ვარია ეს „ოდესმე“ ძალიან არ გადაიდოს.

ჯონ აპდაიკი

რელიგია და ლიტერატურა

რელიგიაში იმას ვგულისხმობ, რაც კაცობრიობამ ზე-ბუნებრივად მიიჩნია. რელიგიასა და ლიტერატურას შორის კავშირი ძალიან ძველია. ხარჯთაღმრიცხველებმა დამწერლობა შექმნეს, ნავეჭრი საქონელი რომ აღენუსხათ, მაგრამ მალე ამას სასულიერო პირებმაც მიჰყვეს ხელი. ძველი ნელთაღმრიცხვის დაახლოებით 3100 წელს ჩნდება უძველესი დამწერლობის ენა – შუმერული – ადმინისტრაციული საქმიანი ტექსტებისა და სასკოლო სავარჯიშოების სახით. თუმცა, უფრო ადრეულია ღმერთებისა და მეფეთა ჩამონათვალი. ქრისტეშობამდე მეორე ათასწლეულიდან მოყოლებული შუმერული ტექსტები მოიცავს ვრცელ რელიგიურ ლიტერატურას, რომელიც გვხვდება ძველ აღთქმაშიც. ესენია, გადმოცემები სამყაროს შექმნის შესახებ, თქმულებანი უძველეს მეფეებზე, გოდება, საგალობლები და იგაგები.

მსოფლიო ლიტერატურის უძველესი ქმნილება „გილგამეშანი“ სწორედ შუმერული ეპოსი გახლავთ. შუმერულ გადმოცემათა მიხედვით, გილგამეში იყო ურუქის ქალაქსახელმწიფოს უძველესი მეფე, ვინც ამ ქალაქის საარაკო გალავანი ააშენა. არამარტო შუმერების, არამედ ასირიელთა და ბაბილონელთათვისაც, რომელთაც შეითვისეს შუმერული ცივილიზაცია, გილგამეში იყო მეფე-გმირი და ღმერთი. მას თავყვანს სცემდნენ, როგორც ქვესკნელის ღვთაებას. შუმერების მიცვალებულთა აკლდამებში აღმოჩენილია მისი გამოსახულების მსგავსი ფიგურები. არსებობდა მისი ამბის რამდენიმე ვერსია. თუმცა, ზოგიერთი ფრაგმენტი ძვ. წ. აღ-ის მესამე ათასწლეულს ეკუთვნის, შთამომავლობას ძირითადად შემორჩა ძვ. წ. აღ-ის მეშვიდე საუკუნით დათარიღებული თორმეტი დამტკიცებული დაფა ტექსტით, რომელიც აქადურ ენაზეა შესრულებული.

ეს ამბავი, აქცენტირებული ადამიანურ სიყვარულსა და სიკვდილის შიშზე, გასაოცრად თანამედროვე და მარადიულია. ის თანმიმდევრულად მოიცავს: ველური მამაკაცი ენქიდუს ცდუნებას როსკიპი დიაცი შამხათის მიერ; ძლიერ მეგობრულ სიყვარულს, რომელიც აღმოცენდება მეფე გილგამეშსა და ენქიდუს შორის ორთაბრძოლის შემდეგ, სადაც გილგამეში იმარჯვებს; მათ მოგზაურობას ტყის ურჩხულ ხუმბაბას გასანადგურებლად; სიყვარულის ქალღმერთ იშთარის ტრფობის უარყოფას გილგამეშის მიერ; ენქიდუს სიკვდილს; გილგამეშის უნუგემო გლოვასა და მის მოგზაურობას უთანაფიშთის სანახავად, ვინც ერთადერთი გადაურჩა ცოცხალი ბაბილონის წარღვნას. იგი გილგამეშს გაანდობს, როგორ აირიდოს სიკვდილი ჯადოსნური ბალახის შემწეობით, რომელიც მას გველმა მოსტაცა. ბაბილონური დაფები მთავრდება ენქი-

დუს საზარელი ცნობით ქვესკნელის თაობაზე.

მოთხრობა ბევრწილად ბუნდოვანია და დანაწევრებული. მასში ძველი მწერლობის რამდენიმე მახასიათებელი შეინიშნება: 1) ეს არის ზღაპრული ელემენტები გულუბრყვილო კოსმოლოგიიდან, რომელმაც ქვეყანა სულეებითა და ღვთიური ემისრებით დაასახლა; 2) გმირის ბუნდოვანი არსი, რომელიც არის მეფე, მაგრამ ვერ აღწევს ჭეშმარიტ ღვთაებრივ სიმაღლეს; 3) მეტაფიზიკური ბუნება გმირისა, რომელიც ძიებისას სასტიკ და უღმობელ სამყაროს აღმოაჩენს. მისი ხვედრია მწვავე ტკივილი „ორი-მესამედით ღმერთად, ერთი-მესამედით კაცად, მეფედ“ ყოფნისა. შეიძლება განვაზოგადოთ, რომ გმირი მოკვდავია იმ გზაზე, რომელსაც იგი გაღმერთებამდე მიჰყავს. ამ მოთხრობის საზღვრებს მიღმა, შუმერულ რელიგიაში გილგამეში ღმერთი გახდა, ხოლო მოთხრობის ფარგლებში იგი განიცდის ორჭოფობას, შიშსა და დაბნეულობას. იგი ადამიანის მოკვდავობის სამინელი საიდუმლოს ამოხსნას ცდილობს. მისი ერთგამოუთქმელი ტანჯვა და ტკივილი ჩვენს თანაგრძნობას იწვევს, მაგრამ მკითხველისა და გადამწერთათვის, რომელთაც ეს ამბავი ჩვენ წერილობითი სახით გადმოგვცეს, გილგამეშის მნიშვნელობა გამომდინარეობდა მისი ლეგენდარული მეფობიდან, მისი ღვთიური წინაპრებიდან (გილგამეშის მამა მოკვდავი ადამიანი იყო, მაგრამ დედა გახლდათ ღმერთქალი ნინსუნა) და მისი ზეადამიანური ბუნებიდან.

მეფეთა ბედი უმთავრესად უკავშირდება მგოსანს, რადგანაც ძველი საზოგადოებრივი რწმუნების მიხედვით, მეფის კეთილდღეობა განსაზღვრავს სახელმწიფოს კეთილდღეობას. მონარქის ჯანმრთელობა ჩვენი საკუთარიცაა. რიგ საზოგადოებებში, რომელთაც ანთროპოლოგია შეისწავლის, წლების სვლასთან ერთად, მეფე უნდა მოკვდეს, ასე რომ, სამყარო კვლავ განახლდება. ავადმყოფმა მეფემ უმჯობესია სიცოცხლე შეწყვიტოს, ვიდრე მონამლოს ამ სენით თავისი სამეფო. ასეთი მაგიური აზროვნების კვალი შემორჩენილია ბრიტანული საზოგადოების დამოკიდებულებაში საკუთარ ხელისუფლებასთან, განსაკუთრებით საეჭვო რეპუტაციის მქონე პრინც ჩარლზთან. ასევე ამერიკული საზოგადოების მიერ პრეზიდენტ რუზველტისა და პრეზიდენტ კენედის ხასიათის სისუსტის დაფარვაში. მეფეთა ამბები, თუნდაც ქრონოლოგიურად ჩამოთვლილი მათი სახელები, ძალზედ არსებითი ინფორმაციის წყაროა დღევანდელი ზეპირგადმოცემებით, მკითხველს აცნობს მათ ერთობლივ ისტორიას.

ჩვენთვის საინტერესოა, რითი გახდა გილგამეში თავისი დროის გმირებს შორის ყველაზე პოპულარული. ჩვენამდე შემორჩენილი მწერლობა ამ ამოცანის ამოხსნის გასაღებს გვაძლევს. გილგამეშმა ქალაქ ურუქის დასაცავი გალავანი ააშენა და ცდილობდა მოკვდავობის პრობლემის



გადაჭრას, თუმცა მან ვერ შეძლო უკვდავების ბალახის დაბრუნება. მისი მცდელობა საზოგადოებრივ მინც სარგებლობის მომტანი იყო. ისევე, როგორც საუკუნეთა შემდგომ ნამებულმა ებრაელთა მეფემ, მანაც თავი განიხილა კაცობრიობის გულისათვის. შემორჩენილ ფრაგმენტებში გილგამეში რამდენჯერმე თავს არიდებს ქალის ტრფობას. მის ცდუნებას ცდილობენ იშთარი და სიღური. იგი მტკიცედ იცავდა მამაკაცური მეგობრობის იდეალს, პატრიარქალურ სინამდის. და ამას უპირისპირებდა ძველ მატრიარქალურ წყობილებას. მან დაანება, რომ მეომარი აუცილებლად უნდა მოშორებოდა აღმზრდელ დედას და შეერთებოდა მამის მეომრულ ცხოვრებას. ჩვენი შეხედულებით, გილგამეში იკვეთება, როგორც ბუნების წინააღმდეგ ამბოხებული და ზებუნებრივის მძიებელი ადამიანი.

პლანეტაზე ცივილიზაციების გაჩენამ გამოიწვია რელიგიური ხასიათის მწერლობის გავრცელება. ეგვიპტური „მკვდართა წიგნი“, სადაც გაერთიანებულია გარდაცვლილთათვის საჭირო შელოცვები და წესები საიქიოს გზაზე, შეიცავს „გილგამეშიანის“ ადრეულ ეპიზოდთა დროინდელ მონაკვეთებს. ვისაც ნილოსზე უმოგზაურია, იცის, რომ ღვთაებებისადმი მიძღვნილი ნახატები და წარწერები ყველა აკლდამაში, სამგლოვიარო ქვასა და ტაძრის კედლებზეა გამოსახული. მიუხედავად ამისა, მხოლოდ რამდენიმე დასრულებული მითიური ამბავი ამოიკითხება ამ ეგვიპტური სარიტუალო ტექსტებიდან და ლექსებიდან. ბერძენი ისტორიკოსი პლუტარქეა წყარო ისიდასა და ოსირისის ცნობილი ლეგენდისა. ინდოეთში სანსკრიტული მწერლობა იწყება ძვ. წ. აღ-ის დაახლოებით 1 500 წელს „ვედებით“ – ეს გახლავთ დამპყრობელი არიელი ხალხის ღმერთთა ქება, რომელსაც აღავლენდნენ რელიგიურ რიტუალებითა დროს. რადგანაც მომდევნო ათასწლეულში სანსკრიტი პირწმინდად სალიტერატურო ენა გახდა, რომელზეც განათლებული ელიტა საუბრობდა, შეიქმნა ორი უზარმაზარი ეროვნული ეპოსი „მაჰაბჰარატა“ და „რამაიანა“. ეს ვრცელი ცნობები დინასტიური ბრძოლების შესახებ უხვად შეიცავს ფანტასტიკურ და რელიგიურ ელემენტებს.

„რამაიანას“ მოძმე გმირები ერთობლივად ქმნიან ინდუსური ღვთაების ვიშნუს მეშვიდე ავატარას (ღვთაების რეალურ განსხეულებას). „მაჰაბჰარატა“ კი შეიცავს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ რელიგიურ ტექსტს, „ბჰაგავატ-გიტა“ (ღმერთის სიმღერა), რომელსაც ბრძოლის წინ ქადაგებს ვიშნუს ღვთაებრივი განსახიერება – კრიშნა. ჩინეთში ჩინი თარიღდება ძვ. წ. აღ-ის მეოთრმეტე საუკუნით, ხოლო ლაო-ძის შეგონებანი და კონფუციუსის „საუბრები და მსჯელობანი“ ძვ. წ. აღ-ის VI საუკუნეს მიეკუთვნება.

დიდი განსჯა არა სჭირდება, რომ თითოეული კულტურის უძველეს მწერლობას წარმოადგენს ძირითადად გადმოცემები სამყაროს შექმნის შესახებ, ღმერთების ქება, ლიტურგიკული დოგმები, შელოცვები და თეოსოფიური სიბრძნის ნარკვევები. ჰომეროსის ორ უდიდეს ეპოსში „ილიადასა“ და „ოდისეაში“, რომლებიც დასავლური ჰუმანიზმის პირველწყაროს წარმოადგენენ, სრულიად აშკარად შეიმჩნევა ზებუნებრივი შემადგენელი ის მოვლენები, რომლებზეც შეიქმნა ლეგენდები ტროას ომის შესახებ, ძვ. წ. აღ-ის დაახლოებით 1200 წელს რომ მოხდა. ხოლო ჰომეროსის მონათხრობი 4-5 საუკუნით გვიან შეიქ-

მნა. ჰომეროსს საქმე ჰქონდა იმ სამყაროსთან, რომელიც მისთვის არქაული იყო. მისი დამოკიდებულება ღმერთებისადმი ზოგჯერ ძალზე უდარდელია და ამიტომაც რენესანსის კრიტიკოსებმა რომაელ ვირგილიუსთან შედარებისას იგი უტიფრად შერაცხეს.

არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ ტროას ომი ის მოვლენაა, რომელიც ზეცაში იყო გადაწყვეტილი. განხეთქილების ქალღმერთი ერიდა არ მიიწვიეს მეფე პელეგისა და ზღვის ღმერთქალ თეტიდას ქორწილზე, ამიტომ მან შური იძია: მოზეიმე ხალხში ჩააგდო ოქროს ვაშლი წარწერით – „ყველაზე მშვენიერს“. ჰერას, აფროდიტეს და ათენას – სამივეს სურდა ეს ჯილდო და ამიტომ ზევსს სთხოვეს გადაწყვიტა. მან პასუხისმგებლობა გადააბარა მოკვდავ ადამიანს – პარისს – პრიამოსის ვაჟსა და ტროას მეფეს. პარისმა კი ეს ჯილდო აფროდიტეს გადასცა იმ პირობით, რომ მას ქვეყნის ყველაზე ლამაზ ქალს შერთავდა ცოლად. ეს კი იყო ელენე, სპარტის მეფის – მენელაოსის – მეუღლე. პარისი მენელაოსის სასახლეში სტუმრობისას ელენეს დაითანხმებს მასთან ერთად გაქცევაზე. მენელაოსი და მისი ძმა – მიკენის მეფე აგამემნონი – მოამზადებენ ბერძენთა თავდასხმას ელენეს დასაბრუნებლად და ტროას ომიც იწყება. ფლოტის შეტევა შეყონდება ქალღვთაების მორიგი შეურაცხყოფის გამო: აგამემნონმა არტემიდას წმინდა ირემი მოკლა. ქალღმერთი შეაკავებს ზურგის ქარს და შავ ჭირს გაავრცელებს შეჩერებულ ჯარში, ვიდრე აგამემნონი მას საკუთარ ქალიშვილს – იფიგენიას – შესწირავდეს. ომის შემდგომ ბედ-ილბალზე გავლენასაც ღმერთების სიმპათია ახდენს; ზღვის ღმერთი პოსეიდონი და შეურაცხყოფილი ქალღმერთები ჰერა და ათენა ბერძენებს ენმარებინან; ხოლო აფროდიტე და მისი სატროფო – ომის ღმერთი არესი – ტროელებს უმართავენ ხელს. ზევსი და აპოლონი ნეიტრალურ პოზიციაზე დგანან.

ჰომეროსი თავის მკითხველს მიანდობს ამ თეოლოგიური კონტექსტის გაცნობას. „ილიადა“ იმ ამბით იწყება, თუ როგორ შეურაცხყო აგამემნონმა ღმერთი აპოლონი. ომის შემდგომ მისი ნადავლი აღმოჩნდა აპოლონის ქურუმის ქრიზესს ქალიშვილი. ამ მშვენიერი ტყვე-ქალის დათმობის შემდეგ აგამემნონი დაატყვევებს ბრისიდას, რომელიც აქილევის კუთვნილება იყო. განრისხებული აქილევის ომს გამოეთიშება და საკუთარ კარავში განმარტოვდება. აქილევის რისხვა და მისი ფინალური ტრიუმფალური შეერთება ბერძენთა ჯარებში გამოიწვევს ჰექტორის, პრიამოსის მეფის ვაჟისა და ტროელთა წინამძღოლის სიკვდილს. აქ იკვრება იმ მოქმედებათა წრე, 40 დღეს რომ მიმდინარეობდა და რომელიც არის საგა ბრინჯაოს ხანის ომისა. „ილიადა“ იმით მთავრდება, რომ ღმერთკაცი აქილევის (პელეგისა და თეტიდას ვაჟი) საკუთარ ღირსებას აღიდგენს, შეისმენს პრიამოსის ვედრებას, ღირსეულად დაკრძალოს შვილის ცხედარი, და უბრუნებს მას ჰექტორის გვამს. აქილევის საკუთარ მამასავით მიმართავს მოხუცებულ პრიამოსს:

ნუ განმარისხებ, თვითონ ვიცი, დიდხანია მმართებს ჰექტორის დაბრუნება.

ზევის სურვილი

მაცნობა დედამ, ზღვის მოხუცი მეფის ასულმა.

**ვერ დამიმაღავ მე, პრიამოს, ღვთაების ნებამ
შენც აქაველთა ხომალდებთან რომ მოგიყვანა.***

„ოდისეაში“ უფრო საგრძნობია რელიგიური ზეგავლენა. ოდისევსი მოგზაურობს ხმელთაშუაზღვისპირეთში, რომელიც დასახლებულია ღმერთებითა და ღვთიური ქმნილებებით: სცილა, ქარიბდა, ეოლოსი, პოლიფემოსი, კალიფსო და ცირცე – მათ ყველას ღვთიური წარმოშობა და უფლებანი აქვთ. ეოლოსი ქარების მბრძანებელია, ცირცე გრძნეულია – რომელიც ადამიანებს ღორებად აქცევს და ოდისევსს გააგზავნის ჰადესში, ქვესკნელში, სადაც იგი გარდაცვლილთა აჩრდილებს შეხვდება, მათ შორის, საკუთარ დედასა და ტროას ალყის დროს დაღუპულ თანამებრძოლებს. ზღვის ღმერთის, პოსეიდონის მტრული განწყობა აყოვნებს ოდისევსის შინ დაბრუნებას, რაც მხოლოდ მისი მფარველი ქალღმერთი ათენას დახმარებით მოხდება. როდესაც ათენიანი მტანჯველი მოგზაურობის შემდეგ იგი ბოლოსდაბოლოს დაბრუნდება მშობლიურ ითაკაში, ათენა მას ახალგაზრდა მწყემსის სახით შეხვდება. როდესაც მოისმენს ოდისევსის ცრუ მონათხრობს, თუ როგორ მოაღწია მან ამ ნაპირებამდე, ქალღმერთი სხივისმფრქვეველი ქალის გამოსახულებას მიიღებს, დაუყვავებს და ეტყვის:

**ყოველთვის ასე შემპარავი, ცბიერი იყავ,
შენებრ მოქცევა ღმერთისთვისაც ძნელია მეტად.
შე ოინბაზო, ტყუილებით გაუმადლო,
ცბიერებაზე ხელს არ იღებ მშობელ მხარეშიც...
... ერთი მოკვდავი ვერ გაჯობებს სიტყვით თუ საქმით,
და მეც ვერავინ მომიდგება უკვდავ ღმერთთაგან
ჭკუით და ხერხით. ნუთუ ვერ მცნობ ათენ პალადას?***

ასეთი სათუთი მოპყრობა და ხალისიანი გარიგება სიყვარულს ბადებს ქალღმერთსა და მის რჩეულ მოკვდავ ადამიანს შორის. ათენა ნაწარმოებში სხვადასხვა სახეს იღებს, ოდისევსს გაურკვევლობის ბინდში ახვევს, გამოცდას უწყობს მის მეუღლე პენელოპეს, მისი მთხოვნელების სისხლს ღვრის და ბოლოს ოდისევსს თავის საქორწინო სარეცელს უბრუნებს. მიუხედავად იმისა, რომ ოდისევსს ყველა მეზღვაური დაეღუპა მოგზაურობისას და მისი დაბრუნების შემდეგ საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოხდა, „ოდისეა“ საბოლოოდ კომედიად, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება გაიმარჯვოს ყველანაირ განსაცდელზე მამაცმა და ჭკვიანმა ადამიანმა, რომელსაც ღვთიური მფარველი ჰყავს. სამოქალაქო და საოჯახო წესრიგი აღდგენილია.

„ოდისეას“ ღმერთებისა და ადამიანების ერთობლივი სამყარო კეთილი ოცნებაა, სადაც ბუნების მკაცრი იმპერატივი და ადამიანთა მისწრაფებანი თანხმობას აღწევენ. ბუნების ძალეს, რომელთა პირისპირაც ჩვენ უსუსურნი და უნუგემონი ვართ, აქ ღმერთები განასახიერებენ. ბუნება აქ ზებუნებრივის სამოქმედო არეა. ამ არეში მოხვედრილი „ოდისეას“ გმირი, არამარტო გილგამეშის ხანმოკლე გამარჯვებებს აღწევს, არამედ პირადი ბედნიერების საფუძველსაც მოიპოვებს.

* ჰომეროსი „ილიადა“. თარგმანი რომან მიმინოშვილისა
** ჰომეროსი „ოდისეა“. თარგმანი პანტელეიმონ ბერაძისა

ძვ. წ. აღ-ის V ს-ის სამი უდიდესი ბერძენი დრამატურგი – ესქილე, სოფოკლე და ევრიპიდე – ერთად ადევნებდნენ თვალს ღმერთების რეალურობის დაკნინებას. ბერძნული დრამა თავდაპირველად შეიქმნა, როგორც რიტუალი, მიძღვნილი ღვინისა და მხიარულების ღვთაება დიონისესადმი. ღარიბთა ღმერთი მათ ანუგეშებდა მძვინვარე და გაშმაგებული რიტუალებით. ღმერთისადმი მიძღვნილი დღესასწაულის ნაწილი იყო დითირამბები – არათანაბარი და ამბლბეული საგალობლები, რომელთაც ასრულებდა გუნდი და ასევე იმპროვიზაციები გუნდის სოლისტის შესრულებით.

არისტოტელეს შეფასებით, ესქილემ შემოიყვანა მეორე მსახიობი და, მაშასადამე, შექმნა დრამა. მისი დრამები აგებულია მარტივად, სადაც ქოროს როლი ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია და მოქმედება ისევე ახლოსაა თეოლოგიურ პოლემიკასთან. „მიჯაჭვული პრომეთე“, მაგალითად, გვიხატავს ტიტანის მარადიულ ტანჯვას, რომელმაც ზევსის წინააღმდეგობის მიუხედავად, კაცობრიობას ცეცხლი მოუტანა. ამის გამო დასასჯელად მიჯაჭვულია კავკასიონის ქედზე, სადაც არწივები ღვიძლს უკორტნიან. ეს ზევსი ჰომეროსის მწყალობელი ზევსი აღარაა, იგი სასტიკი ტირანია. პრომეთეს მიმართავენ:

**ხშირი გოდებით, საყვედურით სულ უსარგებლოდ
შესძრავ გარემოს. ურყევია ნება ზევსისა
ნიადაგ მოსდგამს სისასტიკე ახალ მბრძანებელს.***

მიუხედავად ამისა, თვითონ ზევსია ბედის გამგებელი და პრომეთე თავის საბოლოო გათავისუფლებას წინასწარ ჭვრეტს.

სამყაროში, სადაც მმართველი ერთი შეხედვით ულმობელი და თვითნება ღმერთია, სამართლიანობის საკითხი გავლენას ახდენს აგამემნონის ოჯახის ლეგენდარულ ეპიზოდზე. ტროას ომიდან დაბრუნებული აგამემნონი საკუთარმა ცოლმა კლიტემნესტრამ და მისმა სატრფომ ეგისტემ მოლაღატურად მოკლეს. ამ თემაზე დრამები შექმნეს სოფოკლემ, ევრიპიდემ და ესქილემ ტრილოგიაში „ორესტეა“. ტრილოგიაში აგამემნონის ვაჟი ორესტე დევნილობიდან ბრუნდება, თავისი დის ელექტრას ნაქეზებით შურს იძიებს მამის მკვლელობისათვის და საკუთარ დედასა და მის სატრფოს კლავს. მაგრამ დედის მკვლელობა საზარელი დანაშაულია და წარსულთან დაკავშირებული ბოროტებათა რიგი შეუძლებელს ხდის მარტივი ზნეობრივი განაჩენის გამოტანას. კლიტემნესტრას თავის დასაცავად მოჰყავს ის არგუმენტი, რომ აგამემნონმა მათი ქალიშვილი იფიგენია გასწირა ტროას ლაშქრობის დასახმარებლად და შინ მოიყვანა თავისი ხასა კასანდრა – პრიამოსის ქალიშვილი. ეგისტე თავის გასამართლებლად იხსენებს საკუთარი მამის თიესტეს საზარელ მკვლელობას მისივე ძმის ატრევსის მიერ, ვინც მას მისი დაბოცლილი ვაჟების ხორცი აჭამა. აგამემნონი და მენელაოსი კი ატრევსის შვილები არიან, მათი სამეფო სახლი დაწყევლილია. კასანდრა ამბობს:

* ესქილე; „მიჯაჭვული პრომეთე“. თარგმანი გიგლა სარიშვილისა

**ღვთისმგობელა ადგილია ეს სრა-პალატი,
მონმე მკვლელობის და ჯალათობის
განესტილია იატაკი მოყვასის სისხლით.***

ამ ტანჯვისა და სისასტიკის შეფასებისას ესქილეს ქო-
რო სანუგეშოდ აცხადებს:

**უფალი ტანჯვას და რუდუნებას
მოუვლენს მოკვდავთ, რომ აზიაროს
ამრიგად სიბრძნეს და სათნოებას.****

ტრილოგია მთლიანობაში ამ პრობლემას რწმენით გა-
დაჭრის, რადგანაც ათენა არწმუნებს ფურიებს, რომ შენ-
ყვიტონ დამნაშავე ორესტეს დევნა და სანაცვლოდ მიი-
ღონ ტაძრები და თავყანისცემა ათენში. ამრიგად, რელი-
გიურ სისტემაში გაერთიანდებიან ღმერთებს შორის ყვე-
ლაზე შავ-ბნელი ძალები. ათენა ფურიებს მიმართავს:

**ყოველ პალატში დაიგულეთ კვერთხი და ტახტი,
გეთაყვანებთ მოკრძალებით დაბა-ქალაქნი.*****

აკრძალვისა და შურისგების მორალის სისხლიანი ქმე-
დებანი სარისკო გარიგებას აღწევენ მოქალაქეობრივ აზ-
როვნებასთან.

სოფოკლემ, რომელიც ესქილეზე 30 წლით ახალგაზ-
რდა მაინც იყო, დრამაში შემოიყვანა მესამე მსახიობი და
ქოროს როლის შემცირებით ხასიათებს შორის ურთიერ-
თმოქმედების არე გააფართოვა. გმირული ეპოსის გადმო-
ცემების გაცოცხლებით მან აღადგინა ზებუნებრივი ჩარ-
ჩო, სადაც კვლავ ჩანს რწმენა. მისი ანტიგონე ასკვნის:

**სიბრძნეა, ყველაფერს რომ აღემატება,
არავის უღირსად არ უნდა მოვექცეთ
დიდებულ ღმერთთაგან.******

მართლაც, სამ უდიდეს ბერძენ დრამატურგს შორის,
ის გვიქმნის ყველაზე ნათელ წარმოდგენას ბერძნული
რელიგიის შესახებ – გვიხატავს მის ნესტიან და პირქუშ
მღვიმეებს, დანგრეულ ტაძრებს, სისხლიან მსხვერპლშე-
წირვებს, წინასწარმეტყველებებს, სინმინდის არსსა და
ბინიერების სიძულვილს, ღვინის შეწირვის რიტუალებს,
მის შიშისმომგვრელ წმინდა ადგილებს.

სოფოკლეს შემოქმედებაში ღმერთების გამოჩენას
თან სდევს სასტიკი ბრალდებები. „ფილოქტეტეს“ მთავა-
რი გმირი სვამს კითხვას:

**რალა უნდა ვთქვა, ვით ვადილო ჩვენი
ღმერთები? მე მათ ვადიდებ...
მაგრამ ვხედავ: ავია ღმერთი!*******

* ესქილე; „აგამემნონი“; თარგმანი გიგლა სარიშვილისა
** იქვე
*** ესქილე; „ევმენიდეები“; თარგმანი გიგლა სარიშვილისა
**** სოფოკლე; „ანტიგონე“; თარგმანი გიორგი ხომერიკისა
***** სოფოკლე; „ფილოქტეტე“; თარგმანი რომან მიმინოშვი-
ლისა

„ტრაქინელი ქალები“ შემდეგნაირად მთავრდება:

**ხედავ რა ცოტა თანაღმობა გამოხატეს
ღმერთებმა ყველაფერში რაც მოხდა: მათ,
ვისაც მამებს ვუნოდებთ, ვინც გვშობეს,
შეუძლიათ უყურონ ამგვარ ტანჯვას...
შენ ნახე საშინელი სიკვდილი
და აგონიები, მრავალი და უცხო, და
არაფერი მომხდარა ზევსის გარეშე.***

სოფოკლე არ კიცხავს ღვთიურ მართლმსაჯულებას.
მის ორ ბოლო დრამაში – „ფილოქტეტე“ და „ოიდიპოსი
კოლონოსში“ – ნაჩვენებია დაწყვეილი დევნილების გა-
თავისუფლება და ღვთის კარგისმომასწავლებელი განგება.
ორესტეს ამბის მისეული ვერსია „ელექტრა“ მიდის უღმო-
ბელ დასასრულამდე და მისი მთავარი გმირი შეიცნობს,
რომ „არის ყამი, როცა თვით სამართალს მოაქვს ვნება.“**

არც ორესტეს და არც ელექტრას სხვა ფიქრი და შე-
ნიშვნა არ გააჩნიათ; ისინი აიძულებენ ეგისტეს სახეში შე-
ხედოს თავის მოკლულ სატრფოს. მას ორესტე აძევებს და
უშნება:

**უნდა ვიზრუნო, რომ სიკვდილი
მწარე იყოს შენთვის. სამართალი უნდა შეეხოს
ყველას ვინც კანონის ქვეშ მოქმედებს –
სასიკვდილო განაჩენი. და ამით ნაკლები
არამზადები გვეყოლება.*****

ქორო აქ ჩნდება და აცხადებს, რომ დღევანდელი
დღის ნამოქმედართ ატრევსის სახლმა თავისუფლებას
მიაღწია.

თუ სოფოკლე ადამიანური გმირობის აუცილებელ
დამხმარე ძალად ღვთიურ სამყაროს ირჩევს, მასზე 10
წლით ახალგაზრდა ევრიპიდე რელიგიას წარმოგვიდგენს,
როგორც კომმარს. მის 19 ტრაგიკულ დრამაში, ძველი
ლეგენდებიდან აღებული ბარბაროსული ძალადობები
უფრო მკაფიოდაა წარმოდგენილი ადამიანური ფსიქოლო-
გიის ფონზე და ისეთი სიღრმითაა დახატული, რომ მარა-
დიულად თანამედროვე რჩება. მის ორ საუკეთესო დრამა-
ში „იპოლიტოსი“ და „ბაკხიქალები“ ნაჩვენებია, თუ რო-
გორ დასაჯავს აფროდიტემ და დიონისემ ორი მოკვდავი –
იპოლიტოსი და პენთეესი, რადგანაც მათ ღმერთებს თაყ-
ვანი არ სცეს. მომაკვდავი იპოლიტოსი ამბობს:

ეჰ, ნეტავ ადამიანები ღმერთების წყევლა იყვნენ.****

ქორო დასტირის რწმენის დაკარგვას, რომელიც გამო-
იწვია:

ღმერთების შეუძვრელმა გულებმა.*****

* სოფოკლე; „ტრაქინელი ქალები“
** სოფოკლე; „ელექტრა“;
*** სოფოკლე; „ელექტრა“
**** ევრიპიდე; „იპოლიტოსი“;
***** იქვე

ღმერთის ზრუნვა ჩვენზე დიადი რამ იქნებოდა
კაცს რომ გულით სჯეროდეს:
დარდის ტვირთს აიცილებდა ამით.
ასე რომ საიდუმლო იმედი მაქვს
იმის, ღმერთის, ბრძენისა ვინც გვეგმავს;
მაგრამ ჩემი იმედები ბუნდოვანდება როცა
ვხედავ კაცის საქმეებს
და მის ბედისწერას.*

რელიგიური იმპულსი გესლიანად არის განმარტებული:

**ცხოვრება კაცობრიობისა ტანჯვაა:
ვერ ჰპოვებს მოსვენებას, ვერც სამოთხეს
ტანჯვის გამო.
მაგრამ მაინც რაღაც ძვირფასს ცხოვრების
სიბნელე მალავს და ნისლი ბურავს;
ჩვენ ვართ უიღბლო შეყვარებულნი იმისა
რაც კაშკაშებს ქვესკნელში.****

ევრიპიდეს დრამაში გაღმერთებული ფურიების ადგი-
ლი იდუმალმა დემონებმა დაიკავეს.

რადგანაც ბერძნულ რელიგიაში ღმერთები ბუნების
ძალებს განასახიერებენ, ისინი პასუხისმგებელნი არიან
ამ ძალთა სისასტიკის გამო. ათენასა და ოდისევსს შორის
გარიგებას სხვა მსგავსება არ მოეძებნება, რადგანაც
უმეტეს შემთხვევაში ღმერთები ჩვენ გვანადგურებენ.
დრამებში „ელექტრა“ და „ორესტე“ ევრიპიდე მგზნებარ-
ედ მოგვითხრობს შურისმაძიებლური მკვლელობის ამ-
ბავს, რომელსაც დაჟინებით მოითხოვდნენ აპოლონი და
გარყვნილი მამინაცვლის ტყვეობაში მყოფი პრინცესა.
საკუთარი დედის მკვლელობის შემდეგ გამოფხიზლებუ-
ლი ორესტე აპოლონს ადანაშაულებს მომხდარ ტრაგედი-
აში. როდესაც მენელაოსი კითხულობს, რატომ არ დაგეხ-
მარა აპოლონი განსაცდელის უამსო, ორესტე ღვთისგმო-
ბით მიუგებს:

**ჰო, ინებებს. როცა ამის დრო დადგება.
ღმერთები ნელნი არიან ბუნებით.*****

მთლიანად დიადი „ტროას საკითხი“ პაროდისა ემსგავ-
სება მინიერ ნერვულ აშლილობასთან კავშირში. მენელა-
ოსსა და ელენეს ეგოისტური და აულელევებელი განწყობა
აქვთ, როცა აცნობიერებენ რამდენი სიცოცხლე იმსხვერ-
პლეს. ის შურისმგებლური მკვლელობებით სავსე ციხე-სი-
მაგრე, რომელიც გადაეცა ტანჯულ ორესტეს ატრევსისა-
გან და ატრევსს კი თავისი პაპის – ტანტალოსისაგან, კარ-
გავს თავის ბარბაროსულ მნიშვნელობას იმ ანაქრონული
განცხადების შემდეგ, რომ სამართალი არსებობს:

**სამართლიანი აქტი, არა მკვლელობა
აი, რა უნდა მომხდარიყო.******

* იქვე
** იქვე
*** ევრიპიდე; „ორესტე“
**** იქვე

მოურიდებელი ავტორი ყველა სახის საზარელ ინტერ-
პრეტაციას ახდენს. პირველად ბერძნული დრამის განვი-
თარების გზაზე ჩვენ დრამატურგის პიროვნების შეცნობა
შეგვიძლია, რომელიც უდარდელია კონსტრუქციაში და
სენსაციურია შედეგებში. ევრიპიდეს აღარ ესაჭიროებო-
და ღმერთები, როგორც ზნეობრივი გზის მაჩვენებლები
და მათ თეატრალური გამოყენება მოუძებნა. ძალიან ხში-
რად გამოიყენება „დეუს ექს მახინა“ (ღვთიური მექანიზ-
მი), სადაც ღმერთი უბრალო მანქანაა, რომელმაც გადა-
უჭრელი სიუჟეტი უნდა დაასრულოს. მის ორ დრამაში
„ელენე“ და „იფიგენია ტავრიდელი“ ტროას ტრაგედიის
მთავარი მოქმედი გმირები ტოვებენ ძველ როლებს და ახ-
ლად გამოგონილი ჟანრის – რომანტიკული კომედიის მო-
ნანილენი ხდებიან. ევრიპიდე აღწევს იმ თავისუფლებას,
რაც თანამედროვე ავტორებისთვისაა ნიშანდობლივი,
რადგანაც მან გზა გაუხსნა პირწმინდად ადამიანურ ბუ-
ნებას და ძველი რელიგიურ-ალეგორიული გამოხატულე-
ბანი კერძო ბოროტებამდე ჩამოაქვეითა.

უღმერთებოდ პიროვნების თავგადასავალს რა მნიშ-
ვნელობა და რა მიმართულება უნდა ჰქონდეს? ევრიპი-
დეს მერყევი, მოჯადოებული, სასტიკი და მძვინვარე
ორესტე აღარ არის გმირი ძველი გაგებით, აღარ არის მე-
ფე გაღმერთებისაკენ მიმავალ გზაზე. ადამიანთა ქმედე-
ბებში აღარ არის ზეალმართული ისარი, მხოლოდ ჰორი-
ზონტალური ისრებია მოყვარულებსა და მოძულეებს შო-
რის, მეგობრებსა და მეტოქეებს შორის, მონადირესა და
ნანადირევს შორის. ორესტე ბევრ სხვადასხვა თვისებას
ამჟღავნებს, მაგრამ არა თავისი ძველი პროტოტიპის დი-
დებულებას, ღვთისგან ბოძებულს. „ელექტრაში“ იგი გან-
მარტავს:

**ეჰ,
სიკეთეს ვეძებთ დედამინაზე და ვერ ვცნობთ
როცა ვნახულობთ, ამიტომაა საკაცობრიო
მემკვიდრეობა ძალღური...
როგორ გაარჩიოს კაცმა კაცი, რა გამოცდა
მოუნყოს?***

რელიგიამ დაბადა ბერძნული მწერლობა და მის ნიალ-
შივე გაქრა. ახლა უკვე ქრისტიანულ და ისლამურ ხმელ-
თაშუაზღვისპირეთის რეგიონებში, სადაც ზევსი (იგივე
იუპიტერი) და სხვა ღმერთები ორი ათასწლეულის მან-
ძილზე მხიარულ დღესასწაულთა და მგზნებარე ლოცვის
ობიექტები იყვნენ, ტაძრები ცარიელ ნანგრევებად იქცა.
ღმერთები და გმირები მხოლოდ ლიტერატურაში ცოც-
ხლობენ, სადაც შთაგონების წყარო ხდებიან სხვადასხვა
ავტორთათვის, მაგალითად, ჯეიმს ჯოისის „ულისე“ და
იტალიელი რობერტო კალასოს „კადმოსისა და ჰარმონი-
ას ქორწილი“. ისინი გვაჯადოებენ მხატვრობასა და სა-
ბავშვო წიგნებში.

იუდეველ-ქრისტიანული რელიგიის ლიტერატურა სა-
კუთარ თავზე თვითონ მეტყველებს, მიუხედავად იმისა,
რომ ბიბლიასთან მჭიდრო სიახლოვე თაობიდან თაობამ-
დე იკლებს. ჩემი ბავშვობის სახლში, სადაც უმრავლესობა

* ევრიპიდე; „ელექტრა“

პროტესტანტი ღვთისმომში ცხოვრობდა, ბიბლიური პერსონაჟები ისეთი ნაცნობები იყვნენ ჩვენთვის და ისე ხშირად მოიხსენიებდნენ, როგორც ნათესავებს შორეული მამულიდან. ელიას ცეცხლოვანი ეტილი და იოსების ფერადი მოსასხამი ჩვენს წარმოსახვას აცისკროვნებდა. ქრისტეს იგავი ტალანტებზე და პავლეს შეგონება ქალთა ადგილის შესახებ ჩვენი ოჯახური საუბრების თემა იყო.

ბიბლიური გმირები მტკიცენი არიან რწმენაში: აბრაამი, მოსე, დანიელი, დავითი, იობი, იესო ქრისტე, პეტრე და პავლე არ კარგავენ ღვთის რწმენას. ქრისტიანული რელიგიის სიღრმეში აბრაამის სურვილი, შესწიროს ღმერთს თავისი ვაჟი ისააკი, და ღვთის სურვილი, რომ მისი შვილი იესო ჯვარს ეცვას, ეხმაურება ბერძნული ლეგენდების ოჯახურ სისხლისღვრას – მაგრამ ორივე შემთხვევაში ეს გადარჩენისა და ხსნის მიზნით ხდება. იმპერატორ კონსტანტინე I-ის ეპოქიდან მოყოლებული დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ შექმნამდე მთელს ევროპას ქრისტიანული სარწმუნოება მართავდა და მორწმუნე გმირები სხვადასხვა სახით გვევლინებოდნენ, მაგალითად: ელსიდი და წმ. ფრანცისი.

როდესაც გამოჩნდნენ გმირები, რომელთა რწმენაც გადაჭარბებული, თუმცაღა მიმზიდველი და საინტერესო იყო, სრულიად ახალი, შეიძლება ითქვას, პოსტ-ქრისტიანული ეპოქა დაიწყო. ასეთი გმირი გახლდათ პროტაგონისტი მიგელ დე სერვანტესისა „დონ კიხოტიდან“, რომელიც ორ ნაწილად გამოიცა 1605 წელს და მიჩნეულია პირველ თანამედროვე რომანად. რადგანაც დონ კიხოტი მხოლოდ რაინდული ოცნების საგმირო საქმეებს სჩადის, მისი რწმენა მხოლოდ რიგი ბრძოლებისას იმარჯვებს, მაგრამ ის რწმენა ეხმარება მას მხნედ შეხვდეს ყველა განსაცდელს.

სერვანტესის თანამედროვე უილიამ შექსპირი – რომელიც თაობით გვიან დაიბადა, მაგრამ საყოველთაო აღიარებას ესპანელ ავტორზე ადრე მიაღწია – ის დრამატურგია, რომელიც ევრიბიდეც აცოცხლებს თავისი ფსიქოლოგიური ალღოთი, გამოგონებათა სიუხვით და სკეპტიკური დამოკიდებულებით თავისი დროის რელიგიური მრწამსის მიმართ. აქ ღმერთს მოუხმობენ, ჩნდებიან აჩრდილები, წყევლა მოქმედებს, მაგრამ მოვლენები შექსპირთან ღრმად ადამიანურია, ადამიანური ბუნებისათვის ნიშანდობლივი ურთიერთსაწინააღმდეგო განცდებ-

ბით მდიდარი. აქ ჩანს პიროვნების მნიშვნელობის წარმავალობა. ამოუცნობი ზეცის ქვეშ ზოგჯერ, ისევე, როგორც ევრიბიდე, შექსპირიც გადამეტებულ სიძულვილს ავლენს ადამიანის ქმედების შემხედვარე და დრამაც ველარ აღწევს მიზანს: მაგალითად, „ტროილოსა და კრესიდაში“ და „მეფე ლირში“ ურიცხვი უბედურებაა ნაჩვენები. პირველში ბერძნული გარემოა დახატული, მეორე კი ევრიბიდეც ციტატებს შეიცავს.

მაგრამ შექსპირის ტონი არ არის მხოლოდ ეს სკეპტიციზმი და პესიმიზმი, ეს არ გულისხმობს, რომ ამ თვისებებს იგი პირად ცხოვრებაშიც ავლენდა. იმჟამად, როცა ათეიზმი სიკვდილით ისჯებოდა, ის, სავარაუდოდ, კანონმორჩილი ადამიანი იყო, რადგანაც იყო მემამულე ბურჟუა და „გლობუსის“ თეატრალური დასის წევრი. მწერლის რელიგიური მრწამსი არ გულისხმობს მისი შემოქმედების რელიგიურ შინაარსზე უცილობელ გავლენას. ჯონათან სვიფტი ანგლიკანური სარწმუნოების მიმდევარი მღვდელი გახლდათ, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მწვავე სატირის შექმნაში. ალექსანდრე პოუპი კათოლიკე იყო, მაგრამ თავის პოეზიაში გამოდიოდა მელოიორისტული დეიზმის მხარდამჭერად. ჯონ მილტონი „დაკარგულ სამოთხეში“ წმინდა სულს მიმართავს:

შეძლება მომეც, დავამტკიცო განგების მადლი და ღმერთის გზები, კურთხეული, გაჩვენო კაცთა.*

მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, ხოტბა შეესხა ღმერთის მოწინააღმდეგე ლიუციფერისათვის, რომელიც ამ რელიგიური ეპოსის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაა.

მეოცე საუკუნის მკითხველი ვერ იგრძნობს ქრისტიანულ ნუგეშს ისეთ ქრისტიან მწერალთა შემოქმედებაში, როგორებიც არიან გრემ გრინი, მურიელ სპარკი, ივლინ ვო, ფლანერი ო'კონორი, ფრანსუა მორიაკი. ისინი ხატავენ უფერულ სამყაროს, რომელიც სიცარიელითა და ალოგიკურობით ხშირად კომიკურია. ეს არ არის ანთებული რწმენითა და ნუგეშით სავსე სამყარო, არამედ განადგურებული სამყაროა, რომლის სიცარიელეც ავტორთა

* ჯონ მილტონი; „დაკარგული სამოთხე“; თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა

გონკურის პრემია შეთსულის ავტორიზაციისათვის გაიცა

გონკურის პრემიის 2007 წლის ლაურეატი გახდა მწერალი ჟილ ლერუა – ავტორი რომანისა „ალაბამას სიმღერა“ (ამერიკელი მწერლის – ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის შემოქმედებული მეთულის ზელდა ფიცჯერალდის შეთხზული ბიოგრაფია).

ლერუას ნიგნში მოქმედება ძირითადად 20-ან წლებში ვითარდება, როცა ზელდა ქმართან ერთად ევროპასა და ამერიკაში ბობოქარი ცხოვრებით ცხოვრობდა. იმხანად ფიცჯერალდს ალკოჰოლიზმის ნიშნები გამოაჩნდა, ზელდას კი – შიზოფრენიისა. მწერლისა და მისი მეთულის ურთიერთობა ნაწილობრივ აღწერილია ფიცჯერალდის რომანში „ნაზია ლამე“.

რომანის სახელწოდება – „ალაბამას სიმღერა“ – ნასესხებია ბერტოლდ ბრეხტისა და კურტ ვაილისაგან. ასეა დასათაურებული ზონგი, რომელიც მათ ოპერა „მახოგონში“ (1927 წ.) ჟღერს. ამას გარდა ზელდა ფიცჯერალდი ალაბამას შტატის მკვიდრი გახლდათ.

48 წლის ლერუას კალამს ეკუთვნის ათამდე რომანი. მისი სადებიუტო ნიგნი გახლდათ „ხაბიბი“, რომელიც 1987 წელს გამოვიდა. 2005 წელს ლერუას რომანი „საიდუმლო დამწერლობა“ მედიის პრემიაზე იყო წარდგენილი.

რწმენაც შეარყია. ჰაგიოგრაფია ვინრო საზღვრებში მოაქციეს რომანისტიკმა და შედეგად მიიღეს ასეთი სამყარო, თავისი ტკივილითა და შელახული სიდიადით. ნუთუ ეს არ არის ის ყველაფერი, რასაც ისინი მოელოდნენ?

გრემ გრინმა კრიტიკულ ნარკვევებში დახატა სხვაობა ამ საუკუნესა და წინა საუკუნეს შორის: „ჰენრი ჯეიმზის გარდაცვალების შემდეგ ინგლისურმა რომანმა მარცხი განიცადა, რადგანაც ჯეიმზის სიკვდილთან ერთად გაქრა რელიგიური ცნობიერება ინგლისური რომანის მიმართ, და რელიგიური ცნობიერების გაქრობამ გამოიწვია ადამიანის ნამოქმედარის მნიშვნელობის გაქრობა. ჩვენ დიდ რომანისტიკებს შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მატერიალისტის – ტროლოპის – შემოქმედებაშიც კი ვეცნობით განსხვავებულ სამყაროს, რომლის წინააღმდეგ მიმართული პერსონაჟთა ქმედებებიც ნუგეშისმომგვრელია“. ჯეიმზი თვითონ არ ყოფილა მორწმუნე, მაგრამ იგი ინარჩუნებდა უნებურ რელიგიურობას, რამაც მის რომანებს ზნეობრივი დრამის სიღრმე და ინტერესი მიანიჭა. ინგლისელმა ვიქტორიანელებმა შეაჯამეს ერთიანი ქრისტიანული მგრძობელობა, რომელიც ესადაგება არამართო ჩარღბ დიკენსის კეთილ და ბოროტ პერსონაჟთა წინააღმდეგობას და მის ბედნიერ დასასრულს, არამედ ასევე ჯორჯ ელიოტის უფრო მეტად აგნოსტიკურ კვლევას ადამიანური გულისწადილისა და მისი აღსრულების შესახებ.

მოდერნიზტიკები აღმოჩნდნენ იმ ნანგრევების პირისპირ, რომელიც დარვინის, მარქსის, ფროიდისა და მაღალი კრიტიციზმის მიერ ვიქტორიანული ქრისტიანობის საფუძვლების შერყევამ დატოვა. მათ სცადეს შეექმნათ თვითონ ხელოვნების რელიგია. იეზუიტმა ჯეიმზ ჯოისმა „ოდისეას“ მონახაზზე დაყრდნობით 1904 წელს შექმნა

ბუმბერაზი რომანი დუბლინის ბანალური ცხოვრების შესახებ, რომელიც აღსავსეა იდუმალი რემინისცენციებითა და ზუსტი სქემატიკით. მარტოხელა და დაუძღურებულმა მარსელ პრუსტიმა მთელი ცხოვრება ჩალვარა მოგონებათა სიტყვიერ ტაძარში. პრუსტისა და ფრანც კაფკას ტანჯვა და მღელვარება ძალიან ჰგავდა წმინდანთა თვითგვემას. მწერალი გაიგივებულია მოძღვართან, რომელიც გვაზიარებს სასწაულებსა და ღირებულებებს. ეს იდეა ბრუნდება ფლობერთან და შესაძლოა უორდსუორთან, რომელმაც საკუთარი რელიგიური შეხედულებანი გამოხატა პირად გრძნობათა საფუძველზე.

ერთი რამ უდავოა, ხელოვანმა, მწერალმა სრულ ნარმატიკებს რომ მიაღწიოს, უნდა გაითვალისწინოს გონების რელიგიური მდგომარეობა, რომელიც ამქვეყნიური ნარმატიკისა და მარცხის მიღმა იხედება. ენა უნდა მოიცვას ამაღლებულმა განწყობამ. თუნდაც ისეთი ტრაგიკული ხედვა, როგორც ნაჩვენებია „მეფე ლირში“, სემუელ ბეკეტსა და ჰერმან მელვილთან, გადმოცემული უნდა იყოს გარკვეული სადღესასწაულო ელფერით. სამწერლობო ხელოვნების ნიმუში სამყაროში იქმნება და აქვე რჩება, მაგრამ სრულიად განსხვავებულია თავისი განზომილებით. ჩვენ, როგორც მკითხველი, შევიდვართ ამ სამყაროში და ვეძებთ იმ სიღრმეებსა და პროტოტიპებს, რაც ჩვენს ცხოვრებას აკლია. ჩვენს წინ იშლება სამყარო, რომელიც ბუნების მიღმა არსებობს – მოკლედ, ეს ზებუნებრივი სამყაროა. ესთეტიკური სიამოვნება, ისევე, როგორც რელიგიური განწყობილება სულიერების, ამაღლების და გადარჩენის გზაა.

ინგლისურიდან თარგმნა
თეონა თომაშვილია

მოგონებათა სკიპრი

ელის ბ. ტოკლასი

ბერტრუდ სტიანის
ავტობიოგრაფია

*

ფრაგმენტი

როგორც გითხარით, რუე დე ლეურუს-ის ხშირი სტუმარი რომ გავხდდი, პიკასოები – პაბლო და ფერნანდა – ისევ ერთად იყვნენ. იმ ზაფხულს ისევ ესპანეთში გამგზავრნენ და იქიდან რამდენიმე ესპანური პეიზაჟი ჩამოიტანეს. ამ პეიზაჟებიდან ორი დღესაც რუე დე ლეურუსზე შეიძლება ნახოს კაცმა, მესამე კი მოსკოვშია, შჩუკინის დაარსებულ კოლექციაში, რომელიც ახლა სახელმწიფოს საკუთრებაა. ამ სურათებით დაინყო კუბიზმი. მაშინ აფრიკული ქანდაკების გავლენის ხსენებაც არ იყო, ამკარად

იგრძნობოდა სეზანის ძლიერი გავლენა, კერძოდ, სეზანის გვიანდელი აკვარელებისა, სადაც ფონი იყოფოდა არაკუბებით, არამედ ინტერვალებით.

თუმცა ძირითადად, სახლების აღქმის არსი ესპანური იყო და ამდენად, პიკასოსეული. ამ სურათებში მან პირველად გაამახვილა ყურადღება ესპანური სოფლების შენობებზე. სახლების ხაზი პეიზაჟს კი არ მიჰყვება, არამედ ჰკვეთს მას, შიგ იჭრება და ერწყმის. ეს იყო საომარი აღჭურვილობისა და გემების კამუფლიაჟის პრინციპი. ომის პირველ წელიწადს, ზამთრის ერთ ცივ საღამოს, სასპელების ბულვარს მიუყვებოდით მე, გერტრუდ სტიანი, პიკასო და ევა, ვისთანაც ცხოვრობდა მაშინ პაბლო. ქვეყნად არსად არ ცივა ისე, როგორც რასპელის ბულვარზე ზამთრის სუსხიან საღამოს. ამ ბულვარს მოსკოვის ქუჩას ვეძახდით. უეცრად ვეება ზარბაზანი გამოჩნდა. პირველად ვნახეთ მოხატული იარაღი, ანუ კამუფლიაჟი. პაბლო გაჩერდა. მონუსხული შესცქეროდა. C'est nous que avons fait ca, თქვა მან, ეს ჩვენი გაკეთებულია, ჩვენ შეექმენით. მართალიც იყო, იმან შექმნა. აქამდე სეზანიდან მოვიდნენ პიკასოს გავლით. რალაცები წინასწარ დაინახა და გამართლდა.

მაგრამ მოდი, იმ სამ პეიზაჟს დავუბრუნდეთ. პირველად რომ ჩამოვიკიდეთ კედელზე, ბუნებრივია, არავის მოეწონა. ისე მოხდა, რომ პიკასოსა და ფერნანდას გადაუღიათ დახატული სოფლების ფოტოები და პაბლოს ეს სურათები გერტრუდ სტაინისთვის მიუცია. როცა ამბობდნენ, ეს რა პეიზაჟია, რამდენიმე კუბი დაუხატია, კუბები და სხვა არაფერი, გერტრუდ სტაინი იცინოდა და ამბობდა, ამ პეიზაჟებს მეტიმეტი რეალისტურობით თუ ინჟინერობით, საფუძველიც გაქვთო. მერე ფოტოსურათები გამოჰქონდა საჩვენებლად, და ყველა ხედავდა, რომ მართალი უთქვამს, ნახატები მართლაც ბუნების ფოტოგრაფიული ასლი იყო. გავიდა წლები და ელიოტ პოლმა, გერტრუდ სტაინის წინადადებით, ერთსა და იმავე გვერდზე მოათავსა პიკასოს ნახატის ფოტო და ამ ნახატზე გადატანილი სოფლის პეიზაჟის ფოტო. ძალიან საინტერესო გამოვიდა. კუბიზმი სწორედ მაშინ დაიწყო. ფერი თვისობრივად ესპანური იყო, მკრთალი, მოვერცხლისფრო ყვითელი, ოდნავ გადაჰკრავდა მწვანე ელფერი; ფერი, რომელიც შემდგომ პიკასოს კუბისტური სურათებისა და მისი მიმდევრების დამახასიათებელი გახდა.

გერტრუდ სტაინი სულ იმას ამბობს, კუბიზმი წმინდა წყლის ესპანური კონცეფციაა, მხოლოდ ესპანელს შეუძლია კუბისტობა და ნამდვილი კუბიზმი მხოლოდ პიკასოსა და ხუან გრიზის ნახატებიაო. კუბიზმი პიკასომ შექმნა და ხუან გრიზმა გაამდიდრა თავისი სინათლითა და ეგზალტაციით. ამის გასაგებად გერტრუდ სტაინის „ხუან გრიზის სიცოცხლე და სიკვდილის“ ნაკითხვაც კმარა, რომელიც სტაინმა თავისი ორი უძვირფასესი მეგობრის, პიკასოსა და ხუან გრიზის სიკვდილის შემდეგ დაწერა. ორივე ესპანელი იყო.

გერტრუდ სტაინი სულ იმას ამბობს, ამერიკელებს შეუძლიათ ესპანელების გაგება; მხოლოდ ამ ორ ერს ესმის აბსტრაქციაო; ამერიკელებში აბსტრაქცია საკუთარ თავს გამოხატავს განსხეულების გარეშე, ლიტერატურასა და მექანიზმებში, ესპანეთში კი იმდენად აბსტრაქტული რიტუალებითაა წარმოდგენილი, რომ არაფერს არ უკავშირდება, გარდა რიტუალისაო.

არ მავინყდება, ერთხელ ვილაც გერმანელებს უთქვამთ, ხართან ბრძოლა მოგვწონსო. მოეწონებათ, აბა რაო, – ამრებით განაცხადა პიკასომ, – მაგათ სისხლისღვრა უყვართო. ესპანელისთვის კორიდა სისხლისღვრა არ არის. ესპანელისთვის ეს რიტუალია.



გერტრუდ სტაინი მხატვარი პაბლო პიკასო

ამერიკელები, გერტრუდ სტაინის თქმით, ესპანელებს ჰგვანან, აბსტრაქტულად აზროვნებენ და სასტიკები არიან, უხეშები ან ტლანქები კი არა, სასტიკები, მინაზე ისე არ არიან მიბმულები, როგორც ევროპელთა უმეტესობა. მათი მატერიალიზმი არ არის არსებობის, საკუთრების მატერიალიზმი. ესაა მოქმედებისა და აბსტრაქციის მატერიალიზმი. ასე რომ, კუბიზმი ესპანურია.

კუბიზმის დანყებიდან ერთი წლის შემდეგ მე და გერტრუდ სტაინი პირველად რომ წავედით ესპანეთში, გაგვაოცა იმის ნახვამ, თუ როგორ ბუნებრივად ყალიბდებოდა კუბიზმი ამ ქვეყანაში. ბარსელონაში, მალაზიებში, საფოსტო ბარათების მაგივრად იყიდებოდა პატარა ჩარჩოები, შიგ მოთავსებული იყო სიგარა, ნამდვილი სიგარა, ჩიბუხი, ცხვირსახოცის ნაკუნი და ა.შ. ყველაფერი ზუსტად ისე იყო განლაგებული, როგორც კუბისტურ სურათში, გაფორმებული ჰქონდათ დაჭრილი ქალადით, სხვა საგნებს რომ განასახიერებდა. ესაა თანამედროვე ნიშანი იმისა, რაც გაკეთდა ესპანეთში საუკუნეების განმავლობაში.

ადრეულ კუბისტურ სურათებში პიკასო, ისევე როგორც ხუან გრიზი, ბექდურ ასოებს იყენებდა ნახატით დაფარული ზედაპირის გასამაფრებლად და რამე მტკიცესა და მკვეთრთან გა-

სათანაბრებლად. ასეთი მტკიცე რამ ბექდური ასო იყო. თანდათანობით ნაბეჭდის გამოყენების ნაცვლად ასოების ხატვა დაიწყო და ყველაფერი დაიკარგა. მხოლოდ ხუან გრიზს გამოსდიოდა ისეთი სიმძაფრით ხატვა, რომ მკვეთრი კონტრასტი რჩებოდა. ერთი სიტყვით, კუბიზმი ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მაინც მოვიდა.

სწორედ იმ დღეებში დაუკავშირდნენ ერთმანეთს ბრაკი და პიკასო. სწორედ იმ დღეებში ჩამოვიდა მადრიდიდან პარიზში ხუან გრიზი, გამოუცდელი, საკმაოდ თავშეუკავებელი ახალგაზრდა. პიკასოს cher maitre-ს უძახდა, რაც პიკასოს არ სიამოვნებდა. სხვათა შორის, ამიტომაც მიმართავდა პიკასო ბრაკს – mon maitre-ით და ხუმრობად აქცევდა ამ სიტყვებს. სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ ზოგიერთ სულელს ამ ხუმრობის გამო ეგონა, პიკასო ბრაკს ოსტატად მიიჩნევა და ქვემოდან შეჰყურებდა.

თუმცა კიდევ ერთხელ ვუსწრებ წინ იმ ადრეულ პარიზულ დღეებს, როცა ფერნანდა და პაბლო გავიცანით.

იმ დღეებში მხოლოდ სამი პეიზაჟი იყო დახატული და პიკასო იწყებდა გაბრტყელებული თავებისა და დიდი პურების ხატვას.

იმხანად მატისის სკოლა ისევ მუშაობდა. მატისი თანდათანობით ცნობილი ხდებოდა, იმდენად ცნობილი, რომ ერთმა საშუალო დონის ფირმამ „ბერნჰეიმმა“ შესთავაზა, ხელშეკრულების საფუძველზე კარგ ფასად შესყიდა ყველა მისი ნამუშევარი. ამ ამბავმა საყოველთაო აღტაცება გამოიწვია. ამაღელვებელი მომენტი იყო.

ეს ხდებოდა ერთი კაცის გავლენით. იმ კაცს ფენეონი ერქვა. Il est tres fin, თქვა მატისმა, რომელზეც ფენეონმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ფენეონი ჟურნალისტი იყო, ფრანგი ჟურნალისტი, რომელმაც გამოიგონა ის, რასაც დაერქვა feuilleton en deux lignes, ესე იგი, ფენეონი იყო პირველი, ვინც დღის ახალი ამბების ორი სტრიქონით აღწერა დაიწყო. ძია სემის ფრანგულ კარიკატურას ჰგავდა. ეს კაცი ტულუზ-ლოტრეკის ცირკშია დახატული, სურათზე იგი ფარდის წინ დგას.

ჰოდა, ბერნჰეიმებმა, არ ვიცი, როგორ და სად, ფენეონი თანამშრომლად აიყვანეს და გადანყვითეს მხატვრების ახალ თაობასთან დაკავშირება.

მერე რაღაც მოხდა. ასეა თუ ისე, ეს ხელშეკრულება დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ ამ ამბებმა მატისის ცხოვრება შეცვალა. ახლა მყარი მდგომარეობა ჰქონდა. იყიდა სახლი და პატარა მიწა კლამარში და გადაბარგვას შეუდგა. ნება მიბოძეთ, აღვწერო ის სახლი.

„კანადიდან რომ დავბრუნდით... მაშინ წარმოთქვა მისს სტაინმა თავისი ცნობილი სიტყვები დაკარგული თაობის შესახებ. ძველებურ ფორდს, რითაც მაშინ მისს სტაინი დადიოდა, ძრავაში რაღაც გაუფუჭდა, და ახალგაზრდა მექანიკოსმა, რომელსაც მთელი ერთი წელი ფრონტზე გაეტარებინა, ახლა კი გარაჟში მუშაობდა, ვერაფერი გაუგო; ან იქნებ, არც ინდომა მისს სტაინის „ფორდის“ შეკეთება, რადგან რიგში წინ სხვები იყვნენ. ასე იყო თუ ისე, serieux¹ არ აღმოჩნდა ეს ყმანვილი და გარაჟის პატრონისგან მაგრადაც მოხვდა, როცა მის სტაინმა მას პორტესტი გამოუცხადა. „თქვენ ყველანი generation perdue² ხართ“, – უთხრა გარაჟის პატრონმა მექანიკოსს.

– აი, რა ხართ თქვენ! აი, რა ხართ თქვენ ყველანი, – მითხრა მისს სტაინმა, – ომში წამყოფი ახალგაზრდები. თქვენ დაკარგული თაობა ხართ“.

ესაა ამონარიდი ერნესტ ჰემინგუეის რომანიდან, „განუყრელი დღესასწაული“ (ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ), სადაც ავტორი გვიამბობს, როგორ გაჩნდა ტერმინი „დაკარგული თაობა“, ომისშემდგომი ხანის მწერლებს რომ აერთიანებს. გერტრუდ სტაინის სახელი საბჭოეთში ფართო საზოგადოებამ პირველად სწორედ ამ წიგნით შეიტყო. „განუყრელი დღესასწაულის“ ფურცლებზე ცოცხლადაა აღწერილი მწერალი ქალის სახლი ფლერიუსის ქუჩაზე, თბილი, მყუდრო, ბუხრიანი სასტუმრო ოთახი, სადაც კედლებზე შედევერები ჰკიდია და საღამოობით გერტრუდ სტაინი და მისი მეგობარი ელის ტოკლასი მასპინძლობენ თითქმის ყველა გამორჩეულ მხატვარსა და მწერალს, ვინც იმხანად პარიზში ცხოვრობს. ამ სახლში ხშირი სტუმრები არიან სეზანი, პიკასო, მატისი, ბრაკი, გიომ აპოლინერი, მარი ლორანსენი, შერვუდ ანდერსონი, სკოტ ფიცჯერალდი, ერნესტ ჰემინგუეი...

გერტრუდ სტაინი (1874-1946) პენსილვანიაში დაიბადა. ბავშვობა ავსტრიაში და პარიზში გაატარა. შემდეგ მისი ოჯახი ამერიკაში დაბრუნდა და კალიფორნიაში დასახლდა. მშობ-

სახლი კლამარში ძალიან კომფორტული იყო. აბაზანა, რომელსაც ამერიკელებთან ხანგრძლივი ურთიერთობის შემდეგ ოჯახი დიდად აფასებდა (ისიც უნდა ითქვას, რომ მატისები ყოველთვის სიფაქიზითა და სისუფთავით გამოირჩეოდნენ) პირველ სართულზე ჰქონდათ, სასადილო ოთახის გვერდით, თუმცა, ურიგო არ ჩანდა. ეს იყო და არის ფრანგული წესი, ფრანგულ სახლებში ასეა. პირველ სართულზე აბაზანა უფრო განცალკევებულია და მყუდრო. არც ისე დიდი ხნის წინ ბრაკმა ახალი სახლი აიშენა. აბაზანა იქაც ქვემოთაა, ამჟამად სასტუმრო ოთახის ქვეშ – როცა ვიკითხეთ, რატომო, გვიპასუხეს, ლუმელთან ახლოს სჯობს, მეტი სითბო იქნებაო.

კლამარში მინები არ აკლდათ. ბალს მატისი ხან ამყავდა და ხან გულსტკივილით უძახდა su petit Luxemburg. საყვავილე სათბურიც ჰქონდათ. იქ მოგვიანებით ბეგონიები გაახარეს, მაგრამ თანდათანობით სულ უფრო და უფრო პატარები იზრდებოდა. სათბურს იქით იასამნები იყო, კიდევ იქით – დიდი სახელოსნო. მატისებს ძალიან მოსწონდათ. მადამ მატისი ყოველდღე შეშლილივით გადიოდა თვალის შესავლებად და ყვავილების დასაკრეფად. გარეთ კი ტაქსი ელოდებოდა. იმხანად მხოლოდ მილიონერებს ელოდებოდათ სახლთან ტაქსი და ისიც ხანდახან.

ინგლისურიდან თარგმნა ნინო ქაჯანია

მთარგმნელისაგან

ლების სიკვდილის შემდეგ თვრამეტი წლის გერტრუდ სტაინი ბალტიმორში გადავიდა, სადაც ჯონ ჰოპკინსის სამედიცინო სკოლაში განაგრძო სწავლა, თუმცა მალევე მიატოვა, რადგან „მოსწყინდა, აშკარად ძალიან მოსწყინდა“.

1903 წლიდან გერტრუდ სტაინი ძმასთან ერთად პარიზში დამკვიდრდა. როგორც აღვნიშნეთ, აქ მის სახლში თავს იყრიდა იმ დროს ბევრი საინტერესო ადამიანი. სწორედ მათთან ურთიერთობა, მათი ცხოვრების ეპიზოდებია აღწერილი გერტრუდ სტაინის წიგნში „ელის ბ. ტოკლასის ავტობიოგრაფია“.

მანამდე გერტრუდ სტაინმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები დაწერა - ნოველების კრებული „სამი სიცოცხლე“, რომანი „ამერიკელების ჩამოყალიბება“, „ნაზი კვირტები“, პორტრეტები - „მატისი“, „პიკასო“, „სეზანი“, „აპოლინერი“... სტაინის პროზა იმ დროისათვის ახალი, ექსპერიმენტული მწერლობა იყო, და ბევრი მიიჩნევს, რომ დიდი გავლენა იქონია ამერიკულ მწერალთა თაობებზე. თუმცა ერთი კრიტიკოსის თქმით, სტაინი საუკუნის ყველაზე რეკლამირებული მწერალია, რომელსაც ყველაზე ნაკლებად კითხულობენ.

„ელის ბ. ტოკლასის ავტობიოგრაფიაში“ მკითხველს სრული შთაბეჭდილება ექმნება, რომ ამბავს გერტრუდ სტაინის მეგობარი, მის ტოკლასი ჰყვება. წიგნის ერთ-ერთი პერსონაჟი თვით სტაინია. წიგნის ბოლოს ირკვევა, რომ მწერალს გადაუწყვეტია, თავის მეგობრის მაგივრად დაენერა მისი ავტობიოგრაფია. „როგორც დეფომ დაწერა რობინზონ კრუზოს ავტობიოგრაფია“.

ამ წიგნის ფრაგმენტები დაბეჭდილია ჟურნალში „XX საუკუნე“ (№10, 1999) და გაზეთში „ქომაგი“ (№16, 2000). დღეს გთავაზობთ კიდევ ერთ მცირე ნაწყვეტს.

- 1 სერიოზული (ფრანგ.)
- 2 დაკარგული თაობა (ფრანგ.)

მოდო ვისაუბროთ..... ლიტერატურაზე

*

„ჩვენი მწერლობის“ სტუმარია ციალა თოფურიძე

თავის დროზე, „ამერიკული ნოველის“ ორტომეულის გამოქვეყნება დიდი მოვლენა იყო ჩვენს ლიტერატურულ სამყაროში.

ხანი გავიდა მას შემდეგ და ახლაც სანიმუშოდ რჩება ეს გამოცემა, რომელსაც მოჰყვა ის, რომ მომზადდა ფრანგული ნოველის ორტომეული, ესპანური ნოველის კრებული.....

რკინის ფარდის აქეთ უცხოურმა ლიტერატურამ გამოჟონა.

და ბიძგი ამ ყველაფრისა იყო სწორედ ამერიკული ნოველების კრებული, რომელიც ქალბატონი ციალა თოფურიძის თაოსნობითა და დიდი ძალისხმევით მომზადდა.

იგი ჩვენი ჟურნალის სტუმარია.

– ქალბატონო ციალა, იქნებ გაიხსენოთ, რამ შთაგავონათ ამ ორტომეულის გამოცემა, როგორ მოუყარეთ თავი მასალებს?

– უცხო ენების ინსტიტუტში იყვნენ ადამიანები, ვინც ამერიკული ლიტერატურის ნიმუშებს თარგმნიდნენ. მე სწორედ ისინი შევეკრიბე. ვახტანგ ჭელიძე და ლია ელიოზიშვილიც ჩაერთეთ ამ საქმეში. მასალები ზოგი საგანგებოდ დაფუძვეთეთ, ზოგიც უკვე იყო გადმოქართულებული. ყველაფერს თავი მოუყარეთ და პირველ ტომში XIX საუკუნე შევიტანეთ, მეორეში – XX.

ძალიან დიდი დაბრკოლებები შეგვხვდა, ფიცჯერალდს არ გვიბეჭდავენ. აი, იმ ნოველას: „ისევე ჩავიდა ბაბილონში“, კიდევ სხვებსაც. იძულებული ვიყავი მებრძოლა ამ ავტორებისათვის...

– ფოლკნერსაც ხომ არ კრძალავდნენ?

– მისი „პერსი გრემი“ შევიტანეთ მარტო, სხვა ვერაფერი. რაც რუსულად იყო თარგმნილი, მარტო იმაზე გვაძლევდნენ ვიზას. მასხოვს, მაშინ რუს კრიტიკოსთა წერილები ვეძებე, ბოლოს მივაგენი მენდელსონის სტატიას, რომელშიც ფიცჯერალდი მეტ-ნაკლებად კარგად იყო მოხსენიებული. ამოვიღე ეს ციტატი და ვაჩვენე „იქ“, სადაც საჭირო იყო. ასე მივიღეთ ნებართვა. დიდი ბრძოლა გვინევდა, ეს ავტორები რომ გამოგვეცა. ნელ-ნელა მიდიოდა საქმე წინ. ყინულმა დნობა დაიწყო. ორტომეულს სხვა წიგნებიც მოყვა. სხვათა შორის, ინგლისური ნოველაც უნდა გამოცემულიყო, მაგრამ ვერ მოხერხდა. მასხოვს მაშინ უნივერსიტეტმა მოამზადა ბრიტანულ მწერალთა მოთხრობების კრებული, რომელიც გიორგი წერეთლის მეუღლემ შეადგინა. წიგნი ინგლისურ ენაზე იყო, მაგრამ მაინც ეშინოდათ – ცენზურა არ გაუშვებსო. მე მთხოვეს: დაგვიწერე, რომ შენს თავზე აიღებ და იკისრებ ამ გამოცემის პასუხისმგებლობასო. როგორ ფიქრობთ, რას ვიზამდი?

კრებული გამოქვეყნდა. მას მეორე წიგნიც მოჰყვა.

რაც შეეხება „ამერიკული ნოველას“, ეს ორტომეული მალე მომზადდა. ერთადერთი ჰენრი ჯეიმზი დაგვიანდა. იყო კიდევ რალაცები, რისი შეტანაც მიწდოდა, მაგრამ აღარ

მოხერხდა. ასე თუ ისე საინტერესო მასალა დაგროვდა. სისტემაში მოვიყვანეთ და გამოვეცით.

– როდის გადანევიტეთ ამერიკულ ლიტერატურაზე მუშაობა?

– ორმოცდაათიან წლებში, ასპირანტურაში რომ შევედი, მაშინ. დისერტაციაც დავწერე თეოდორ დრაიზერის შემოქმედებაზე. ერთადერთი მასზე შეიძლებოდა თავისუფლად ლაპარაკი. იგი 1945 წელს კომუნისტურ პარტიაში შევიდა და კარიც გაუღეს საბჭოთა სამყაროში.

– თუმცა მისი პოლიტიკური მრწამსი რომანებში არ ასახულა.

– ასეა!.. ის კი არადა, სიკვდილის წინ მოინანია ყველაფერი. აღსარებაც უთქვამს: ძალიან შეეცდი ამ ნაბიჯის გადადგმისასო. ჩანს, მაშინ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ იქონია მასზე ზეგავლენა.

სხვათა შორის, ახლა უფრო მიღებულია ამერიკაში დრაიზერის შემოქმედება, როგორც დოკუმენტური პროზა. იცით, ის, როგორც სტილისტი, სუსტია, მის ნაწერებში ბევრი გრამატიკული შეცდომაა, ამიტომაც ამერიკელებმა რომ მკითხეს: ეგ როგორ მოგივიდათ, დრაიზერი რომ მოგწონოთ? ვუპასუხე: თარგმანში გრამატიკულ შეცდომას ვერ გადაიტიან, ამიტომ ამ მწერალმა მოიგო-მეთქი.

– როცა ამერიკული ნოველის კრებულს ადგენდით, ერეკლე ტატიშვილის რჩევებსაც ხომ არ ითვალისწინებდით?

– არა, ის პირიქით – ინგლისურისა და შოტლანდიურისკენ იხრებოდა. ამერიკული ლიტერატურა, საერთოდ, ყოფა ბატონ ერეკლეს არა ხიბლავდა, რადგანაც მიაჩნდა, რომ ეს ყველაფერი უფრო პრაგმატულობას უკავშირდება, ვიდრე სულიერებას. თანაც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო შემოსული ამერიკული ლიტერატურა. მარკ ტვენის ვიცოდით, ფენიმორ კუპერი... ჰემინგუეი აკრძალული იყო. მან ხომ თავის ნაწარმოებში „ვისთვის რეკს ზარი?“ კომუნისტები ისეთივე სასტიკი დახატა, როგორც ფაშისტები....

– და მაინც, პირველად ჰემინგუეიმ შემოაღწია, არა?

– ინგლისური და რუსული თარგმანებით შემოვიდა. მოგვიანებით – უკვე 60-იან წლებში, როცა ეს მწერალი დაუშვეს, ვახტანგ ჭელიძემ მოკიდა ხელი მისი შემოქმედების თარგმნას.

– ფოლკნერით როდის დაინტერესდით? თქვენ ხომ მთელი მონოგრაფია გაქვთ მასზე. იქ იმდენი და ისეთი საინტერესო მასალაა, ალბათ წლების მანძილზე აგროვებდით.

– კი, ასეა. სხვათა შორის, ბატონმა ოთარ ჩხეიძემ მომიწონა მაშინ: როგორ დაწერე ასეთი წიგნიო?! – მითხრა. მართლაც ბევრი თეორიული საკითხია მასში. მანამდე ჰემინგუეიზე ვმუშაობდი და უცებ მოსკოვში გამიმხილეს იქაურმა ამერიკანისტებმა: ფოლკნერის ტრილოგია გამო-

დისო (მერე „ინოსტრანკაშიც“ იბეჭდებოდა). არიქა, ეგებ ვიშოვო-მეთქი – ვიფიქრე. წარმოიდგინეთ, ეს მწერალი საერთოდ აკრძალული გახლდათ და უცებ ასეთ რამეს ვიგებ. მოვიძიე. „აბესალომ, აბესალომ!“ და „ხმაური და მძვინვარება“ რომ წავიკითხე, ალტაცებული დავრჩი. რთული წარმოებები იყო, მაგრამ ვარჩიე ძნელი საქმისთვის მომეკიდა ხელი. კარგად ვერ ვიგონებ, ზუსტად როდის იყო ეს ამბავი. ახლა უკვე ზღვა მასალაა მასზე.

– **თქვენ ამერიკელ ფოლკნერისტებთანაც გქონიათ შეხება. ალბათ ბევრი საინტერესო რამ გექნებათ გასახსენებელი.**

– დიას... მისი ბიოგრაფია დაწერილი აქვს ბლოტნერს. ის აქაც იყო ჩამოსული. მისი წარწერებითაც მაქვს წიგნები.

სხვათა შორის, რამდენიმე ხნის წინათ საქართველოში ჩამოვიდა ლოელ პოლკი. მას ძალიან საინტერესო შრომები აქვს ფოლკნერზე. ხელნაწერები აღადგინა მისი და ვარიანტებად გამოსცა. ამერიკაში არსებობს სამხრეთის კულტურის ცენტრი, რომელიც სპეციალურ ჟურნალს გამოსცემს სამხრეთულ კულტურაზე. იქ ენციკლოპედიაც მოამზადეს ამ საკითხებზე და ყველაფერი ისევ და ისევ ფოლკნერს უკავშირდება.

– **ასე პოპულარულია იქ ეს მწერალი?**

– როგორ გითხრათ, ამერიკაშიც უჭირთ მისი კითხვა. ძალიან ბევრი გზამკვლევაა, როგორ უნდა წაიკითხო ფოლკნერი. ისე, პირველად იგი საფრანგეთში გახდა ცნობილი. სარტრმა დიდი ღვაწლი დასდო მის პოპულარიზაციას.

– **პირდაპირ შესაშურია ასეთი ურთიერთობა: სარტრისხელა მწერალი თავის თავზე მაღლა აყენებდა ფოლკნერს. მოინდომა, რომ ნობელიც მიეღო მას. ეს არის ნამდვილი მწერლური ურთიერთობა...**

– ფოლკნერმა ნობელის პრემია რომ მიიღო, ამერიკელებმა არც იცოდნენ მისი არსებობა. ჩავიდა ამერიკაში კომიტეტის წარმომადგენელი და შეხვედრა ითხოვა მწერალთან. გაარკვია, რომ ის ცხოვრობს ოქსფორდში. ეძებეს მაშინდელ რუკაზე ეს ქალაქი და ვერ იპოვნეს. იმხანად ეს ყოფილა პროვინციული დასახლება, სადაც ასფალტიც კი არ იყო დაგებული. 1950 წელს ხდება ეს ამბავი.

ამ დროს ფოლკნერს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ჯილდოზე, სანადიროდ იყო ტყეში. მივიდა მასთან ნობელის კომიტეტის წარმომადგენელი, უთხრა პრემიის შესახებ და ისიც აცნობა, დიდ თანხასაც მიიღებო. ეს რომ გაიგეს თანამეინახე მონადირეებმა, რომელთაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ მწერლობაზე, ჰკითხეს ფოლკნერს: რას იზამ, რომ მოვლენ და ამოდენა თანხას მოგცემენ?

– ვეტყვი, რომ დღეს ჩემი მორიგეობაა, ჭურჭელი მაქვს დასარეცხი და მომეხმარონო...



ციალა (ეთერ) თოფურიძე

ფრანგებმა გაიცნეს ფოლკნერი. როგორც ჩანს, კარგადაც გაუგეს.

– **ამ თქვენს წიგნში, ფოლკნერის შესახებ, მისი ოთხი რომანი გაქვთ განხილული, ხომ არ გიფიქრიათ ამ ნაშრომის შევსება?**

– კი, ცოტაა ოთხი რომანი... მგონი ყველაზე კარგი განხილვა გამომივიდა იმ რომანისა – „მომაკვდავი რომ ვესვენე“. მართლა ვაპირებ ბევრი რამ დავუმატო ამ წიგნს, დაწერილიც მაქვს, მაგრამ ვერა და ვერ მოვახერხე გამოქვეყნება.

– **თქვენ რომ თარგმნეთ ტომას ვულფის „დაკარგული ბიჭი“, ნამდვილი შედეგია ნოველისა. როგორ მოიძიეთ ეს ნაწარმოები?**

– „დაკარგული ბიჭი“ ტომას ვულფის (ცნობილი წიგნის („გორაკებს მიღმა“) ნაწილია. სრულიად შემთხვევით მათხოვა მეგობარმა. წავიკითხე. ძალიან მომეწონა. მერე ვნახე, რომ რუსულადაც იყო თარგმნილი. ამან მომცა ვიზა, რომ მეც მომეკიდა ხელი. სხვათა შორის, იმ ორტომეულამდე მქონდა გუნებაში მეთარგმნა, მხოლოდ ეს მოთხრობა კი არა, საერთოდ, ტომას ვულფი. ახლახან გამოვიდა ძალიან კარგი წიგნი: „დროის პრობლემა მოდერნისტულ ლიტერატურაში“. ავტორი მანანა გელამვილია. საინტერესო მასალაა თავმოყრილი ეზრა პაუნდზე, ელიოტზე, ფოლკნერზე... და აი, ტომას ვულფიც განხილულია ძალზე კარგად.

– **თქვენ ბევრ საინტერესო პიროვნებასთან მოგიწიათ ურთიერთობა. ერეკლე ტატიშვილს ხომ არ**

გაიხსენებდით?

– ბატონი ერეკლე შექსპირისა და მისი „ჰამლეტის“ დიდი მოთაყვანე იყო. მახსოვს, ერთხელ მივედიტ მასთან. ჩვეულებისამებრ ფანჯარაში იყურებოდა, სიგარეტს ეწეოდა და ისე გვესაუბრებოდა. მაშინ სრულიად შემთხვევით გივი ჟვანია ჩამოსულა უცხოეთიდან. ბატონი ერეკლესთვის უთხოვებია ჯოისის „ულისე“. იმხანად არავინ იცოდა ამ წიგნის შესახებ.

– ეს რა წავიკითხეო, – გვითხრა, – პროზის უკანასკნელი სიტყვააო.

მან ნიუანსობრივად იცოდა ინგლისური ენა, მიუხედავად მწერალს ამ სტიქიას, ამიტომაც კარგად გაუგო ნაწარმოებს.

საოცარი გემოვნების კაცი იყო, ევროპული განათლების მოღვაწე.....

– **ერეკლე ტატიშვილის პედაგოგიური მეთოდი მონოგრაფიულად შეისწავლა თინათინ თუშმალიშვილმა, ჟურნალ „კლდეკარშიც“ დაიბეჭდა გაგრძელებებით. მაშინ ის ამბობდა: კიდევ ბევრი რამ არის დასაწერიო....**

– ამას წინათ ნიკო სამადაშვილის ქალიშვილმა მთხოვა, მოგონება დამეწერა მამამისზე. იმ სტატიაში, ბუნებრივია, ერეკლე ტატიშვილის ამბებიც ჩავრთე, როგორც მისი პოე-

ზიის შთამაგონებლის. ალბათ მალე გამოქვეყნდება. საინტერესო ადამიანი იყო. ციხიდან რომ გამოვიდა, მისი თაოსნობით გამოცოცხლდა უცხო ენების ინსტიტუტი. 35 კაცი შემოვიდა ინგლისური ენის ფაკულტეტზე, იქიდან მხოლოდ ხუთმა შევძელით დამთავრება. ბატონი ერეკლესთვის მხოლოდ ენის სწავლება არ ყოფილა მთავარი, ის კულტურაც უნდა აეთვისებინა, ამიტომ დანარჩენებს ურჩია სხვა გზა აერჩიათ. მერე ნიკო ყიასაშვილი შემოგვიერთდა, მოსე ქარჩავაც, კიდეც სხვებიც... ცხრა სტუდენტამდე შეივსო ჩვენი ჯგუფი. ერთხელ ასეთი რამ გვიამბო ბატონმა ერეკლემ:

რომელიღაც მხატვარს გლეხი დაუხატავს.

დაუძახია მენაღისათვის და უკითხავს: სწორად დავხატე ფეხსაცმელი თუ არაო?

მას რაღაც შენიშვნები მიუცია. მხატვარს შეუსწორებია. გათამამებულა მენაღე და სხვა დეტალები დაუნუნებია. მხატვარს კი უთქვამს:

– წაღებს ზემოთ ნუ განსჯიო.

ჩვენი საქმე უნდა გვცოდნოდა კარგად.

– მგონი თქვენ მის გარდაცვალებას შეესწარიო....

– იცით როგორ იყო, გამოცდების დამთავრების შემდეგ ყველას გვექონდა ჩვენი დღე, როცა უნდა მივსულიყავით ბატონ ერეკლესთან და რჩევები მიგველო მისგან. პარასკევი ჩემი დღე იყო. მივედი. მან ჩაი გაამზადა და შემომთავაზა. დავსხედით. ვსაუბრობდით. ვახტანგ ქელიძის თარგმანებზე მელაპარაკებოდა, უფრო მაინც „რომეო და ჯულიეტაზე“, შენიშვნებიც მაქვსო, – ამბობდა. უცებ შეუძლოდ გახდა. ფერი დაკარგა. ბედად და მოვიდა სტუმრად.

– რაღაც ცუდად ვარ, ექიმს დაუძახეო, – უთხრა.

მალე მოვიდა ექიმი. ბატონმა ერეკლემ შესჩივლა: მგონი „ანგინა პექტორის“ უნდა იყოსო. ეს ფაქტობრივად ინფარქტს ნიშნავს.

გამოუნერა წამლები.

წამოვედი. აფთიაქში დავუკვეთე. ღარიბი სტუდენტი ვიყავი, ჯიბეში ფული არ გამაჩნდა. ქუჩაში გამოვედი – იქნებ ვინმე შემხვდეს და ვესესხო-მეთქი. მართლაც გამოიარა მეგობარმა და მომცა ფული. გამოვიტანე წამლები. სულმოუთქმელად მივირბინე ბატონ ერეკლესთან და... უკვე აღარ იყო. თურმე სულ მკითხულობდა: ნეტავ ციალა რატომ აგვიანებსო.

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, მე კი ისევ კომპარავით მახსოვს.

ეს იყო პირველი შეხება სიკვდილთან. მანამდე ამ ტკივილისა არაფერი ვიცოდი. მერე კი ცხოვრებამ ბევრჯერ მაჩვენა ასეთი სიმწარის გემო...

დიდი წვალევა გამოიარა ბატონმა ერეკლემ. ერთხელ ქუჩაში სოსო მეგრელიძე შემხვდა. ციხეში ერთად ვისხედით მე და ერეკლეო, – მითხრა, – ძალიან აწამებდნენ, სათლში იოდს ასხამდნენ, შიგ მათრახებს დებდნენ და ფეხებში ურტყამდნენო...

აკი უძნელდებოდა სიარული ბატონ ერეკლეს ციხიდან გამოსვლის შემდეგ.

– არანაკლები (იქნებ ყველაზე დიდიც) ღვანლი ამერიკული ლიტერატურის შემოზიდვისა ჩვენში ალბათ მაინც ვახტანგ ქელიძეს მიუძღვის, არა?

– თარგმანებით – კი! მან ბევრი რამ გააკეთა. ყველაზე დიდი საქმე მაინც ალბათ ის იყო, რომ თარგმნა მილტონ-

ნის „დაკარგული სამოთხე“ და „დაბრუნებული სამოთხე“, შექსპირის ცხრა დრამა.....

– ამერიკელებიც: ჰემინგუეი, სელინჯერი, სტაინბეკი... დიდი წვლილი მიუძღვის მათი პოპულარიზაციის საქმეში.

– კი, ასეა. დღეს უკვე ბევრმა იცის ამერიკული ლიტერატურა. საზოგადოება საკმაოდაა გათვითცნობიერებული ამ მხრივ.....

– იცით, რამდენიმე ხნის წინათ „ჩვენი მწერლობის“ სალონში ბატონი პაატა ჩხეიძე ამერიკულ შთაბეჭდილებებს გვიზიარებდა და თქვა, არც მთლად მასეა საქმე. ამერიკული ლიტერატურა თვითონ ამერიკელებმა არ იციან კარგადო...

– ისინი დიდად არც არასოდეს იკლავდნენ თავს წიგნისათვის.

– გაზაფხულზე ჩვენი რედაქციის მოწვევით საქართველოში ჩამოვა ვაშინგტონის კათოლიკური უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორი ვირჯილი ნემოიანუ. აი, ეს კაცი თურმე ძალიან წუხს იმის გამო, რომ ამერიკულ პოეზიაში წარმატებები აღარ არის და საერთოდ, ბევრი რამ ლიტერატურის სფეროში პოლიტიზებული გახდა. მათ შორის პრემიებიც კი.

ნემოიანუს მიაჩნია, რომ დეკონსტრუქტივიზმის დრო დამთავრდა და ლიტერატურა ისევ შემობრუნდება მითოლოგიისკენ, რელიგიისკენ, ისტორიისა და მეცნიერებისკენ. და, საერთოდ, ამ დარგში ორი მიმართულება იქნება: მეცნიერება და რელიგია.

– მეცნიერებს ამერიკაში ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ... მჯერა, რომ ასე იქნება.

– იცით რა არის უცნაური? რატომ არ ინტერესდებიან ჩვენი აკადემიური წრეები ახალი სახელებით. თუნდაც, ვთქვათ, პულიცერის პრემიის ან კიდეც სხვა ლიტერატურული ჯილდოების ნომინანტებით. იყო დრო, როცა ამერიკული ლიტერატურა ნაკლებ ითარგმნებოდა, საზოგადოება კი მაშინ უფრო კარგად იცნობდა ამერიკულ ლიტერატურას, ვიდრე ახლა, როცა ყველა გზა ხსნილია – საშუალება არის, ინტერესი კი აღარ! დღეს ნაკლებად საუბრობენ თანამედროვე ამერიკელ მწერლებზე....

– ასე უცებ ვერ მოხდება ეგ. გარკვეული დისტანციაა საჭირო მწერლის დასახანად....

რაც შეეხება პოეზიას, ამერიკაში რომ ვიყავი, მაშინ შევნიშნე ასეთი რამ: იქ დამოუკიდებელი პოეტური წარმოების შექმნას ერიდებიან. მუსიკამ იქონია ცუდი ზეგავლენა. ლექსი ყოველთვის მუსიკის თანხლებით მოიაზრება. მერე იქიდან გამოყოფენ ტექსტს და ამას არქმევენ თანამედროვე პოეზიას.

სილვია პლატი ჰყავდათ მაგათ ყველაზე ცნობილი და მას მერე რა გაკეთდა, არ ვიცი...

– ამერიკელებს ძალზე პესიმისტური დამოკიდებულება ჰქონიათ პოეზიისადმი – კარგი ლექსები იწერება, მაგრამ დიდი პოეტები აღარ არიანო.

– მათ ლექსის სტრუქტურა დაარღვიეს და იმიტომ...

– სამაგიეროდ, მწერლები ჰყავთ კარგი. „ჩვენს მწერლობაშიც“ დაიბეჭდა რამდენიმე საინტერესო ავტორი. აი, თუნდაც მერილინ რობინსონი.....

ისე... თქვენთვის ამერიკელი მწერლებიდან ყველაზე ახლობელი ვინ არის? შესაძლოა არ გითარგმნიათ, მაგრამ მოგწონთ, მიგაჩნიათ, რომ აუცილებლად უნდა ითარგმნოს?

- ამაზე არ მიფიქრია. სხვადასხვა დროს სხვადასხვა მწერალი მიტაცებდა. ხან ჰემინგუეი, ხან ფოლკნერი... ამ ბოლო დროს ჰემინგუეიზე რატომ ავიცრუე გული, იცით? ფოლკნერთან მეტია სიცოცხლის წყურვილი, მომავლის რწმენა, იმედი, ვიდრე ჰემინგუეისთან. არადა, ერთი შეხედვით თითქოს პირიქით უნდა იყოს.

ისე, ამერიკელები უფრო მეტია ნათარგმნი, ვიდრე ინგლისელები...

- კი, მაგრამ განა შეიძლება ტომას ვულფის უთარგმნელობა? ან იგივე ფოლკნერი - 19-დან მხოლოდ რამდენიმეს ვიცნობთ ქართულად.....

- სოლ ბელოუც უაღრესად საინტერესო ავტორია...

- სოლ ბელოუ საერთოდ არ არის ნათარგმნი...

- ძნელი სათარგმნია და იმიტომ.

- ფოლკნერზე უფრო ძნელია? ყველა ავტორს ხომ თავისი გასაღები სჭირდება.

- თავისებური ცნობიერების ნაკადია მისი შემოქმედება...

სამხრეთ ამერიკის ცენტრიდან რეგულარულად მიგზავნიან ჟურნალებს, მაგრამ თვითონ ნაწარმოები თუ არ წაიკითხე, ისე რა ფასი აქვს! არადა, წიგნი იქ ძალიან ძვირია, მათ გამოგზავნას ვერ ვთხოვ.

ისე, ამერიკული ამერიკულად, მაგრამ ევროპა მაინც ძველი ცივილიზაციის კულტურაა და იქაური ლიტერატურა (ახლა რომ იქმნება, ისიც) ძველ ტრადიციებთანაა დაკავშირებული და მიმზიდველია ძალიან.

- დიას, „ჩვენი მწერლობა“ ფრანგული ნომრის მომზადებასაც გეგმავს, ინგლისურისაც, სპარსული და არაბული უკვე გამოიცა, ესეც ამერიკული - რათა საზოგადოებამ ნახოს, რომ ის ყველაფერი, რა სახითაც აქ ამერიკანში მკვიდრდება, სულაც არ არის ჭეშმარიტ ამერიკულ კულტურაზე დაფუძნებული რეალობა. სინამდვილეში იქ სრულიად განსხვავებული ღირებულებებია. არიან ძალზე საინტერესო მწერლები, რომლებიც თავიანთ საქმეს კარგად აკეთებენ. ამ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას... პოპულარობა ერთია, დიდი ლიტერატურა - მეორე. აკი თქვენც აღნიშნეთ: ფოლკნერი სულაც არ იყო იქ პოპულარული, დღესაც უჭირთ მისი წაკითხვა, მაგრამ უდიდესი მწერალი კი არის.....

- ამიტომაც ვამბობ, რომ ჭეშმარიტი ლიტერატურის დასახაზად მაინც დისტანციაა საჭირო, დრო, რომელიც ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს. ძალზე ბევრი საინტერესო თემაა, რომელზეც შეიძლება დაუსრულებლად ვიმსჯელოთ. მოდით, შევხვდეთ, ვისაუბროთ ხოლმე ამ თემებზე.....

ლიტერატურაზე ვისაუბროთ...

მურმან ჯგუბურია

რობერტ ფროსტი

რობერტ ფროსტის ლექსების რუსული თარგმანი 1962 წელს წავიკითხე („ამერიკანსკაია პოეზია“), რაც იმ საუკუნის 30-იან წლებში იყო გამოცემული. ეს წიგნი ვნახე თბილისში, შემთხვევით, დოესის ქუჩაზე (ანინდელი უბილავას ქუჩა), ელიზბარ უბილავას სახლში.

იმ კრებულიდან სამუდამოდ დამამახსოვრდა ფროსტის ერთი ლექსი („ლობის შეკეთება“), ი. კაშკინის მიერ თარგმნილი.

ეს ლექსი საკვება სიბრძნით, იუმორით, სიხარულითა და წუხილით, ადამიანისა და სოფლის ცოდნით. ქალაქელად მომქონდა თავი, მაგრამ სოფელში გავიზარდე, ბაბუაჩემისას, სოფელ ჯუმში. და ლექსში აღწერილი გარემოება ჩემთვის ნაცნობი და ახლობელი იყო.

კარგა ორი ათეული წლის შემდეგ დაწერე ერთი ლექსი („ზამთრისპირი“), რაც ფროსტის „ლობემ“ მიკარნახა, თუმცა ამ ორ ლექსს თითქმის არაფერი აქვთ საერთო. მაგრამ დაკვირვებული თვალი მსგავსებასაც შეამჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ლექსი სულ ერთი სტროფია (4 სტრიქონი), ფროსტის ნახელავი კი კარგა მოზრდილი გახლავთ.

ამერიკელი პოეტის ეს ლექსი („ლობის შეკეთება“) გადმოაქართულა საუკეთესო ქართველმა მთარგმნელმა

თამაზ ჩხენკელმა, რაც 70-იან წლებში გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“ გამოქვეყნდა. ზვიად გამსახურდიას მიერ შესანიშნავად თარგმნილი „ამერიკელი პოეტები“, მგონი, ცოტა ადრე გამოიცა. მაგრამ კარგად მახსოვს, „ლობის შეკეთება“ ზვიად გამსახურდიას არ გადმოუქართულებია. რატომ არ თარგმნა მან ფროსტის ეს ლექსი, არ ვიცი, ბუნდოვნად ვხვდები თითქოს, მაგრამ ბუნდოვნად ამის შესახებ საუბარი არ იქნება, არც ავტორზე და არც მთარგმნელზე, ცხადია. ზ. გამსახურდიამ ფროსტის არაერთი ლექსი თარგმნა, ვიტყვოდი, არაჩვეულებრივი ოსტატობით, ასე რომ, გამსახურდიასეული თარგმანების ხმა, ამ ესეს რომ ვწერდი, ახლაც ყურში ჩამესმის.

ჩემი მწუხარება როდესაც მენვევა და ჩემში სახლდება...

შემდეგ:

ნოემბრის დღეები, ჩუმი, გაძარცული ნოემბრის დღეები, პირველ მოთოვამდე რომ იბინდებიან მდუმარე ტყეები...

და ფინალი:

მაგრამ ამაოა ყველა დარწმუნება ჩემთვის და მისთვისაც,

რადგან მისი თვალთ სხვაა ეს ქვეყანა და ეს სივრცეები...

და ეს გამონათქვამი მთელი ჩემი დღე და მოსწრება თან დამყვება:

რადგან მისი თვალთ სხვაა ეს ქვეყანა...

რ. ფროსტის ხუთი თუ ექვსი ლექსია ზ. გამსახურდიას იმ კრებულში შეტანილი.

ერთ-ერთი ლექსის სათაურია: „დასავლეთისკენ მიმდინარე ნაკადული.“ თუ მდინარე? (არ დაგავიწყდეს, მკითხველო, ამ ესეს პერედელკინოში ვნერ, ზ. გამსახურდიას „ამერიკელი პოეტები“, ცხადია, თან არა მაქვს), ნაკადული თუ მდინარე? არ მახსოვს. მაგრამ მიმდინარე მდინარე არ დანერდა მთარგმნელი, ესეც ცხადია. ყველა მდინარე აღმოსავლეთით მიედინებაო, ამბობს პოეტი (მთარგმნელიც, რასაკვირველია), და ეს ერთი მდინარე კი დასავლეთით მიდისო. ესე იგი, მისი თავდაყირა დინება აღმდინებას უდრისო. და აქ არ შეიძლება მკითხველს არ მოაგონდეს, რაც მიანერა უფროსმა ბუშმა ზვიად გამსახურდიას: „გამსახურდია მდინარის დინების საწინააღმდეგოდ მიდისო“, რასაც ზვიად გამსახურდია მარად სამახსოვრო სიტყვით უპასუხა: „მდინარეს დაღმა მკვდარი თევზები მიჰყვებიანო.“

რა კავშირ-ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან ფროსტის ლექსსა და ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ შეხედულებებს (ანდა ბუშის გამონათქვამსა და გამსახურდიას პასუხს), ეს, ჩემი გაგებით, დღემდეც არა გვაქვს კარგად გააზრებული.

თამაზ ჩხენკელმა ფროსტის ლექსი ასე დაასათაურა: „ქვითკირის გაღაფანი“.

არის რაღაცა, რაც სრულებით ვერ იტანს ზღუდეს...(თ. ჩ.)

Есть что-то, что не любит ограждений... (Ч.К.)

მაღალი ზღუდე მეზობლობას შეიქმს სასურველს... (თ. ჩ.)

Сосед хорош, когда забор хороший... (Ч.К.)

აი, ჩემი ლექსიც:

ზამთრისპირი

**კართან – შიშველი ცაცხვია,
ლობესთან – შეშა აწყვია,
ლობეც შეშაა, მახარე,
თუკი ზამთარი მკაცრია.**

დღემდე არსებული კაცობრიობის ისტორია – ლობის ისტორიაა. შენ-ჩემიობის ისტორიაა. ომებისა და ქართველობის, ვერაგობისა და შუღლის ისტორია.

ლობე. საზღვარი. მიჯნა.

სახელმწიფოები იცვლიან საზღვრებს, ქანაობენ, ბუჯარობენ, ეტანებიან სხვათა მიწებს, დღეს თუ ხვალ რომ თვითონ არიან (იქნებიან), – ამბობს ჩვენი გენიოსი პოეტი.

და არის ლობის გადაწვევ-გადმონევა. ვინ ვის?

საკუთარი მიწა არა აქვს კაცს დამუშავებული, მაგრამ სხვის დაუმუშავებელ მიწას მაინც ეტანება. ჭირზე ჭირს ისართავს.

და იწერება ლობის ისტორია. ომების ისტორია.

ზვიად გამსახურდიამ რატომღაც არ თარგმნა ფროსტის „ლობის შეკეთება“. პრიმიტიულად რომ ვთქვათ. იგი იმ ხანებში ლობის შეკეთებაზე კი არ ფიქრობდა (70-იანი წლებია), არამედ – ლობის დანგრევა-მოშლაზე, იმპერიის დაშლაზე, და ამან თუ განაპირობა ის ამბავი, რომ მან ფროსტის ეს შედევი არ გადმოაქართულა. თუმცა ფროსტი, როგორც ლექსიდან ირკვევა, ლობის დანგრევაზე უფრო ფიქრობს, ვიდრე ლობის შეკეთებაზე, მაგრამ ქართველმა მთარგმნელმა (ზ. გ-მ) ლექსი სწორედ მისი სახელწოდების გამო არ გადმოაქართულა.

ჩვენი, ანუ, მკითხველის არ ეიმედებოდა, როგორც ჩანს, ლობის შეკეთება პირდაპირი მნიშვნელობით არ გაიგონო და არ გადმოიღო ფროსტის შედევი.

„ცეცხლი და ყინული“ კი თარგმნა.

პოეტი წერს:

ერთნი სამყაროს დასასრულად ცეცხლს მიიჩნევენო, მეორენი – ყინულს (გამყინვარებას), მე უფრო ცეცხლის მომხრე ვარო, მაგრამ თუკი სამყაროს ორგზის ელოდება დაღუპვა, არც ყინულზე (გამყინვარებაზე) ვიტყვით უარს.

ამ ლექსის მთელი გუნება-განწყობა ზვიად გამსახურდიას იმდროინდელი გუნება-განწყობის ნათესავია, – ოღონდაც დანგრეულიყო იმპერია და ეს რა მანქანა-ხერხებით დაგვირგვინდებოდა, დიდი მნიშვნელობა არ გააჩნდა.

ალბათ-თითქი, ასე ვიგულისხმობ.

დაუფერებელია თითქოს, მაგრამ ახლა ასე მგონია: საქართველოს პირველი პრეზიდენტი თითქოს წიგნიერებამ დაღუპა. ბევრი რამის ცოდნამ. რუსეთის ცოდნამ. ამერიკის ცოდნამ (წყალივით იცოდა რუსულიც და ინგლისურიც), ქართულის ცოდნამ, ჩვენი ისტორიის ცოდნამ. ცოდნა (განათლება) პოლიციელივით არის ხოლმე (ეჭვი, უნდობლობა), უცოდნელი კაცი უნდობელი ვერ იქნება. უამრავი რამე იცოდა ზვიად გამსახურდიამ, მაგრამ ერთ კაცს ყველაფერი მაინც ვერ ეცოდინება. და იგი დაღუპა პოლიტიკის არცოდნამ. პოლიტიკა ცალკე საგანია. ცალკე – დარგი – პროფესია (პ. ფლორენსკი). მარგარეტ ტეტჩერს ეკუთვნის ასეთი გამონათქვამი: „ზვიად გამსახურდია მომავლის პოლიტიკოსიაო“. „მომავლის“. მაგრამ არა დღეის დღის, არა – თანამედროვე პოლიტიკოსი. პოეტი – პოლიტიკოსი. პოეტი (მწერალი), როგორც წესი, უსწრებს დროს, პოლიტიკოსი კი დროს ქმნის. ვითარებას ქმნის. ხელოვნება – ხელოვნებისათვის, საქართველო – ქართველებისთვის. ოდესმე, თუკი საქართველოს არსებობა უწერია, ასეც მოხდება, და ყველა თავის მიწა-წყალს, თავის სოფელს, თავის ქალაქს, თავის კუთხეს, თავის სამშობლოს მოუვლის.

აგერ, ახლახან, ყველაზე ჭკვიანმა ქართველმა მოწაფემ, თორმეტიოდ წლის თორნიკე ჭუმბურიძემ, საშინაო დავალება ასეთი ფრაზით დაასრულა: „ჩერნობილში დღემდე არ მიფრინავენ ფრინველებიო“. ესე იგი, ახალ ადგილზე არიან, ცხადია.

მოვიგონოთ ჰიროსიმა და ნაგასაკი.

ყველაზე მეტი უბედურება: წყალდიდობა, გრივალი, ხვატი და თქეში ამერიკას ატყდება თავზე, იმ ქვეყანას, სადაც ყველაზე მეტად არის განვითარებული მეცნიერება და ტექნიკა; ყველაზე ძლიერი ატომური სადგურები გააჩნიათ, ყველაზე მაღალი ცათამბჯენები.

ადამიანების განადგურებაზე არანაკლები საშინელებაა ბუნების განადგურება. ამიტომაც, ჩემი გაგებით, დედამიწის ზურგზე, ყველაზე დიდი პოეტია ვაჟა-ფშაველა, თავისი გვარიც რომ ბუნებას, ადგილის დედას დაუკავშირა. და თუკი გვინდა ჩვენს პლანეტას სამველი დაადგეს, მისი „გველისმჭამელი“ ა-ნიდან ჰ-მდე უნდა გაიზეპიროს მთელმა კაცობრიობამ.

ყველა რევოლუცია უბედურების მომტანია და ყველა რევოლუცია ბოლო-ბოლო კრახით მთავრდება. კრახით დამთავრდა დიდი ფრანგული რევოლუცია, დიდი ოქტომბრის რევოლუცია... ბუნებისადმი მიძალბებული რევოლუცია. რკინიგზის გაყვანაც კი რევოლუციააო, წერს ერთი რუსი ფილოსოფოსი. ნებისმიერი გამარჯვება: ადამიანზე იქნება ეს თუ ბუნებაზე, მტრის გამამრავლებელია. ბუნებამ იცის შურისძიება, სამაგიეროს გადახდა.

რობერტ ფროსტი ვაჟას ამხანაგია, მისი სულიერი ნათესავი და უმცროსი ძმა. მთელი მისი შემოქმედება ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზეა დამყნობილი. ბოროტისა და კეთილის ურთიერთობაზე. არ არსებობს ცალკე ბოროტი და ცალკე კეთილი. დღეს ღამე მოსდევს, ღამეს – დღე, დარს – ავდარი, ავდარს – დარი. დარ-ავდარიანია კაცობრიობის ცხოვრებაც. კაცის, მცენარის, ნადირ-ფრინველის ცხოვრება. როგორი წარმოსადგენია, სულ რომ დღე იყოს, ან სულ ღამე, სულ რომ ავდარი, ან სულ დარი.

კამიუ ინერს (უბის ნიგნაკში), მოვეშვათ მიუნვდომელის ჩხრეკა-შემეცნებას, გავწიოთ ფიქრის ეკონომია და მივხედოთ ადამიანს, მივხედოთ სახლს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. სასრული უსასრულოს ვერ შეიცნობს, ვერ გასწვდება. „მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა!“. ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, რუსთაველის აქეთ არც გურამიშვილი დაიბადებოდა, და არც ვაჟა, არც ფროსტი და არც გალაკტიონი.

მაგრამ წინ ყურება აუცილებელია.

სხედან ზღვის პირას ადამიანები, ხელებში კენჭებს ათამაშებენ და წინ იყურებიან. ვერც შორს იყურებიან და ვერც ღრმად. მაგრამ ცქერას მაინც არ იშლიან, წერს ფროსტი.



რობერტ ფროსტი

შემიძლია დაუსრულებლად ვისაუბრო ფროსტის შემოქმედებაზე, ზეპირად მახსოვს მისი მრავალი სტრიქონი, მისი ლექსების შინაარსი, შინამო.

ფროსტის შინამო უკიდევანოა. იმგვარია, როგორც არის თვით ცხოვრება. ავითა და კარგით, ამინდითა და უამინდობით, დღითა და ღამით.

მაგრამ მივყვეთ პირველ სიტყვას და მივუბრუნდეთ „ღობის შეკეთებას.“

მეზობელმა გამოზაფხულზე გააფრთხილა მეზობელი, ღობე გავაახლოთო. არავინ იცის, ამ ღობეს რა ემართებაო, ამბობს პოეტი, მაგრამ გამოზაფხულზე მისი შეკეთება-განახლება აუცილებელიაო.

ფროსტი იყო ფერმერი. მეურნე.

საკუთარი კარ-მიდამო ჰქონდა და, მიწას ამუშავებდა. როგორც ჩვენი ვაჟა, ხნავდა, თესავდა, მოსავალს იღებდა, შეშა გამოჰქონდა ტყიდან და საქონელს უვლიდა. უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია, 6 თუ 7 კლასი გაიარა მხოლოდ. მერე იყო ხელის მუშა, მერე – მენაღე, თავისი პანია ფარდული ჰქონდა, მერე გამოსცა ლექსების კრებული, მერე ინვევედნენ უნივერსიტეტები და პოეზიაზე ლექციებს კითხულობდა, მერე სხვადასხვა უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი გახდა...

ორი მეზობელი შეუდგა ღობის შეკეთებას...

და აი, ისინი მიადგნენ ამგვარ ალაგს:

ერთ მათგანს ალუბლის ბალი აქვს გაშენებული, მეორეს, ღობის იქითა მეზობელს, – ღორები ჰყავს მიშვებული.

ფროსტი ეუბნება კარის მეზობელს, დავიღალე, მეტი არ შემიძლია, შევეშვათ ამ ღობეს, ჩემი ალუბლები ხომ შენთან ვერ გადმოიბრუნენ და ღორებს ვერ შეგიჭამენო. იმან, მეორემ, არაო. ქვა აავდო და თავი შეუშვირა: მეზობელი მაშინაა კარგი მეზობელი, როცა კარგი ღობე გააჩნიაო. აილო მორიგი ლოდი და დააყუდა, და პოეტმა თქვა (უკვე ღამდება), – „ბურუსი მარტო შეღამებისაგან არ მომდინარეობსო“, და გათავდა ღობის ამბავი.

სხვა მისი ლექსის სათაურია: „ვაშლი რომ დავკრიფეთ.“

დიდძალი ვაშლი ჩამოვიდაო, ამბობს პოეტი, და სად წაგველო ამდენი მოსავალი, არ ვიცოდითო. ავიღეთ და სხვენზე ავიტანეთო, ფიცარმა ვერ გაუძლო და ვაშლი დაბლა ჩამოვიდაო, დაიჭეჭყა და გაფუჭდაო. ჯერ მისი ატანა თქვი იმ სიმალლეზე და ახლა კიდევ ამის აკრეფა-განმენდა-დახარისხებაო, სხვენს ვილა ჩივისო. მაგრამ, საიდან ამგვარი გაუმადლობა? აი, რა აინტერესებს პოეტს. სად მარხია ძაღლის თავი, რაა მიზეზი:

კარს მომდგარი ზამთარი თუ მსუნაგი სტომაქი, რაც ვერ იქნა და ვერ ამოავსო...

სხვა ლექსის სათაურია: „დაეხეტება ორი კაცი ცრასა და ცრიატში.“

პოეტი აღწერს ზამთრის კარს, ჭინჭყოსა და ტალახს, ორი კაცი, ორი ხერხის მუშა დაეხეტება ცრასა და ცრიატში, ფერმიდან – ფერმაში, ეძებენ სახელსაქმოს.

ფროსტი (ავტორი) ამ დილით კარგ გუნებაზეა და ჩეხავს შეშას, თანაც ისე მარჯვედ ჩეხავს, ნამცეცი ნაფოტიც არ დაუფარდება.

დგანან მხერხავები და გაშტერებულნი უყურებენ კაცის საქმიანობას.

არც ფროსტი იღებს ხმას, არც – ისინი.

მთელი ტრაგედია!

მე იმიტომ ვჩეხავ შეშას, რომ შრომა მიხარია, ესენი კი მსგავსი შრომით ფულს შოულობენ, ოჯახს არჩენენ, და მაქვს კი უფლება, ლუკმა-პური წავართვა ამათ? – კითხულობს პოეტი და იქვე პასუხობს: შრომა მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა კარგი და სასარგებლო, როცა შთავგონებას-თანაა დაკავშირებული.

„შრომა სინდისია“, - წერს რუსი მწერალი ანდრეი პლაცტონოვი.

მიჭირს ამის თქმა, მაგრამ მეც და თითქმის მთელი ჩემი საქართველოც, პლაცტონოვის განმარტების მიხედვით, მეტად უამურ ეპითეტს ვიმსახურებთ.

სხვა ლექსში პოეტი აღწერს ერთი ახალგამოჩენილი ბარტყის თავგადასავალს, თიბვაში რომ წაანყდა და კინაღამ მოპირული ცელით კისერი წააცალა. აიყვანა ის ბარტყი, მიეფერა და ჩასვა ისევ ბალახებში. დიდი ხანი გამოინდა მას აქეთ, და ერთხელაც შეამჩნია, რომ ის ბარტყი მთელი ამ ხნის განმავლობაში არ გახსენებია: „ისწავლა თუ არა მან ფრენა და რა ბედი ენია?“

სხვა ლექსში იგი ფინლით ხელში მიუყვება გათიბულ სათიბს, ზვინავს თივას. და უცებ დაინახავს ბლუჯად ამოსულ ყვავილებს, რაც არ მოსჭრა წინმავალმა მთიბავემა, და ამის გამო არის შეფიქრანებული: რატომ შეიბრალა მან ყვავილები? იმიტომ, რომ ამ დილით თვითონ იდგა კარგ გუნებაზე, თუ უკან მომყოლი მეზვინეც გაახსენდა და მისი ხათრით არ მოსჭრა ყვავილები? მთიბავი, როგორც ჩანს, ყვავილების სილამაზემ მოინადირა და ცელი არ გაუსვა, საკუთარ თავზე ფიქრობდა, ცხადია, და არა ჩემზე, ამბობს პოეტი, მაგრამ ყოველი ჩვენი კარგი საქციელი, სხვისთვისაც გამახარებელიაო:

**სხვადასხვა საქმეს ვუდგავართ თუმცა,
მაინც ერთ საქმეს ვაკეთებთ ყველა...**

შემდეგი ლექსი:

პოეტი დაეხეტება დაბურულ ტყეში, გამოზაფხულზე, და უცებ წაანყდება საზამთროდ გამზადებულ შეშას. შემოდგომაზე უნდა გაეტანა იგი ვილაცას, მაგრამ ვერ გაიტანა. გავიდა ზამთარიც. შეშა უკვე ლპება, ობი ეკიდება. იმ კაცს კი, ვინ იცის, როგორმა საშურმა საქმემ დაავინყა შეშის გატანა?..

სხვა ლექსში, პოეტი თავის ყანაშია და მიწას თოხნის. საქმე არ იცდის, ცხადია, მაგრამ მეზობელი თუ მოადგება

ლობს და დამიძახებს, ვიცი, რაც უნდა გავაკეთოო, ამბობს იგი. ამ თოხს დავაყუდებ და მეზობელს გავესაუბრებოო.

რევაზ თვარაძემ აღნიშნა ერთხელ: „ფოლკენერს რომ ვთარგმნიდი, ზესტაფონიდან ტყიბულს მიმავალი გლეხების ხმა მესმოდაო.“

ასეთივე ახლობელია ჩემთვის ფროსტი, რასაც ჩვენებური სოფლის ყოფა-გარემოება განაპირობებს.

ჯოისი იმდენადაა ამერიკელი, რამდენადაც არის ირლანდიელი, ან კიდევ ფრანგი, გერმანელი... ასევეა მუზილიცი... ჰემინგუეი-საყოველთაოა. ჰეკლბერი ფინი – ნალდი ამერიკელია, ტომ სოიერი – არა...

„როგორც თვალს ეამხანაგება თვალი, ისე უნდა ეამხანაგებოდეს შრომას შთავგონება (ხალისი)“, წერს ფროსტი.

**შრომისა ახსნა, ეგ არის ტვირთი
ძღვეამოსილი ამ საუკუნის.**

(ილია)

არც მეოცეში გადაწყვეტილა შრომის რაობა.

დამარცხდა კოლექტიური მეურნეობა.

ცხონებული ბაბუაჩემის დაკვირვებით, ზოგი კაცი იმიტომ შრომობს, რომ დაისვენოს. ზოგი – იმიტომ ისვენებს, რომ იშრომოს. ფროსტს რომ მეგრული ენა სცოდნოდა (სვიმო-ბაბუამ სხვა ენა არ იცოდა), ისინი შეიძლება მხარის ამხანაგებიც გამხდარიყვნენ, თუმცა ამხანაგის მოძებნა, არათუ სხვის სამშობლოში, საკუთარ სამშობლოშიც არაა იოლი.

რობერტ ფროსტს სამშობლოს მიწის უმცირეს მონაკვეთზე მოჰყავს ხორბლის უდიდესი მოსავალი, მაგრამ რისი წყალობით, რა მანქანებით? ათასნაირი შხამ-ქიმიკატებისა და სასუქის მეშვეობით.

ესე იგი, ვატყუებთ მიწას.

- - - -

60-იან წლებში ამერიკამ და რუსეთმა მოილაპარაკეს, ორი-სამი კვირით გაეცვალათ თითო მწერალი.

ეს პატივი ერგოთ რობერტ ფროსტსა და ალექსანდრე ტვარდოვსკის.

88 წლის ბერიკაცი რუსეთში ჩამოვიდა.

ტვარდოვსკის არ მოუნია ამერიკაში გამგზავრება. პარტიამ, როგორც წესი, სიტყვა არ შეინახა. პირობა გატეხა. კომპარტია არ ენდო „ტიორკინის“ ავტორს.

რობერტ ფროსტი კი უკვე რუსეთშია.

ორი ახალგაზრდა ქალი (კაგებეს თანამშრომლები) დაატარებს ბერიკაცს, სურვილისამებრ.

ფროსტი ჩაიყვანეს ლენინგრადში და შეახვედრეს ანა ახმატოვას.

ანა ახმატოვა და ფროსტი ერთად უნდა წარედგინათ ნობელის პრემიაზე. დაინტერესდა ფროსტი, ვინ უნევდა მეტოქეობას.

ანა ახმატოვა, ჩვეულებისამებრ, ჩაჯდა სავარძელში, მოიღერა ყელი პოეტმა და წაიკითხა ლექსი, რასაც ფროსტმა ვერაფერი გაუგო. თვითონ, მიუხედავად დაჟინებული თხოვნა-მუდარისა, ლექსი არ წაიკითხა.

ზის იგი და უსმენს „გამომსვლელებს“, ანუ მომყოლ პოეტებს – ვეტუშენკოს, ვოზნესენსკის...

იგი შეახვედრეს, აგრეთვე, ტვარდოვსკის, სურკოვსა და ჩუკოვსკის. ჩუკოვსკის იქვე შეხვდა, პერედელკინოში, ორ ნაბიჯზე ამ შენობიდან, სადაც ახლა ვწერ ამ ესეს – პოეტის აგარაკზე, სადაც ახლა სახლ-მუზეუმი გამარ-თული.

ჩუკოვსკიმ კარგად იცოდა ინგლისური ენა.

მერე, ფროსტი გაგრაში რომ ჩაიყვანეს, სადაც ისვენებდა ხრუშჩოვი – პოეტი ავად შეიქნა და ჩანვა. შეხვედრა იშლება. მაგრამ აქ თავი იჩინა ხრუშჩოვის გლეხურმა სისხლმა, ადგა და თვითონ ეწვია პოეტს.

ფროსტი ლოგინში იწვა.

„პრეზიდენტი“ სტუმრობა რომ აუწყეს, ბერიკაცმაც შეინახა ადამ-წესი, ადგა, ტანთ ჩაიცვა და კარს მომდგარ სტუმარს გაეგება.

დასხდნენ და გააბეს საუბარი.

კარგა 2 საათი ისაუბრეს.

ფროსტმა საუბარში აღნიშნა, რომ კარგია, როცა სახელმწიფოს მეთაურები ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ, უფრო კარგია, თუკი მწერლები ხვდებიან ერთმანეთს – ისინი აახლოებენ ნათესაურ სულებს.

ეგტუშენკოს, ვოზნესენსკის, ოკუჯავასა და ვისოცკის ხანაში სსრკ-ში ფროსტის სტუმრობა თითქმის უაზრობა იყო. ალბათ, არაფერი რომ არა ვთქვათ იმის თაობაზე, რომ თვით ანა ახმატოვასაც კი, ამ ბრწყინვალე პოეტსასა, არ მიაჩნდა იგი საყურადღებო შემოქმედად, და კიდევაც უთქვამს, რომ მას კონკურენციას უწევდა პოეტი, რომელიც ლექსებს წერდა ძროხებსა და ცხენებზე, ტყის მჭრელებსა და მთიბავებზე, და ნაწყენი ბრძანდებოდა ქალბატონი ანა. თუმცა, პოეტთან შეხვედრა-გასაუბრების შემდეგ მას თითქოს აზრი შეუცვლია და უთქვამს: კარგი ბერიკაციაო. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, ახმატოვას რომ მისი ლექსი მოსწონებოდა. არ მოეწონებოდა და არცაა გასაკვირი. ამ ორ პოეტს მეტად განსხვავებული შეხედულება გააჩნიათ პოეზიაზე. მსგავსი, ანუ თითქმის ერთნაირი შეხედულება გააჩნიათ ფროსტსა და კენედის, მაგრამ, ამაზე შემდეგ.

ერთ-ერთ საღამოზე, არ მოეშენენ ბერიკაცს, გინდა თუ არა, ლექსი წაგვიკითხო, და მან წაიკითხა ერთი მცირე (ორსტროფიანი) ლექსი.

კაცი მიდის ცხენით, შეღამებისას, ტყის განაპირაში, და ცხენმა უცებ იხუა რაღაც, ვერ იცნო შემოგარენი, ეუცხოვა, და პოეტმა იკითხა (თუ ცხენმა იკითხა?): „ვისია ეს ტყე?“ უცებ რომ იკითხო, ვისია ეს არწივი, ან კიდევ, სულაც, ვისია ეს დედამინა, ეს ცა, ასე და ამგვარად... მაგრამ ვერავინ ვერაფერი გაიგო, და პოეტმა გადაწყვიტა, აუდიტორიის წინაშე ლექსი მეტად არ წაეკითხა.

ხრუშჩოვი დაემშვიდობა პოეტს და ფროსტი შეფუცხუნდა: წიგნის ჩუქება დააინწყდა. ვილაცას დაუძახა და სთხოვა, პრეზიდენტს ნაბიჯი დაეთმინა, - გენსეკი დაბლა, სასტუმროს ეზოში, მანქანაში ჯდებოდა, ფროსტის ნობათი (მისი ლექსების კრებული „ტყის გაკაფვა“) რომ დააწიეს და გადასცეს.

მეტი არაა ჩვენი მტერი, ის წიგნი ხრუშჩოვს წაეკითხოს, კენედის კი აუცილებლად რომ ექნებოდა წაკითხული, ცხადია...

ფროსტი მოკლე ხანში გარდაიცვალა.

კენედიმ მას გამოსათხოვარი სიტყვა უთხრა.

„ამერიკა ფროსტია,“ - ასე დაიწყო პრეზიდენტმა თავისი სიტყვა, ილაპარაკა იმაზე, რომ ამერიკა ყველას, რატომღაც, მხოლოდ და მხოლოდ დიდად განვითარებული ტექნიკის ქვეყანა ჰგონია. სინამდვილეში ამერიკას თავისი ბუნება გააჩნია, და სწორედ მის თავისებურებას აღწერდა პოეტი მთელი თავისი ცხოვრება. დიდხანს ილაპარაკა პრეზიდენტმა ამერიკასა და მის პოეტზე და სიტყვა ასე დაამთავრა: „ფროსტი ამერიკაა.“

სიტყვის დასაწყისი გვახსოვს: „ამერიკა ფროსტია.“

ელიოტი: „ჩემს დასაწყისში ჩემი დასასრულია. ჩემს დასასრულში – ჩემი დასაწყისი.“


დამთავრდა პოეტის ცხოვრება და დაიწყო მისი გარდაცვალების მერმინდელი ცხოვრება. გარდაცვალებით ხომ არაფერი მთავრდება და სწორედ ეს ჩვენებური გარდაცვალება (გარდასახვა) მიესადაგება პოეტის ყოფიერებას.

P.S.

ერთხელაც ჩემმა უმცროსმა ასულმა – ცირუმ – რობერტ ფროსტის ლექსები უკითხა პოეტის ერთ-ერთ თანამემამულე მამაკაცს, რომელიც ჩვენთან იყო ჩამოსული და სტუმარი გაოგნდა: თავიანთი დიდი პოეტის შესახებ არაფერი გაეგონა, არ იცნობდა ასეთი სახელისა და გვარის პოეტს! უნივერსიტეტი კი ჰქონდა დამთავრებული, ანუ უმაღლესი განათლება მიღებული. ასე რომ, ეს ჩემი მცირე ნახელავი, სავარაუდოა, იმ ამერიკელი მამაკაცისთვის უფრო იყოს ყურადსაღები, ვიდრე ჩვენებური მკითხველისთვის.

კენედიმ რაც თქვა პოეტის შესახებ, ვიცით. ქართველმა პრეზიდენტმაც (ზვიად გამსახურდიამ) რომ თარგმნა ფროსტის ლექსები, ვიცით. საფრანგეთის პრეზიდენტმა (ჟაკ შირაკმა) რომ თარგმნა „ვეგენი ონეგინი“ და წინათქმა-გამოკვლევაც დაურთო, ესეც ვიცით. თამაზ ჩხენკელმა რომ თარგმნა ფროსტის შედეგური – ვიცით. ბუნებრივია, იგი ამ საქმის სპეციალისტია და პროფესიონალი მთარგმნელი („დრო ახლა ბევრია, თანაც სამსახურში აღარ უნდა იყო ბედად“), მაგრამ საიდან, ან რატომ უნდა გამოეკერათ ესოდენი დრო და მოცალეობა ქვეყნის პრეზიდენტებს? – „აი, საკითხი, და საკითხის კიდევ საკითხი“... (გალაკტიონი).

პერედელკინო



რალფ უოლდო ემერსონი

არისტოკრატია

*

**ნიმნიდან:
„ინგლისელთა ზნეობანი“**

ინგლისის სახელმწიფოს ფეოდალური ხასიათი, ახლა, როცა უკვე მოძველდა, ოდნავდა ბრწყინავს დემოკრატიული ტენდენციების პირისპირ მდგარი, უთანაბრობა ძალაუფლებისა და ქონებისა ალაშფოთებს რესპუბლიკურ ნერვებს. სასახლეები, დარბაზები, ვილები, კედელმემოვლებული პარკები მთელს ინგლისში ბრწყინვალეობით სამეფო სადგომებს ეჯობებია. მრავალი დარბაზი ჰედონივით თუ კედლსტონივით მშვენიერია, მაგრამ გამოცარიელებული. მფლობელს არც არასოდეს მოუნახულებია და არც უცხოვრია აქ. ქონების პირმშოზე გადაცემის კანონმა ააშენა ეს მდიდრული შენობები და, ვფიქრობ ყოველ მოგზაურს იგივე განცდა დაუფლებდა, რაც მე, სჯობდა ასე მომხდარიყო, ვიდრე პირიქით. ქონების პირმშოზე გადაცემა უმთავრესი წესია ინგლისური საკუთრებისა და დანესებულებათა კანონები, ადათ-ჩვეულებანი, რომელიც გნებავთ პიროვნება თუ სახე, ადასტურებს ამას.

საზოგადოების აღნაგობა არისტოკრატულია, ხალხის გემოვნება კი – ლოიალური. კეთილშობილთა მამულები, სახელები და ჩვევები ალელვებს ხალხის ფანტაზიას და მოიპოვებს საჭირო მხარდაჭერას. დამსხვრეული რწმენის, მოპარული უფლებების, მეფის კარის მფლანგველების გამოისობით გაღატაკებული საზოგადოების მიუხედავად, მაშინვე ვირჩევთ, თუ ვის მოვემხროთ, როგორც კი წავიკითხავთ ინგლისის ლოიალურობისა და მეფე ჩარლზის „უფლებათა აღდგენაზე“ თავის კავალერებიანად – არა და ვიცით, თუ როდენ სულმოკლე და თავქარიანია ეს მეფე და რა ღვთისპირიდან გადავარდნილ მძარცველთა ხროვაა მისი თანმხლებნი. ინგლისელმა ხალხმა იცოდა ყოველივე ეს. მაგრამ მშვენიერი იდეა ჩამოყალიბებული მმართველობისა, ჰერალდიკურ გვარებს, ევროპის წერილობით თუ ზეპირ ისტორიას და, ბოლოს, ებრაულ რელიგიასა და მსოფლიოს უძველეს ტრადიციას რომ უკავშირდება, მეტად სასიამოვნო სანახავი გახლდათ, რომ არ დაენგრიათ რალაც ორიოდ ჩირქისმომცხები ამბისა და ხარაზებისა თუ მენვრილმანეთა პოლიტიკანობის გამო. მდაბითა იმედები იმავე გზას ადგას, რასაც პატრიოტთა ინტერესები. ყოველი გამდიდრებული კაცი მიწას ყიდულობს და ყველაფერს აკეთებს, რათა გააძლიეროს კეთილშობილთა წრე, სადაც იმედოვნებს, გავაღწევო. ინგლისური ეკლესია გაიგივებულია არისტოკრატისთან. დრომ და კანონმა შეაკავშირა და სრულყოფილად ჩამოასხა ყალიბში. ტაძრები, უნივერსიტეტები, ეროვნული მუსიკა, ხალხური რომანსები ჩუმად ეხმებიან ჰერალდიკას, რასაც დღევანდელი პოლიტიკა ძირს უთხრის. ხალხის გემოვნება კონსერვატულია. ისინი ამაყობენ ციხე-დარბაზებით და სარაინდო

ენითა თუ სიმბოლოებით. თვით სიტყვა „ლორდი“ რალაც ლაზათიანი სტილით ყოველ ენაზე პატრიოტობას გულისხმობს. აღმატებული განათლება და ჩვევები კეთილშობილთ რეკომენდაციას აძლევთ სამშობლოს წინაშე.



ნორვეგიელმა მეკობრემ მოიპოვა, რაც შეეძლო, და უფროს ვაჟს უნახავდა. ნორმანი კეთილშობილიც, ვინც მონათლული ნორვეგიელი მეკობრე გახლდათ, ასევე მოიქცა. დასავლეთის არისტოკრატისა აღმოსავლეთთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ჯარში უმცროსები მიჰყავდათ. ინგლისის ისტორია არისტოკრატის ისტორიაა, კარი რომ გადაუხსნია. ვისაც ჰყოფნის გამბედაობა და ძალა, დაე შემოვიდეს. რა თქმა უნდა, შესვლის პირობები ამ კლუბში მძიმეა და ძვირადღირებული. კეთილშობილთა თავკერძობა მხარში უდგას ერის ინტერესებს, რომელიც განსაკუთრებულ ღვაწლსა და დამსახურებას მოითხოვს. მეკობრეობამ და ომმა ადგილი დაუთმო ვაჭრობას, პოლიტიკასა და ლიტერატურას; ომის ლორდმა – კანონის ლორდს; კანონის ლორდმა – ვაჭარსა და მექარხნეს; მაგრამ პრივილეგია შენარჩუნდა, თუმცა მისი მოპოვების საშუალებები შეიცვალა.

ამ ოჯახების წარმოშობა ღრმად ჩამარხულა ნორვეგიელთა საზღვაო გმირობებსა და საქსონთა სახმელეთო მამაცობაში. თავიდან აზნაურობა მავანისა და მავანის ბუნებრივი უპირატესობა გახლდათ. საქმენი, რასაც ეს ინგლისელები სჩადიოდნენ, ვერ მოხერხდებოდა სიცოცხლის საფრთხეში ჩაუგდებლად, სიბრძნისა და წინამძღოლობის გარეშე; და პირველთ, უნდა აღინიშნოს, ხშირად უხდებოდათ დაემტკიცებინათ უფლება ღირსეული ადგილის დაკავებისა, ან დაეთმოთ მჯობნისათვის. „ვინც მეთაურია, დაე ხიდიც ის იყოს“, უთქვამს უელსელთა ბელად ბინეგრიდ-რანს, როცა თავისი მებრძოლები მდინარეზე ზურგით გადაჰყავდა. „ნიგნი მას უნდა ჰქონდეს“, – უთქვამს დედას ალფრედისათვის, – „ვისაც ნაკითხვა ძალუძს“; და ალფრედმაც ასე მოიხვეჭა სახელი; და ეჭვიც არ მეპარება, ფეოდალური სამფლობელო სინეცურე კი არ იყო, არამედ ბარონს, რაინდსა და მოიჯარეს ხშირად უხდებოდა მესხიერების გამოცოცხლება, რასაც მინისმფლობელობის საქმე მოითხოვდა. დე ვერები, ბოჰუნები, მოუბრეიები თუ პლანტაგენეტები არ ყოფილან მიდრეკილნი გააზრებებისაკენ. შუა საუკუნეებმა თავი შეიძკო ვაჟკაცობითა და ერთგულებით. იმპერატორს უთქვამს ჰენრი V-სათვის რიჩარდ ბიუჩემის, უორუიკის გრაფის გამო: არცერთ ქრისტიან მეფეს არ ჰყოლია რაინდი მსგავსი სიბრძნით, ალზრდითა და კაცთმოყვარეობითო, და უბრძანებია ეწოდებინათ „მამა თავაზიანობისა“-სა. „ჩვენი გამარჯვებანი საფრანგეთში“, იუნყება ისტორიკოსი, „მასთან ერთად ცოცხლობდა და მასთან ერთად მოკვდა“.*

* ფულერი-სიძველენი, II-გვ. 472

ომის ლორდმა მოიხვეჭა სახელი და რამდენი მინაც უნდა ებოძებინათ, ბევრი არ იქნებოდა, რადგან ამ მინას მოჰქონდა დაცვის მოვალეობა, ლორდი ყოველ წუთსა და საათს უნდა დახვედროდა საშინელ მტერს. საფრანგეთსა და ინგლისში აზნაურები ამ ბოლო ხანებამდე იბადებოდნენ და აღიზრდებოდნენ ომისა და დუელისათვის, რაც მშვიდობიანობისას საომარი რისკის განწყობილებას უნარჩუნებდათ, ეს ამცირებდა მათდამი შურს, რითაც მოვაჭრე და მუყაითი ერი უთვალთვალებდა მათ ტიტულებს. ისინი ჰგავდნენ კაცებს, ვინც დიდი ბანკის მოსახსნელად მაღალ ფსონს ჩამოდიან.

დიდი მამულები დიდ შემოსავალს მაშინ მოგიტანს, თუკი შესაფერისადაც უპატრონებ. შემოქმედებითი მეურნეობა ის სანავია, რომელსაც ბრწყინვალეობისაკენ მიყვავართ. უორუიკთა იმავე შტოს შთამომავალი, ბიუჩემისაგან მესამე თაობა იყო მამაცი გრაფი ჰენრი VI-სა და ედუარდ IV-ის კარზე. ცოტას ვინმეს თუ უცია საკუთარი თავისათვის ასეთი პატივი, მათგან ვისაც წილად არა რგებია, მდგომარეობის მიმანიშნებელი შავი დაძინილი თავსაბურავით შეემკო თავი. მის სახლში, ლონდონში, საუზმეზე ყოველდღიურად ექვსი ხარი იჭმებოდა, ყოველი ტავერნა მის მიერ გაგზავნილი ხორციით იყო სავსე და ვინც მის ოჯახს იცნობდა, იმდენი მოხარშულისა და შემწვარის ნალებს შეეძლო, რამდენიც გრძელ ხანჯალზე დაეტეოდა.

ახალი ეპოქა ახალ თავისებურებებს მოითხოვს; მეკობრის თვისებები პლანტატორის, ვაჭრის, სენატორისა და მეცნიერის თვისებად გადაიქცა. თავაზიანობა, სოციალური ტალანტი და დახვეწილი მანერებიც უთუოდ თავის როლს თამაშობდა. სადღაც გადავყარე გადმოცემას, რომელიც შესაძლოა მეტ-ნაკლებად მართალი იყოს ცალკეულ დეტალებში, მაგრამ მთლიანობაში სიმართლეა. „როგორ მოიპოვა ბედფორდის ჰერცოგმა ვრცელი მამულები? მის წინაპარს კონტინენტზე უმოგზაურია, სიცოცხლით სავსე, თავაზიანი კაცი ყოფილა; გამხდარა თანამგზავრი უცხოელი პრინცისა, ვისაც გემი დამსხვრევია დორსეტშირის სანაპიროზე, მ-რ რასელი სადაც ცხოვრობდა. პრინცმა მას რეკომენდაცია გაუწია ჰენრი VIII-სთან, ვინც კმაყოფილი დარჩენილა ამ ყმანვლით და უბოძებია დიდი ნაწილი დატაცებული საეკლესიო მიწებისა“. თავი ისე გვიჭირავს, თითქოს კეთილშობილი ნიშნავდეს უწყვეტ შთამომავლობას, მოყოლებულს ნორმანთაგან, რომელთაც არასოდეს უმუშავიათ რვაასი წლის მანძილზე. მაგრამ ფაქტი სხვაგვარია. სად არის ბოჭუმი? სად არის დე ვერი? ვექილი, ფერმერი, მეაბრეშუმე, მცირე გვირგვინის ქვეშ ფარულად შემძვრალა, მახლობლად მიმალულა და სიძველეთა მცველს თვალს უპაჭუნებს, გაჩუმდით; განსაკუთრებით უნარიანი ვექილები, ვინც არავისი ვაჟიშვილები არ არიან, მაგრამ შესაფერის დროს სამსახური გაუწევიათ მთავრობისათვის და უმაღლესი სასამართლოს მანტია დაუმსახურებიათ.

ეროვნული გემოვნება ინგლისელებს სამეფო კარის ცხოვრებისაკენ კი არ მიუძღვება, არამედ საკუთარი სახლების სიმშვიდისა და დამოუკიდებლობისაკენ. არისტოკრატია გამორჩეულია სოფლური ცხოვრებისადმი მიდრეკილებით. მათ საგრაფოთა ოჯახებს ეძახიან. ხშირად ლონდონში სახლი არ გააჩნიათ და მხოლოდ მოკლე ხნით

მიემგზავრებიან სეზონის დროს ოპერის სანახავად; მაგრამ მათში თავს იყრის შრომა და სიყვარული მრავალი თაობისა, ვინც აშენებდა, რგავდა და რთავდა მათ მამულებს. ზოგიერთი საკმაოდ მოხუცია და მეტისმეტად ამაყობს ტიტულებით, ან როგორც შერიდანმა თქვა ქოუკზე, „უღირსობად მიაჩნიათ, თავი მცირე გვირგვინის ქვეშ დამალონ“, და ახირებული შემთხვევებია დამონებული, ინგლისური ოჯახის გამძლეობას რომ გვიჩვენებენ. მათი ანდაზაა, ლონდონიდან ორმოცდაათ მილზე მცხოვრები ოჯახი ას წელს ცხოვრობს, ასი მილის მანძილზე მცხოვრები კი – ორას წელს და ასე შემდეგ. მაგრამ ვეჭვობ, რომ ორთქლი, მტერი დროისა და აგრეთვე სივრცისა და არღვევს ამ უძველეს კანონებს. სერ ჰენრი უოტონი ამბობს ბუკინგემის ჰერცოგზე: „იგი დაიბადა ბრუკბიში, ლესტერშირში, სადაც მისი წინაპრები ოთხასი წელია ცხოვრობდნენ, არცთუ უჩინრად, მაგრამ არც განსაკუთრებული ბრწყინვალეობით“. უირექსოლი მიუთითებს, 1781 წელს ლორდ სარიმ, შემდგომ ჰერცოგმა ნორფოლკმა, მიტხრა, როცა 1783 წელი დადგება, ვაპირებ გადავიხადო დიდი დღესასწაული ჯოკი ნორფოლკის ყველა შთამომავლისათვის, რითაც აღვნიშნავ ჰერცოგობის სამასი წლის თარიღს ჩვენი ოჯახისათვის, მას შემდეგ, რაც ეს ტიტული რიჩარდ III-მ მოგვანიჭაო. პეპისი 1666 წელს გვეუბნება ოქსფორდის გრაფზე, ამ გვარსა და სისხლს ეს ღირსება ექვსასი წელია ამშვენებსო.

ოჯახთა შორეული წარმოშობა (გრძელი შთამომავლობითი ჯაჭვი) და საუკუნეთა წილის გამოვლა ერთსა და იმავე მინის ნაკვეთზე დაფუძნებულთა მიერ, აჯადოებს წარმოსახვას. ამასთანვეა დაკავშირებული ქალაქებისა და მხარეთა სახელებიც ამ ქვეყანაში.

სახელები დიდებულია – ლეგენდური მელოდიის სურნელება ეფინება მინას. უფრო ძველი ყველა ეპოსსა და ისტორიაზე, რაც ერის სამოსს შეადგენს; ეს პერანგი სხეულთან ყველაზე ახლოა და რა ისტორიას, რა ამბებს არ მოიცავს პრიმიტიული და ველური წარმოსახვისას. კემბრიჯი კემის ხილია. შეფილდი მინდორია მდინარე შეფთან; ლეისტერი castra-ა (რომაელთა სამხედრო ბანაკი) ანუ ბანაკი ლირისა ან ლეირისა (ახლა სოარისა); როჩდელი როჩოს ბანაკია; ექსეტერი ანუ ექსეტერი ექსის castra-ა; ექსმუთი, დარტმუთი, სიდმუთი, ტეინმუთი, მდინარეთა ექსის, დარტის, სიდის და ტეინის შესართავებია. უოლთამი მძლავრი ქალაქია, რედკლიფი წითელი ფლატეა; და ასე შემდეგ – სახელის დარქმევისას გამოგნებელი გულწრფელობა ამერიკელისათვის, ვისი ქვეყანაც კიდით-კიდემდეა გადათეთრებული არაფრისმთქმელი სახელებით, ნახმარი ტანსაცმლით იმ ქვეყნიდან, საიდანაც ემიგრაციაში წამოვიდნენ, ან უკიდურეს შემთხვევაში ფსალმუნის მოტივებიდან დარქმეული სახელებით. მაგრამ ინგლისელები ხომ ის „ბარბაროსები“ არიან, ვინც „გამორჩევიან დინჯი მანერებით და მტკიცედ წარმოთქვამენ ღვთისათვის ძვირფას სიტყვებს“.

ძველი დამცინავი ხუმრობაა, ირლანდიელმა პერებმა თავიანთი სახელები პიესების წიგნებიდან ამოიღესო. ინგლისელი ლორდები საკუთარ მინებს (მამულებს თავიანთ სახელებს არ აქმევენ, თვითონ ირქმევენ სახელებს თავისი მამულების მიხედვით, ამით გვიჩვენებენ, კაცი წარმო-

ადგენს იმ სოფელს, რომელმაც გააჩინა და გამოზარდაო; და სამართლიანად ატარებენ იმ მიწის ნიშანს, რომელმაც გააჩინა, ჩაგვაგონებენ, რომ კავშირი არ გამწყდარა, და რომ იქ, ლონდონში, არ-გაილის კლდეებს, კორნუოლის ბორცვებს, უელსის რკინას, სტაფორდის თიხნარს არც ივინყებენ და არც დავინყებულობა, არამედ ისინი იცნობენ კაცს, ვინც თვითონ წარმოშვეს და ვინც, ისევე როგორც მისი მამების გრძელი ჯაჭვი, თავის სისხლსა და ქცევებში დაატარებდა იმ კლდეს, იმ სანაპიროს, მდელს, ჭაობსა თუ ტყეს. ასეთი არჩევა სახელისა იმითიც იყო კარგი, რომ პასუხისმგებლობას ჩააგონებდა. მგრძობიარე ადამიანს არ შეეძლო ეტარებინა სახელი, რომელიც მკაცრი სიზუსტით გამოხატავდა ქალაქს ან ინგლისის რომელიმე ოლქს, თუკი არ შეიგრძობდა მოთხოვნილებას მოვალეობისა და ღირსებისა.

პატრიარქების მიდრეკილება სოფლად ცხოვრებისადმი, რაც გლეხთა თავისუფალ ყოფას ესადაგებოდა, ინგლისურ ციხე-დარბაზთა გადარჩენის პირობა იყო. მირაზო წინასწარმეტყველურად წერდა ინგლისიდან 1784 წელს, „თუ რევოლუცია იფეთქებს საფრანგეთში, ვშიშობ, არისტოკრატის გამო: მათი შტოები ფერფლად იქცევა და მათი სისხლი მდინარეებად წამოვა. ინგლისელი ხიზანი თავის ლორდს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დაიცავს“. ინგლისელისათვის მამულში წასვლა დიდებულებაა. ფრანგი მეფის კარზე ცხოვრობს და მამულში წასვლა მისთვის გადასახლებაა ხელმომჭირნეობისათვის. ფრანგები თავის ხიზნებთან ერთად ცხოვრებას ფიქრადაც არ გაივლებენ, ამიტომ მათ ნდობას კი არ იმსახურებენ, უკანასკნელ სუსაც ნაპტლეჯენ. ივლინი იწერება ბლუაიდან 1644 წელს: „აქ იმდენი მგლებია, ხშირად ქუჩებიდან ბავშვებს იტაცებენ; მაგრამ ჰერცოგი (დუკა), ვინც აქ მბრძანებლობს, მათი განადგურების ნებას არ იძლევა“.

უძველეს ოჯახთა მიერ დაგროვილი ქონების გასაცნობად მოგზაურს უჩვენებენ სასახლეებს პიკადილიზე, ბარლინგტონ ჰაუსს, დევონშირ ჰაუსს, ლენსდაუნ ჰაუსს ბერკშირის მოედანზე და ქვევით სიტში, რამდენიმე სახლს კეთილშობილთა, რომლებიც ჯერაც მთელი თავისი სიდიადით წარმომდგარან ქუჩაში. ბედფორდის დუკა განაგებს ან განაგებდა ერთი მილის სიდიდის მოედანს ლონდონის გულში, სადაც ამჟამად დგას ბრიტანეთის მუზეუმი, ერთ დროს მონტეგიუს სახლი, და მიწას, დაკავებული უობერნის მოედნით, ბელფორდის მოედნით, რასელის მოედნით. უესტმინსტერის მარკიზმა ორიოდ წელიწადში ააშენა მოედნები, რომელსაც ბელგრავია უწოდა. სტეფორდ ჰაუსი უდიდებულესი სასახლეა ლონდონში. ნორთამბერლენდ ჰაუსი ჩარინგ კროსზე წამომართულა. ჩესტერფილდ ჰაუსი ოდლი სტრიტზე რჩება. საიონ ჰაუსი და ჰოლანდ ჰაუსი გარეუბნებშია. მაგრამ ისტორიულ სახლთა უმრავლესობა შენობილი ან ჩაკარგულია თანამედროვე ყოფაში, და ამგვარი გარდაქმნა მოიტანა ვაჭრობა-მა თუ ქველმოქმედებამ. ქალაქის მრავალ სასახლეში ხელოვნების ფასდაუდებელი გალერეებია.

სოფლად, კერძო მამულების სივრცე უფრო შთამბეჭდავია. ბარნარდ ქასლიდან შარაგზით გამოვემგზავრე, ჰაი ფორსიდან ოცდასამი მილი გავიარე, ტისის შესაყარი მივატოვე და დარლინგტონისაკენ გზა განვაგრძე, რები

ქასლის ჩაუარე, და ეს კლივლენდის დუკის სამფლობელო გახლდათ. მარკიზი ბრედოლბენი, შინიდან რომ გამოდის, მამულში ცხენით ას მილს გაივლის ხოლმე ზღვამდე. საზერლენდის დუკა საზერლენდის ოლქს განაგებს, სკოტლენდის საზღვრის გასწვრივ ზღვიდან ზღვამდე რომ გადაჭიმულა. დევონშირის დუკა სხვა მამულებთან ერთად 96 000 აკრის მფლობელია დერბის საგრაფოში. რიჩმონდის დუკას 40 000 აკრი აქვს გუდვუდში და 300 000 აკრი გორდონ ქასლში. ნორფოკის დუკას, პარკი სასექსში თხუთმეტი წრიულ მილს შეადგენს. მინათმფლობელმა უკანასკნელ ხანს იყიდა ლიუისის კუნძული ჰიბრაიდებში – 500 000 აკრის მოცულობისა. ლონდსდეილის გრაფის სამფლობელოები რვა ადგილს იძლევა პარლამენტში. ეს ხომ კვლავ ჰეპტარქის* დაბრუნებაა; და 1832 წლის რეფორმამდე ას ორმოცდაათოთხმეტი პირი სამას შვიდ წევრს აგზავნიდა პარლამენტში. საარჩევნო ქალაქებით მოვაჭრენი მართავდნენ ინგლისს.

ეს მსხვილი მამულები უფრო მეტად იზრდებიან. დიდი სამფლობელოები შთანთქავენ მცირე ნაკვეთებს. 1786 წელს ინგლისის მიწა 250 000 კორპორაციისა და მესაკუთრის ხელთ იყო; 1822 წელს კი 32 000-ის საკუთრებაში მოექცა. ეს გადაჭიმული სამფლობელოები ეტევიან ამ ვინჯრო კუნძულზე. მთელს ინგლისში, მცირეოდენი ადგილების გამოტოვებით, ცხვრის ფარეხებს, წისქვილებს, სამჭედლოებსა და მალაროებს შორის, გაფანტულია კეთილშობილთა სამოთხეები, სადაც მუდმივი სულისმოთქმა და დახვეწილობა მეტად გაბედულად მოგეჩვენებათ ყოველდღიურ ფუსფუსსა და წარმოების ღრიალთან შედარებით, საიდანაც იქ შეაბიჯებთ.

გაკვირვებელი დავრჩი, როცა ვნახე, თუ ყოველთვის რა ცოტა ესწრება ლორდთა პალატის სხდომებს. 573 პირიდან დღეში, ჩვეულებრივ, ოცი თუ ოცდაათი ესწრება. დანარჩენები სადღა არიან? ვიკითხე მე. „შინ, თავიანთ მამულებში, მონყენილობისაგან გულგამოჭმულნი, ან ალპებში, ან რაინზე თუ ჰარცის მთებში, ან ეგვიპტეში, ანდა ინდოეთში, მთაგრეხილებზე“. მაგრამ როცა ამდენი საქმეა სასწორზე შეგდებელი, როგორ შეუძლია ამ ხალხს, არაფრად ჩააგდოს ყოველივე? „ეჰ, – მიპასუხა მეგობარმა, – რისთვის შეინუხონ თავი, როცა ყოველი ინგლისელი მათთვის მუშაობს და განსაცდელში ჩაიგდება თავს მანამ, სანამ დაზარალდებოდნენ?“ ყველაზე თავგამოდებული რადიკალიც კი მაშინვე ქუდს მოიხდის და ხმასაც დაუნევს, როგორც კი ლორდს შეხვდება. 1848 წლის 10 აპრილს (ჩარტისტული დემონსტრაციის დღეს) აღინიშნა, რომ მაღალმა ფენებმა პირველად დაიცვეს თავი მონდომებულად, და მაღალი საზოგადოების კაცებმა სხვებთან ერთად დადეს ფიცი, როგორც საგანგებო დანიშნულების კონსტებლებმა. „ამას გარდა, რატომ უნდა დაესწრონ დებატებს? განა ველინგტონის დუკას, ამ დროისათვის მათი მინდობილობანი – ორმოცდაათი პირის მინდობილობა – ხმის მიცემაზე, ჯიბეში არ უდევს, რათა საჭიროებისთანავე ხმა მისცეს?“

სხვათა შორის, ისიც სიმართლეა, რომ პერთა პალატის – როგორც ხელისუფლების შტოს – არსებობა, უფლებას

* შვიდი სამეფო ანგლო-საქსებისა, შვიდეულის მმართველობა

აძლევთ კაბინეტის ნახევარი შეავსონ; ხოლო მათი ქონებისა და მდგომარეობის გაკლენა მეორე ნახევრის შევსების უფლებასაც აძლევთ; ამავე დროს ქვემდებარე დაწესებულებებსაც ნაწილობრივ ეუფლებიან, როგორც სანვრთნელ სკოლას. პოლიტიკური ძალაუფლების მონოპოლიამ მათს ინტელექტსა და საზოგადოებრივ ყოფას სახელი გაუთქვა ევროპაში. ლორდთაგან მხოლოდ მცირედენნი, სასამართლოს მუშაკნი იქნებიან თუ პოლიტიკური მოღვაწენი, თუ იტვირთებენ საერთო სახალხო საქმეს. ჯარში ძირითადად აზნაურებს აქვთ მაღალი წოდება და უფლებანი და თავიანთ მდგომარეობას დიდ ფასსა და ბრწყინვალეობას, ამასთან, განსაკუთრებულებასაც სძენენ. ისინი სრულად იტვირთებენ მოვალეობასა და ხიფათს ამ სამსახურში და ძალზე ცოტაა კეთილშობილთა ოჯახებიდან ისეთი, ვისაც არ მოეხადოს ვალი, თავის ნევრთა სიცოცხლე ან სხეულის ნაწილი არ შეენიროს რუსეთის ომში. რაც შეეხება დანარჩენს, აზნაურები წინამძღოლობენ თავიანთი მაღალი მდგომარეობითაც და ფულის ხარჯვითაც; გემოვნებაც სხვაზე უკეთესი აქვთ და საზოგადოებრივი ურთიერთობაც, სადღესასწაულო თუ შინაურული სტუმარ-მასპინძლობაც უკეთ ეხერხებათ. საერთოდ, ყველაფერი, რაც მოეთხოვებათ, ისაა, რომ მშვიდად და თავდაჯერებით ისხდნენ, წარმართონ საზოგადო კრებები, შეაგულიანონ და დაეხმარონ ქველმოქმედებას და იყვნენ სანიმუშონი ეტიკეტის დაცვისას, რაც ასე ძვირფასია ინგლისელის სულისა და გულისათვის.

თუკი დღევანდელი კრიტიკული განწყობით ვინმე იკითხავს: რა სარგებლობა მოაქვს ამ ფენასო? – ვუპასუხებთ, სარგებლობა რომ არ მოჰქონდეს, დიდი ხნის წინათ ამოწყდებოდა. ერთი ნაწილი მათი ღვაწლისა იოლი ჩამოსათვლელია, სხვა უფრო დაფარული საქმენი არაცნობიერი ისტორიის ნაწილია. მათი საზოგადოების აგებულება ერთი ნაბიჯია საზოგადოების პროგრესისაკენ. რადგანაც ერი რაღაცნაირად წარმოშობს კეთილშობილთ, როგორც უნდა ვუწოდოთ ლორდებს, ისევე, როგორც ქალებს წარმოშობს.

ინგლისელი კეთილშობილნი მამაცი, მოქმედი, ენერგიული, განათლებული კაცები არიან, სიმდიდრესა და ძალაუფლებასთან ერთად დაბადებულთ, ყველა ქვეყანა მოუნახულებიათ და ყველგან საუკეთესო მეგობრები ჰყავთ, ბუნებისა და ხელოვნების ყველა საიდუმლო უნახავთ და ყველანაირი უნარისა თუ მისწრაფების კაცს მიუმართავს მათთვის რჩევისათვის ყოველგვარ მნიშვნელოვან საქმეში. ვერავინ შეძლებს დიადი საქმის წამოწყებას, თუ მთლიანად არ ჩაერთვება ამ საქმეში, და როცა გრაფის ხასიათი მის მდგომარეობასა და მოვალეობას შეეფერება, ჩვენს წინაშეა დახვეწილობის საუკეთესო ნიმუში. ყველანაირი სახის ძალაუფლება იოლად მჟღავნდება მანერებში; ხოლო ძალაუფლება *Le talent de bien faire* ისეთ დიდებულებას ანიჭებს, რომ არც იმალება და ვერც გაუძლებს.

ეს ხალხი თავისი მდგომარეობით იმდენივეს იგებს, რამდენსაც კარგავს. ისინი საზოგადოებას თითქოს წმ. პავლეს ტაძრის წვერიდან ადევნებენ თვალს, და თუმცა არასოდეს სმენიან წრფელი სიმართლე ადამიანებისაგან, მაინც ყველგან და ყოველივეში საუკეთესოს ხედავენ და

მოვლენებს ისე დაჯგუფებულად და შეკრებილად აღიქვამენ, იოლად სწვდებიან არსსა და გენიას, ნაცვლად მოსაწყენი წვრილმანებისა. მათი კარგი ქცევა დამსახურებულად მიითვლის ქებას, ხოლო მათი სისადავე და სიმშვიდე უჩინებულესი ჩუქურთმაა სიდიადისა.

მაღალ კლასებს მხოლოდ წარმოშობა თუ აქვთ და არა აზროვნებაო, ამბობენ აქ. ჰო, მაგრამ მათ აქვთ მანერები, და გასაოცარია, რაოდენი ტალანტი მოედინება მანერებში – არსად და არასოდეს იმდენი ტალანტი არა ყოფილა მანერებში, რამდენიც ინგლისში. მათ აქვთ უპირატესობის განცდა, და არ გააჩნიათ პატივმოყვარული სწრაფვა, ზიზღს რომ აღგიძრავს ახალნამოჩიულ კლასებში, მათ აქვთ აზროვნებისა და შეგრძნების დაწმენდილი სტილი და ძალა მბრძანებლობისა, სხვა ფუფუნებასთან ერთად, და მათ მხიარულ შეკრებებზე ყველაზე სრულყოფილი კაცები იყრიან თავს.

ერთგულება ინგლისელის სუბრელიგიაა. ისინი კანონებს მოსართავებივით ატარებენ და დასეირნობენ ამ რწმენით ალვისილი და მორთულ-მოკაზმულნი მეიფარზე, თითქოსდა ღვთაებათა ქანდაკთა შორის იმყოფებიანო. ეკონომისტს, ვინც 1855 წელს კითხულობს, რა სარგებლობა მოაქვს ლორდებსო, შეუძლია ფრანკლინისაგან ისწავლოს, ვინც კითხულობს, რა სარგებლობა მოაქვს ბავშვსო? ისინი იყვნენ და არიან სოციალური ეკლესია, რომელსაც ძალუძს შთააგონოს გრძნობები, რაც ღირსებით ერთნაირად აღბეჭდავს შეყვარებულსაც და საყვარელსაც. თავაზიანობა რიტუალია საზოგადოებას, ისე, როგორც ლოცვები ეკლესიისა; თავაზიანობა მანერათა სკოლა და კეთილი დალოცვა იმ საუკუნისა, რომელშიც ის აღიზარდა. ესაა ინგლისური ცხოვრების დამამშვენებელი რომანტიკა უზარმაზარ სივრცეზე გადაჭიმული; ზეცისაკენ მიმავალი გზის შუაგული, ჯადოსნურ ზღაპრებსა და პოეზიას რომ ასხამს ხორცს კეთილშობილთა ცხოვრებაში. ესაა საზრდო კეთილშობილისათვის, რაც მას მართლაც მამაცს, წარმოსადაგეს, სრულქმნილსა და დიდსულოვანს ხდის.

საერთოდ, ყველაფერ იმას, რასაც მანერების ჩამოყალიბებამდე მიყვავართ, ან ადამიანების სრულქმნამდე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ყველა, ვისაც უგემნია მეგობრობის სიხარული, პატივს სცემს ყოველნაირ სოციალურ ნესრიგს, რისი დაფუძნებაც ჩვენს ჩვევებს შეუძლია, რაც ქარაფმუტა და უსიამოვნო ხალხის მოძალეებისაგან გვიხსნის. თითოეულ კლასში არსებული ეჭვი, რითაც თავს იცავენ, არის დამამტკიცებელი იმ რეალობისა, რაც ცხოვრებაში შეხვედრიათ. როცა კაცი ერთხელ ჯეროვნად შეაფასებს საკუთარ თავს, მაშინვე მოიშორებს ყოველგვარ შიშს არისტოკრატის მიმართ, როგორც ცრურწმენას, როგორ ძლიერადაც უნდა ჰქონდეს გამჯდარი. ის, ვინც მალაროს კარს იცავს, კობალტისა იქნება ეს მალარო, ვერცხლის წყლისა, ნიკელისა თუ გრაფიტისა, დარწმუნებულია, მსოფლიო უჩემოდ ვერაფერს გახდებო. ყველა, ვინც წრფელია, გულლია და მზად არის მისთვის, ვინც ასევე გულლია.

გარდა ამისა, მათ გადააქციეს ინგლისი იმ საცავად და მუზეუმად, რაც არის; აგროვებდნენ და იცავდნენ ხელოვნების ნიმუშებს, მოათრევდნენ ცეცხლმოდებული

ქალაქებიდან და რევოლუციამოდებული ქვეყნებიდან და აქ მოჰქონდათ ქვეყნიერების ყოველი კუთხიდან. პატივისცემით შევცქერი ექვსასი, შვიდასი, რვაასი ან უორვიკის ციხესავით ცხრაასი წლის სახლებს. შევუნდე პარკების მაღალი ლობები, როცა დავინახე, რომ, გარდა ირმებისა და ხობებისა, მან გადაარჩინა არანდელის მარმარილოს ქანდაკებათა კოლექცია, თაუნლის სურათთა გალერეა, ჰოუარდისა და სპენსერის ბიბლიოთეკები, უორვიკისა და პორტლენდის თასები, საქსონური ხელნაწერები, სამონასტრო არქიტექტურა, ათასწლოვანი ხეები, სხვაგან ყველგან გადაშენებული საქონელი. ამ ფეოდალურ მამულებში, ომის მძვინვარების, ნგრევის შემდეგ ცოტა რომ დანყარდება აქაურობა, ანტიკვარი პოულობს სიფრიფანა რომაულ სურას, დაფხავებულ ეგვიპტურ სარკოფაგს, ისე, რომ ახალი მტვრის ფენა არ დასდებია, დაურღვეველი ისტორიის ჯაჭვს რომ ინახავს და ელის განმმარტებელს, ვინც აუცილებლად მოვა. ეს ლორდები განძისმცველნი, ბიბლიოთეკარები არიან კაცობრიობისა, და ამ საქმეს სიამაყისა და სიმდიდრის გამო მოჰკიდებიან.

გარდა ამისა, ბრიტანეთის მთავრებს სხვა საქმეებიც აქვთ. ჯორჯ ლუდონმა, ქუინთინიმ, ივილინმა მათ ბაღების მოვლა ასწავლეს. არტურ იანგმა, ბეიკუელმა და მექიმ სოფლის მეურნეობაში განაფეს. სკოტლენდი ბანაკი იყო კალოდენის დრომდე. ეთოლის, საზერლენდის, ბაქლების დუკებმა, და მარკიზ ბრედოლბენიმ შემოიტანეს და დანერგეს კომბოსტოს კულტურა, ცხვრების მეურნეობა, ხორბალი, დრენაჟი, ტყეების გაშენება, ხელოვნურად ავსება ტბებისა და გუბურებისა თევზით, სანადირო მეურნეობათა გაქირავება. ყური არ უგდეს ძველ მოიჯარეთა ყვირილს, არც მათ თანამგრძობ ინგლისურ პრესას, ამოძირკვეს და ახლიდან დარგეს და ახლა ექვსი მილიონი ადამიანი ცხოვრობს და უკეთ ცხოვრობს იმავე მიწაზე, რომელიც სამ მილიონს აპურებდა.

ინგლისელი ბარონები ყველა ჟამს მამაცნი და დიადნი იყვნენ, – ასე აფასებს და ასეთი შეხედულება აქვს მათზე მათსავე დროებას. უზარმაზარი ძველი ციხე-დარბაზები, ინგლისში აღმა-დაღმა გაფანტულნი, უტყყვი მონმენი არიან უძველეს ლორდთა ყოფისა და ხელგამლილი სტუმართმოყვარეობისა. შექსპირისეული პორტრეტები კეთილი დეუკა ჰამფრისა, უორუიკისა, ნორთამბერლენდისა, ტალბოტისა, დახატულია ტრადიციის მკაცრი თანხმობით. შრუსბერის გრაფის ესკიზი, შექმნილი დედოფალ ელიზაბეთის არქიუპისკოპოს პარკერის კალმის მიერ;* ლორდ ჰერბერტ ჩერბერის ავტობიოგრაფია; სერ ფილიპ სიდნის წერილები და ესეები; ანეკდოტები, შემონახული ანტიკვართა, ფულერისა და კოლინზის მიერ; კეთილშობილთა სახლების ინტერიერთა შტრიხები, რასაც პეპისისა და ივილინის უნდა ვუმადლოდეთ; დეტალები, რასაც ბენ ჯონსონის ნიღბები (წარმოდგენილი კენილუორთში, ალთორპში, ბელვეუარში და სხვა კეთილშობილთა სახლებში) ინახავდნენ თუ გვთავაზობდნენ; ობრის პასაჟების ჩათვლით, ჰობსის ცხოვრების შესახებ დევიონის გრაფის სახლში, ჩვევათა რომანტიკული სტილის ნიშანდობლივი სურათე-

ბია. პენშარსტი კვლავაც ბრწყინავს და მისი საშობაო მხიარულება, „სადაც კუნძები კი არ იწვის, არამედ ადამიანები“. უილტონის სახლში „არკადა“ დაინერა ფულკ გრევილთან, იმავე ლორდ ბრუკთან საუბრისას, ამაღლებული გონების ადამიანთან, როგორც მისსავე ლექსებშია გაცხადებული. ლადლოუს ციხე-დარბაზიც უნდა ვახსენო, როგორც პატიოსანი სახლი, რისთვისაც მილტონის „კომუსი“ დაინერა, და კეთილშობილთა ის ჯგუფი, ვინც ეს თხზულება ცოდნითა და გრძნობით წარმოადგინა. კეთილშობილთა წრეში დაიდებნებიან პოეტები, ფილოსოფოსები, ქიმიკოსები, ასტრონომები, აგრეთვე შესამჩნევი სიქველისა და დახვეწილი გრძნობების მქონე ადამიანები; ხშირად სწორედ ისინი გვევლინებიან გენიოსთა და სწავლულთა, განსაკუთრებით ხელოვანთა მეგობრებად და მფარველებად; ამავე დროს, ყოველ სასახლეს აქვს თავისი ძვირფასი სურათების გალერეა.

რა თქმა უნდა, ამ ბრწყინვალე სანახაობას მეორე მხარეც აქვს. ყოველი გამარჯვება იყო სხვა, ნაკლებ ღირსეული ნაწილის დამარცხება. ციხე-სიმაგრენი ზვიადად წამომართულან, მაგრამ უფრო უსაფრთხო იქნება, თუ მათგან შორს დავიჭერთ თავს. ომი საძაგელი თამაშია, და მაინც ომი არ არის ყველაზე უარესი ნაწილი არისტოკრატულ ისტორიაში. მოგვიანებით მხოლოდ ომისათვის განაფული ბარონი, მუცელმერთობით გონებადაბინდული, უსაქმოდ რჩება შინ და მსუქან, ანჩხლ და სანყალობელ ველურად გადაიქცევა. გრამონი, პეპისი და ივილინი გვიჩვენებენ იმ ბინძურ ხვრელებს, მეფე და სამეფო კარი რომ დაძვრებოდა სიამოვნების ძიებისას. თეატრიდან წამოყვანილი მეძავეები ჰერცოგის მეუღლეები ხდებოდნენ, ხოლო მათი ნაბუშრები ჰერცოგთა და გრაფების ნოდებას იპოვებდნენ. „ყმანვილკაცები ყველაზე მაღლა წამოსკუპებულიყვნენ, მოხუცებულ სერიოზულ ლორდებს არავინ აღარაფრად აგდებდა. მეფის მრჩეველთა განსჯა იყო „მწირი და ფშუტე“. არცერთი საკუთარი თავის პატივისცემელი კაცი არ იკადრებდა იმას, რასაც ეს მესუფრიები ელაზანდარაგებოდნენ მეფეს. იმ დიდებულ ნადიმთა ბუნებრივ შედეგად პეპისი გვიჩვენებს მათხოვრულ ყოფას, სადამდეც მეფე დაეცა: საბჭოს მაგიდაზე ქალაღდი აღარ მოეპოვებოდა, კარადაში ცხვირსახოცები“, „და მხოლოდ სამი ყელსახვევი ბაფთა“ შერჩენოდა, თეთრეულითა და კანცელარეული ნივთებით მოვაჭრეთა გასტუმრება არ შეეძლო და ისინი უარზე იდგნენ, სიტყვაზე ნდობოდნენ, და ხაბაზს პური აღარ მოჰქონდა. იმჟამად ინგლისის სრუტე წალეკეს და ლონდონს დანიელები ესხმოდნენ თავს, ეკიპაჟები ინგლისელი ჯარისკაცებით შევსებულიყო, წლების მანძილზე მეფემ ფული ვერ გადაუხადა და მტრის ჯარში შევიდნენ.

სილუინის კორესპონდენცია, გეორგ III-ის მმართველობის დროს, ააშკარავებს არისტოკრატის გადაგვარებას, რაც სახელმწიფოს რღვევას იწვევდა. მლიქვნელობა, გაყიდვა ხმებისა და ღირსებისა თანამდებობისა და ტიტულისათვის; უზნეობა, აზარტული თამაში, კონტრაბანდა, მექრთამეობა და თაღლითობა; ქირქილი ბავშვურ არაკეთილგონიერებაზე, იდეათა სიმწირე; ბრწყინვალე ტიტულები და ეროვნული აპათია, ჭკუის

* დიბდინის ლიტერატურული რემინისცენცია, ტ. 1, XII

სასწავლებელია და მკითხველს აიძულებს შეჩერდეს და გამოჩხრიკოს ის მტკიცე საზღვრები, რომელშიც ეს ცოდვები მოქცეულა მდიდარი კაცის საუბედუროდ. მეოთხე ჯორჯის მმართველობის ჟამს ვითარება არ გამოსწორებულა და ვილაც გადაგვარებული გარყვნილი პირდაპირ ფანჯრიდან ჩამოეშვა დამრეც ფიცარზე და მის ეტლში ჩაჯდა ჰაერზე გასასეირნებლად, ეს სკანდალური ამბავი მთელს ევროპას მოედო და დედოფალსა და მის ოჯახზე გავრცელებული უკადრისი ხმები აღარც შეწყვეტილა.

დღევანდელი მმართველობის დროს სამეფო კარის ჭეშმარიტი მორთულობა ადასტურებს არისტოკრატის გარყვნილების ზრდას; აზარტული თამაშები, დოღები, სმა და საყვარლები ამდაბლებენ მათ და დემოკრატებს კვლავ შეუძლიათ სკანდალების შეგროვება, თუკი მოისურვებენ. არსებობს უამრავი პირქუში ანეკდოტი, არისტოკრატთა ბოლო თაობაზე არსებულ ჭორებს რომ ადასტურებენ, ჰერცოგებზე, რომელთა მამულებს სასამართლოს აღმასრულებელი მართავს და თვითეული თეფში დაგირავებული აქვს; დიდებულ ლორდებზე, საკუთარ სახლებში მოსულ დამთვალეიერებელთა ხარჯზე რომ ცხოვრობენ; მოხუცებულ კაცზე, გორგოლაჭებიანი სავარძლით რომ დაგორავს ოთახიდან ოთახში და თავის დარბაზებს ფასიან მნახველებს უჩვენებს; დაქცეულ ჰერცოგებსა და გრაფებზე, ვალებს გადასახლებაში რომ ემალებიან. ბუკინგემთა, ბოფორტთა, მარლბოროთა, ჰერთფორდთა ისტორიული სახლები ახალი ბრწყინვალეობით ველარ შეიმოსა და დრო და დრო ბუნდოვანი სკანდალები იფეთქებს ხოლმე, ისეთივე ავის მაუნჯებელი, ორღეანელთა დინასტიას რომ შეემატა ახალ ფურცლებად ცაუსეს ცელებრეს საფრანგეთში. თვით ღირსეული პირებიც, საზოგადოების სული და გული, საგონებელში არიან ჩავარდნილი და შფოთავენ უზარმაზარი ხარჯების გამო. გადმოგვცემენ, რომ თვით პატივცემულ ჰერცოგს დევონშირისა, მზადმყოფს, ქცეულიყო მესენად და ლუკულუსად თავისი კუნძულისათვის, ეუნყა, ჩეთსუორთში ნელინადში ერთ თვეზე მეტს ვერ დაჰყოფთო. მათი სახლები სჭამენ მათ. ვერა ჰყიდიან, რადგან მაიორატია და გაყიდვის უფლება არ გააჩნია. სიამაყე ნებას არ აძლევთ, გააქირავონ და ინახავენ გამოცარიელებულს, მნახველთათვის კარი გაუღიათ, პარკებს ნმენდენ და ასუფთავებენ, რაც ოთხი, ხუთი ათასი ფუნტი უფლებათ წელიწადში. ეს ხარჯები ძირითადად მსახურთათვისაა განკუთვნილი, რომლებიც მრავალ სახლში ასობით არიან. მათ უმრავლესობას მხოლოდ უსაქმურობა უნდა ვუსაყვედუროთ, რაც, იმის გამო, რომ იფლანგება უზარმაზარი ნიჭი და უნარი, დანაშაულის ტოლფასია. „მათ შეეძლოთ პატარა ნათელმხილველები ყოფილიყვნენ დედამიწაზე, – მითხრა მეგობარმა, – და მხოლოდ ჟოკეები და კონტაპრუნები არიან“. კემპბელი ამბობს: „ვერასოდეს შეეძელი კეთილშობილებთან ურთიერთობა შემენარჩუნებინა, ეს მოითხოვს უსაქმურ ცხოვრებას, ლაზათიანად ჩაცმასა და მათ ნადიმებზე დასწრებას“. მეც მგონია, რომ საკუთარი თავის პატივისცემა აიძულებს განათლებულ კაცს, დატოვოს ეს საზოგადოება, რადგან კეთილშობილნი თითქოსდა აყო-

ნებენ, მიიღონ დროის გაკვეთილები და ვერ უსწავლიათ დამაღონ სიამაყე თავიანთი მდგომარეობის გამო. გონებით სავსე კაცი, ვინც სახელგანთქმულია სიმდიდრითა და მანერებითაც, მეგობარს გამოუტყდა, კეთილშობილთა სახლებში ისე ვერ შევდივარ, რომ არ ვიგრძნო, ისინი დიდი ლორდები არიან და მე კი მდაბალი პლებეიო. ხელოვანთა ტომთან, მუსიკოსთა ჩათვლით, ამპარტავანი პატრიციები არავითარ ურთიერთობას არ აბამენ, უბრალოდ, ახლოს არ იკარებენ. როდესაც ჯულია გრიზი და მაროი მღეროდნენ უელინგტონის ჰერცოგისა და სხვა დიდებულთა სასახლეებში, თოკი იყო გაჭიმული მომღერალსა და მსმენელთა შორის.

როცა ყოველი აზნაური ჯარისკაცი გახლდათ, მათში რუდუნებით ზრდიდნენ დიდ პიროვნულ სიამაყეს. ჯარისკაცის აღზრდა იოლი საქმეა გრაფის აღზრდასთან შედარებით მეცხრამეტე საუკუნეში, და მინც, ძალზე სერიოზულად ეკიდებოდნენ ამ საქმეს; ცხენზე ჯდომის ყოველ სახესხვაობას თავისი ექსპერტი ჰყავდა, ასევე ყოველ საშუაშო სამხედრო წვრთნას, და ასე იყო უილიამ ორანელის ტახტზე ასვლამდე. მაგრამ უფრო ჭკუადამჯდარმა ხალხმა ვაჟიშვილთა განვრთნა სამოქალაქო საქმეებისათვის დაიწყო; ელისაბეთმა თავისი ფიქრები მომავლისაკენ მიმართა; და სერ ფილიპ სიდნი წერილებში ძმისადმი და მილტონი და ივილინი სწორსა და გულწრფელ რჩევას იძლევიან. ინგლისელ აზნაურებსა და სკვარიებს სოფლელი ჯენტლმენის კარიერისათვის და მშვიდობიანი დანახარჯებისათვისაც ამზადებდნენ. ისინი დადიოდნენ ქალაქიდან ქალაქში, სწავლობდნენ რეცეპტებს სუნამოების, ტკბილი პუდრის, პომადის, ანტიდოტების დამზადებისა, აგროვებდნენ თესლებს, ძვირფას ქვებსა და სხვადასხვა უჩვეულო ნივთებს, ასე ემზადებოდნენ განცალკევებული ცხოვრებისათვის, რომლის დროსაც ეს ნივთები სიამოვნებასა და შვებას მოჰგვრიდნენ.

ყოველი ის უპირატესობა, რაც ახალგაზრდა პატრიციებს ინტელექტუალური შრომისაგან ათავისუფლებს, რა თქმა უნდა მცდარია. „უნივერსიტეტებში, კეთილშობილნი გათავისუფლებულნი არიან საზოგადო მეცადინეობისაგან ხარისხისათვის და ა.შ., რის შემდეგაც იღებენ ხარისხს, რასაც საპატიო ეწოდება. ამავე დროს, სხვა ყველა გადასახადი, რაც უნდა გადაიხადონ, გაცილებით მაალაია სხვებზე“.* ფულერი გადმოგვცემს „დაკვირვებას უცხოელებისა, რომ ინგლისელები იმით, რომ ბავშვებს ჯერ ჯენტლმენებად აყალიბებენ მანამ, სანამ დაკაცდებოდნენ, ინვეს იმას, რომ ისინი იშვიათად არიან ბრძენკაცები“. ამგვარი განებივრება ადასტურებს დრ. ჯონსონის მწარე გამოსარჩლებას პირმშობის გამო, „ამით ხომ მხოლოდ ერთი სულელი იზრდება ოჯახში“.

საზოგადოებაში მომხდარმა რევოლუციამ ამ კლასამდეც მიაღწია. უდიდესი ძალა ინდუსტრიული ხელოვნებისა გამოწვევის არ უშვებს გვარებისა და სისხლისათვის. ჩვენი დროის იარაღები, სახელდობრ: ორთქლი, ხომალდები, ბეჭდვა, ფული და სახალხო განათლება, იმათ ეკუთვნის, ვისაც მათი მომარჯვება შეუძლიათ; და ამ იარაღების მეშვეობით უპირატესობანი, რაც ერთ დროს

* ინგლისის უნივერსიტეტის ისტორია

ოჯახიშვილებს ეკუთვნოდათ, დღეს მთლიანად გახსნილა საშუალო კლასისათვის. გზაზე, რომელსაც დიდებული გაიყვანს თავისი ეკიპაჟისათვის, მშრომელიც ივლის თავისი ურმით.

და ეს სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება ყოველდღიურად, მაგრამ, ვფიქრობ, ასე იყო ინგლისის მთელი ისტორიის მანძილზე. ინგლისის ისტორია, ჭკვიანურად ნაკითხული, ამ ხალხის გონების გამართლებას გვიჩვენებს. აქ, ბოლოსდაბოლოს, კლიმატი და პირობები მაინც არის მეგობრულად განწყობილი უნარიანი შრომისადმი. ვინც ახლა იშრომებს და გაბედავს, იქნება მმართველი. ესაა ქარტია ან ქარტიზმი, რაც ნისლებმა და ზღვებმა და წვიმებმა განაცხადეს – რომ ინტელექტი და პიროვნული ძალა შექმნის კანონს; რომ შრომისმოყვარეობამ და აღმასრულებელმა ტალანტმა უნდა აღასრულოს; რომ შრომამ უნდა დაიდგას გვირგვინი. ვიცი, რომ ეს კი არა, სხვა რამეა მოსაპოვებელი. გადმოცემა, რომლითაც არისტოკრატია და დაბლა მდგომი თანაბრად იღებენ სიამოვნებას, ისაა, რომ პირველი მათგანი უწყვეტი შთამომავალია ნორმანისა და ამიტომ არასოდეს უმუშავია რვაასი წლის მანძილზე. ყოველი ოჯახი ახალია, მაგრამ გვარია ძველი და მათ ხელშეკრულება აქვთ თავის მოგონებებთან, რომ არ უნდა დაარღვიონ ისინი. მაგრამ ანალიზი პერთა და აზნაურთა წრისა გვიჩვენებს სწრაფ ლპობასა და გაქრობას ძველი ოჯახებისა, და მათ გამუდმებულ შევსებას ახალი სისხლით. კარი თითქოს ყველას დასანახადა დაცული, სინამდვილეში კი ღიაა და ამას ქრთამის ძალა ახერხებს. ყველა დაბრკოლება წოდების მიღწევის გზაზე მხოლოდ აცხოველებს წყურვილს და ზრდის ფასს. „ახლა, – თქვა ნელსონმა, ბრძოლისათვის მომზადებულმა, – პერთა თუ უენსტმინსტერის სააბატო!“ „ილუზიები აღარ დამრჩენია“, თქვა სიდნი სმიტმა, „მხოლოდლა კენტერბუ-

რის არქიებისკოპოზობა“, „იურისტები“, თქვა ბერკმა, „თემთა პალატაში მხოლოდ გადამფრენი ჩიტები არიან“, და შემდეგ ახალი მხატვრული სახე დაემატა, „მათ ლუზა ლორდთა პალატაში აქვთ ჩაშვებული“. კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა ჰერალდიკის განადგურებისაკენ. სანამ კეთილშობილთა პრივილეგიები საშუალო კლასში გადაინაცვლებდეს, სიმბოლო შეილანძლება და ლორდთა ტიტულებს ობი ედება და აუტანელი ხდება. მიკვირს, რომ ჭკვიან კაცებს აქამდე არ ამოუვიდათ ყელში. ისინი, თავისი პარიკებით, პუდრითა და ცეცხლისფერი მოსასხამებით ადრეულ ეპოქას ეკუთვნიან და ავსტრალიური თუ პოლინეზური წარჩინებულების მოხატულობასა და ტატიურებას გვაგონებენ.

უნივერსიტეტებში განათლებამიღებული უამრავი ინგლისელი, აზნაურთა საზოგადოებაში გამოწრთობილი, მანერებით, უნართა და იღბლის ძიების ნიჭით აღჭურვილი, ყოველდღიურად უპირისპირდება პერებს თანასწორ პირობებში და ყოველდღიურადვე სჯაბნის მათ ლირსებისა და გავლენის შეჯიბრში. ეს განვითარებული კლასი მრავალრიცხოვანია და კიდევ უფრო მრავლდება. გამოთვლილია, რომ ლონდონში მიდი-მოდის სამოცდაათი ათასი კაცი, ტიტულიანი თუ უტიტულო, ვინც ქმნის, როგორც უწოდებენ, მაღალ საზოგადოებას. თვალს ვერავინ დაუხუჭავს იმ ფაქტს, რომ უტიტულო წარჩინებულნი ფლობენ მთელ ძალაუფლებას იმ მოქნილობით, რაც ტიტულოვანთა კუთვნილებაა, და მდიდარი ინგლისელი დღესდღეობით მთელს მსოფლიოს უფლის გარს და ეუფლება უფრო მეტ სარგებელს, ვიდრე უძლიერესს მის მეფეთაგან შეეძლო დაუფლებოდა.

ინგლისურიდან თარგმნეს
პაატა და როსტომ ჩხეიძე

მასტარკლასი

კურტ ვონეგუტი

გაკვეთილი
შემოქმედებით
წერაში


წესი პირველი: არ გამოიყენოთ წერტილ-მძიმე. წერტილ-მძიმე ტრასვესტიტ-ჰერმეფროდიტია და არაფერსაც არ გამოხატავს. ერთადერთს იმას გულისხმობს, კოლეჯში მისწავლიათ.

ვხვდები, რომ ვერ გადაგინწყვეტიათ, ვხუმრობ თუ არა. ამიტომაც გაგაფრთხილებთ, როცა ვიხუმრებ.

მაგალითად, თუ გეტყვით, შედით ეროვნულ გვარდიაში ან საზღვაო ფეხოსან ჯარში და განავრცეთ დემოკრატია-მეთქი, ვხუმრობ.

ალ ქაიდა გვესხმის თავს. ააფრიალეთ დროშები, თუკი გაგაჩნიათ. დროშები დააფრთხოთ-მეთქი, ვხუმრობ.

თუ გინდათ მართლაც აუშალოთ ნერვები თქვენს მშობლებს, მაგრამ თავზე ხელაღებულ გარყვნილებას ვერ ბედავთ, ის მაინც შეძელით, რომ ხელოვნებას მოკიდოთ ხელი. არ ვხუმრობ. ხელოვნება ცხოვრების სახსარს ვერ გამოვნიანებთ. ეს მხოლოდ ჰუმანური გზაა, რომ ცხოვრება უფრო ასატანი გახდეს. ხელოვნებაში გარჯა, ცუდად იქნება თუ კარგად, აამაღლებს თქვენს სულს, ზეცის საამებლად. იმღერეთ წვიმაში. იცეკვეთ რადიოს ხმებზე. მოყვიეთ ამბები. ლექსი გაუგზავნეთ მეგობარს, თუნდაც ცუდი ლექსი. აკეთეთ ისე, როგორც შეგიძლიათ. დიდ ჯილდოს მიიღებთ. რალაცას შექმნით.



ეკა ბუჯიაშვილი

ათი ესეი ერთი მიზნისათვის

*

ტომას ელიოტის ისეაზის განხილვა

თუ გინდათ იცოდეთ, რას ნიშნავს XX საუკუნის ლიტერატურა, შეიგრძნოთ ის ეპოქა მთელი თავისი ტრაგიზმითა და სიმძაფრით, მაშინ ამ წიგნსაც უნდა იცნობდეთ –

ტომას სტერნზ ელიოტი.
„ათი ესეი“ (რედაქტორი ოთარ ჩხეიძე, მხატვარი კარლო ფაჩულია).
თარგმნის პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა.
თარგმნის ოცი (ან იქნებ მეტიც) წლის წინათ.
გამოცემა კი სულ ახლახან მოხერხდა და წარდგინებაც წიგნისა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში გაიმართა.

ბატონი როსტომის თქმით, არსებითად ეს არის თარგმანი ტომას ელიოტის ერთი წიგნისა: „ლანსელოტ ენდრიუსის დასაცავად“, რომელსაც დაურთეს გახმაურებული წერილი: „ედგარ პოდან პოლ ვალერიმდე“.

წიგნში არ შევიდა მათ მიერ თარგმნილი ორი ესეი, რომელსაც მკითხველი უკვე იცნობს კრებულიდან: „ინგლისელი და ამერიკელი მწერლების ესეები“.

ესენია: „ტალანტი და პიროვნული ნიჭიერება“ და „ულისე. მითი და ნესრიგი“, რომელიც პირველი ერთობლივი თარგმანია პაატა და როსტომ ჩხეიძეების სახელით რომ გამოქვეყნდა 1981 წლის 30 იანვარს.

რთული დრო ედგა მაშინ ქვეყანასაც და... ლიტერატურასაც.

წლების წინათ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორს ვახტანგ ჭელიძეს უცხოური ესეისტიკის ნიმუშების ყველა ნომერში დაბეჭდვა რომ განუზრახავს, ცეკას პირველ მდივანამდე მისვლა დასჭირებია ნებართვისათვის.

– ბატონო ვახტანგ, თქვენი ერთიანი და ინტელექტი ყველასთვის ცნობილია, მე სავსებით გენდობით, ოღონდ... თუ ამას ხმაური მოჰყვება, ჩვენ არაფერზე შევთანხმებულვართო, – უთქვამს მაშინ ედუარდ შევარდნაძეს.

ეს იყო პერიოდი, როცა ძალიან იზღუდებოდა უცხოური ესეების გამოქვეყნება, არა მხოლოდ პოლიტიკურის, ლიტერატურულისაც კი. ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ რუსული თარგმანები – ადაპტირებული და შემოკლებული ცენზურის მიერ... და თუ მაინცდამაინც გადმოქართულებას მოინდომებდი, კეთილი უნდა გენება და ამ ვერსიით გეხელმძღვანელა. ცენზურა განსაკუთრებით მკაცრი იყო ემერსონის მიმართ.

თუმცა ეს აკრძალვები არ შეხებია პაატა და როსტომ ჩხეიძეების თარგმანებს, რადგან სწორედ იმ დროს „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორობდა ვახტანგ ჭელიძე, ვისმა თავდაუზოგავმა ღვანლმაც თავისი ნაყოფი გამოიღო –

ქართულ ლიტერატურაში ახალი სუნთქვა იწყებოდა.

– მარტო ელიოტს არ ვთარგმნიდით, – გვიამბობს ბატონი როსტომი, – გვინდოდა ზოგადი ანარეკლი გამოჩენილიყო ინგლისური და ამერიკული ესეისტიკური აზროვნებისა. ვთარგმნეთ ფოლკნერის საუბრები, ვირჯინია ვულფის ესეები... და აი, ელიოტის გამოცემაც მოხერხდა.

წიგნის შესავლად შევარჩიეთ ერთ-ერთი ამერიკელი ლიტერატორის რონალდ ბუშის წერილი ელიოტის შესახებ. ოღონდ კი არ გვითარგმნია, კარგად გამოვიყენეთ, ჩვენი მხრივ შევავსეთ და საინტერესო მასალა დაგროვდა ამ პოეტზე შთაბეჭდილების შესაქმნელად. კრებულს დაურთეთ დიდი ამერიკელი მოაზროვნის – ფრენსის ოტო მათისენის ესეი, უფრო სწორად, ერთი თავი წიგნიდან ტომას ელიოტზე.

ესეების პატარა კრებული თავის დროზე სხვაც გამოიცა – მე და ბატონმა გივი ალხაზიშვილმა მოვამზადეთ სერიით: „ფიქრები. რჩეულთა ბიბლიოთეკა“. ის პატარა წიგნი ელიოტისა მაშინ მაია ჯიჯეიშვილმა თარგმნა და „ათი ესეის“ შესავალში რომ მოგვაქვს რამდენიმე საპროგრამო ციტატი ელიოტის შემოქმედებიდან, სწორედ იმ თარგმანიდან გამოვიყენეთ.

რაც შეეხება მის პოეზიას, არსებობს საგულისხმო ნიმუშები თარგმანებისა. ზვიად გამსახურდიამ დიდი ღვანლი დასდო ელიოტის სახელის პოპულარიზაციას. სწორედ მან თარგმნა „ბენნი მინა“. ოთარ ჩხეიძემაც გადმოქართულა ეს ნაწარმოები. ვიცნობთ ზვიად რატიანისა და გია ჯოხაძის თარგმანებსაც...

ელიოტი ის მწერალია, რომელიც თავიდან ბოლომდე უნდა ითარგმნოს, სხვაგვარად ძნელი იქნება მისი შემოქმედების და, საერთოდ, XX საუკუნის ლიტერატურის შეცნობა.

ეს ამბავი როსტომ ჩხეიძემ თავის დროზე ნაკვეთებშიც დანერა:

ერთხელ პაატა ჩხეიძეს დაურეკავს მისთვის და უთქვამს:

– ელიოტის ბრწყინვალე ესეი ვიპოვნე ირვინგ ბებიტზე (ეს იყო მისი მასწავლებელი, ვისაც ეფუძნება ელიოტის კრიტიკული აზროვნება) და რომ არ ვთარგმნოთ, არაფრით არ შეიძლებაო.

– ეგ ესეი თარგმნილი გვაქვს უკვე, – უპასუხია ბატონი როსტომს.

– როგორ? წარმოუდგენელია! ხომ მესხომებოდა?

– კარგი, შენ ეგ გეჭიროს ხელში, მე კი აქედან თარგმანს ნავიკითხავ – და მიყვება თურმე როსტომი გადმოქართულებულ სტრიქონებს.

– უცნაურია, როგორ ემთხვევა?! – მხრებს იჩეჩს ყურმილის იქით პაატა ჩხეიძე, – ხომ არავინ გაიგო მანდ ეს ამბავი?

– არა... სულ ათიოდე კაცი ვიქნებითო, – პასუხობს როსტომი.

გაივლის ხანი და ყელქცეულში სტუმრობისას ერთი იქაური კაცი, თემო ჩიტაძე – ნიგინერი, ლიტერატურის მოყვარული ადამიანი – გვერდით გაიყვანს და ჩუმად ეტყვის:

– პაატას მარტო დატოვება არ შეიძლება... რაც თარგმნეთ, ყველაფერს თუ თავიდან შეეჭიდა, ცოცხალი იქნება კაციო...

ამ ამბავს ახლა სალონში შეკრებილებს გვიამბობს როსტომი და ამბობს:

– ელიოტი ის მწერალია, რომელსაც, რამდენჯერაც ნაიკითხავ, იმდენჯერ ახალს აღმოაჩენ.

კაცმა რომ თქვას, პაატას კი არ ვამტყუნებო...

ნიგნის წარდგინებაზე პაატა ჩხეიძემ სწორედ ირვინგ ბებიტიზე ისაუბრა – კრიტიკოსზე, ვისგანაც ძალზე დავალებულია ელიოტი და ვისმა მსოფლმხედველობამაც დიდწილად განსაზღვრა მისი კრიტიკული აზროვნება.

ბატონი პაატას თქმით:

„ტ. ს. ელიოტის მრავალმხრივ შემოქმედებაში მეტად საგულისხმო მხარეა ელიოტის დამოკიდებულება რელიგიისადმი. ამ მხრივ ძალზედ საინტერესოა ელიოტისა და ირვინგ ბებიტის პოლემიკა.“

ირვინგ ბებიტი ფრანგულის პროფესორი იყო ჰარვარდში. იგი გახლდათ ელიოტის მასწავლებელი და გავლენა მოახდინა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ბებიტიმა პოლ ელმერ მორთან ერთად ჩამოაყალიბა „ჰუმანისტური“ მოძრაობა. ბებიტი ორ ფრონტზე იბრძოდა; მარჯვნივ კათოლიკურ კლერიკალიზმს ეპაექრებოდა (თუმცა უნდა ითქვას, რომ კლერიკალიზმი პოლიტიკურ რადიკალიზმს ბევრად ერჩინა.), მარცხნივ კი ლიბერალებსა და ნატურალისტურ რელატივიზმს უპირისპირდებოდა. ზომიერი კონსერვატორი ბებიტი ედმუნდ ბერკის ტრადიციაში რჩება, უფრო კლერიკალური ელიოტი კი ჟოზეფ დე მესტრის მიმართულებით მიდის.

ესეით, „ირვინგ ბებიტის ჰუმანიზმი“, ელიოტმა შეუტია კლასიკურ ჰუმანიზმს და რელიგიური დოგმების ნაკლებობა უსაყვედურა. ბებიტიმა პასუხი გასცა იმით, რომ „შიდა განწმენდა“ ზნეობრივ, მაგრამ არა ზებუნებრივ მოვლენად მიიჩნია. ელიოტ-ბებიტის პოლემიკაში მოჩანს კონსერვატიზმის უმაღლესი ინტელექტუალური დონე. 1927 წელს ელიოტმა თვითონვე ამცნო მსოფლიოს, რომ იყო „რელიგიაში ანგლო-კათოლიკე, პოლიტიკაში მონარქისტი და ლიტერატურაში კლასიციისტი.“

ელიოტ-ბებიტის პოლემიკაში კიდევ ის არის საგულისხმო, რომ მიუხედავად ცხარე დაპირისპირებისა, ერთმანეთის ფასი იციან და არასოდეს ცდილობენ დაამცრონ მონინააღმდეგე და გააუფასურონ მისი ღვაწლი.“

წარდგინებაზე გია ჯოხაძემ ძალზე საინტერესოდ მიმოიხილა ელიოტის შემოქმედება, მისი დამოკიდებულება მსოფლიო ლიტერატურაში აღიარებული ავტორიტეტებისადმი, ისაუბრა იმ ახალ ორიენტირებზე, ელიოტს თავისი თანამედროვე მწერლობისთვის რომ მოემარჯვებინა და აღნიშნა, რომ:

„ელიოტმა შექმნა არა მხოლოდ ლექსები და პოემები (გენიალურია თუ არა ისინი, ეს სცდება რესპექტაბელური დისკუსიის ფარგლებს), არამედ ახალი კანონი, თუ გნებავთ, შაბლონი, რომლის მეშვეობით ახერხებ, განარჩიო ხორბალი ღვარძლისაგან, თხა – ცხვრისაგან, ლექსი – მისი მეტ-ნაკლებად კეთილსინდისიერი იმიტაციისაგან... და ამ შაბლონით მან საუნივერსიტეტო პროფესურა შეიარაღა.“

ელიოტის მიერ მორგებული წინასწარმეტყველის მანტია მომგებიან პოზიციას უქმნიდა თვით პოეზიას. მისი გამოჩენა უკვე იმას ნიშნავდა, რომ მან კარგად იცის, რა სჭირდება თანამედროვე პოეზიას.

ჩემი აზრით, აი, ამან, რასაც ხშირად ლიტერატურტრეგერობას ეძახიან, აქცია ელიოტი ელიოტად...

არავინ იცის, გულისგულში რას ფიქრობდა იგი (თვალთმაქცობა ხომ პოეტის ღირსებაა და არა ნაკლი!), მაგრამ ასე წერდა და ასე ქმნიდა ახალ წესრიგს.“

გია ჯოხაძემ ისაუბრა მთარგმნელთა ღვაწლსა და ოსტატობაზეც და თქვა, რომ ზოგადად თავიანთი სალიტერატურო ღვაწლითა და, კერძოდ, ელიოტის სიყვარულით, პაატა და როსტომ ჩხეიძეები უპასუხებენ ჩვენს დროში ვირტუალურ ლოზუნგად გამოკიდულ მკრეხელურ კითხვას:

„რა საჭიროა პოეზია?“

ემზარ კვიციანიშვილი:

– „განსაკუთრებით მინდა გამოვყო ელიოტის ესე: „ბოდლერი ჩვენს დროში“ – ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში მისი ესეისტიკისა. აქ ძირითადად განხილულია არტურ სიმონსის თარგმანები. ელიოტი საყვედურობს მას: სამწუხაროა, რომ მისტერ სიმონსს არ უთარგმნია რამდენიმე ლექსი, რომელშიც ყველაზე კარგად ჩანს რასინთან მსგავსებაო.“

„ლანსელოტ ენდრიუსი“ ელიოტის თეოლოგიურ განათლებას წარმოაჩენს.

არაჩვეულებრივია „მეტაფიზიკოსი პოეტები“ და „ედგარ პოდან პოლ ვალერიმდე (ლექცია ნაკითხული კონგრესის ბიბლიოთეკაში)“.

აქ ედგარ პო განჭვრეტილია სამი ფრანგი პოეტის: ბოდლერის, მალარმეს და პოლ ვალერის თვალთ. ეს სამი პოეტი გამოხატავს სანყისს, შუახაზსა და დასასრულს პოეზიის გარკვეული ტრადიციისა. ესე ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა განიხილო პოეტი დროის კალაპოტში.

ქართულ ლიტერატურაში დაახლოებით მსგავსი რამ გააკეთა დავით წერეთლიანმა, როცა დაწერა ნაშრომი: „გურამიშვილის პორტრეტი სამი სახელის ფონზე“...

როსტომ ჩხეიძე:

– „ედგარ პოდან პოლ ვალერიმდე“ თავის დროზე ქსეროქსზე გადაღებული მომცა აკაკი განერელიამ. ელიოტისთვის სრულიად მიუღებელი იყო პო...“

ემზარ კვიციანიშვილი:

– „პოლ ვალერის პოეზიის მიმართაც ზედმეტ სიმკაცრეს იჩენდა, თუმცა იქვე წერდა: რასაც ის პოეზიას აკლებდა, იმას თავისუფლებას ანიჭებდა ესეიშო. მართლაც ყველა თქვენგანისთვის სამაგალითოა ვალერის ესეები (ბაჩანა ბრეგვაძის მიერ თარგმანილი).“

„ბერნი მიწის“ ოთარ ჩხეიძისეული თარგმანიდან თავის დროზე ნაწყვეტები მაქვს წაკითხული და, ჩემი აზრით, არაჩვეულებრივია.

ზვიად გამსახურდიამ რომ გადმოაქართულა, მაშინ გარკვეული მონაწილეობაც მივიღე, რომ ეს თარგმანი ლიტერატურულ ასპარეზზეც გამოსულიყო.

ელიოტი დიდი პოეტია, თუმცა თუ ეს ესეისტიკაც არ გვეცოდინება, ვერ შევძლებთ მისი შემოქმედების ბოლომდე შეცნობას. პირადად მე ელიოტის სილალე მომწონს. ის ვერლიბრის შეუდარებელი ოსტატია, მაგრამ ფორმის ისეთი იშვიათი გრძობა აქვს, რომ არასოდეს გადადის ზედმეტსიტყვაობაში“.

ქალბატონი დალილა ბედიანიძის თქმით, ელიოტი ის დიდი მოაზროვნეა, ვისი ნაწარმოებების ყოველი ახალი თარგმანი სასიკეთოდ წაადგება ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას.

მან ისაუბრა ელიოტის ესეების სიღრმეზე, მრავალფეროვნებაზე და მათ შორის გამოარჩია ორი: „შენიშვნა რიჩარდ ქრეშოუზე“ და „ედგარ პოდან პოლ ვალერიმდე“.

„შენიშვნა რიჩარდ ქრეშოუზე“ ეხება პროფესორ მარტინის მიერ გამოცემულ და კომენტარებულ რიჩარდ ქრეშოუს ლექსების წიგნს, რომელსაც ახლავს შემდგენლის წინასიტყვაობა. ელიოტი აქებს მარტინის ღვაწლს, მაგრამ მიუხედავად მონონებისა, კრიტიკულ შენიშვნებსაც გამოთქვამს მის მიმართ. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი ქრეშოუს ადარებს ინგლისელ პოეტებს: კიტსსა და შელის... ის წერს: „ჩვენ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ კიტსი და შელი შესაძლოა უფრო დიდი პოეტები გამხდარიყვნენ, უფრო მასშტაბურნი, ვიდრე ქრეშოუ; მხოლოდ იმით რომ შევაფასოთ, რაც მოასწრეს, ქრეშოუ დასრულებული ოსტატია, კიტსი და შელი კი შეგირდები იყვნენ, რომელთაც უზარმაზარი შესაძლებლობები ჰქონდათ“.

ქალბატონი დალილას თქმით, ესეიში „ედგარ პოდან პოლ ვალერიმდე“ ელიოტი პოს მიუდგომელ შეფასებას კი არ ესწრაფის, ცდილობს განსაზღვროს მისი, როგორც პოეტის ადგილი და განიხილავს პოს გავლენებს ისეთ მწერლებზე, რომლებზეც ძნელია რაიმე ზემოქმედების მოხდენა.

– ელიოტი გავლენამოხდენილ მწერლებში ასახელებს ბოდლერს, მალარმესა და პოლ ვალერის და გვამცნობს, რომ ამ ფრანგებმა პოს შემოქმედებაში ნახეს რალაც, რაც ინგლისურენოვან მკითხველს გამორჩაო, – თქვა მან და აღნიშნა, რომ „ათი ესეი“ ფრიად საჭირო და სულისათვის სარგო წიგნია, რომელსაც უთუოდ დიდი ინტერესით დაეწაფება ჩვენი ინტელექტუალური საზოგადოება“.

გივი ალხაზიშვილი:

– „ელიოტის „ბერნი მიწის“ რუსული გამოცემა 70-იან წლებში გამოჩნდა ჩვენში. მაშინ ეს მწერალი არავინ იცოდა და, ჩვეულებრივ, ქუჩაში იყიდებოდა დახლზე მაშინ, როცა ვანო ურჯუმელაშვილის ერთი რომანი დახლქვეშ იდო და ლამის სამმაგი ღირდა.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა ელიოტის გვერდის ავლით ვერ იარსებებს. საოცარია მისი დამოკიდებულება ავტორიტეტების მიმართ. შესაშურიც კია პირ-

დაპირ! ნუთუ ქართულ ლიტერატურულ პროცესებში, სადაც გამუდმებით მიმდინარეობს გარკვეული ღირებულებების მომლოცველობა, არ უნდა ხდებოდეს ასეთივე გადაფასებანი, ვგულისხმობ ახლებურად დანახვას, განვითარებისათვის საჭირო გზების ძიებას, რათა მუდმივად ერთ – გაქვავებულ სიტუაციაში არ ვიტრიალოთ?

ელიოტმა არაერთგან გვაჩვენა ეს. მარტო ის რად ღირს, რომ მაკიაველი, რომელსაც მთელი ევროპა და, საერთოდ, მსოფლიო, ცბიერების და მუხანათობის ნი-

მუშად ასახელებს, ელიოტისათვის, უწინარესად, პატრიოტია, ვინც იმ იდეოლოგიით აღჭურავს თავის ქვეყანას, დაქუცმაცებისაგან რომ გადაარჩინს იტალიას.

იგივე შეიძლება ითქვას ცნობილ ესეიზე ბოდლერის შესახებ. თუ ჩვენ ოდესღაც მას გვასწავლიდნენ, როგორც ჰუმანიზმის მტერს, ბოროტების იდეოლოგს, ელიოტის ნაკითხვით ბოდლერი ქრისტიანული პოეტია, ვისი პოეზიის სიღრმეებშიც იმალება ის პირველწყარო, ექქარისტიას რომ ვუნდობთ.

ასეთი წაკითხვა ძალზე მოულოდნელია. დაეთანხმები თუ არა სხვა საკითხია, უფრო მნიშვნელოვანი დამოკიდებულებაა ამ ყველაფრისადმი.

საინტერესოა შექსპირზე მისი აზრი. სხვათა შორის, ასეთივე შეხედულება ჰქონდა ტოლსტოისაც. ისინი „ჰამლეტს“ შექსპირის ნარემატებელ ნაწარმოებად თვლიდნენ. ხომ უცნაურია, რატომ?“

პაატა ჩხეიძე:

– „ამაზე თქვენ დაფიქრდით. როცა ორი ჭკვიანი კაცი: ტოლსტოი და ელიოტი ასე ფიქრობს, ალბათ რალაცამია საქმე“.

გივი ალხაზიშვილი:

– „ქრეშოუზე დაწერილი ესეი მინდა გამოვყო. ცნობილია, რომ ქრეშოუ ბრიტანულ ლიტერატურაში ძალზე დიდი სახელი იყო. ამ დროს მისი კრებულის შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი – ელიოტი გარკვეულ სითამამეს იჩენს და წერს: რაც ვერ განახორციელა ქრეშოუმ, კიტსიმ და შელიმ გააკეთესო და ამ ორი პოეტის ლექსებს შეგირდულს უწოდებს.



როსტომ და პაატა ჩხეიძეები

რეპორტაჟი

ქართულ სინამდვილეში შეუძლებელია რომელიმე ახალგაზრდა პოეტზე – თუნდაც, ლადო ასათიანზე – მსგავსი რამ დავწეროთ და ვთქვათ, რომ იგი იყო ძალიან ნიჭიერი, იმედისმომცემი პოეტი, მაგრამ სრულფასოვნად ვერ შეძლო განებორციელებინა თავისი პოეტენცია. იმ წუთში ჩაგქოლავენ. ამიტომ ელიოტის ესეისტიკა ამ თვალსაზრისითაც ძალზე საინტერესოა“.

როსტომ ჩხეიძე:

– „აქ კიტხი და შელი ახსენეს... ბაირონს, მაგალითად, საერთოდ არ თვლიდა პოეტად...“

სხვათა შორის, ელიოტს აქვს წარწერა ერთ-ერთი წიგნის თავფურცელზე:

„ეზრა პაუნდს – ჩემზე დიდ ოსტატს!“

თუ დიდი არ ხარ, ამას ვერ ვიტყვი. აქედან ჩანს თვითონ რამხელა ოსტატია.

პაუნდი კი ელიოტზე ამბობდა: ჩემზე დიდიაო...“

შეგეხარება პირდაპირ ასეთი ლიტერატურული ურთიერთობა“.

თემურ ნადარეიშვილი:

– „ბატონი როსტომი რომ ამბობს: ელიოტი მთლიანად უნდა იყოს თარგმნილი, სხვაგვარად მისი შემოქმედების სიღრმეებს ვერ ჩავწვდებითო, მართალია. აი, მაგალითად,

რატომ შექმნა „ფაუსტი“ გოეთემ, როგორ მივიდა ის აქამდე, დინამიკაში ამას ვერ გავიგებთ, თუ მთლიანად არ გვეცოდინება ამ მწერლის ნააზრევი, არადა, „ფაუსტი“ 30 წელი იწერებოდა...“

ელიოტის ეს ესეები უცნობი იყო, – ამბობთ. რატომ?“ როსტომ ჩხეიძე:

– „მიყრუებული იყო, რადგან რომანტიზმმა გადაყლაპა უფრო მნიშვნელოვანი პოეზია. ამის გამო იგი დაუპირისპირდა რომანტიკოსებს: თქვენ დაამცირეთ უფრო დიდი პოეტებიო... ელიოტმა წამოიწია ეს საკითხი“.

თემურ ნადარეიშვილი:


– „ჩემი აზრით, არსებობს სამი რეალობა: ადამიანი, ადამიანის ნააზრევი და თავად ბუნება.“

ელიოტი ძალზე რაფინირებული, ინტელექტუალური მწერალია. დიდი ცოდნა გჭირდება, მისი შემოქმედება რომ გაიგო, ისევე, როგორც, ვთქვათ, ჯოისის „ულისეს“ რომ კითხულობთ, კომენტარები უფრო მეტია, ვიდრე ტექსტი. ინგლისელებსაც კი უჭირთ მისი გაგება.“

ელიოტისთვის მთავარი სამოქმედო წყარო ადამიანის ნააზრევი...“

დიდი მადლობა მთარგმნელებს, რომ ეს ყველაფერი ჩვენამდე მოიტანეს“.

ფიქრები



ედგარ პოს (1809-1849), შესაძლოა, ყველაზე მეტად მიესადაგებოდეს ბიბლიური აფორიზმი: წინასწარმეტყველს არ სწყალობენ თავის ქვეყანაში. სიცოცხლეში მისი ლექსები მართლაც არავის უღიარებია. ფრანგი და რუსი სიმბოლისტებისთვის კი პოეტურ მეტრად იქცა. უაღრესად ორიგინალური პოეტი, პროზაიკოსი, ამერიკული რომანტიზმის თეორეტიკოსი, დეტექტივის ჟანრის ფუძემდებელი, ელვარე ფანტაზიისა და არტისტული ტემპერამენტის მპყრობელი იძულებული იყო, ლუკმა-პურის ფასად, სხვისი აზრად და ესწორებინა... ქართველი მკითხველისთვის მისი ლექსები უცხო არ არის, რომლებიც სხვადასხვა დროს ითარგმნა და დაისტამბა. ეს კი გახლავთ ფრაგმენტი მისი აფორიზმების კრებულიდან „Marginalia“.

ედგარ ალან პო

აფორიზმები

* * *

საერთოდ, ჩვენი პირველი შთაბეჭდილებები ყოველთვის ნამდვილია: მთავარი სიძნელე ისაა, გავიგოთ, რომელი მათგანია ჭეშმარიტი და პირველი. მაგალითად, ადრეულ სიყმაწვილეში ნაკითხული ლექსით ხშირად აღვფრთოვანებულვართ. შემდეგ გავზრდილვართ და დავრწმუნებულვართ, რომ აღსაფრთოვანებელი არაფერი ყოფილა.

მაგრამ გაივლის წლები და გვიბრუნდება თავდაპირველი აღტაცება, რამეთუ წარმოსახვის სიმნიფე საშუალებას გვაძლევს, სრულად დავინახოთ, რით და რატომ

ვიყავით აღტაცებულნი. ამგვარია ჩვენი ინდივიდუალური აზროვნების ციკლორობა და სხვადასხვა სააზროვნო ცენტრების გარშემო ჩვენი ბრუნვის სიხშირით და შეყოვნებულობით, შეგვიძლია, სწორად განვსაჯოთ საკუთარი აზრის მდინარეობა სიმნიფისკენ. გასაკვირია, არსებით ასპექტებში რამდენად თანხვედრა ბავშვის აზრი ადამიანის, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, უმაღლესად განვითარებული ადამიანის აზრს.

კაცობრიობაც, ზოგადად, შესაძლებელია, ისეთივე იყოს, როგორც პიროვნება. როცა სამყარო სულ უფრო ხშირად დაუბრუნდება თავის უპირველეს შთაბეჭდილებებს, ჩვენ სრული უფლება გვქონება, ველოდოთ საუკუნო ცხოვრების დადგომას. არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ ვუახლოვდებით ჩვენი გონების მწვერვალს და შესაბამისად – ბედნიერებას. დღეს ამ დაბრუნების ნიშნები ანგელოსთა გამოჩენას ჰგავს, მაგრამ დროდადრო მაინც შევიგრძნობთ ხოლმე მას. დავაკვირდეთ, მაგალითად, რწმენის უნარს. თანამედროვე ფილოსოფოსები სწორედ ამ თვისე-

ბით განირჩევიან, რომელიც ნახევარი საუკუნის წინ, მხოლოდ გაუნათლებელი ფენებისთვის იყო დამახასიათებელი. სკეპტიციზმი იმის მიმართ, რაც სასწაულებრივად გვეჩვენება, ადრინდელივით უზენაესი სიბრძნის ან შეცნობის საბუთად აღარ აღიქმება. ერთი სიტყვით, ბრძენებს ახლა სწამთ, გუშინ არ სწამდათ, გუშინწინ კი (მაგალითად, სტრაბონის ეპოქაში), პირიქით, ხელაღებით ყველაფრის სწამდათ. ამგვარად, ჩვენ თვალყურს ვადევნებთ ერთ-ერთი ციკლის ღირსეულ დასრულებას და ეს ნიშნავს სამყაროს სიმნიფის ასაკთან მიახლოებას. სტრაბონი მხოლოდ იმიტომ ვახსენე, რომ იგი გამონაკლისია თავისი ეპოქისთვის (მაგალითად, შეიძლება დავახასიათოთ რომელიმე ბატონი X, რომ იგი ისეთი ჭკვიანი და გულისხმიერია, როგორც რომელიმე სულაც არ არის), რამეთუ სტრაბონის დროს ადამიანები ისე იშვიათად უარყოფდნენ რამეს და თანაც, ისე იშვიათად ცდებოდნენ, თუკი უარყოფდნენ, რომ ამ ფილოსოფოსის სკეპტიციზმი ჩვენთვის ცნობილ ანომალიათა შორის ერთი ყველაზე ალსანიშნავთაგანია.

* * *

ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, განძარცვულებს ისეთი ძველმოდური და დამამძიმებელი თვისებისაგან, როგორც იდეაა, ალბათ, გვეშინია შეურაცხყოფა მივაყენოთ ან ცუდად მოვეპყრათ რომელიმე ბედოვლათ გენიოსს, რომელიც, ერთი შეხედვით, სულს ლაფავს, სინამდვილეში კი, ის-ისაა ფეხი უნდა შედგას თავისი ტრიუმფის ბოლო საფეხურზე. ეს მათი ჩვეული ფანდია: რომელიმე სასუკვარ მიზანთან მიახლოებისას საგანგებოდ ეშვებიან ხოლმე სასონარკვეთილების გუბეში, რათა შემდეგ თავიანთი წარმატების მნიშვნელობა გააზვიადონ.

* * *

აღმაფრენის განსაცდელად გენიოსს ერთი რამ სჭირდება მხოლოდ – სულიერი მატერიის მოძრაობა. მისთვის სულერთია, საით მიემართება ეს მოძრაობა – მის სასარგებლოდ თუ პირიქით, და სავსებით უმნიშვნელოა, რა არის „ეს სულიერი მატერია.“

* * *

მაღალ საზოგადოებაში საუბარს რომ კარგად ავულოთ ალლო, გვჭირდება ცივისსხლიანი თვითფლობა, თავდაჭერილობა; კარგად ლაპარაკის უნარი გენიოსის მფეთქავ სულმოუთქმელობას ითხოვს. მაგრამ თვით უდიდესი გენიოსი ადამიანიც კი, შესაძლოა, დღეს ძალზე კარგად მეტყველებდეს, ხვალ კი ცუდად. დადებით შედეგს მხოლოდ მაშინ აღწევს, თუ აქვს საამისო დრო, სივრცე და ჰყავს კეთილმოსურნე მსმენელი. ცუდს კი, მაშინ, როცა შიშობს, რომ სიტყვას გააწყვეტინებენ და გული უკვდება, რომ თემის ამონურვას ვერ შეძლებს. უსრული გენიოსი იმპულსურია, ნაპერწკალივით იწვის. ნამდვილ გენიოსს კი, ყოველივე უსრული წინ ელობება – და ის, ჩვეულებრივ, დუმილს არჩევს, ვიდრე იმის თქმას, რაც ყოვ-

ლისმომცველი არ იქნება. იგი ისეა სავსე სასაუბრო თემით, რომ მუნჯდება; ჯერ ერთი, იმიტომ, რომ არ იცის, საიდან დაიწყოს, რამეთუ ამ დასაწყისის მიღმა ჭერეტს მასზე პირველ სანყისს; შემდეგ იმიტომ, რომ დასასრული მას საერთოდ მიუღწევლად ესახება. ხანდახან, საკუთარი თავისავე საზიანოდ, ერთგება საუბარში, უხემ შეცდომებს უშვებს, ბორძიკობს, იბნევა და არ ძალუძს, თავი მოუყაროს ათასგვარი აზრის დინებას, მსმენელის დაცინვას იმსახურებს, რომელიც მიიჩნევს, რომ მას აზროვნება არ ძალუძს. ასეთი ადამიანი „თავის სტიქიაში“ გრძნობს თავს „დიდი მოვლენების“ დროს, რაც ჩვეულებრივ, გონებას აძრწუნებს და აცბუნებს.

* * *

თუ ვინმეს თავის გამოჩენა სურს, უნდა დაწეროს წიგნი, სულ ხუთსიტყვიანი სათაურით : „ჩემი გული, როგორიც არის ის სინამდვილეში.“

* * *

როცა გენიოსი ლაპარაკობს რაიმე „რთულზე“, ის გულსხმობს, არც მეტს, არც ნაკლებს – „შეუძლებელს.“

* * *

ჩვენი, ადამიანების აღორძინებას მხოლოდ რამდენიმე სასწაულმოქმედი თუ შეძლება. მაგრამ ისე დავეცით, რომ მხოლოდ ფრანცისკ ასიზელი თუ გვიშველის, რომელიც მხეცებს აქრისტიანებად.

* * *

რა განსხვავებაა ხალხსა და ბრბოს შორის? იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ სამოქმედოდ აღმდგარი ხალხი არის ბრბო; ხოლო ბრბო, რომელიც აზროვნებას ცდილობს, ხალხია.

* * *

რა სულელური სიტყვათშეთანხმებაა „სულიერი გმირობა“! ვითომ, სხვაგვარი გმირობაც არსებობდეს! ენერგია, რომელიც ძლევს ბოროტების შიშს (მნიშვნელობა არა აქვს, იგი კონკრეტულ ადამიანს ემოქრება თუ უსახურ გარემოცვას), რასაკვირველია, ფსიქიკური ენერგიაა და ამიტომაც, რა თქმა უნდა, სულიერია. მაგრამ როცა ვამბობთ – „სულიერი ენერგია“, ვგულისხმობთ ფიზიკური გმირობის არსებობასაც. ეს ისეთივე სიბრყვიეა, რომ ვთქვათ – „სხეულის აზრი“ ან „კუნთის წარმოსახვა“.

* * *

ადამიანური წარმოსახვა დემონია – ნუ გააღვიძებთ მას, თორემ დავილუპებით, ის ჩვენ შეგვჭამს.

ინგლისურიდან თარგმნა
ბია ჯონსაქი

„ღირიკული მოზაიკის“ – რომელიც აერთიანებს ბრიტანელ და ამერიკელ პოეტებს – შესავალში აღნიშნულია, რომ ლელა ებრალიძის ეს წარმატებული მცდელობა თამამად დაუდგება გვერდით გივი გაჩეჩილაძისა და გიორგი ნიშნიანიძის მიერ თარგმნილ ანთოლოგიური ყაიდის გამოცემებს. იგი ითვალისწინებს დღემდე დაგროვილ მდიდარ გამოცდილებას და პოეტური მარცვლებით, წვეთობით გამოწურული მადლით წარმოგვიდგენს მშვენიერ შენობას, მკვიდრსა და საიმედოს უფრო დიდი შენობის ასაგებადაც. ამჯერად ვეხმარებით მის ერთ, ამერიკულ ნაწილს.

მაია ჯალიაშვილი

მზენასვამი ნაკადულის ჩქერი

*

ამერიკული პოეზიის ლელა ებრალიძისეული თარგმანები

პოეზიის თარგმნა რომ ძნელია, დიდი ხანია აღიარებულია. სიტყვებს თარგმნი, აზრს თავს მოუყრი, მაგრამ ძნელია მთლიანობაში ლექსის სულის მოხელთება და გადმოცემა. ამისთვის თვითონაც პოეტი უნდა იყო, თუმცა შეიძლება ლექსებს არ წერდე. პოეტური ალლო და დამოკიდებულება უნდა გქონდეს სამყაროსთან და უხილავი, შინაგანი ცხოვრების რიტმს გულისძგერასავით შეიგრძნობდე. თარგმნა, მართლაც, შემოქმედებაა და მასაც ისევე სჭირდება მუზის მფარველობა, ერთგვარი აღმაფრენა, როგორც ნებისმიერ ხელოვნებას.

ასეთი პოეტური ალლოთი დაჯილდოებული ჩანს ლელა ებრალიძე, რომელსაც უთარგმნია ბრიტანელი და ამერიკელი პოეტები, თანაც ორიოდე კი არა, ორმოცდაერთი სხვადასხვა პოეტი, განსხვავებულ ეპოქებში მცხოვრები, ნაირგვარი ესთეტიკური მრწამსისა და იდეალებისა. ქრონოლოგიურად არიან წარმოჩენილი პოეტები მე-17 საუკუნიდან დღემდე.

მთარგმნელი რომ ნიჭიერი და თამამია, ამის დამადასტურებლად არაერთი მაგალითი შემიძლია მოვიხმო. მარტო ის რად ღირს, რომ გაბედა და თარგმნა ედგარ პოს „ყორანი“. არ მოერიდა ხმამაღალ სახელებს, მეტ-ნაკლები ღირსების თარგმანებს (ვაჟა-ფშაველა, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ფილიპე ბერიძე, გიორგი ნიშნიანიძე, კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი...) და საქვეყნოდ აღიარებული პოეტური შედევრის საკუთარი ვერსია შემოგეთავაზა, სტრიქონებში თავისი სული, გული, ემოცია ჩაატანა. ჩემი აზრით, ამ ცდამ გაამართლა. სხვა თარგმანთა გვერდით არაფრით არ იჩრდილება ლელა ებრალიძის ვერსია. „ყორანის“ თარგმანთა შედარებას ცალკე ნაშრომს მიუძღვნიან სპეციალისტები, აქამდეც არაერთი დანერვილა, მე მხოლოდ ამ თარგმანზე ვისაუბრებ.

ცნობილია ამ ლექსის შექმნის ისტორია თვით ედგარ პოსავე ესეთ „კომპოზიციის ფილოსოფია“. პოეტმა ყოველი დეტალი და ნიუანსი წინასწარ გათვალა და სულისშემძვრელი ლექსი შექმნა, თუმცა ალბათ ვერ წარმოიდგენდა ინტერპრეტაციათა იმ მრავალფეროვნებას, რომელიც ამ მისტიკური, რელიგიურ-ფილოსოფიური ქვეტექსტებით დატვირთულმა სტრიქონებმა შეიძინა. ლელა ებრალიძის თარგმანში ლექსის მთავარი, კულმინაციური სტროფი ასე უღერს:

„მისანი ხარ ავი, შმაგი! ხარ ფრინველი თუ ეშმაკი!
ცას გაფიცებ და ღმერთს მაღალს, ორივენი რომ
ვცემთ თაყვანს,
უთხარ ჩემს სულს, სულ რომ ხვნეშის: იქ, შორეულ
სამოთხეში,
თუ შეხვდება ის ასული, ო, ეს სული ვისზეც
გოდებს, –
წმინდას, სათნოს, თვით ანგელოსთ მას ლენორი
რომ უწოდეს“.
მიპასუხა: „არასოდეს!“



ამ სტრიქონებიდან, მართლაც, მოედინება ტკბილი და თანვე აუტანელი ნალველი. სიტკბო სატრფოს მარადიულ ხსოვნას ახლავს, ნალველი კი მასთან ველარასოდეს შეხვედრის წუხილს.

ხსენებულ წერილში ედგარ პო მიჩნევდა, რომ მკითხველზე ზემოქმედების მოსახდენად ლექსი უნდა ყოფილიყო ყველასთვის გასაგები, სადა, მშვენიერი, მუსიკალური, გულშიჩამწვდომი. რამდენად არის დაცული ეს ასპექტები ყორანის ახალ ქართულ ორეულში? ვფიქრობ, მთარგმნელი ოსტატურად ახერხებს ამ პრინციპთა დაცვას. უპირველეს ყოვლისა, ზედმიწევნით მიჰყვება დედანს, ცდილობს ნაკლები იყოს სიტყვათა შემატება-კლება, თუმცა ამ „ხერხს“ სხვა შემთხვევაში ხშირად წარმატებულად იყენებს. მცირე გამოწერისა მოყვანილი სტროფის მეხუთე სტრიქონში ოდნავი უზუსტობა: „Whom the angels name Lenore“ (ანგელოსური სახელი ლენორი) – ნათარგმნია „ანგელოსთ მას ლენორი რომ უწოდეს“.

ვფიქრობ, კარგი არჩევანია ლექსის საზომად შაირი, რუსთველის მიერ სრულყოფილი ფორმა. თანვე, მისადაგებულია მაღალი შაირი (4:4, 4:4, 4:2:2, 4:2:2 – ვარიაციებით). ეს რიტმი თავიდან ბოლომდე მიჰყვება ლექსს, რაც ხელს უწყობს იმ დაძაბული, ემოციური მუხტის სისავეს, რომლითაც გამორჩეულია ამ ლექსის თითოეული სტრიქო-

ნი. თუმცა შეიძლება დაბალი შაირის გამოყენებაც, რაც რიტმულად გაამრავალფეროვნებდა ლექსს. რიტმულ მრავალფეროვნებას თვითონ პო უდიდეს ყურადღებას აქცევდა. ხსენებულ წერილში ამის თაობაზე აღნიშნავს, რომ პირველად ერთ სტროფში მან გამოიყენა სხვადასხვა ზომის ტაეპები, თანვე რითმებითა და ალიტერაციებით უხვად დახუნძლა.

რითმათა სიუხვით ლელა ებრალების თარგმანიც გამოირჩევა, თუმცა ალიტერაციები არ გვხვდება, მაგრამ მთლიანობაში ლექსი დახვეწილია, სადა და შთამბეჭდავი.

**ზის ყორანი შეურხეველად, არად აგდებს რისხვას,
წყევლას,
ზის პალადის მქრქალ ბიუსტზე გაბლენძილი ჩემს
კარს ზემოთ,
და თვალები მინაბული, იცით, უგავს მძინარ
დემონს,
ლამპის შუქი ზედ ეცემა და ძირს ჩრდილად
დააბოტებს,
ჩემი სულიც მოცახცახე ამ ჩრდილს, ვერა, ვერ
აშორდეს –
ზე აფრინდეს ვერასოდეს!**

კრებულში წარმოდგენილი არიან ჩვენში მეტად ან ნაკლებად ცნობილი ბრიტანელი და ამერიკელი პოეტები, მათ შორის: უილიამ ბლეიკი, რობერტ ბერნსი, უოლტერ სკოტი, ტომას მური, ლორდ ბაირონი, პერსი ბისი შელი, ლონგფელოუ, ედგარ პო, ალფრედ ტენისონი, რობერტ ბრაუნინგი, ჯეიმზ რასელ ლოუელი, ემილი დიკინსონი, ტომას ჰარდი, რადარდ კიპლინგი, უილიამ ბატლერ იეიტსი, ჯეიმზ ჯოისი, დევიდ ჰერბერტ ლორენსი და სხვა.

მთარგმნელს აქვს მდიდარი ლექსიკა, სიტყვის ალღო. აღსანიშნავია, ერთი მხრივ, მისი მცდელობა ზედმინუნით მისდიოს დედანს, მეორე მხრივ, მოქნილობა და სისხარტე გონებისა, გემოვნება და ინტუიცია, მოიფიქროს, მიაგნოს იმ აუცილებელ „ზედმეტ“ სიტყვას, რომელიც ნათარგმნ სტრიქონს მეტ სიცოცხლეს შესძენს, მხატვრულ სახეს ელვარებას შემატებს, რიტმულად გაამრავალფეროვნებს, გრძნობას გულწრფელობას მიანიჭებს, აზრს გამოკვეთს, ემოციას გაამძაფრებს, იმ ენერგიით დამუხტავს, რომელიც აუცილებელია მკითხველზე ზემოქმედებისთვის, ან უფრო სწორად, იმისთვის, რომ ლექსი მკითხველს დაელაპარაკოს, დიალოგი გამართოს მასთან.

კრებულში თითქმის არ შეგხვდება არანაირი ხელოვნური ფორმა სიტყვებისა, არანაირი უცხო, ქართული ენისთვის შეუფერებელი გრამატიკული კონსტრუქცია, ყალბი პათოსი, მთლიანობაში ამ ლექსთა კითხვისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოეტები ქართულ ენაზე მეტყველებენ და მშვენიერების სასწაულებს ამ ენით გვაზიარებენ.

რობერტ ბერნსის პოეზიის თამარ ერისთავისეული ბრწყინვალე თარგმანები ალბათ ყოველ მთარგმნელს სამაგალითოდ აქვს. ეს ის გამოცდილებაა, რომელიც „მოძმეს სიძნელეს გზისას უადვილებს“. კრებულში ლელა ებრალიძე ბერნსის ორ ლექსს გვთავაზობს, ქართულად შესანიშნავად ამეტყველებულს. ინგლისურ დედანთან ერთად წაკითხვისას, მკითხველი კიდევ ერთხელ იგრძნობს, როგორი დახვეწილი პოეტური სმენა აქვს მთარგმნელს,

ამავე დროს, ჩანს ქართული კლასიკური პოეზიის ცოდნა და სიყვარული, რადგან ძალიან „იოლად“ პოულობს გამოთქმებს, რათა დედნისგან განსხვავებული სიტყვის ჩამატებით კი არ დაშორდეს ორიგინალს, არამედ უფრო გამოკვეთოს ფერი, სურნელი და მელოდია. ჩემი ნათქვამის სიმართლეს ეს ციტატები დაადასტურებს:

**O my Love's like a red, red rose
That's newly sprung in June:
O my Love's like a melody
That's sweetly play'd in tune.**

**ჩემი სიყვარული ჰგავს ნითლად აღენილს
კოკობ ვარდს, ივნისის ნობათს,
სიმღერას, სულს ასე რომ ათობს აღერსით,
სხვა ემხი, სხვა სიტკბო რომ აქვს.**

წერილის სათაურად გამოტანილი სტრიქონი კი პრეზენტაციის პოეტის ქრისტიანა ჯორჯინა როსეტის ლექსიდანაა. როგორც ცნობილია, პრეზენტაციის პოეტები მისწრაფვოდნენ პოეზიაში ხაზგასმული ფერწერულობისა და ბუნებრიობისაკენ. წარმოდგენილ ორ ლექსში ეს იგრძნობა. ვისურვებდი, ამ პოეტის შემოქმედების გადმოქართულება გაეგრძელებინა მთარგმნელს:

**გული ჩემი ჩიტუნას ჰგავს,
ყლორტებში რომ მღერის, ლაღობს,
ვამლის ხეს ჰგავს, რტობდახრილს,
რომ ვერ იტევს მნიფე ნაყოფს.
ნიჟარას ჰგავს, ცისარტყელად
რომ ლივლივებს ზღვის სალკეში, –
მე ხომ გულში სიყვარული
დღეს მენვია, ვით ნუგეში“**

(„დაბადების დღე“)

კრებულში წარმოდგენილი ლექსები ლირიკულია, სიყვარულისა და ამოების თემებზე. როგორც აღვნიშნე, ერთმანეთისგან განსხვავებული პოეტები შორეული სივრცებიდან გვესიტყვებიან და ჩვენამდე მოაქვთ პოეზიის გაუქარვებელი სურნელი. ბაირონის ინგლისურ ენას შეფარებული სიყვარულის სითბო და სილამაზე არც ქართულ სტრიქონებში იკარგება:

**გნახე მტირალი. ცრემლმა იელვა,
შეგუბებულმა შენს ლურჯ თვალეებში,
და მომეჩვენა – სველმა იებმა
შემომანათეს ჩუმი აღერსით.**

მთარგმნელის ოსტატობის დამადასტურებელი კიდევ ბევრი მაგალითი შეიძლება მომეყვანა, მაგრამ ჩემი შთაბეჭდილებებით თავს აღარ შეგანყენო. დასკვნისთვის კი ვიტყვი, ახალთაობის მთარგმნელი ლელა ებრალიძე ლირსეულად აგრძელებს ქართული მთარგმნელობითი სკოლის მდიდარ ტრადიციებს (ბიბლიის უძველესი თარგმანებით საფუძველჩაყრილს) და შესაფერის თანაავტორობას უწევს მსოფლიოში აღიარებულ პოეტებს. მის ახალ თარგმანებს სიხარულით დაელოდება მკითხველი.

ამერიკელი პოეტები



სან-ფრანცისკოს რენესანსი, „ბიტნიკები“, პაციფიზმი, მისტიციზმი, ძენ-ბუდიზმი, სექსუალური თავისუფლება, ნარკოტიკები, უიტმენი, სიურრეალიზმი, ადამიანის უფლებების დაცვა, ბლეიქი... – ძნელი დასაჯერებელიც კია, რომ ყველა ეს მოვლენა თუ არტეფაქტი პოეტის ოჯახში გაზრდილ პოეტ ალენ გინსბერგს უკავშირდება. მან ერთხელ თქვა: „არავითარი იმედი აღარ არსებობს ჯეკ კერუაკისა და სხვა ბიტნიკების ამერიკის გადასარჩენად. ერთადერთი, რის გადარჩენაც უნდა ვცადოთ, ჩვენი გონების ვეება, ცარიელი ჩუმი სივრცეა.“ აი, გინსბერგის „ცნობიერების ნაკადის“ ერთი ნიმუში „The Song“, რომელიც დაწერილია 1954 წელს, სან-ხოსეში.

ალენ გინსბერგი
(1926-1997)

გინდ შლეგი იყავ,
გინდ უსისხლო,
გინდ ანგელოზი მოგდევდეს და გინდა მანქანა,
ბოლო სურვილი, რა თქმა უნდა, სიყვარულია.
ის არასოდეს არ არის მწარე,
მას ვერ განაგდებ,
ვერ უარყოფ
და რომც უარყო,
ვერ დამალავ,
მძიმეა ტვირთი სიყვარულისა –
უნდა გასცე და დაბრუნებაზე აღარ იფიქრო,
როგორც იმ აზრზე, მარტოობას რომ გამოსტაცებ,
თბილი სხეული სიბნელეში აციმციმდება,
ხელი ხორცისკენ გაიწვდება,
კანს აათრთოლებს ბედნიერება,
თვალეში სული ალივლივდება.
დიახ, ეს მსურდა –
ყოველთვის,
მუდამ,
რომ იმ სხეულს დავბრუნებოდი,
რომლიდანაც მოვევლინე ქვეყნიერებას.

სიმღერა

ამ სამყაროს სიყვარულის უღელი ადგას.
ტვირთმძიმენი ვართ მარტოობით და ჩუმი ბუნტით.
სიყვარულია, სიყვარული – ჩვენი უღელი.
ვერვინ უარყოფს –
სიზმრად სხეულზე შემოგეხვევა,
ტვინში სასწაულს მოამწიფებს,
შთაგონებას გაათამაგებს,
ვიდრე შენში არ დაიბადება,
გულიდან გვიცქერს,
უმანკოდ ღვივის –
სიყვარულია ამ ცხოვრების მძიმე უღელი,
რომელსაც, ტვირთით დაღლილები, მივაჩაქჩაქებთ.
ან სიყვარულში თუ ვპოვებთ შვებას!
არ არის ხსნა უსიყვარულოდ,
რა არის ძილი სიყვარულზე სიზმრის გარეშე?



ელიოტი იტყოდა, რომ პაუნდი მასზე დიდი პოეტი იყო. ის აერთიანებდა აშშ-სა და ბრიტანეთის პოეტურ სივრცეებსა და გემოვნებას მაშინ, როცა იეთის მდივნად მუშაობდა და ელიოტის „ბერნი მინის“ რედაქტორობას კისრულობდა, როცა „იმაჟოზმს“ ქადაგებდა და მიაჩნდა, რომ სახე, ხატი დროის მყისიერ მომენტში წარმოდგენილი ინტელექტუალურ-ემოციური კომპლექსია, ეგებ, მაშინაც, როცა იტალიური ფაშიზმის თანამგრძობთა რიცხვში აღმოჩნდა... მის „სიმღერებში“ განფენილი სხვადასხვა ეპოქებისა და კულტურის ალუზიები ძნელად გასაგები იყო, მაგრამ არც იმდენად, რომ პაუნდის ყოვლისმომცველი განსწავლულობა ვერ დავლანდოთ. აი, მისი პოეზიის რამდენიმე ნიმუში.

ეზრა პაუნდი
(1885-1972)

მასში კი, კაცობრიობის დასასრული განიჭვრიტება.
მწარეა მისი კაემანი წრეგადასული.
ხმის გამცემს ეძებს და თანაც, შიშობს,
რომ დავატყვევებ მის სულსწრაფობას.

ბალი

*En robe de parade
Samain*

აბრეშუმის ძაფის გორგალი, დაუდევრად რომ მიეხლება
ქათქათა კედელს,
ის სწორედ ისე მიუყვება ქესინგთონის ბალის მოაჯირს
და რომელიღაც ემოციური ანემიით გულდასენილი,
ნელ-ნელა კვდება.
მის ირგვლივ ბინძური, ღონიერი, ტყვიავამძლე ღარიბთა
ბრბოა
და ისინი დაიმკვიდრებენ ქვეყანას.

ლექს „The Garden“ წინ უძღვის ფრანგი სიმბოლისტი პოეტის, ალბერ სამენის (1858-1900) ლექსის „Au Jardin de L'Infante“ („ინფანტას ბაღში“) (1893) პირველი სტროფის „ჩემი სული სამეფლისო კაბაში გამოწყობილი ინფანტა“ ფრაგმენტი En robe de parade („სამეფლისო კაბაში“); აქ ნახსენები ქესინგთონის ბალები ლონდონშია, ჰაიდ პარკის დასავლეთით, სადაც მნახველი შეხვდება დედოფალ ვიქტორიას, უილიამ III-ისა და პიტერ პენის ქანდაკებებს; ამ ლექსში უცვლელად მეორდება ფრაგმენტი მთაზე ქადაგებიდან (მათე 5,5): „ნეტარ არიან თვინიერნი, ვინაიდან ისინი დაიმკვიდრებენ ქვეყანას“. ლექსი დაწერილია 1913 წელს.

და დღე არ არის სრულყოფილი

და დღე არ არის სრულყოფილი
ღამეც არ არის სრულყოფილი
და სიცოცხლე ისე მისხლტება,
ვით მინდვრის თავი,
ერთ ბალახსაც რომ არ შეარხევს.

დასკანი (1919)

გაფრინდი მისკენ, სიჩუმეში შობილო წიგნო
და შესთხოვე, მიმღეროს ისევ
ის სიმღერა, იდუმალად ახლაც რომ ვისმენ.
ის შეგვინყალებს და ცოდვებსაც ის მაპატიებს,
მე რომ მამძიმებს
და მის დიდებას ეს ცოდვებიც გაახანგრძლივებს.
უთხარი, რომ ეს სიმღერა რბილ ჰაერში ტრიალებს ახლაც –
მას, სხვა, ალბათ, არაფრად აგდებს,
ჩემს ყოფას კი, სიცოცხლეს მატებს.



შვედი ემიგრანტი სენდბერგი უოლტ უიტმენის სკოლის წარმომადგენელია. პოეტი-ორატორი, რომელიც მასებზე და მასებისთვის წერდა, ამავე დროს, ნატიფი ლირიკოსიც იყო. ერთხელ მან ასე მიმართა კრიტიკოსებს: „რაც გსურდეთ, ის თქვით, ოღონდ ნუ წამართმევთ ჩემს სტილს. ეს ჩემი სახეა. შესაძლოა, ულამაზო, მაგრამ – ჩემი“. აი, სენდბერგის „სტილის“ დამადასტურებელი რამდენიმე ნიმუში.

კარლ სენდბერგი
(1878-1967)

სამება

ბავშვი ვიყავი, რომ შევიტყვე ამ სისხლისფერი სიტყვების
არსი –
ათასობით ფრანგს ქუჩაში კლავდნენ სამი სიტყვისთვის:
თავისუფლება, ერთობა, ძმობა –
მახსოვს, ვიკითხე, რად კვდებოდა კაცი სიტყვისთვის.
გავიზარდე და ულვაშ-ქილვაშა ფერმკრთალმა ხალხმა
ამაყად მითხრა ეს სამიოდ ბაჯაღლო სიტყვა:
დედა, სახლი და სასუფეველი.
სხვა პირლაჟლაჟა უფროსებმა – მოვალეობა, უკვდავება,
უფალი ღმერთი, –
ეს სამეული ფილტვებიდან ამომღერეს.
წლებმა უშვერად ჩაანკინკეს წყალ-წყალა „სიბრძნე“
ბედისწერის და წყევლა-კრულვის დიდრონ საათზე.
მეტეორებმა სიახლე გვამცნეს –
ვეებერთელა რუსეთიდან მოვიდაო სამნუხარო სამი
მარცვალი:
მუშებმა თოფი აიღეს ხელში და კვდებიან
მინისათვის, პურისათვის, მშვიდობისათვის.
ტყავისსაყელოიან უნიფორმაში გამოწყობილ მეზღვურს
შეგვგვდი.
მუხლებზე გოგონა ეჯდა, ვით – გარშემოვლილ
დედამინის ნათელი ხსოვნა.
თქვა: – თუ ეს სამი რაღაცა იცი, კაცი ყოფილხარ:

შევთავაზებ, რომ იცოცხლოს ისე, ვით ვარდმა,
გრძნეული ქარვით შეიმოსოს, წითლად და თეთრად მანა-
თობელი,
ერთი ფერის და ერთი არსის გახდეს მშობელი.
მის ტუჩებს მოწყდა და ისაა ამ ჰანგის მთქმელი,
მაგრამ არ იცის, თუ ვინაა მისი შემთხველი.
ეს სხვა ბაგეა, დასაბამით რომელიც მღერის,
იმ ტუჩებივით იდუმალი და მშვენიერი.
საუკუნეებს გადანვდება ხმა საკვირველი,
იმატებს მისთვის მლოცველი და მადლისმწირველი.
ჩვენს ნეშტს დაფლავენ, ვეხსომებით ამ ქვეყნად არც ვის
და დრო სუყველას დავინყების საცერში გაგვცრის.

ამ ნამსხვრევებში გადარჩება მშვენიერება.

ამ ლექსით („Envoy“) პაუნდი ეხმარება ინგლისელი პოეტისა და პოლიტიკური მოღვაწის ედმუნდ უოლერის (1606-1687) პოეტურ ოპუსს „გაფრინდი, წარმტაცო ვარდო“ („Go, Lovely Rose“), რომელიც ინგლისელმა კომპოზიტორმა ჰენრი ლუისმა (1596-1662) გაამუსიკა კიდევ.

„ერთი თეფში კვერცხი და ლორი,“
„რა დამიჯდება?“ ანდა კიდევ:
„გიყვარხარ, კარგო?“

ბალახი

აუსტერლიცთან, ვატერლოოსთან ბლომად მირეკეთ
სხეულთა ფარა,
დაასამარეთ
და მომეცით მე სამუშაო –
მე ბალახი ვარ, ყველაფერს ვფარავ.
გეთისბურგთან, იპრთან, ვერდენთან
დაასამარეთ და დამასაქმეთ.
გაირბენს წელი – ორი ან ათი,
მოვა ტურისტი, გამცილებელს დაუსვამს კითხვას:
სადა ვართ ახლა
ან ამ ადგილს რას ეძახიან?
მე ვარ ბალახი.
მომეცით საქმე.

ლექსი „Grass“ შესულია 1918 წლის კრებულში „Cornhuskers“. აქ ნახსენებ გეტისბურგსა (Gettysburg) და იპრს (Ypres) კონტექსტისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს: გეტისბურგი პენსილვანიის შტატის ქალაქია, რომლის მახლობლად 1863 წელს, აშშ-ში მიმდინარე სამოქალაქო ომისას, დიდი ბრძოლა გაიმართა; იპრი ბელგიის ქალაქია, სადაც პირველი მსოფლიო ომის დროს შხამიანი გაზი გამოიყენეს. გაზსაც ქალაქის სახელი „იპრიტი“ უწოდეს.

ფოლადის ლოცვა-ვედრება

უფალო, გრდემლზე გადამანვინე,
მჭედე და მკვერე, ძალაყინად გადამაქციე,
შემარყევინე კედლები ძველი
მომათხრევენი მთლად საძირკველი,
უფალო, გრდემლზე გადამანვინე.

მჭედე და მკვერე, ფოლადის ლურსმნად გარდამქმენი,
ჩამარჭე დირეს, ცათამბჯენებს რომ ამყარებენ,
გახურებული მოქლონებით მიმამაგრე ცენტრალურ დირეს.
გარდამქმენი ვეება ლურსმნად,
ცათამბჯენებს რომ ჩააქვავებს ლურჯ ღამეებში
და არ გაუშვებს თეთრ ვარსკვლავებთან.

ჯაზ-ფანტაზია

დაჰკარით დოლებს, ჩამოჰკარით თითები ბანჯოს,
ააქვითინეთ ცივი კლაკნილი საქსოფონები, გთხოვთ,
ჯაზმენებო.
მოდ, გადანვდით თითის სახსრით თუნუქის ტაშტებს,
სისხლი ადინეთ თქვენს ტრომბონებს,



ქამინგსი ნამდვილი ექსპერიმენტატორი იყო, ავანგარდიზმს აღმერთებდა. მისი პოეტური ენა ადეკვატური გახლდათ იმ სულიერი კრიზისა, რომელშიც პოეტს უხდებოდა ცხოვრება. აი, ერთი ნიმუში ქამინგსის ვირტუოზული სიტყვათქმნადობისა.

ედვარდ ესტლინ ქამინგსი
(1894-1962)

* * *

დიას, ვილაც ცხოვრობდა – ხან „ჰოთი“, ხან „არათი“,
ზართა აურზაურში ტივტივებდა ქალაქი.
გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი
მღერდა იმას, რაც იყო და ცეკვავდა, რაც არი.

ქალი, კაცი – არც ერთი არც არაფერს იქმოდა,
არც რამეზე ზრუნავდა, არც რამეზე ფიქრობდა...
რასაც თესდნენ, იმასვე მკიდნენ მამა-პაპურად –
მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს, კიდევ – ნვიმას შხაპუნას.

თუ არ ვცდები, რალაცას პატარები ხვდებოდნენ,
თუმცა, ავინყდებოდათ, დიდები რომ ხდებოდნენ.
შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული –
სიყვარული დნებოდა, მათთვის გადანახული.

„როდის?“ გახდა „ახლა“ და ხე ფოთლებად ხარობდა:
ქალს სტკიოდა? – ტიროდა. უხაროდა? – ხარობდა.

ჰუმა – ჰუმა – ჰუმ... – აძახებინეთ ხორკლიან
ქალაღს,
მერე ინივლეთ, ვით შემოდგომის ქარი წივის ხის
მარტოხელა კენწეროზე,
ნაზად იკვნესეთ, თითქოს, ვილაცა გულის წასვლამდე
გჭირდებოდეთ,
იკივლეთ ისე, თითქოს, მანქანა, პოლიციას გამოქცეოდეს
და ყინულზე ხაზავდეს კუთხეს! მამ, დაიქუხეთ!
ჰე, ჯაზმენებო, ყველა ერთად ააგრიალეთ – დოლები,
ბანჯო, თუნუქები და საყვირები,
ისე იქუხეთ, კიბის თავზე მენახენი ერთმანეთს სცემდნენ,
თვალებს ჰკანრავდნენ, მჯილის ცემით კიბებზე
მოსრილებდნენ...

ააჟღერიალეთ ეს ხარახურა.
აი, ახლა მისისიპიზე ქოთქოთებს გემი და გზას მიიკვლევს
ბნელ მდინარეში

ჰუ-ჰუ-ჰუ-ჰუ-ჰუ-ს ძახილით...
მწვანე ფარნებით ეხმიანება შორეულ და სათუთ
ვარსკვლავებს...
ნითელი მთვარე სანაპიროთა დაბალ გორაკებს, აჰა, ზედ
კუზზე მოსჯდომია და მოსეირნობს.
მამ, დაიქუხეთ, ჯაზმენებო!

რალაც აიმედებდათ, იძინებდნენ, დგებოდნენ.
„არასოდეს“ – ამბობდნენ, „ოდესმეთი“ ტკბებოდნენ.
ვარსკვლავები, ნვიმა, მზე, ღამით – მთვარის ნათება,
მხოლოდ თოვლს თუ შეეძლო იმისი განმარტება,
ბავშვი როგორ ახერხებს დაივინყოს მაშინვე
ანდა დავინყებული გაიხსენოს ნამშვივე.

ერთ დღეს, ვილაც, მე მგონი, რალაც დარდმა მოცელა,
თუმც, არავინ დახრილა შუბლის დასაკოცნელად,
როგორღაც მოიცალა მოუცლელმა ქალაქმა –
გვერდიგვერდ და თანდათან, წუთინწუთზე დამარხა.

„ყველა“ გახდა „სუყველა“ და „ღრმა“ გახდა „ულრმესი“,
„მეტი“ – გახდა „ბევრი“ და „უხვი“ მთლად „უუხვესი“,
„სულად“ იქცა „სურვილი“, „იჭვი“ იქცა „მტკიცებად“ –
ძილი სიზმრად ჩაჰყვება მას, ვინც გარდაიცვლება.

ქალიც, კაციც – ორივე ნაჩქარევად დაფლული
ზაფხული შემოდგომა ზამთარი გაზაფხული
იქით წასულთ, რატომღაც, აქეთ რჩებათ თვალეები –
ნვიმა, წყვილი მნათობი და წვრილი ვარსკვლავები.

**ინგლისურიდან თარგმნა
გინა ჯონსაქია**

ჯეიმზ თერბერი (1894-1961) აღიარებული ამერიკელი იუმორისტი მკითხველთა უაღრესად საყვარელ მწერალი. ნოველების, იგავების, სკეტჩების, კარიკატურების, ესეების ავტორს თერბერს დრამატურგიაშიც მოუსინჯავს კალამი. ორიგინალური სიუჟეტები, უჩვეულო ამბები, მათი მახვილგონივრული თხრობა, მრავალნიშნა მოულოდნელი სიტუაციები, ასევე მოულოდნელი გადაწყვეტით, ზოგჯერ ორაზროვანი ფინალით უბრალოდ თავშესაქცევად და სიცილის მოსაგვრელად როდია გამიზნული, არამედ მათი ნათელი, გასაგები, გამჭვირვალე ალეგორიული მნიშვნელობანი ქმნიან პრობლემათა რთულ სპექტრს. ყოველდღიური უხერხული წვრილმანების დაცინვასთან ერთად დახვეწილი მოაზროვნე იუმორისტი ამავე დროს სწვდება ფსიქოლოგიურ სიღრმეებს, კონფლიქტებს, ადამიანთა ურთიერთობებს, ოჯახურ ყოფას, შესანიშნავად, მახვილად წარმოსახავს სოციალურ სინამდვილეს და გმობს დანაშაულებრივ პოლიტიკურ ვითარებებს. თერბერის არა მარტო კრებულები და ილუსტრაციებია პოპულარული, არამედ ნოველების მიხედვით შექმნილი კინოფილმები, ნიუ-იორკში მისი ნოველებისა და სკეტჩების მიხედვით გამართული წარმოდგენები. ნოველა „მარტორქა ბალში“, ციკლიდან „იგავები“, თერბერის ერთ-ერთ შედეგად ითვლება და ეკრანიზირებული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჯეიმზ თერბერი

მარტორქა ბალში

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი, რომელიც მზიან დილას სამზარეულოს კუნჭულში იჯდა. ერბო-კვერცხს თვალი მოაშორა, ზემოთ აიხედა და შეამჩნია, ოქროსრქიანი თეთრი მარტორქა ბალში მშვიდად კორტნიდა ვარდებს. კაცი ავიდა საძინებელ ოთახში, სადაც მის ცოლს ეძინა და გააღვიძა.

– ბალში მარტორქაა, – უთხრა მან, – ვარდებს ჭამს. – ქალმა ცალი გაბრაზებული თვალი გაახილა და შეხედა.

– მარტორქა მითიური მხეცია, – თქვა მან და კაცს ზურგი შეაქცია.

კაცი ნელა ჩავიდა ქვედა სართულზე და ბალში გავიდა. მარტორქა ისევ იქ დახვდა; ამჯერად ტიტებს ძოვდა.

– აქეთ მოდი, მარტორქავ, – მიმართა კაცმა, შროშანა მინიდან ამოგლიჯა და მიანოდა. მარტორქამ დინჯად მიირთვა. რაკი მარტორქა ბალში იყო, კაცი დიდად გახარებული ზემოთ ავიდა და ცოლი კვლავ გააღვიძა.

– მარტორქამ შროშანა შეჭამა, – უთხრა. ცოლი საწოლზე წამოჯდა და ცივად შეხედა.

– შენ გიჟი ხარ, – შეუტია ქალმა, – და მე გადავწყვიტე საგიჟეთში ჩაგსვა. – ეს სიტყვები „გიჟი“ და „საგიჟეთი“ კაცს არ სიამოვნებდა და ყველაზე ნაკლებად ეამა იმ გაბრწყინებულ დილას, როცა მარტორქა ბალში ეგულებოდა. ერთ წუთს შეფიქრიანდა.

– აბა, ვნახოთ, – თქვა და კარისკენ გაემართა, – მარტორქას შუაში შუბლზე ოქროს რქა აქვს, – უთხრა ქალს. მერე ბალში დაბრუნდა მარტორქას საყურებლად, მაგრამ მარტორქა უკვე წასულიყო. კაცი ვარდებში ჩაჯდა და ჩაეძინა.

როგორც კი სახლიდან გავიდა ქმარი, ქალი წამოხტა და რაც შეიძლება სწრაფად ჩაიცვა. დიდად აღშფოთებული იყო, თან თვალებს ნიშნის მოგებით აბრიალებდა. დარეკა პოლიციაში, დარეკა ფსიქიატრთან; მათ სთხოვა, რაც შეიძლება მალე მისულიყვნენ მასთან სახლში და დამამშვიდებელი პერანგიც წამოეღოთ. პოლიციელები და ფსიქიატრი მივიდნენ, სკამებზე დასხდნენ და ქალს დიდი ცნობისმოყვარეობით დაუნყეს ყურება.

– ჩემმა ქმარმა, – დაიწყო ქალმა, – ამ დილით ბალში მარტორქა ნახა. – პოლიციელებმა შეხედეს ფსიქიატრს და ფსიქიატრმა შეხედა პოლიციელებს. – ასე მითხრა, შროშანა შეჭამაო, – ფსიქიატრმა შეხედა პოლიციელებს, პოლიციელებმა – ფსიქიატრს. – ასე მითხრა, შუბლზე შუაში ოქროს რქა ჰქონდაო, – განაგრძო ქალმა. ფსიქიატრის სერიოზულ მინიშნებისთანავე პოლიციელები წამოიჭრნენ სკამებიდან და ცოლს ხელი სტაცეს. შავი დღე დაადგათ, სანამ დაიმორჩილებდნენ, ქალმა საშინელი ბრძოლა გაუმართა, მაგრამ ბოლოსდაბო-

ლოს მაინც დაიმორჩილეს. ის-ის იყო დამამშვიდებელ პერანგში გაკოჭეს, როდესაც ქმარი შინ დაბრუნდა.


– თქვენ უთხარით თქვენს ცოლს, რომ მარტორქა ნახეთ? – ჰკითხა პოლიციელმა.

– რასაკვირველია, არა, – უპასუხა ქმარმა, – მარტორქა ხომ მითიური მხეცია.

– აი ყველაფერი ის, რისი გაგებაც მინდოდა, – თქვა ფსიქიატრმა. – ქალი წაიყვანეთ. დიდად ვწუხვარ, მაგრამ თქვენი ცოლი ისეთი შეშლილია, რომ წამდვილად დასაბმელი გიჟია. – ასე და ამგვარად, ქალი გაიყვანეს. წყველაკრულვითა და ნივილ-კივილით იკლებდა იქაურობას, ქალი ჩაამწყვდიეს სათანადო დაწესებულებაში. ამიერიდან ქმარი ბედნიერად ცხოვრობდა.

მორალი: ნინილებს მანამდე ნუ ითვლი, სანამ არ გამოიჩეკებიან.

ინგლისურიდან თარგმნა ციალა (პითერ) თოფურიჩაი



მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე

უილიამ ფოლკნერი

ბერო

შევეცდები გიამბოთ ბეროზე. სწორედაც რომ შევეცდები – სხვა არაფერი გეგონოთ, მხოლოდ მცდელობაა, ერთად მოვუყარო თავი მისი ხანმოკლე, ბეჩავი და ფუჭი ცხოვრების აბდაუბდას, უბრალოდ კი არ ვისარგებლო ვარაუდების, მიგნებათა და გამონაგონის ბუნდოვანი მეთოდებით, არამედ ეს ბუნდოვანი მეთოდები გამოვიყენო იმ ბუნდოვანისა და აუხსნელი მიმართ, რაც მასზე გვსმენია. რადგან ადამიანის გულის ისტორიის წვრილმანები, ესოდენ პარადოქსული და ურთიერთგამომრიცხველიც კი, მხოლოდ ლიტერატურაში შეიძლება შეუთავსო ერთიმეორეს და ხელოვნების ძალით მიანიჭო დამაჯერებლობა და უტყუარობა.

ბერო გონებასუსტი ვინმე იყო, ეგებ კრეტინიც კი ეთქმოდა; არაფრად ღირდა მისი ჩასმა ციხეში. მაგრამ როდესაც ასამართლებდნენ, ოლქში ახალგაზრდა პროკურორი გვყავდა, კონგრესს რომ უმიზნებდა, ხოლო ბეროს არც ახლობლები მოეძებნებოდა, არც ფული და ადვოკატიც კი არა ჰყოლია, ალბათ არც ესმოდა, რისთვის სჭირდებოდა ადვოკატი და თუნდაც ის, სახელდობრ რას ნიშნავდა ადვოკატი.

ასე რომ, სასამართლომ დაუნიშნა დამცველი, ასევე ახალგაზრდა კაცი, კოლეგიაში სულ ახლახან რომ ჩაერიცხათ და, ჩანს, სისხლის სამართლის პრაქტიკული გამოცდების შესახებ ბეროზე ოდნავ მეტი თუ იცოდა. და მან, სასამართლოს მსვლელობისას, შესაძლოა, თავისი კლიენტი დამნაშავედ შერაცხა ანდა უბრალოდ დაავიწყდა, რომ განცხადება გაეკეთებინა მისი გონებრივი არასრულფასოვნების თაობაზე, რამდენადაც ბერო წამითაც არ უარყოფდა, რომ განსვენებული მისი ხელით იყო მოკლული. ასეა თუ ისე, არავის შეუშლია ხელი ბეროსთვის, ეს ემტკიცებინა, უფრო სწორად, უბრალოდ გაემორებინა. იგი არ ინანიებდა, მაგრამ არც იკვებინდა. თითქოს ცდილობდა სიტყვით მიემართა იმ ადამიანებისათვის, რომლებმაც დააკავეს გვამთან, ვიდრე შერიფის თანაშემწე მოვიდოდა შემთხვევის ადგილზე, მიემართა აგრეთვე შერიფის თანაშემწის, ზედამხედველისა და თანასაკნელებისათვის (ესენი იყვნენ თავზეხელაღებული ზანგები, დაპატიმრებული მანანალობის, აზარტული თამაშებისა და ბნელ შესახვევებში ვისკით ვაჭრობის გამო), მომრიგებელი მოსამართლისათვის, რომელიც ატარებდა პროცესს, ადვოკატისათვის, რომელიც სასამართლომ დაუნიშნა, და ნაფიცი მსაჯულებისათვის. მკვლელობიდან ერთი საათი რომ გავიდა, მას თითქოს აღარც ახსოვდა, სად მოხდა ეს მკვლელობა; ის კაციც კი ვერ გაეხსენებინა, ვისაც მისივე მტკიცებით, სული გააფრთხობინა; თავის მსხვერპლად ასახელებდა (და იმასაც მინიშნების, კარნახის მიხედვით) რამდენიმე კაცს, რომლებიც ცოცხლები და სალ-სალამათნი იყვნენ, ხოლო ერთი მათგანი, თქვენ წარმოიდგინეთ, სასამართლოსაც კი ესწრებოდა. მაგრამ ბერო არ უარყოფდა, რომ საერთოდ მოკლა ვიღაც. ეს არ

ყოფილა დაჟინება, უბრალოდ ფაქტის აუღელვებელი კონსტატაცია იყო; მკაფიო, გულწრფელი, კეთილმოსურნე ხმით ცდილობდა წარმოეთქვა თავისი სიტყვა, აეხსნა რაღაც ისეთი, რისი გაგებაც მსაჯულებს არ ძალუძდათ და მოსმენაც არ სურდათ. ბერო არ ინანიებდა, არ ეძებდა საფუძველს შეღავათისთვის, რათა აეცდინა საზღაური ჩადენილისა. თითქოს ცდილობდა დაესაბუთებინა რაღაც, სურდა ესარგებლა ამგვარი შესაძლებლობით უფსკრულზე ხიდის გასადებად, რომელიც დააკავშირებდა სამყაროსთან, ცოცხალ ადამიანთა სამყაროსთან, ღონიერ და მრავალტანჯულ მიწასთან; ამის დამტკიცებად გამოდგება ის უცნაური სიტყვა, ხუთი წლის შემდეგ რომ წარმოთქვა სახრჩობელის ქვეშ.

მაგრამ, მეორე მხრივ, მას არაფერი ესაქმებოდა ამ ცისქვეშეთში. გაჩნდა ამქვეყნად, უფრო სწორად, აღმოცენდა; არავინ არ იცოდა, იქ დაიბადა თუ არა – მთაგორიან, ფიჭვნარით მოფენილ ალაგას ჩვენი ოლქის აღმოსავლეთ კუნჭულში, სადაც ოცდახუთი წლის წინათ (ბერო სწორედ ოცდახუთი წლისა იქნებოდა) თითქმის არ იყო გაყვანილი გზები და სადაც ოლქის შერიფიც კი არ გაჭაჭანებულა; მიუდგომელი მხარე იყო, ლამის ველური, დასახლებული თავისი კლანის ერთგული ადამიანებით, რომლებიც არავის და არაფერს არ ემორჩილებოდნენ. გარეშეთ თვალითაც არ ენახათ ისინი, ვიდრე ავტომობილებმა, რამდენიმე წლის წინათ, გვარიანი გზით არ გაარღვიეს მწვანე სიმაგრენი იმ მხარეში, რომლის მკვიდრნი, შერყვნილი შოტლანდიურ-ირლანდიური გვარები რომ ჰქონდათ, ცოლად თხოულობდნენ ნათესავეებს, ხდიდენ ვისკის და ძელური ფარდულებისა თუ ტყრუშულ ღობეთა მიღმა ჩასაფრებულნი ტყვიას უშენდნენ ყველა გადამთიელს. იმავე გვარიანი გზებითა და გადასასვლელებით ჯეფერსონს ჩაჰგვარეს არა მართო ბერო, არამედ ლეგენდაც მისი წარმოშობის თაობაზე, სანახევროდ ჭორებისგან რომ შედგებოდა.

საქმე ისაა, რომ იმ მიდამოთა მოსახლეებმა ჩვენზე ოდნავ უკეთესად იცოდნენ ამბავი დედაბრისა, რომელიც ამ თავგამოდებულ ბაიყუშებშიც კი განდევნილად ცხოვრობდა ძელურ სახლში, ზედ შესასვლელ კართან დატენილი საფანტის თოფი რომ ეყენა, თუ მისი შვილისა, რომელმაც ადგილობრივ ზნეობათა კვალობაზეც კი მოახერხა, რომ ყველანი გადაემტერებინა, როდესაც მკვლელობა ჩაიდინა და მიიმალა – შესაძლოა, გაძევებულ იქნა. ათი წელი ისე გავიდა, კაცს არ სმენია მისი სახელი, თვალითაც არავის უნახავს და, ერთ მშვენიერ დღეს, უეცრად დაბრუნდა ვიღაც ქალთან ერთად; ამ ქალს ხეშეში, მბზინავი, ლითონივით ლაპლაპა ქალაქური თმა და ასევე ხეშეში, თეთრგვრემანი ქალაქური პირისახე რომ ჰქონდა,



მხოლოდ შორიდან თუ მოჰკრავდნენ თვალს, როცა ეზოში გაივლიდა ანდა კარში ჩამდგარი გაჰყურებდა მწვანე უდაბურობას ცივი, ავბედითი და მედიდური შეუვალობით; მის გამოხედვას მომაკვდინებელიც კი ეთქმოდა, ოღონდ ეს იყო გველური მომაკვდინებლობა განსხვავებით იქაურთა ლამის დარბაისლური რიტუალისაგან, როცა ჯერ შეეხმინებიან სულიერს და მერე დააგრიანებენ თოფს. მერე ორივე გაქრა. არავინ უწყოდა, როდის ან რატომ გაქრნენ, და არც ის უწყოდნენ, როდის ან რისთვის მოველინნენ აქაურობას. ამბობდნენ, თითქოს ერთ ღამეს დედაბერი, მისის ოდღტროპი საფანტის თოფით დაემუქრა და ისინი სახლიდან და, მგონი, ოლქიდანაც გაყარა.

ასეა თუ ისე, გაქრნენ ისინი; და გავიდა თვეები, ვიდრე მეზობლები აღმოაჩინდნენ, რომ სახლში იმყოფებოდა ბავშვი, ჩვილი ბავშვი; იქ ჩამოიყვანეს თუ იქვე იყო დაბადებული – ესეც არავინ იცოდა. სწორედ ეს გახლდათ ბერო. მერე კი ჰყვებოდნენ, რომ ხუთი-ექვსი წლის შემდეგ სახლიდან მიცვალებულის სუნმა გამოაღწია; რამდენიმე კაცი შევიდა იქ, სადაც ბებერი მისის ოდღტროპი, უკვე ერთი კვირა იქნებოდა, მომკვდარიყო, და აღმოაჩინეს პანანინა არსება, ზენრისგან შეკერილი პერანგის ამარა რომ იყო და ლამობდა, ხელში აელო კართან აღმართული საფანტის თოფი. ბეროს დაჭერა ვერა და ვერ მოახერხეს. ესე იგი, მაშინვე ვერ სტაცეს ხელი, სხვა შესაძლებლობა კი აღარ გამოუჩნდათ. ოღონდ შორს როდი წასულა.

ადამიანები ხვდებოდნენ, რომ ბერო საიდანღაც თვალს ადევნებდა მათ, მაშინაც, როცა ცხედარს აპატიონებდნენ, და მაშინაც, როცა მიწას მიაბარეს. ერთხანს არავის მოხვედრია თვალში, თუმცა ყველამ იცოდა, რომ ის სადღაც ახლომანლო იმყოფებოდა, ხოლო უახლოეს კვირადღეს ანაზღად თვალი მოჰკრეს, რომ შიშველი ხელებითა და ჯოხით თხრიდა საფლავს. უკვე დიდი ორმო ამოეთხარა. მიწით ამოავსეს და ღამით რამდენიმე კაცი ბუჩქებში ჩასაფრდა, რათა დაეჭირათ ბავშვი და, სხვა თუ არაფერი, დაეპურებინათ მაინც. მაგრამ მისი დაჭერა კვლავაც ვერ მოახერხეს. პატარა და მძვინვარე სხეული (ახლა სულ შიშველი იყო) გაპოხილივით უსხლტებოდათ ხელიდან და თვალს ისე მიეფარა, ერთი ადამიანური ბგერა არ დასცდენია.

ამის შემდეგ მეზობელთაგან ზოგ-ზოგს საჭმელი მიჰქონდა ცარიელ სახლში და იქ ტოვებდა. მაგრამ ბავშვი ერთხელაც არავის დაუნახავს. მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ ხმა გავრცელდა, უშვილო ქვრივმა შეიკედლაო; ეს გახლდათ ბერიკაცი, გვარად ფრეიზერი, ცნობილი ვისკისმხდელი. ვგონებ, მთელი ათი წელი გაატარა იქ მანამდე, ვიდრე ფრეიზერი მოკვდებოდა. ეტყობა, სწორედ ფრეიზერმა შეარქვა მეტსახელი, რომლითაც ჩამოვიდა ქალაქში, რადგან არავინ იცოდა, რას ეძახდა მას მისის ოდღტროპი. მალე ყველამ გაიცნო ანდა ცნობილი მაინც გახდა მთელი ოლქისათვის – დაბალი ტანისა, მომსუქნო, ოცდათვრამეტი წლისა გეგონებოდა და არა – თვრამეტი-სა, ყმანვილი ულაზათო და ემპაკურ-ჩლუნგური პირისახით, რომლის ნაკვეთებმა, ალბათ, გამომეტყველებაზე უფრო მეტად მოუხვეჭეს მეტსახელი „ბერო“. იგი უსაზღვრო და უჭოჭმანო, მართლაც ძალღური ერთგულებით

უხდიდა სამაგიეროს იმ კაცს, რომელმაც შეიფარა და პურს აჭმევდა, ხოლო მითქმა-მოთქმის თანახმად ბერო ფრეიზერზე უარესად როდი ხდიდა ვისკის.

აი, სულ ეს იყო, რაც ისწავლა – ვისკის გამოხდა და გაეცდვა, რასაც კრძალავდა კანონი და ამიტომაც მალულად ეწოდნენ. და ეს კიდევ უფრო აძლიერებდა იმ სამახსოვრო სიტყვის პარადოქსულობას, მაშინ რომ წარმოთქვა, როდესაც ციხის უფროსის მკვლელობისათვის თავზე შავი კაპიუშონი გადააფარეს. მან ხომ ვისკის სახდელი აპარატის გარდა იცოდა მხოლოდ ერთგულება იმ კაცისა, ვინც პურს აჭმევდა და ასწავლიდა, რა უნდა გაეკეთებინა, როგორ და როდის; ამიტომაც, როდესაც ფრეიზერი მოკვდა და ვილაყამ სატვირთო მანქანით თუ ლიმუზინით რომ ჩაუარა, ასე უთხრა: „აბა, ბერო, შემოძვერი აქ“. და იგი, უსახლკარო ძალღევით, შეძერა მანქანაში და ჩამობრძანდა ჯეფერსონს. მას შემდეგ მისი საცხოვრებელი ადგილი გახდა ბენზინგასამართი სადგური, ქალაქიდან ორი-სამი მილის მანძილზე, იქ იძინებდა უკანა ოთახში გაშლილ ლეიბზე, თუკი ლეიბი დაკავებული არ ექნებოდა კლიენტს, რომელიც ძალიან მთვრალი უნდა ყოფილიყო საიმისოდ, რომ მანქანა წაეყვანა ანდა ფეხით წასულიყო; იქ ბაკში ბენზინის ჩასხმაც კი ისწავლა და ხურდის ზუსტად მიცემაც, მაგრამ მისი მთავარი მოვალეობა ის იყო, რომ ხსომებოდა სადგურიდან ხუთასი იარდით დაშორებული ქვიშიანი თხრილის რომელ კუნჭულში იყო ჩამალული ნახევარპინტიანი ბოთლები. მალე მთელმა ქალაქმა გაიცნო. სამუშაო კომბინეზონი გამოიცვალა ჭყეტელა ქალაქურ სამოსელზე. ეს იყო ფერად-ფერადი პერანგები, პირველივე გარეცხვის შემდეგ რომ ხუნდებოდნენ, ჩალის შლიაპები ლენტეხით, წვიმის პირველი წვეთებიდანვე რომ იწლებოდნენ და თასმიანი ფეხსაცმელი, ჩაცმისთანავე რომ იშლებოდა. ბერო გულთაღი, უწყინარი და მოუბარი ადამიანი გახლდათ, როდესაც ვინმე უსმენდა, ცბიერი და, იმავდროულად, დაბნეული გამომეტყველება ეწერა ემპაკურ-ჩლუნგურ და ნამზეურქვემ მაინც ფერ-მკრთალ პირისახეზე, რომელსაც გრძობასა და გონებას შორის უკმარისი კავშირის უცნაური ნიშნები ემჩნეოდა.

შვიდი წელი გაატარა იქ იმ შაბათ ღამემდე, როდესაც ბენზინგასამართი სადგურის უკან მიწაზე წააწყდნენ მიცვალებულს (მისი სიკვდილი არავისთვის არ ყოფილა დიდი დანაკარგი, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ბეროს არც ფული გააჩნდა, არც მეგობრები ჰყავდა და არც ადვოკატი), რომელსაც პისტოლეტით ხელში დაჰყურებდა ბერო. იქ კიდევ ორი კაცი იყო, რომლებიც მთელი საღამო მოკლულთან იმყოფებოდნენ, და ბერო სულ ლამობდა მოეთხრო დამკავებელთათვის, მერე კი – შერიფის თანაშემწისათვის ის, რის თქმასაც ცდილობდა სასამართლოში თავისი აღფრთოვანებული, კეთილმოსურნე ხმით, თითქოს გასროლამ მოსპო ის ბარიერი, რომლის მიღმა ოცდახუთი წელიწადი ცხოვრობდა და ახლა მის ფერხითი განოლილი უსულს სხეულის გამოისობით უეცრად გადალახა უფსკურული, რომელიც ჰყოფდა მას ცოცხალ ადამიანთა სამყაროსგან.

საქმე ისაა, რომ წარმოდგენა სიკვდილზე მას იმაზე მეტი არა ჰქონია, ვიდრე პირუტყვის შეიძლება ჰქონდეს, – და იმ ადამიანის სიკვდილზე, რომელსაც დაჰყურებდა, და

მერე კი ციხის უფროსის სიკვდილზე და საკუთარ სიკვდილზეც იგივე ითქმის. მის ფერხთით მდებარე საგანი იყო ისეთი რამ, რაც აღარასოდეს ივლიდა, ვერც ილაპარაკებდა და ვერც შეჭამდა, ამიტომ ვერავის მოუტანდა ვერც სიკეთეს და ვერც ბოროტებას; სიკეთის თაობაზე იგი არ ცდებოდა. ბეროს არ გააჩნდა გრძნობა დანაკარგისა, გამოუსწორებელი დასასრულისა, მას ებრალებოდა ეს საგანი, მორჩა და გათავდა. ალბათ ვერც კი აცნობიერებდა, რომ ამ სიკვდილს მოჰყვებოდა მთელი ჯაჭვი, ნაკადი მუქაფათა, რომ ვინმემ პასუხი უნდა აგოს ამაზე. რამეთუ არ უარყოფდა, რომ მკვლელობა ჩაიდინა, თუმცა უარყოფა ვერ მოუტანდა ხერს, რადგანაც ორი თანამგზავრი მოკლულისა იქვე იმყოფებოდა, რათა მონმეებად გამოსულიყვნენ მის წინააღმდეგ. მაგრამ იგი არ უარყოფდა, თუმცა ვერც ის აეხსნა, თუ რა მოხდა, და ვერც ის, თუ რატომ ატყდა ჩხუბი, და ისიც კი არა, როგორც უკვე ვთქვი, თუ სად მოხდა ეს, სახელდობრ ვის ესროლა, და კინაღამ განაცხადა (მე უკვე ესეც მოგახსენეთ), რომ მისი მსხვერპლი იყო კაცი, რომელიც იმნუთას ტრიალებდა იმ ბრბოში, მის კვალდაკვალ ნიაღვარივით რომ შევარდა მომრიგებელი მოსამართლის კანტორაში. ყოველთვის უბრალოდ ცდილობდა გამოეთქვა ის, რაც დაუგროვდა სულში ოცდახუთი წლის მანძილზე და რისგან გათავისუფლების შესაძლებლობა (ანდა, ეგებ, შესაფერისი სიტყეები) ახლალა იპოვა. მაგრამ მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ, სახრჩობელის ქვეშ, როგორც იქნა მოახერხა, ეთქვა ეს (ანდა სხვა რალაც), რათა ბოლოს და ბოლოს დაემყარებინა კავშირი ძველთაძველ, ნაყოფიერ, მძლეთამძლე, მრავალტანჯულ მიწასთან, ეთქვა ის, რასაც ესწრაფოდა, მაგრამ არ ძალუძდა, რადგანაც ახლალა ასწავლეს, როგორ გამოეთქვა. იგი ლამობდა აეხსნა ეს შერიფის თანაშემწისათვის, რომელმაც დააპატიმრა, და მომრიგებელი მოსამართლისათვის, რომელიც ასამართლებდა; სასამართლოს დარბაზში მდგომს სახეზე ისეთი გამომეტყველება ენერა, როგორიც აქვს იმ კაცს, რომელიც ელოდება, როდის შეიძლება ავლაპარაკდეთ. როდესაც კითხულობდნენ საბრალდებო აქტს: „... მისისიპის სუვერენული შტატის ღირსებისა და მართლესწივისა წინააღმდეგ, რაც ზემოხსენებულმა ბერო ოდლტროპმა, წინასწარგანზრახვით, ბოროტი განზრახვით და წინასწარვე...“ – მან უცებ გაანყევეტინა კითხვა თავისი გამკივანი, მაღალი ხმით, რომელმაც, როცა მიწყდა, სახეზე დაუტოვა იგივე გამომეტყველება განცვიფრებისა და გაოგნებისა, როგორიც ყველას გაუჩნდა:

ჰოლივიდის მწერლებმა უარი თქვეს კაპიტალად წარონ სცენარები

ამერიკის მწერალთა გილდიის სცენარისტებმა უვადო გაფიცვის ფარგლებში მსხვილი ტელეკომპანიის „ენბისის“ შტაბ-ბინასთან ნიუ-იორკში პიკეტი მოაწყვეს.

აქციაში ჰოლივუდის 200-მდე სცენარისტი მონაწილეობდა.

გილდიის წარმომადგენელმა შერი გოლდმანმა განაცხადა, ლიტერატორები წინააღმდეგნი არიან ინტერნეტში ტელეკომპანიათა მიერ მათი სცენარების მიხედვით შექმნილი პროდუქციის უფასო ტრანსლირებისაო. ჯერჯერობით მათთან მოლაპარაკება არავის მოუხდომებია. მწერალთა მთავარ მოთხოვნად რჩება საავტორო ჰონორართა გაზრდა ფილმებისა და შოუების ჩანაწერთა გაყიდვის ხარჯზე.

– მე ბერო არა მქვია; ჩემი სახელია სტოუნუოლ ჯექსონ ოდლტროპი.¹

წარმოგიდგენიათ? თუკი მართლაც ასე ერქვა, ამ სახელს ვერ გაიგონებდა აგერ უკვე ოცი წელიწადი, მოყოლებული იმ დროიდან, როდესაც სული დალია მისმა დიდებამ (თუკი ის ქალი დიდება იყო მისი): აქ კი ერთი თვის წინათ ჩადენილი მკვლელობის გარემოებანიც კი ვერ გაეხსენებინა. და ამის გამოგონებაც არ ძალუძდა. მას არ შეიძლება ცოდნოდა, თუ ვინ იყო სტოუნუოლ ჯექსონი, სახელად რომ დაირქვა. სკოლაში მხოლოდ ერთი წელიწადი მოუწია სიარული. უეჭველია, რომ ბებერი ფრეიზერი გაგზავნიდა იქ, მაგრამ დიდხანს არ უსწავლია, სკოლის პირველ კლასში მეცადინეობაც კი აღემატებოდა მის ძალ-ღონეს. ბერომ ეს უამბო ბიძაჩემს,² როდესაც წყდებოდა მისი შეწყალების საკითხი. მას არ ახსოვდა, სად მდებარეობდა ეს სკოლა, არც ის ახსოვდა, როდის და რატომ მიატოვა იგი. მაგრამ სკოლაში რომ დადიოდა, ეს კი ახსოვდა, რადგანაც მოსწონდა იქაურობა. მხოლოდ ის დაამახსოვრდა, მონაფეები ერთად როგორ კითხულობდნენ წიგნს. რას კითხულობდნენ, არ იცოდა, რადგანაც არ ესმოდა, თუ რაზე იყო იქ ლაპარაკი; ახლა თავისი გვარის დაწერაც კი არ შეეძლო. მაგრამ ამბობდა, რა კარგი იყო, წიგნი ხელში რომ მეჭირა და ყველა ხმა ერთად მესმოდაო, მერე კი

შევიგრძნობდი (ამბობდა, რომ საკუთარი ხმა არ ესმოდა) დანარჩენებში საკუთარსაც, რადგან, როგორც ამბობდა, ყელში რალაც მიგუფუნებდაო. ასე რომ, სტოუნუოლ ჯექსონი, ალბათ, არც სმენოდა. და მაინც ატარებდა ამ გვარს, მემკვიდრეობად მიღებულს მიწისგან, ნიადაგისგან, წილად რომ ერგო იმ ადამიანთაგან, რომლებმაც აირჩიეს გარიყულთა ხვედრი, – როგორც სიმბოლო მწარე სიამაყისა და დაუცხრომელი სიმტკიცისა, რომელიც მოეპოვებოდა მშობელ მიწას და მამრთა და მდედრთა, რომლებიც დააბიჯებდნენ ამ მიწაზე და იძინებდნენ ამ მიწაში.

სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. ეს იყო ერთი ყველაზე ხანმოკლე იმ პროცესთაგან, ოდესმე რომ გამართულა ჩვენს ოლქში, რადგან, როგორც ვთქვი, არავის შესცოდებია მოკლული, და, ეტყობა, ძია გვეინის გარდა არავის ედარდებოდა ბერო.

ბეროს მანამდე ერთხელაც არ უმგზავრია მატარებლით. ვაგონში რომ შევიდა, ხელბორკილით მიბოჭილი იყო შერიფის თანაშემწეს, ეცვა კომბინეზონი, რომლითაც, ალბათ, სუვერენულმა შტატმა, ვისი ღირსება და მართლესწივი შელახა, შემოსა იგი და თავზე ეხურა

ახალთახალი ჯერ კიდევ სუფთა შლიაპა, მსგავსი პანამურისა, რომელიც ეყიდა იმ საბედისწერო საღამომდე (მხოლოდ პირველი ივნისი იყო, მან კი ექვსი კვირა გაატარა ციხეში). ფანჯარასთან ერგო ადგილი, ფუნთუშა, ჩლუნგი პირისახით მიეკრა მინას, ცხვირი მიაჭყლიტა და თავისუფალი ხელის თითებს აქნევდა, ვიდრე ვეება და გამჭვარტლული მატარებელი დაიძრებოდა, თანდათან რომ უმატებდა სიჩქარეს და ბუფერების ჩხარუნით მიაქანებდა ბეროს და ყველას უტოვებდა უსაშველობის შეგრძნებას, რომელიც უფრო მეტად გარდუვალი იყო, ვიდრე მაშინ, როდესაც ტუსალის ზურგსუკან ციხის კარიბჭე იკეტება და არასოდეს აღარ გაიღება.

ბერო თავს აბრუნებდა ბაქანზე მდგომთაკენ, კისერს ჭიმავდა, უკეთესად რომ დაენახა; ჭუჭყიანი მინის მიღმა მისი სახე გაფითრებული იყო, ლოყები ჩაცვენოდა, მაგრამ ინარჩუნებდა მისთვის დამახასიათებელ შეცბუნებულ გამომეტყველებას და კვლავინდებურად იყო მშვიდი, გულლია, უშფოთველი და სერიოზული. ხუთი წლის შემდეგ იმ შაბათ ღამეს მოკლულის ერთ-ერთმა თანამგზავრმა, პნევმონიისა და ლოთობისგან რომ კვდებოდა, აღიარა, ის კაცი მე მოვკალიო. თურმე ხელში ჩაუდო პისტოლეტი ბეროს და უთხრა: „შეხედე ერთი, ეს რა ჩაგიდენია“.

ძია გვეინმა მოიპოვა შეწყალება, მან დანერა პეტიცია, ხელმოწერები მოაგროვა, ენვია შტატის საკანონმდებლო კრებას, სადაც გუბერნატორს ხელი მოაწერინა და გააფორმებინა დოკუმენტი, მერე თვითონვე წაიღო ციხეში და ბეროს უთხრა, თავისუფალი ხარო. ბერო მთელი ერთი წუთი შეჰყურებდა ძია გვეინს, ვიდრე მიხვდებოდა, მერე კი ატირდა. თავისუფლება არა სწყუროდა. ახლა ბერო პრივილეგირებული ტუსალი ბრძანდებოდა; ციხის უფროსს მიუძღვნა ის ძალღური ერთგულება, ბებერი ფრეიზერის მიმართ რომ ჰქონდა.

ბეროს რიგიანად არაფერი ეხერხებოდა, თუ არ ჩავთვლით ვისკის გამოხდასა და გაყიდვას, თუმცა იმ დროიდან, რაც ქალაქში ჩამოვიდა, ბენზინგასამართი სადგურის დაგვა ისწავლა. ციხეში იმავე საქმით იყო დაკავებული; თავისი ცხოვრება, ეტყობა, რალაცით ახსენებდა იმ დროს, როცა სკოლაში დადიოდა. ალაგებდა და დედაკაცზე უარესად როდი უფლიდა სახლს, სადაც ციხის უფროსი ცხოვრობდა, უფროსის ცოლმა კი ქსოვა ასწავლა; ბერომ ტირილით უჩვენა ძია გვეინს სვიტერი, რომელსაც ციხის უფროსს უქსოვდა დაბადების დღისათვის, – ერთი კვირა როდი ეყოფოდა ამ საქმის მოთავეებს.

პირწალაგამოვლებული დაბრუნდა ძია გვეინი. შეწყალება უკან ჩამოიტანა, მაგრამ არ მოუსპია, თქვა, რეგისტრაციაში არის გატარებული და ახლა მთავარია – კანონთა კრებულში ვნახოთ, შეიძლება თუ არა ციხიდან კაცის გარიცხვა, როგორც კოლეჯიდან რიცხავენო. მაგრამ, ჩემი აზრით, იმედი კიდევ ჰქონდა, ბერო გადაიფიქრებო; მე მგონი, ამიტომაც ინახავდა დოკუმენტს.

მერე ბერო თავად გათავისუფლდა, ყოველგვარი დახმარების გარეშე გათავისუფლდა. ეს მოხდა მაშინ, ერთი კვირა რომ იყო გასული, რაც ძია გვეინი ელაპარაკა; ძია გვეინს, ალბათ, ჯერაც ვერ გადაეწყვიტა, სად შეენახა ეს შეწყალება, როცა იმ ამბავმა ჩვენამდე მოაღწია. ცნობა

მეორე დღეს გამოჩნდა მეფმისის გაზეთების სათაურებში, მაგრამ ჩვენ იმავე საღამოს გვაცნობეს ტელეფონით: ბერო ოდლტროპმა, როგორც ჩანს, უიღბლო გაქცევას რომ თავკაცობდა, შეუბრალებლად მოკლა ციხის უფროსი მისივე პისტოლეტით. ამჯერად აღარაფერი იყო საეჭვო. ბარე ორმოცდაათმა კაცმა თავისი თვალთ იხილა ეს, რამდენიმე ტუსალმა კი ხელი სტაცა ბეროს და პისტოლეტი წაართვა. დიახ, ბერო, ერთი კვირის წინათ რომ ტიროდა, როცა ძია გვეინმა აუწყა, თავისუფალი ხარო, ახლა გაქცევას თავკაცობდა და კაცი მოკლა (ის კაცი, ვისაც სვიტერს უქსოვდა და ცრემლებს ღვრიდა, საქმე მომათვევინეთო) ისე შეუბრალებლად, რომ თანამზრახველნიც კი დააცხრნენ.

ძია გვეინი კვლავ გაემგზავრა მასთან. ახლა ბერო ცალკე იყო გამოკეტილი სიკვდილმისჯილთა საკანში. ქსოვას განაგრძობდა. კარგად ქსოვდაო, ამბობდა ძია გვეინი, და სვიტერი უკვე თითქმის მზად იყო.

– სამი დღეა მრჩება, – თქვა ბერომ. – ასე რომ, დრო არ უნდა დავკარგო.

– მაგრამ რატომ, ბერო? – ჰკითხა ძია გვეინმა. – რატომ-მეთქი? რისთვის ქენი ეს?

ძია გვეინი ამბობდა, რომ ჩხირები წამითაც არ შეჩერებულან და არც გვერდზე მოქცეულან მაშინაც კი, როცა ბერო შეჰყურებდა თავისი ჩვეულებრივ უშფოთველი, კეთილმოსურნე და ლამის ალტაცებული გამომეტყველებით. არავითარი წარმოდგენა არ გააჩნდა სიკვდილზე. მე არა მჯერა, რომ მას ოდესმე დაეკავშირებინოს გვამი, იმ ღამით ბენზინგასამართი სადგურის ახლოს რომ ეგდო მის ფერხთით, იმ ადამიანთან, რომელიც ის-ის იყო დააბიჯებდა და ლაპარაკობდა, ანდა გვამი ციხის ეზოში – იმ ადამიანთან, ვისაც სვიტერს უქსოვდა.

– მე ვიცოდი, რომ ვისკის გამოხდა და გაყიდვა არაა კაი საქმე, – თქვა მან. – ვიცოდი, რომ ეს არ იყო ის. მაგრამ მე...

მან შეხედა ძია გვეინს. უშფოთველობა არ გამქრალა მისი სახიდან, მაგრამ წამით სხვა რალაცაც გამოკრთა: არა იმედგაცრუება, არა დაეჭვება, უბრალოდ რალაც მძიებელი, ბუნდოვანი.

– მაგრამ რა? – თქვა ძია გვეინმა. – ვისკი არა ყოფილა „ის“? რას ნიშნავს „ის“?

– ჰო. „ის“ არა. – ბერომ შეხედა ძია გვეინს. – გამახსენდა ის დღე მატარებელში. ქუდიანი კაცი შემოიხედავდა ხოლმე და ყვიროდა. მე ვეკითხებოდი: „ეს არის ის? აქ უნდა ჩამოვიდეთ?“, შერიფის თანაშემწე კი ამბობდა – არაო. მარტოს რომ მემგზავრა, და ის კაცი შემოსულიყო და დაეყვირა, მაშინ მე...

– იქ არ ჩახვიდოდი? ასეა? ახლა კი იცი, რა არის კარგი და სად უნდა ჩახვიდე?

– ჰო, – მიუგო ბერომ. – ახლა ვიცი, რა არის კარგი.

– რა? რა არის კარგი? რა იცი ახლა, რაც აღრე არ უთქვამთ შენთვის?

და ბერომ თქვა, რაც იცოდა ახლა. სამი დღის შემდეგ ავიდა ფიცარნაგზე, დადგა იქ, სადაც უბრძანეს, და მორჩილად (არც კი უთხოვია არაფერი) თავი განზე წაიღო, რათა იოლად გაენასკვათ ყულფი. სახე კვლავინდებურად უშფოთველი ჰქონდა, კვლავინდებურად ალტაცებული,

გამომეტყველება იმ ადამიანისა, რომელიც ელოდება, როდის შეიძლება ავლაპარაკდეთ, არ ნაშლია მანამდე, ვიდრე ყველამ უკან არ დაიხია. ეტყობა, იგულისხმა, ნიშანი მომცესო, რადგანაც ალაპარაკდა:

– მე შევცოდე ღვთისა და კაცთა წინაშე, მაგრამ ჩემი ტანჯვით უკვე გამოვისყიდე ცოდვა. ახლა, – ამბობდნენ, რომ ბერომ ეს სიტყვები ხმამაღლა წარმოთქვა, ხმა სუფთა ჰქონდა და უშფოთველი. ეს სიტყვები მისთვის, ალბათ, საზეიმოდ და უცილობლად ჟღერდა, მის გულს აღმალლებდა, რადგანაც ამას ლაპარაკობდა უკვე შავკაპიუშონ ქვეშ, – მე გამოვალ თავისუფალ ცისქვეშეთში და დავინწყებ მინის დამუშავებას.

წარმოგიდგენიათ? ეს უბრალოდ არაფერში არ ჯდება. თუნდაც გავითვალისწინოთ, რომ ბერო ვერ აცნობიერებდა სიკვდილის სიახლოვეს, სულერთია, მისი სიტყვები ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული. მინათმომქმედებაზე ოდნავ მეტი ეცოდინებოდა, ვიდრე სტოუნუოლ ჯექსონზე, რამეთუ, რასაკვირველია, არაფერი ამის მსგავსი არ უკეთებია თავის სიცოცხლეში. მას, გასაგებია, უნახავს ყოველივე ეს – ხორბალი და ბამბა მინდვრებზე, და ადამიანები, იქ რომ მუშაობდნენ. მაგრამ აქამდე არ მოუნადინებია, თვითონაც ეშრომა, თუმცა ეგებ მოენადინებინა, სხვა პირობებში რომ მოხვედრილიყო. მაგრამ იგი უეცრად კლავს იმ ადამიანს, რომელიც კარგად მოეპყრო მას და, აცნობიერებდა თუ არა ამას, იხსნა მრავალ ტანჯვათაგან; კლავს იმ ადამიანს, ვისაც არგუნა თავისი ძალღურთხილვებისა და ნდობის მთელი სანყაო, ვის გამოც ერთი კვირით ადრე უარი თქვა შეწყობაზე; მოტივად ის გამოდგა, რომ მან მოინადინა დაბრუნება ცისქვეშეთში და მინის დამუშავება – და ეს ცვლილება ხდება ერთ კვირაში მას შემდეგ, რაც ხუთი წლის მანძილზე იგი განდევნილ და იზოლირებულ იყო სამყაროდან გაცილებით საიმედოდ, ვიდრე ნებისმიერი მონაზონი. თუნდაც ვიფიქროთ, რომ რაღაც ლოგიკური მოტივირება შეიძლება წარმოქმნილიყო იმ გონებაში, რომელიც მას მოეპოვებოდა და საკმარისად ძლიერი ყოფილიყო, რათა წაექეზებინა იგი თავისი ერთადერთი მეგობრის მოსაკლავად (დიახ, პისტოლეტი ეკუთვნოდა ციხის უფროსს; აი, რა შევიტყვე ჩვენ: ციხის უფროსი იარაღს ინახავდა შინ, ერთხელაც სადღაც გაუქრა, დაკარგვა არ გაუმხელია და სასტიკად გალახა თავისი ზანგი მზარეული, ისიც პრივილეგირებულ ტუსათაგან, ვისზეც ეჭვის მიტანა ლოგიკური იყო. მაშინ ბერო თავად შეუდგა პისტოლეტის ძებნას, იპოვა იქ, სადაც ციხის უფროსს გადაენახა და მერე გადავინწყებოდა, იპოვა და დაუბრუნა), თუნდაც ვიგულისხმოთ ყოველივე ეს, მაინც რანაირად უნდა გასჩენოდა სურვილი მინის დამუშავებისა იქ, სადაც იმყოფებოდა? ეს შეხედულებანი მოვახსენე ძია გვეინს.

– შეეთავსება, – მიპასუხა ძია გვეინმა. – ოღონდ ჩვენ არ გავაჩნია მართებული შიფრი. და იმათაც არ გააჩნიათ.

– იმათ? – ჩავეკითხე.

– ჰო. იმათ გემბრელის მკვლელები როდი ჩამოუხრჩიათ. სიკვდილით დასაჯეს მხოლოდ იარაღი მკვლელობისა.

– ეს როგორ?

– არ ვიცი. და საეჭვოა, რომ რამე შევიტყვოთ. ალბათ ვერ შევიტყვობთ. მაგრამ ეს შეთავსდება, როგორც შენ გა-

მოთქვი, სადღაც და რაღაცნაირად. ბოლოს და ბოლოს, განა ბედისწერას შეეძლო ასეთი ოინი ჩაედინა, მით უმეტეს ეს სისულელე ადამიანის იერიით. მაგრამ ბედისწერის უკანასკნელი ოინი შესაძლოა ის გახდეს, რომ ჩვენ ვერასოდეს შევიტყვობთ ამას.

და მაინც შევიტყვეთ. ძია გვეინმა შემთხვევით ამოხსნა ეს და, ჩემს გარდა, არავისთვის უამბია. მიხვდებით, რატომაც მოიქცა ასე.

იმხანად ჩვენს გუბერნატორად იყო ერთი უთვისტომო კაცი, საგვარეულო ოდნავ ნაკლებად ბნელი რომ ჰქონდა, ვიდრე ბეროს; პოლიტიკანი, გაიძვერა, რომელიც (ჩვენში ბევრს ემინოდა ამისა, ძია გვეინსაც და შტატის სხვა მოღვაწეთაც) შორს ნავიდოდა, ცოტა რომ დასცლოდა. ბეროს სიკვდილიდან სამი წელი იქნებოდა გასული, როდესაც მან მოულოდნელად რაღაც იუბილის მსგავსი გამოაცხადა. და ამნისტიათა საბჭოს სხდომის დღე დანიშნა ციხეში, სადაც, როგორც ფიქრობდნენ, შეწყალებებს დაარიგებდა ისევე, როგორც ინგლისის მეფე, თავისი დაბადების დღის აღსანიშნავად, რაინდის წოდებებსა და წვივსაკრავის ორდენებს არიგებს ხოლმე.

მთელი ოპოზიცია, რა თქმა უნდა, ალაპარაკდა, თითქოს იგი შეწყალებებით მოურიდებლად ვაჭრობსო, ოღონდ ძია გვეინი ასე როდი ფიქრობდა. მან თქვა, გუბერნატორი ეგრე მიაბიტი არ არისო, – გაისად არჩევნები უნდა ჩატარდეს და იგი არი მართო აგროვებს იმათი ნათესავების ხმებს, ვისაც შეინყალებენ, არამედ ხაფანგსაც უგებს პურისტებსა და მორალისტებს, რათა მათ ბრალი დასდონ მექრთამეობაში, მერე კი, სამხილთა უქონლობის გამო, კოვზი ნაცარში ჩაუვარდეთო. ყველამ იცოდა, რომ მას მთლიანად ეჭირა ხელში ამნისტიათა საბჭო, ასე რომ, ერთადერთი პროტესტი, რომელიც ოპოზიციას შეეძლო წამოეყენებინა, იქნებოდა მოთხოვნა საკრებულო კომიტეტთა შექმნისა, და გუბერნატორმა (დიახ, ცბიერი ვინმე გახლდათ) თავაზიანად მოინონა ეს ინიციატივა და ტრანსპორტიც კი გამოუყო. ძია გვეინი ერთ-ერთი დელეგატი იყო ჩვენი ოლქიდან.

ყველა ამ არაოფიციალურ დელეგატს, როგორც ამბობდა ძია გვეინი, გადასცეს იმ ტუსათა სიის ასლები, ვისი შეწყალებაც იყო განზრახული (იმათი, ვისაც საკმარისად ჰყავდა ნათესავები საარჩევნო ხმის უფლებით, რაც, როგორც მგონია, წარმოადგენდა ამნისტიის საფუძველს). იქ მოტანილი იყო დანაშაულის შედგენილობა, განაჩენი, დახასიათებანი, მოხდლი ვადა და სხვა. სხდომა მიმდინარეობდა სასადილოს სადგომში; როგორც მიაბობდა ძია გვეინი, ის და სხვა დელეგატები ჩამოსხდნენ მაგარ, უზურგო სკამებზე, ხოლო გუბერნატორი და მისი საბჭო მიუსხდნენ მაგიდას ამაღლებულ ბაქანზე, სადაც განლაგებულიყვნენ მცველები, ვიდრე მათი სამწყემოსნი საჭმელს შეექცეოდნენ. მერე ისინი მწყობრად შემოვიდნენ და გაჩერდნენ. გუბერნატორმა ამოიძახა სიიდან პირველი და მიმართა, მაგიდასთან მობრძანდიო. მაგრამ არავინ დაძრულა ადგილიდან. ზოლიან კომბინეზონებში გამონყობილი ტუსაღნი ერთ ადგილზე გაშეშებულიყვნენ და ხმადაბლა ებაასებოდნენ ერთმანეთს. მერე მცველებმა დაუყვირეს იმ კაცს, გამოდიო, გუბერნატორმა კი თვალი მოსწყვიტა ქალაქებს და წარბების აწევით გახედა

მათ. მაშინ ჯგროდან რომელიღაც ტუსალმა წარმოთქვა: „გუბერნატორო, ტერელმა თქვას ჩვენი სათქმელი. ეგ ავირჩიეთ, რომ ილაპარაკოს ყველას მაგივრად“.

ძია გევისს მაშინვე არ აუწვევია თავი. იგი თვალს ავლებდა სიას, ვიდრე იპოვიდა ამ გვარს: „ტერელი, ბილ. წინასწარგანუზრახველი მკვლელობა. სასჯელის ვადას იხდის 19... 9 მაისიდან.

თხოვნა შეწყალების თაობაზე შემოიტანა 19... იანვარში. უარი ეთქვა ციხის უფროსის კ.ლ. გემბრელის მიერ. თხოვნა შეწყალების თაობაზე შემოიტანა 19... სექტემბერში. უარი ეთქვა ციხის უფროსის კ.ლ. გემბრელის მიერ. დახასიათება – რეჟიმის დამრღვევი“. მერე თავი ასწია და დაინახა, როგორ გამოეყო ჯგროს ეს ტერელი – ვეებრთელა, ახოვანი კაცი, პირქუში, არწივისებური სახით, ინდიელს რომ მოგაგონებდათ, ღია ყვირთელი ფერის თვალები ჰქონდა და შავი ფერის აბურძგნილი გრუზა თმა. იგი მიუახლოვდა მაგიდას ქედმაღლობისა და პირფერობის უცნაურად შეზავებული იერით, შეჩერდა და არ დაუცდია, სანამ სიტყვას მისცემდნენ, წამოიწყო მაღალი რეჩიტატივით, იმავე დამცირებული ქედმაღლობით რომ იყო გამსჭვალული: „თქვენო ღირსებავ და პატივცემული ჯენტლმენებო, ჩვენ შევცოდეთ ღვთისა და კაცთა წინაშე, მაგრამ ჩვენი ტანჯვით გამოვისყიდეთ ეს ცოდვა. ახლა კი გვწადია გამოვიდეთ თავისუფალ ცისქვეშეთში და დავამუშავოთ მიწა“.

ტერელმა ძლივს მოასწრო დაემთავრებინა და ძია გევისი უკვე ბაქანზე იდგა, გუბერნატორის სკამთან დაიხარა, გუბერნატორმა კი მისკენ მიაბრუნა ცბიერი, ფუმფულა სახე და ძია გევისის დაჟინებასა და მღელვარებას იღუმელი და თვალთმაქცური მზერა შეაგება.

– ერთი წუთით მოამორეთ აქედან ეს კაცი, – სთხოვა ძია გევისმა. – რალაც უნდა გითხრათ პირისპირ.

გუბერნატორი წუთით შეჰყურებდა ძია გევისს, მთელი მარიონეტული საბჭოც შეჰყურებდა და მათი სახეები, როგორც მერე ამბობდა ძია გევისი, არაფერს არ გამოხატავდნენ.

– დიახ, ბრძანეთ, მისტერ სტივენს, – თქვა გუბერნატორმა. იგი წამოდგა და ძია გევისთან ერთად მიუახლოვ-

და გისოსებიან სარკმელს, ხოლო ეს კაცი, ტერელი, თავანული გაქვავდა მაგიდის წინ, სარკმიდან მომდინარე შუქი აირეკლებოდა მის თვალებში, ძია გევისს რომ მიპყრობოდა და ორი ასანთივით ბრიალებდა.

– გუბერნატორო, ეს კაცი – მკვლელია, – თქვა ძია გევისმა. გუბერნატორის სახეს ისევ არაფერი გამოუხატავს.

– ეს იყო წინასწარგანუზრახველი მკვლელობა, მისტერ სტივენს, – თქვა მან. – წინასწარგანუზრახველი-მეთქი. და როგორც ჩვეულებრივი პატიოსანი მოქალაქენი ამ შტატისა და როგორც მისი მოკრძალებული მსახურნი, მე და თქვენ, უეჭველია, უნდა დავეთანხმოთ მისისიპელ ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებას.


– მე ძველზე არ მოგახსენებთ, – თქვა ძია გევისმა. ისეთი აჩქარებით წარმოთქვა ეს, რამდენადაც კი შეეძლო, თითქოსდა, რომ არ აჩქარებულყო, ტერელი მყისვე გაქრებოდა; და ჰყვებოდა მერე, საზარელი შეგრძნება მქონდაო, თითქოს ერთ წამში მის წინ მდგომი პატარა, შეუვალად თავაზიანი კაცი თავისი ცივი ნებისყოფის, ძალაუფლების სიყვარულისა და ამორალური დაუნდობლობის ძალით ჯადოსნურად გადაისროდა ტერელს ყოველგვარი მუქაფის საზღვრებს მიღმა. – მე ვლაპარაკობ გემბრელზე და იმ გონებასუსტზე, რომელიც ჩამოახრჩეს. ორივე მოკლა ამ კაცმა, თუმცა არც პისტოლეთი უსროლია და არც სანათური დაუშვია.

გუბერნატორის სახეს კვლავ არაფერი გამოუხატავს.

– საგულისხმო ბრალდებაა, რომ არა ვთქვით – სერიოზულიო. – შენიშნა მან. – თქვენ, უეჭველია, მოგეპოვებით მტკიცებულებანი?

– არა, მაგრამ მოვიპოვებ. ათი წუთი დამალაპარაკეთ პირისპირ. მისგანვე მივიღებ მტკიცებულებებს. თავს ვერ დაიძვრენს.

– კეთილი, – წარმოთქვა გუბერნატორმა. ახლა მთელი ერთი წუთი აღარ შეუხედავს ძია გევისისათვის. როდესაც ისევ შეხედა, გამომეტყველება, მგონი, არ შეცვლია, მაგრამ რალაც წაეშალა სახეზე, თითქოსდა ფიზიკურად გააკეთა ეს, ცხვირსახოცის მეშვეობით (გესმის, მან კომპლი-



მენტი მომიძღვნა, – ამბობდა მერე ძია გვეინი. – კომპლიმენტი უძღვნა ჩემს მიხვედრილობას. გულახდილად ალაპარაკდა. მომიძღვნა უმაღლესი კომპლიმენტი, რომელიც კი ძალუძდა). – და თქვენი აზრით, ეს რა სარგებლობას მოგვიტანს?

– ესე იგი... – თქვა ძია გვეინმა. ისინი ერთმანეთს შეჰყურებდნენ. – მაშასადამე, თქვენ მაინც გნებავთ, რომ იგი ჯაჭვიდან აუშვათ ამ შტატის, ამ ქვეყნის მოქალაქეებზე მისასევე და სულ რაღაც ორიოდე ხმის გულისათვის?

– რატომაც არა? თუკი ისევე ჩაიდენს მკვლევლობას, აქ დაგვიბრუნდება.

ახლა ძია გვეინი ჩაფიქრდა წუთით, ოღონდ განზე არ გაუხედავს.

– ვთქვით, სადმე რომ გავიმეორო ის, რაც ახლა ბრძანეთ. ამის საბუთი არ მექნება, მაგრამ დამიჯერებენ. და ეს...

– ხმებს დამიკარგავს? დიახ, ეგრეა, მაგრამ, იცით რა, მე ისედაც დაკარგული მაქვს ეგ ხმები, რადგანაც ისინი არასოდეს მქონია. გამიგეთ? თქვენ მაიძულებთ გავაკეთო ის, რაც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს ჩემს პრინციპებს – თუ გგონიათ, რომ პრინციპები არ გამაჩნია?

ახლავ, ჰყვებოდა ძია გვეინი, გუბერნატორი შეჰყურებდა მას თითქმის ალერსიანად, თითქმის თანაგრძნობით – და დაუფარავი ცნობისმოყვარეობით.

– მისტერ გვეინ, პაპაჩემი თქვენ მოგნათლავდათ ჯენტლმენად. ამ სიტყვას დაიღრუნდა თქვენი და თქვენისთანების სიძულვილით; და ვითომც არაფერი, ღობეს ამოფარებული ცხენს მოგიკლავდათ – პრინციპის გამო. თქვენ კი ლამობთ, რომ რვაას სამოცი წლის შეხედულებანი გადმოიტანოთ მეოცე საუკუნის პოლიტიკაში. მეოცე საუკუნეში პოლიტიკა – ბინძური ქმნილებაა. კაცმა რომ თქვას, ზოგჯერ ისიც მგონია, რომ მთელი მეოცე საუკუნეც – საკმაოდ ბინძური რამ არის, ცამდე აყროლებულა და იქ ვილაცას უღიტიანებს ცხვირში. მაგრამ საქმე ეს როდია, – ისევე მიუბრუნდა მაგიდას, ყველას მისკენ მიეპყრო მზერა. – მიიღეთ ჩემგან კეთილმოსურნის რჩევა, თუნდაც იგი მეგობარს ვერ გინოდებდეთ, – მოეშვით ამ საქმეს. როგორც უკვე ვთქვი, თუკი გავათავისუფლებთ მას და იგი კვლავ ჩაიდენს მკვლევლობას, რაც არ არის გამორიცხული, ისევე აქ დაბრუნდება.

– და ისევე მიიღებს შეწყალებას, – თქვა ძია გვეინმა.

– შესაძლოა. ზნე-ჩვეულებანი არც ისე სწრაფად იცვლება – ეს მხედველობაში გქონდეთ.

– მაგრამ თქვენ მომცემთ ნებას მაინც, რომ პირისპირ დაველაპარაკო?

გუბერნატორი შეეყოვნდა.

– რა თქმა უნდა, მისტერ სტივენს. ჩემთვის სასიამოვნოა, რომ სამსახური გაგინიოთ.

ისინი გაიყვანეს საკანში, თოფიან მცველს შეეძლო მიახლოება გისოსიან კართან.

– ფხიზლად იყავით, – უთხრა მცველმა ძია გვეინს. – ეს ისეთი არამზადაა. ნუ ესუფრებთ.

– არ მეშინია, – მიუგო ძია გვეინმა; ახლა წინდახედულებაც კი აღარ არის საჭიროო, თუმცა მცველი ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა. – მე ნაკლებად უნდა ვუფრთხოდე მას, ვიდრე მისტერ გემბრელი უნდა დამფრთხალიყო, რადგან ბერო ოდლტროპი უკვე მკვდარია.

და ისინი დარჩნენ ცარიელ საკანში, ერთმანეთის პირისპირ – ძია გვეინი და ავყვითელთვალა გოლიათი, ინდიელს რომ ჰგავდა.

– მაშასადამე, ამჯერად თქვენ ამომშალეთ, – თქვა ტერელმა იმავე უცნაური, აყმუვლებული რეჩიტატივით.

ჩვენ გავეცანით მის საქმეს მისისიპის სასამართლო გადანყვეტილებათა კრებულში; ეს ამბავი არცთუ ისე შორს მოხდა და ტერელი სულაც არ ყოფილა ფერმერი. ძია გვეინი ამბობდა, რომ სწორედ ამან ჩააგდო საგონებელში, მერედა მიხვდა, რომ ტერელმა გაიმეორა ბეროს ნათქვამი სახრჩობელის ქვეშ, თუმცა ამას ვერ მოისმენდა და ვერც კი შეიტყობდა; სიტყვების დამთხვევამ როდი ჩააგდო საგონებელში, არამედ იმან, რომ არც ტერელს და არც ბეროს არასოდეს და არსად დაუმუშავებიათ მინა.

რკინიგზის მახლობლად ბენზინგასამართი სადგური იყო და მუხრუჭის კონდუქტორმა ლამის სატვირთო მატარებლიდან დაინახა, ორნი რომ გამოცვივდნენ ბუჩქებიდან, როდესაც მატარებელმა ჩაუარა ამ სადგურს, და ბორბლებქვეშ მოისროლეს რაღაც, როგორც შემდგომში გაირკვა – სხეული ადამიანისა. ცოცხალი იყო თუ არა, კონდუქტორმა ეს არ იცოდა. ბენზინგასამართი სადგური ეკუთვნოდა ტერელს, ჩხუბის ფაქტი დადგენილ იქნა და ტერელი დააპატიმრეს. თავდაპირველად ამტიციცბდა, ჩხუბი არა ყოფილაო, მერე უარყოფდა განსვენებულის მონანილეობას ამ ჩხუბში, მერე განაცხადა, რომ განსვენებულმა შეაცდინა მისი (ტერელის) ასული და მისმა (ტერელის) შვილმა მოკლა ეს კაცი, თვითონ კი ცდილობდა, მის შვილზე ეჭვი არ მიეტანათ. შვილები, ვაჟიც და ქალიც, უარყოფდნენ ამას და ვაჟმა დაასაბუთა კიდევ თავისი ალიბი, ხოლო ტერელი, რომელმაც ლანძღვა-გინებით აიკლო თავისი შვილები, სასამართლოს დარბაზიდან გაათრიეს.

– დაიცათ, – თქვა ძია გვეინმა. – ჯერ უნდა დაგისვათ ერთი შეკითხვა. რა უთხარით თქვენ ბერო ოდლტროპს?

– არაფერი, – უპასუხა ტერელმა. – არაფერიც არ მითქვამს!

– რა გაეწყობა, – თქვა ძია გვეინმა. – სულ ეს იყო, რაც უნდა გამეგო.

მიბრუნდა და მცველს მოუხმო.

– ჩვენ მოვრჩით. გაგვიშვით.

– მოიცათ, – თქვა ტერელმა. ძია გვეინი შებრუნდა. ტერელი ისევე იდგა, ახოვანი, გამხდარი, ჯანიაანი, ზოლიან კომბინეზონში, ავი, უძირო, ყვითელი ფერის თვალეებით და ლაპარაკობდა იმავე, აყმუვლებული რეჩიტატივით.

– რისთვის გინდათ, აქ რომ დამტოვოთ? ნეტა რა დაგიშვებთ? თქვენა მდიდარი ხართ, თავისუფალი კაცი, სადაც გაგიხარდებათ, იქ წახვალთ, მე კი იძულებული ვარ...

მერე დაიყვირა. ძია გვეინის სიტყვით, ისე ყვიროდა, რომ ერთი ბენოზეც არ აუწევია ხმა, ტალანში მყოფი მცველი ვერც გაიგონებდა.

– არაფერი-მეთქი, გეუბნებით! მისთვის არაფერიც არ მითქვამს!

მაგრამ ამჯერად ძია გვეინმა ისიც ვერ მოასწრო, რომ მიბრუნებულიყო. ტერელმა ორი უხმო ნაბიჯი გადადგა,

გვერდით ჩაუარა და ტალანში გაიხედა. მერე მობრუნდა და ძია გვეინს შეხედა.

– მისმინეთ, – თქვა მან. – თუკი გეტყვით, სიტყვას მაძლევთ, რომ ხმას წინააღმდეგ არ მომცემთ?

– დიას, – მიუგო ძია გვეინმა. – ხმას წინააღმდეგ, როგორც თქვენ ინებეთ თქმა, მე არ მოგცემთ.

– მაგრამ საიდან უნდა ვიცოდე, რომ თქვენ არა ცრუობთ?

– და ამას როგორ გაიგებ, თუკი არ გამოსცადე?

ერთმანეთს შეხედეს. ამჯერად ტერელმა თვალები ძირს დაუშვა. ძია გვეინი ამბობდა, ერთი ხელი წინ ეჭირა და ვხედავდი, ნელ-ნელა როგორ კუმავდა მუშტს და თითის კოჭები უთეთრდებოდაო.

– მგონი გაჭედოში ვარ, – თქვა ტერელმა. – ჰო, ნაღ-

დი გაჭედოში ვარ. – მერე მზერა ალაპყრო და დაიყვირა ისევე ხმადაბლა, როგორც ადრე: – მაგრამ თუკი მომატყუებთ, და მე ოდესმე გამოვძვრები აქედან, მაშინ კი მიფრთხილდით! გაიგეთ? მიფრთხილდით-მეთქი.

– რაო, კიდევაც მემუქრებით? – თქვა ძია გვეინმა. – თუმცაღა ეს ზოლიანი კომბინეზონი გაცვიათ, თუმცაღა თქვენს უკან კედელია, წინ კი – ჩაკეტილი კარი და თოფიანი მცველი? გინდათ გამაცინოთ?

– არაფერიც არ მინდა, – მიუგო ტერელმა. ახლა თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდა. – სამართლიანობის მეტი არაფერი აღარ მინდა. მორჩა და გათავდა.

და ისევ აყვირდა ყელში ნაჭერილი ხმით. ძალზე გამომხვევად დაჰყურებდა მოკუმულ მუშტში გათეთრებულ თითის კოჭებს.

– ორჯერ ჩავაბარე თხოვნა; ორჯერ ვცადავ მებოვა სამართლიანობა და თავისუფლება. მაგრამ სულ ის მიშლიდა ხელს. სულ იმის ბრალია; და მან იცოდა, რომ ეს ვიცოდი. მე ვაფრთხილებდი...

ტერელი გაჩუმდა ისევე უცებ, როგორც ალაპარაკდა; ძია გვეინი ამბობდა, მისი სუნთქვაც კი მესმოდაო. მძიმედ და ხრინწიანად სუნთქავდა.

– ამას ხომ გემბრულზე ლაპარაკობთ, – თქვა ძია გვეინმა. – განაგრძეთ.

– ჰო. ვეუბნებოდი. ვაფრთხილებდი. იმიტომ რომა, ის დამცინოდა. ეს კი არ ვარგა. მოეცა ხმა წინააღმდეგ, მორჩა და გათავდა. ოღონდ დაცინვა არ იყო საჭირო. ის ამბობდა, იმდენ ხანს იქნები აქ, რამდენ ხანსაც მე ვიქნებიო, ანდა სანამ შევძლებ აქ გაყურყუტო, აქ კი მთელი სიცოცხლე ვიქნებიო. ასეც მოხდა. მთელი სიცოცხლე აქ დაჰყო, მთელი სიცოცხლე სულ ბოლომდე.

მაგრამ ტერელი არ იცინოდაო, ამბობდა ძია გვეინი, ეს დაცინვით არ უთქვამსო.

– აგრე, და თქვენ მაშასადამე უთხარით ბეროს...

– ჰო. ვუთხარი, რომ აქ ჩვენ ყველანი ვართ ლატაკი, ბნელი სოფლები, ვისაც ცხოვრებაში არ გაუმართლა. ვუთხარი, რომ უფალმა ჩვენ შეგვქმნა, რათა გვეცხოვრა ამ კედლებს გარეთ თავისუფალ ცისქვეშეთში და მისი მინა დაგვემუშავებინა; მაგრამ ჩვენ ვიყავით ლატაკნი და ბნელები, ეს არ ვიცოდით, მდიდრები კი გვიმაღავდნენ. ვუთხარი, რომ ჩვენ, ლატაკმა და ბნელმა ადამიანებმა, ჩვენს სიცოცხლეში პირველად დავინახეთ მატარებელი, ჩაჯვრებით შიგ და არავის უთქვამს ჩვენთვის, სად უნდა ჩავსულიყავით და დაგვემუშავებინა მინა თავისუფალ ცისქვეშეთში, როგორც ეს ენადა უფალს, და ციხის უფროსმა აქ ცხრაკლიტულში გამოგვკეტა, არ გვიშვებს თავისუფალ ცისქვეშეთში, რათა დაგვცინოს

აქ მიუხედავად უფლის ნებისა. მაგრამ ეს არ დამივალვია მისთვის. მხოლოდ ვუთხარი: „და ახლა ჩვენ ველარასოდეს ველარ გავალთ აქედან, რადგანაც არ გავგაჩნია პისტოლეტი. მაგრამ პისტოლეტი რომ გვექონდეს, გავიდოდით თავისუფალ ცისქვეშეთში და დავამუშავებდით მინას, რადგანაც უფალმა ამისათვის შეგვქმნა, და ჩვენ ეს გვწაღია. განა ასე არაა?“ და მან თქვა: ჰო. ეს ისაა. ეს კარგია“. მე ვუთხარი:

„ოღონდ ჩვენ არა გვაქვს პისტოლეტი“. ჰოდა ამბობს: „მე შემძლია ვიშოვო პისტოლეტი“. მე კი ვთქვი: „მაშინ ჩვენ გავალთ თავისუფალ ცისქვეშეთში, რადგანაც მართალია ჩვენ შევცოდეთ ღვთისა და კაცთა წინაშე, მაგრამ ეს ჩვენი ბრალი როდია, ჩვენ ხომ არ ვიცოდით, რისთვის გავგაჩინა მან. მაგრამ ახლა ვიცით, რადგანაც გვინდა გავიდეთ თავისუფალ ცისქვეშეთში და დავამუშავოთ მინა უფლისათვის“. აი, სულ ეს იყო. არაფერი დამივალვია მისთვის. ახლა კი ნაბრძანდით, უამბეთ მათ. აიღონ და მეც ჩამომახრჩონ. გემბრელი უკვე დალპა მინაში, ეს ლენჩიც უკვე დალპებოდა, ახლა კი მეც ჩავლპები მინაში, როგორც აქა ვლპები. ნაბრძანდით, უამბეთ.

– კაი, – თქვა ძია გვეინმა. – კეთილი. თქვენ გახვალთ აქედან.

ამის გავგონებაზე ტერელი, ძია გვეინის სიტყვით, თითქოს გაქვავდა. მერე ჩაეკითხა:

– გავალ?

– ჰო, – მიუგო ძია გვეინმა, – თავისუფალი იქნებით. მაგრამ აი რა დაიხსომეთ! თქვენ ეს-ესაა მემუქრებოდით. ახლა მე დაგემუქრებით. და რაც ყველაზე საგულისხმოა, შემძლია დავასაბუთო ჩემი მუქარა. მე გითვალთვალე თქვენ. და თუკი კიდევ მოხდება რამე მსგავსი, თუკი კიდევ ერთხელ ვინმე შეეცდება ტყუილად დაგაბრალოთ მკვლელობა და ვერავინ დაადასტურებს, რომ თქვენ იქ არ

მარტინ სკორსეჯა
„ბიბლიოთეკის ლომთა“ სიაში

ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკამ ამა წლის „ბიბლიოთეკის ლომის“ პრემიის ლაურეატები დაასახელა. ესენი არიან: კინორეჟისორი მარტინ სკორსეჯე, ისტორიკოსი ჯონ ჰოუპ ფრენკლინი – ავტორი გამოკვლევისა „მონობიდან თავისუფლებისაკენ: აფრო-ამერიკელთა ისტორია“, მწერალი ქალი ჯამპა ლახირი და დრამატურგი ტომ სტოპარდი, რომლის ტრილოგიაც „უტოპიის ნაპირი“ ამერიკაში „ტონის“ შვიდი პრემიითაა დაჯილდოებული.

ყოფილხართ, თქვენს ნათესავთაგან არავინ დაიბრალებს დანაშაულს... გესმით?

როდესაც ძია გვეინმა წარმოთქვა „თავისუფალი იქნებით“, ტერელმა თვალეები ალაპყრო, მაგრამ ახლა ისევ ძირს ჰქონდა დახრილი.

- აბა, რას იტყვი? - ჰკითხა ძია გვეინმა.
- ჰო, - მიუგო ტერელმა. - ყველაფერი მესმის.
- კარგი, - თქვა ძია გვეინმა და მცველი იხმო. - შეგიძლიათ გაგვიშვათ.

დაბრუნდა სასადილოში, სადაც გუბერნატორი ტუსალებს ერთიმეორის მიყოლებით ინვევდა შენყალების გადასაცემად. და გუბერნატორმა ისევ გააკეთა პაუზა, თავისი მშვიდი, თვალშეუვალი სახე მიაპყრო ძია გვეინს. აღარ დაუცდია, როდის ამოიღებდა ხმას ძია გვეინი.

- თქვენ, როგორც ვატყობ, ილბალი დაგეცათ, - თქვა მან.
- დიახ. გნებავთ გაიგოთ...
- არა, ჩემო ძვირფასო სერ. მე მომიწევს თავი შევიკავო. უფრო მკვახედაც ვიტყოდი: უარი უნდა განვაცხადო. - როგორც ძია გვეინი ამბობდა, ისევ იმავე გამომეტყველებით შეჰყურებდა - ალერსიანი, შეცბუნებული, თითქმის თანამგრძობი, ოლონდ ფრიად გაფაციცებული და გამომცდელი გამომეტყველებით. - კაცმა რომ თქვას, მგონი, თქვენ მაინც გეიმედებათ ამ საქმის შეცვლა. ხომ ასეა?

ძია გვეინი ერთხანს დუმდა, მერე უპასუხა:

- არა. ასე არა. მაშასადამე, თქვენ აპირებთ მის გათავისუფლებას? მართლა აპირებთ?
- და მაშინ კი, ამბობდა მერე ძია გვეინი, ალერსიანობა და თანაგრძობა გაუჩინარდა, გუბერნატორის სახე ისეთივე გახდა, როგორც შესვლისას დავინახეთ: მშვიდი, სრულიად თვალშეუვალი, სავსებით არაგულწრფელი.
- ჩემო ძვირფასო მისტერ სტივენს, - თქვა გუბერნატორმა. - მე უკვე დამარწმუნეთ. მაგრამ აქ მხოლოდ შუა-

მავალი ვარ: ყველაფერი წყდება ხმის მიცემით. ნუთუ თქვენ გგონიათ, რომ შეძლებთ დაარწმუნოთ ეს ჯენტლმენები, ყველანი დაარწმუნოთ?

და ძია გვეინმა თქვა, რომ მოათვალეირა გუბერნატორის ეს შვიდი თუ რვა დამქაში, მარიონეტთა იდენტური სახეებით, ეს თითქოსდა კონვეიერიდან გადმოსული მისი ადიუტანტები.

- არა, - უპასუხა მან. - ვერ შევძლებ.
- და გარეთ გამოვიდა. საცაა შუადღე უნდა ჩამომდგარიყო. ცხელოდა, მაგრამ ძია გვეინი მაშინვე გაემგზავრა ჯეფერსონს. მიჰყვებოდა გაშლილ, ცხელ ნისლოვანში გახვეულ მინას, უფალი ღმერთის დაუმრეტელ, უშფოთველ აკრებზე გადაჭიმულ სიმინდისა და ბამბის ნათესებს შუა, რომლებიც გადაივლიან ყოველგვარ უზნეობასა და უსამართლობას. და პაპანაქება მიხაროდაო, ამბობდა მერე; უხაროდა, რომ ოფლი მოსდიოდა, და ოფლთან ერთად განდევნიდა იმის სუნსა და გემოს, რაც ის-ის იყო გარს ერტყა.

თარგმნა
ლაშა გიორგაძე

შენიშვნები

1. სტოუნუოლ (ინგლ.) - ქვის კედელი. ასე ეძახდნენ ტომას ჯონათან ჯეკსონს (1824-1863), რომელიც იყო სამხრეთელთა არმიის გენერალი აშშ ჩრდილოეთ და სამხრეთ შტატებს შორის მიმდინარე ომში (1861-1865).
2. მთხრობელის როლში კვლავ გვევლინება ჩარლზ (ჩიკ) მალისონი, ფოლკენერის საყვარელი პერსონაჟის - პროკურორ გვეინ სტივენსის დისწული.

მთარგმნელისაგან

როგორც აღნიშნავენ, უილიამ ფოლკენერს ადრიანვე იზიდავდა დეტექტიური პროზის ჟანრი, რომლის ელემენტებს უკვე ვხვდებით 1930 წელს გამოქვეყნებულ, ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მოთხრობაში „ვარდი ემილისათვის“, სადაც მწერალმა შექმნა ტრაგიკული აპოთეოზი ამერიკის სამხრეთისა, რომელიც ებლაუჭება წარსულს მისი სამუდამოდ შენარჩუნების იმედით. მიუხედავად დამარცხებისა სამოქალაქო ომში (1861-1865) სამხრეთი შეუპოვრად ცდილობდა, არ შეეცვალა თავისი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები.

დაბერებული ემილი, მისი სახლი, სადაც განისვენებს გარჩნილი გვამი მისი ხელითვე მოკლული მიჯნურისა და სადაც იმყოფება მღუმარე ზანგი მსახური - ეს ის სამხრეთია, რომელიც ფოლკენერს მთელი თავისი დღე და მოსწრება საშინლად უყვარდა და, იმავდროულად, სძულდა (შესაშური გულახდილობით!); როდესაც ჰკითხეს, ამ მოთხრობის სათაური რას ნიშნავსო, მწერალმა ასეთი პასუხი გასცა: „იყო უბრალო ქალი, რომელსაც არა ჰქონია პირადი ცხოვრება. მამას ჩაკეტულში ჰყავდა, მერე კი საყვარელი გაიჩინა და როდესაც მიტოვება დაუპირეს, აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ მოეკლა იგი. ასე რომ, ესაა უბრალოდ ვარდი ემილისათვის“.

მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს მოთხრობა, ისევე როგორც ფოლკენერის სხვა დეტექტივები, უფრო ღრმავარაუაზი, ვიდ-

რე უბრალო ხარკი ადამიანური თანაგრძობისა გაუბედურებული ქალისადმი.

კრიტიკოსთა შეფასებით, ფოლკენერის დეტექტიური პროზა არა ჰგავს სიმენონის, კრისტის, ჰემეტის, ჩანდლერისა თუ სხვათა საყოველთაოდ ცნობილ ნიმუშებს. ფოლკენერი გამუდმებით ახდენდა თანამედროვე დეტექტივის პრინციპთა გადააზრებას, გარდაქმნასა და, არცთუ იშვიათად, პაროდირებას.

ფოლკენერის ინტერესი დეტექტიური ჟანრისადმი შემთხვევითი არ ყოფილა. მან, მსგავსად დოსტოევსკისა, რომელიც მისი ერთ-ერთი უსაყვარლესი ავტორი იყო, მიმართა ამ ჟანრს, რათა უკეთესად გადმოეცა ყოველდღიური ცხოვრების უჩვეულობა და დაუჯერებლობა.

აი, რას წერდა ამის თაობაზე დოსტოევსკი თავის დღიურში: „რა შეიძლება იყოს სინამდვილეზე უფრო ფანტასტიკური და მოულოდნელი? რა შეიძლება იყოს ზოგჯერ კიდევ უფრო დაუჯერებელი, ვიდრე სინამდვილეა? რომანისტი ვერასოდეს წარმოიდგენს ისეთ შეუძლებლობას, რასაც სინამდვილე, ჩვეულებრივ ამბავთა სახით, ყოველდღე გვანგვის ათასობით, ზოგჯერაც ისეთს, ვერავითარი ფანტაზია რომ ვერ შეთხზავდა“.

უილიამ ფოლკენერის „ბერო“, რომელიც შეტანილია მწერლის დეტექტიურ მოთხრობათა კრებულში „მხედრის გამბიტი“ (1949) პირველად გამოქვეყნდა 1937 წლის მაისში ჟურნალ „სკრიბნერს მეგზინის“ ფურცლებზე.

სამოცდახუთი წლის უმედეგ

პლანეტის ერთ მეექვსედზე ისე უყვარდათ ჰემინგუეი, რომ დანარჩენი ხუთი მეექვსედი (ერთად აღებული – მისივე სამშობლოს ჩათვლით) ვერანაირად ვერ გაუტოლდებოდა. როდესაც გადახედავ ამ დიდებული ამერიკელი მწერლის რუსულ ბიბლიოგრაფიას, მოგეჩვენება, რომ ჰემინგუეის დიდსა თუ მცირე ნაწარმოებთ გამოქვეყნებისთანავე ავიაფოსტით გზავნიდნენ მოსკოვში, კვალიფიციური მთარგმნელები სტახანოვური ტემპით თარგმნიდნენ და გამოცემლობა წუთითაც არ აყოვნებდა ბეჭდვას.

ასე უყვარდათ ჰემინგუეი საბჭოთა კავშირში. იტყვიან, მერედა რა მოხდა, რა არის გასაკვირიო. გასაკვირი ისაა, რომ მეორე მსოფლიო ომამდე უილიამ ფოლკნერის ორად ორი მოთხრობა იყო თარგმნილი რუსულად, სკოტ ფიცჯერალდისა – არაფერი, ტომას ვულფისა – ასევე არაფერი. ისინი კი შეერთებულ შტატებში (და სხვაგანაც) არანაკლები პოპულარობით სარგებლობდნენ.

რამ გამოიწვია ჰემინგუეის ამგვარი განებებერება? დასმულ კითხვაზე ორიოდ სიტყვით ვერ გასცემ პასუხს და ამჯერად ფაქტის კონსტატაციით უნდა დავკმაყოფილდეთ.

ზემოთქმულის გათვალისწინებით მართლაც გასაოცარია, რომ ჰემინგუეის სახელგანთქმული რომანი „ვისთვის რეკს ზარი“, გამოცემული 1940 წლის ოქტომბერში, დღის სინათლეს მოსკოვში ეღირსა მხოლოდ 1968 წელს, თუმცა სოლიდური გამოცემლობის მიერ დაკვეთილი თარგმანი უკვე მზად იყო 1941 წლის მარტში.


სხვათა შორის, 1940 წლის ოქტომბერი თვალსაჩინო თარიღად არის მიჩნეული ლიტერატურულ სამყაროში. 1990 წლის შემოდგომაზე მოსკოვში ჩატარდა აშშ და სსრკ ლიტერატურათმცოდნეთა ერთობლივი კონფერენცია, მიძღვნილი ზემოხსენებული რომანის გამოცემის 50 წლისთავისადმი.

დაიხ, 1940 წლის ოქტომბერში ატყდა „ზარის“ ტრიუმფალური რეკვა. პირველი ხუთი თვის განმავლობაში გაიყიდა ნახევარი მილიონი ეგზემპლარი. 1941 წელს გამოსცეს ინგლისსა და შვედეთში. იმავე წელს რომანის გერმანული თარგმანი გამოსცა სტოკჰოლმში ემიგრირებულმა გერმანულმა გამოცემლობამ („ფიშერ ფერლაგ“).

ბიბლიოგრაფიულ ცნობარში ვკითხულობთ, რომ პირველი ოცი წლის მანძილზე „ვისთვის რეკს ზარი“ გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა რვაჯერ, ფრანგულსა და შვედურზე – ექვსჯერ, იტალიურსა და ბერძნულზე – სამჯერ, აგრეთვე – პოლონურ, იაპონურ, პორტუგალიურ, სერბოხორვატულ, ჩინურ, დანიურ, ფინურ, ებრაულ, თურქულ და ა.შ. ენებზე.

და რომანი, მექმნილი ესპანეთის სამოქალაქო ომის თემაზე, ყველაზე ადრე სადაც უნდა გამოეცათ, სწორედ იქ გამოცემულ ყველაზე გვიან, სახელდობრ 1968 წელს, ჰემინგუეის თხზულებათა ოთხტომეულის მესამე ტომში, ოლონდ – გარკვეული კუპიურებით.

თარგმანს ვილა ჩივის, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ კუპიურებს ვერ გადაურჩა რომანის ინგლისური დედანიც კი, გამოცემული მოსკოვში 1981 წელს.



ერნესტ ჰემინგუეი

რობერტ კაპას ფოტო

სამართალმა პური ჭამა მხოლოდ სამოცდახუთი წლის შემდეგ – „ვისთვის რეკს ზარი“ 2005 წელსლა გამოსცეს მოსკოვში ყოველგვარი კუპიურების გარეშე, ამასთან, ვრცელი ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარის თანხლებით. ცნობილი იყო, რომ კუპიურები, ძირითადად, შეეხო რომანის მე-18 და 32-ე თავებს, მაგრამ როგორც ახლა ირკვევა, მკაცრი წმენდა ჩატარებულა მთელს ტექსტში.

პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონიუნქტურის საფუძველზე შესრულებული მრავალრიცხოვანი კუპიურები, თუ შეიძლება ასე ითქვას, საბჭოთა სამრეკლოდან გასაგები და მოსალოდნელი იყო, მაგრამ აღნიშნულ კომენტარს თუ გადაავლებთ თვალს, მართლაც რომ განცვიფრება შეგიპყრობთ კუპიურების გონივრულადმომელი სპექტრის გამო.

ასე მაგალითად, რატომ უნდა ამოეღოთ რუსული თარგმანიდან ჰემინგუეის სიტყვები ესპანეთის რესპუბლიკური არმიის გენერლებზე: მოდესტო ლისტერსა და კამპესინოზე უფრო ჭკვიანი იყო? ანდა – კარკოვს (მისი პროტოტიპი გახლდათ გამოჩენილი საბჭოთა ჟურნალისტი კოლცოვი) ჭიანი კბილები ჰქონდაო?

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს – შინსახკომის მიერ 1940 წელს დახვერტილი კოლცოვის კბილებზე შესტკიოდათ გული!

განსაცვიფრებელ კუპიურათაგან კიდევ ერთი დავიმონმოთ:

ესპანელი პარტიზანი ქარბუქში რჩება თავის პოსტზე და ჰემინგუეის რომანის მთავარი გმირი, ამერიკელი მოხალისე რობერტ ჯორდანი თავისთვის ამბობს, ესპანეთში ამგვარი რამ ხშირად როდი ხდებაო.

ეს ფრაზა მოაშთვეს რუსულ თარგმანში, ვაითუ საბჭოთა მკითხველს ესპანელ ხალხზე უარყოფითი წარმოდგენა შეექმნასო.

რომანის კომენტარში ვკითხულობთ, რომ სახელოვანი ინგლისელი მწერალი ჯორჯ ორუელი (მონაწილე ესპანეთის სამოქალაქო ომისა) წერდა: „ყველა უცხოელი შეძრწუნებული იყო ესპანელთა საოცარი უნესრიგობის გამო. ეს იმდენად ცნობილია, რომ თავად ესპანელთა ოხუნჯობასაც კი იწვევს. ესპანეთში, დაწყებული ჭამა-სმით და დამთავრებული სამხედრო ოპერაციებით, დანიშნულ დროს არაფერი არ იწყება“.

საბჭოთა ცენზურის გარჯას, ამ შემთხვევაში, ზუსტად მიესადაგება საყოველთაოდ გავრცელებული გამოთქმა – რომის პაპზე უფრო მგზნებარე კათოლიკეთა შესახებ.

ჰემინგუეის რომანის უახლესი რუსული გამოცემის ერთადერთი ხინჯი ისლაა, რომ თუკი 1968 წელს გამოცემული „ზარი“, თავისი უმსგავსი კუპიურებითურთ, დაიბეჭდა 200 ათას ეგზემპლარად, ამჟამინდელი „სუფთა“ ტექსტის ტირაჟი მხოლოდ და მხოლოდ 4 ათასი ეგზემპლარია.

ვაჰ, დრონი, დრონიო – ტყუილად როდი უთქვამს პოეტს...

გაჰკრა თუ არა კბილი
სელინჯერმა პრეზიდენტ ლინკოლნს

ორატორმა სულ რაღაც ორი თუ სამი წუთი ილაპარაკა. ფოტოგრაფი აპირებდა გადაეღო სურათი ამერიკის პრეზიდენტისათვის სიტყვის წარმოთქმისას, მაგრამ ვერ მოასწრო. აბრაამ ლინკოლნმა თავისი გამოსვლა მანამდე დაამთავრა, ვიდრე ოსტატი იმდროინდელ პრემიტიულ ფოტოაპარატს გაანყობდა და ორატორს შესძახებდა: არ გაინძრეთ, ახლა ჩიტი გამოფრინდებაო.

დეილ კარნეგი, ავტორი პოპულარული წიგნისა ორატორული ხელოვნების შესახებ, იმონებს პრეზიდენტ ლინკოლნის სიტყვას, წარმოთქმულს 1863 წლის 19 ნოემბერს გეტისბერგში, და გვარწმუნებს, რომ ეს არის ერთ-ერთი უმშვენიერესი სიტყვა, მოკვდავთა მიერ ოდესმე წარმოთქმულთაგან.

დეილ კარნეგი ამბობს: ლინკოლნის ეს სიტყვა მაშინაც კი იცოცხლებს, როდესაც გეტისბერგის ბრძოლის ამბავი ხალხის მესხიერებიდან გაქრება და სწორედ ლინკოლნის სიტყვის წყალობითა შეიძლება გაახსენდეთო.

შეგახსენებთ, რომ გეტისბერგის ბრძოლა მიმდინარეობდა 1863 წლის 1-3 ივლისს. ამ ბრძოლაში ჩრდილოელთა გამარჯვებამ გარდატეხა შეიტანა სამოქალაქო ომის (1861-1865) მსვლელობაში. და 19 ნოემბერს, როდესაც ბრძოლის ველის ერთი მონაკვეთი იქცა ძმათა სასაფლაოდ ორივე მხარის დაღუპულთათვის, ამ ადგილას წარმოთქვა აშშ პრეზიდენტმა ის მოკლე სიტყვა, რომელიც შემდგომში აღიარებულ იქნა ორატორული ხელოვნების კლასიკურ ნიმუშად:

„ოთხმოცდაშვიდი წლის წინათ ჩვენმა წინაპრებმა ამ კონტინენტზე დააფუძნეს ახალი ერი, აღმოცენებული თავისუფლების პირობებში და ერთგული იმ პრინციპისა, რომ ყველა ადამიანი თანასწორია. ახლა ჩვენ ჩაბმული ვართ დიდ სამოქალაქო ომში, სადაც მონაგებია, შეუძლია თუ არა შემდგომი არსებობა ჩვენს ერს თუ სხვა ნებისმიერ ერს, ამავე სულისკვეთებით რომ არის აღზრდილი და ამავე იდეალების ერთგულია. დღეს ვხვდებით ერთმანეთს ამ ომის ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლის ველზე. ჩვენ აქ მოვედით იმისათვის, რომ ამ ველის ერთი მონაკვეთი განვანესოთ უკანასკნელ განსასვენებლად მათთვის, ვინც თავი განწირა, რათა ჩვენი ერის სიცოცხლე გაგრძელებულიყო. ძალზე მართებულია, ამას რომ ვაკეთებთ, მაგრამ გულზე ხელი დავიდეთ და ვთქვათ, ამ მინას ჩვენ როდი ვაკურთხებთ და ვადიდებთ. ის უკვე აკურთხეს და ადიდეს იმ მამაცმა ადამიანებმა, ცოცხლებმაც და მკვდრებმაც, ვინც აქ იბრძოდა, და ეს განახორციელეს ჩვენზე გაცილებით უკეთესად – ჩვენი უსუსური ძალებით ვერაფერს ვერც დავუმატებთ და ვერც დავაკლებთ. მსოფლიო თითქმის ვერ შეინიშნავს და ვერც დაიხსომებს, თუ რას ვლაპარაკობთ აქ, მაგრამ არასოდეს დაივიწყებს იმას, რაც

აქ მოხდა. ჩვენ, ცოცხლებმა, თავი უნდა მივუძღვნათ იმ დაუმთავრებელ საქმეს, რომელსაც ისინი, აქ რომ იბრძოდნენ,

ასე კეთილშობილურად ახორციელებდნენ. ჩვენი თავი უნდა მივუძღვნათ იმ დიდი ამოცანის გადაჭრას, რომელიც ჯერ კიდევ დგას ჩვენს წინაშე. სწორედ ამ ადამიანთაგან, სახელმწიფოებრივი რომ დაილუპნენ, ჩვენ უნდა შევითვისოთ უწყობანო ერთგულება იმ საქმისა, რომელსაც ისინი ასე თავდადებით ემსახურებოდნენ. ჩვენ აქ საზეიმოდ უნდა განვაცხადოთ, რომ ისინი ამაოდ როდი დაღუპულან. და ჩვენი ერი, ლოცვა-კურთხევით უფლისა, მოპოვებს თავისუფლების ახალ სიმაღლეებს, ხოლო მთავრობა ხალხისა, მართული ხალხის მიერ და მოქმედი ხალხისათვის, არასოდეს აღიგებება პირისაგან მინისა“.

ვის არ აუჩქროლდება გული ამ სიტყვის წაკითხვისას! ვინ არ ინატრებს, რომ თავი განწიროს სასახელო ბრძოლაში ამერიკული დემოკრატიის დასამყარებლად მთელი მსოფლიოს მასშტაბით!

მაგრამ არ არსებობს წესი გამოწაკლისის გარეშე და ამჯერად გამოწაკლისი ჰქვია...

არ ვიცით, რას იტყოდა ლინკოლნის სიტყვის შესახებ ჰოლდენ კოლფილდი, მაგრამ კერპთამსხვერველი ყმაწვილი „ჭვავის ყანის“ დასაწყისშივე გვიამბობს, რომ მისი საძულველი თანაკლასელი სტრედლეიტერი მანქანის უკანა საჯდომზე გოგოს აბანდა და „ისე მინაზებული და გულითადი ხმით ელაქუცებოდა – გეგონებოდა, აბრაამ ლინკოლნი გამოგვეცხადაო“.

აღიარებულ კერპებს ასე არ იხსენიებენ!

თავის შეხედულებას ლინკოლნის სიტყვაზე გვაცნობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მოზრდილი ჰოლდენ კოლფილდი“, რომელსაც სიმორ გლასი ჰქვია და რომელიც სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს („ბანანა თევზის ამინდი“); სელინჯერის მოთხრობაში „ჭერი ასწიეთ, დურგლებო“ მოტანილია მეორე მსოფლიო ომში განვეული სიმორის დიურის ფრაგმენტები და ერთ-ერთ მათგანში ვკითხულობთ:

„გეტისბერგში 51.112 კაცი მოჰკლეს და დასჭრეს, და თუ ამ შემთხვევის წლისთავზე ვინმეს საჯაროდ გამოსვლა მოუხდებოდა, უსიტყვოდ უნდა გამოსულიყო, მუშტი მალლა უნდა შეემართა და გაბრუნებულიყო, ჭეშმარიტად პატიოსანი კაცი ასე მოიქცეოდა-მეთქი“.

როგორც ირკვევა, სიმორს, ჯერ კიდევ თექვსმეტი წლისა რომ იყო (ჰოლდენით), უთქვამს: არ არის კარგი, ლინკოლნის სიტყვას სკოლაში ბავშვებს რომ აზებებინებენო.

ახლა თავად განსაჯეთ, გაჰკრა თუ არა კბილი ჯერომ სელინჯერმა ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე სახელოვან პრეზიდენტს.

30 ნოემბერს თბილისის I საჯარო სკოლაში გაიმართა პრეზენტაცია ანთოლოგიისა „მე-20 საუკუნის ქართული მოთხრობა“, შემდგენელია ლიტერატორი და კრიტიკოსი თამაზ ვასაძე, ხოლო გამომცემელია გია ქარჩხაძე.

ნიგნში წარმოდგენილია მე-20 საუკუნის ქართველი მწერლების მოთხრობები. იგი ისეა შედგენილი, რომ მიზიდველი და საინტერესო იყოს ახალგაზრდა მკითხველისთვის. შესაბამისად ხელი შეუწყოს განათლების მთავარი მიზნის მიღწევას — მოაზროვნე და გემოვნებიანი მკითხველის ჩამოყალიბებას.

ანთოლოგიის უმთავრესი ღირსება ისიცაა, რომ მასში თავმოყრილია ნაწარმოებები იმ ქართველი პროზაიკოსებისა, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მე-20 საუკუნის ლიტერატურის ისტორიაში დავით კლდიაშვილის, ვასილ ბარნო-

ვის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელი, გრიგოლ რობაქიძის, გიორგი ლეონიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, დემნა შენგელაიას, ბასილ მელიქიშვილის, ოთარ ჩხეიძის, არჩილ სულაკაურის, გურამ რჩეულიშვილის, გურამ გეგეშიძის, შოთა ჩანტლადის, ვლადიმერ სიხარულიძის, ნაირა გელაშვილის, ნოდარ ნულეისკირის, რევაზ ინანიშვილის, გიორგი ბაქანიძის, რეზო ჭეიშვილის, ჯემალ ქარჩხაძის, გურამ დოჩანაშვილის, მერაბ აბაშიძის, ჯემალ თოფურაძისა და სოსო პაიჭაძის.

როგორც ბატონმა თამაზ ვასაძემ აღნიშნა, ამგვარი ანთოლოგია გათვლილი არაა ათეულობით ათასეულ მკითხველზე, მაგრამ ვინც გაეცნობა, სწორედ ის თაობა იქნება, შემდგომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში რომ ჩაერთვება და მრავალ კულტურულ წამოწყებას დაუდებს სათავეს.